ჯოჯიდჯანდეგია
და საჭართველო

ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

კოვიდპანდემია და საქართველო

ისტორიას დარჩება ჩვენი ხმა...

2026
თბილისი

პუბლიკაცია მომზადდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხადაჭერით, გრანტის N FR-21-14562

Publication was supported by Shota Rustaveli
National Science Foundation of Georgia (SRSFG)
grant N FR-21-14562

მონოგრაფიის გამოცემა ნებადართულია თსუ ივანე ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საგამომცემლო
კოლეგიის მიერ

რედაქტორი: დოქტორი მაია ცერცვაძე

წიგნის იდეის ავტორი: დოქტორი თეა ქამუშაძე

გარეკანის დიზაინერი: გიორგი ვახტანგაშვილი

ISBN 978-9941-8-8652-2

სარჩევი

რედაქტორისგან 5

ჩანახატი

ნინო თავართქილაძე 8

ლექსები

ლია მიქაბერიძე 11

ინტერვიუ

მადონა ჩამგელიანთან 14

ნესტან ლომთაძესთან 25

დიანა წიკლაურთან 38

ჩანაწერები

ქალბატონი ბორჯომიდან 51

თამარ ყალაბეგაშვილი 57

მედეა ლეკაშვილი 67

ნათია რობაქიძე 79

ქალბატონი ოზურგეთიდან 87

პანდემიის შემდგომი ჩანაწერები

ნათია გოჯორაშვილი 97

სალომე მელაძე 103

ქალბატონი თბილისიდან 111

ლევან კოჭლამაზაშვილი 115

ნია ლომოური 119

კოვიდის დღიურები

ანანო ჩხეტიანი 124

მაია ცერცვაძე 137

თეა ქამუშაძე 152

კითხვარი 231

შეთავაზება მკითხველს 234

მოკლე ბიოგრაფიები..... 235

წინასიტყვაობა

„განუმეორებელია ყოველი ადამიანის სახე,
მასთან ერთად კვდება ათასობით ამბავი,
ათასობით მოგონება.“

ხორხე ლუის ბორხესი

„ჩემი დღიური ჩემი საყრდენი ჯოხი იყო,
რომლის გარეშეც ათასჯერ წავიქცეოდი“.

ვიქტორ კლემპერერი

ჩვენს პლანეტას დროდადრო ნაცნობ-უცნობი წყლულები სერავს: – მსოფლიო და სამოქალაქო ომები, რევოლუციები და სახელმწიფო გადატრიალებები, ტერორიზმი და გენოციდი, სტიქიური უბედურებები და ჰუმანიტარული კრიზისები, ეპიდემიები და პანდემიები...

ნაირგვარი კატასტროფებისა და კატაკლიზმებისაგან ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება, რომ კონკრეტულ არეალსა თუ ლოკალს სცდება და გლობალური, საზღვრებგარეშე საფრთხის სახეს იღებს – სიკვდილს უქადის უკლებლივ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, კანის ფერისა, სქესისა…

მთელი თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობა არაერთხელ გამხდარა მისი მოწმე.

დიდი ხანი არაა, რაც დედამიწა ერთი ასეთი სენისგან მორჩა, სენისგან, კოვიდპანდემიის სახელით რომ შემორჩა ისტორიას.

მილიონობით შეწირული სიცოცხლისა და გართულებული ჯანმრთელობის გარდა მიკროსამყაროს ამ მძლავრმა შემოტევამ ადამიანებს დაუტოვა მძიმე ტრავმული გამოცდილება, რისი ამოთქმაც და გაზიარებაც საშური უნდა იყოს მომავალი თაობებისთვის.

„ყოველი ადამიანის თითოეული ნაბიჯი ისტორიაა, ანუ მისი წყარო და მასალა“– წერს ერთგან იოსებ იმედაშვილი. ძნელია არ დაეთანხმო ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის ამ სიტყვებს.

„როცა ადამიანი რომელიმე ისტორიული ეპოქის უშუალო მოწმე და მონაწილეა, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს“ – ეს კი იტალო კალვინოს შეგონებაა. მართლაც, განსაკუთრებით ღირებულია ეპოქალური ამბების თხრობა თვითმხილველისაგან, ხოლო თუ იგი მწერლური ნიჭითაცაა დაჯილდოვებული და მათ ხატოვნად გადმოგვცემს, მაშინ ასეთი ტექსტების მნიშვნელობა ერთიორად იზრდება.

ამ პასუხისმგებლობის განცდით შეიქმნა თავის დროზე უამრავი მემუარი, ჩანაწერი, უბის წიგნაკი... ასე გაჩნდა დღეს ასე პოპულარული „ანე ფრანკის დღიური“ და „მარო მაყაშვილის დღიური“. ერთმა ნაციზმისა და ჰოლოკოსტის სისასტიკე, ხოლო მეორემ საქართველოს რუსეთისგან დაპყრობის ტრაგიკული დღეები აღწერა, ავტორთა ცნობიერების პრიზმაში გადატეხილი, თვალსაჩინო ნიმუში და დადასტურება ბალზაკის სიტყვებისა: „ყველა ის საშინელება, რომელსაც რომანისტები თხზავენ, სინამდვილეზე დაბლა დგასო“.

პასუხისმგებლობის ამავე განცდითაა ჩაფიქრებული და გამოცემული ეს წიგნი – ინტერვიუებისა და დღიურების კრებული, რომლის იდეის ავტორი და შემდგენელია ახალგაზრდა მეცნიერი, ისტორიის დოქტორი, ანთროპოლოგი თეა ქამუშაძე და რომლის პოეტური ენით შესრულებულ ერთ ვრცელ ჩანაწერსაც სხვებთან ერთად აქვე გაეცნობა მკითხველი.

წიგნში სხვადასხვა ასაკის, განათლების, პროფესიის, მისწრაფებების ადამიანები პანდემიისდროინდელ პირად და ოჯახურ, ახლობელ-შორებელთა ყოფით ამბებს, ემოციებსა და რეფლექსიებს გადმოგვცემენ და გვიზიარებენ – როგორ შეიცვალა მაშინ მათი ცხოვრება და დღის წესრიგი, სოციალური გარემო, ადაპტირდნენ თუ ვერ ადაპტირდნენ ახალ რეალობასთან, ვინ/რა დაემხმარათ თუ არ დაეხმარათ ამაში, როგორ ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ თუ სწავლობდნენ, ჰქონდათ თუ არა ძველებურად განტვირთვის, გართობის, სიხარულის განცდის სურვილი და შესაძლებლობა...

ინფიცირება, სიკვდილი, პანიკა, ჰოსპიტალიზაცია, ჭორ-მართალი ვირუსის წარმომავლობაზე, კარანტინი, კომენდანტის საათი, ლოკდაუნი, ვაქცინაცია, ნიღბები, შეთქმულების თეორი-

ები, ონლაინ საქმიანობა, Zoom პლატფორმა... ეს ის პანდემიისეული რეალიებია, რომელთა ირგვლივაც იშლება თხრობა წიგნში. მისი რედაქტირებისას ტექსტების ავტორთა სტილი მეტი ავთენტიკურობისთვის თითქმის უცვლელად დავტოვეთ.

კრებული ლიტერატურის დღეს მეტად ტრენდულ იმ სახეობას განეკუთვნება, ნონფიქშენად რომ უხმობენ და მეტაფორულად ნატურიდან ხატვად (ლ. ბრეგაძე) რომ მონათლეს და მასში თავმოყრილია ნამდვილ ამბები და არა მხატვრული გამონაგონი. მათ თავისთავადი ღირებულებაც აქვთ და, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ფაბულად და სიუჟეტადაც შეიძლება გამოდგნენ მომავალი ფიქშენ-ტექსტებისთვის, ისეთებისთვისაც, რომელთა სათაურებშიც ხშირად დამაბნეველი „ჩანაწერებიც“ ფიგურირებს („პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „იატაკქვეშეთის ჩანაწერები “, „მონადირის ჩანაწერები“...)

ისევე, როგორც ნებისმიერი არტეფაქტი, ნონფიქშენური ტექსტებიც დროის გასვლასთან ერთად მეტ მნიშვნელობას იძენს. ვფიქრობთ, გამონაკლისი არც ეს კრებული იქნება და მას ინტერესით და ყურადღებით გაეცნობა როგორც თანამედროვე, ასევე მომავლის მკითხველი ათწლეულებისა და ასწლეულების გასვლის შემდეგ – ის მათ ამ მძიმე პერიოდის საქართველოში ამოგზაურებს.

ქალბატონ თეა ქამუშაძესთან ერთად გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ კრებულის ყველა ავტორს, რომელთაც არ დაიზარეს, გამონახეს დრო და წიგნისთვის კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარეს, წიგნს კი ზურგის ქარი ვუსურვოთ.

მაია ცერცვაძე

ჩანახატი

2020 წლის 2 აპრილის დილა გათენდა, მოკლე ტექსტური შეტყობინება მივიღე: „თქვენი ამანათი ჩამოსულია“, ესე ძალიან, ალბათ, არცერთ სმს-ს არ გავუხარებივარ, ბედნიერებისგან წამოვხტი, ეს ხომ გარეთ გასვლის უტყუარი შესაძლებლობა იყო. შევედი აბაზანაში, ვიბანავე, სახის კრემი წავისვი, ჩავიცვი და გავეშურე ბანკში, რომ მიღებული ამანათის საფასური გადამეხადა. ამანათი მოსაშვილის ქუჩაზე არსებული ფილიალიდან უნდა გამომეტანა. გავიფიქრე, ბარემ დეიდასაც ვინახულებ-მეთქი. ავუარე, ყავა დავლიეთ, ცოტაც ვიბაასეთ, ამასობაში 7 საათი გახდა, გამახსენდა, რომ პროდუქტი მქონდა საყიდელი, 9-ზე სახლში უნდა ვყოფილიყავი, თორემ 3000 ლარიან ჯარიმას ვერ ავცდებოდი (ახალი დადგენილების მიხედვით 9-ის მერე გარეთ გასვლა გვეკრძალება). ცივი ქარი ქროდა, მე კიდევ არც თუ ისე თბილად მეცვა, ყვითელი თხელი მანტოსა და დიდი ბებიის ყაისნაღით ნაქსოვი ლურჯი შარფის ამარა ვიყავი. სიცივისგან ცოტა კბილები მიკრაჭუნებდა, გათბობის მიზნით ხტუნვა დავიწყე. საკმაოდ დიდი რიგი იყო, ნერვიულად საათზე ვიყურებოდი, რომ 9-ზე სახლში მიმესწრო. გვერდზე გავიხედე, ვიღაც ბიჭი ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს, ცოტა ძველმოდურად ეცვა, რაღაცით 60-იანების „როკ სტარს“ წააგავდა. რიგში ხალხი ბობოქრობდა, უკმაყოფილების გამომხატველი რეპლიკები ისმოდა. უეცრად ეს ყმაწვილი მომიტრიალდა და მეკითხება: გოგონი, ბრაზილიის ფერებში რატომ გაცვია? მეც დავიხედე, ავხედე და ვუპასუხე, მწვანე ფერი მაკლია-მეთქი. ოჰოო, გცოდნია ბრაზილიის დროშა... მე ლევანი.

– მე ნინო.

– მე მიმინოშვილი (გვარი ზუსტად არ მახსოვს).

– მე თავართქილაძე.

– ოოჰ, თავადის ქალი ყოფილხარ, მეშინია არ დამიჭირონ, თორემ გეამბორებოდიო.

– ერთ ამბორად დაჭერა ნამდვილად არ ღირს.

ცოტა ხანი პაუზაა, მე ხტუნვას ვაგრძელებ გათბობის მიზნით.

– რას საქმიანობ?

– არქეოლოგი და ცოტაც ანთროპოლოგი ვარ.

– დმანისში დადიხარ?

– სტუდენტობის ჟამს დავდიოდი.

– ახლა რატომ აღარ დადიხარ?

– პრიმატები არ მაინტერესებს, უფრო გონიერ ადამიანებს ვსწავლობ.

– აა, ანუ ჩემნაირებს?

– ხო, შეიძლება ეგრეც ითქვას.

ჩაიღიმა, პაუზის შემდეგ მეკითხება, რატომ ხტუნავ, ტიკია თუ უბრალოდ გცივა?

გამეცინა. ჯერჯერობით გათბობის მიზნით ვხტუნავ, მაგრამ ესე თუ გაგრძელდა, ცხოვრება შეიძლება ტიკად გადამექცეს-მეთქი.

– ეეჰ, ცუდი დრო დადგა, – ჩაილაპარაკა ლევანმა.

– რატომ? კორონა რომ არ იყოს, ქურთუკს გაიხდიდი და ჩამაცმევდი?

– აბა რას ვიზამდი, უბრალოდ დაჭერის ძალიან მეშინია.

ცოტა ხანში იშვერს ფანჯრისკენ ხელს, აი, ეს ფანჯარა ჩემი საძინებლიდან გამოდის.

– შენ სად ცხოვრობ?

– მე გაღმა ნაპირიდან ვარ.

– მართლა სად ცხოვრობ?

– მართლა, აი, ვერეს მეორე ნაპირზე ვცხოვრობ.

– აა, ხილიანზე ცხოვრობ?

– კი, ღიმილნარევი ხმით ვპასუხობ.

– გაღმა ნაპირიდან რისთვის წამოვიდა თავადის ქალი?

– თავადის ქალს ტუალეტის ქაღალდის ყიდვა სურს-მეთქი.

ჩაეცინა, ბევრი არ იყიდო, მეც დამიტოვეო.

მერე ცოტაც მუსიკაზე ვისაუბრეთ, მორისონი და ბოუვი განვიხილეთ, საკმაოდ კარგი და სასიამოვნო დიალოგი გამოვიდა.

ამასობაში ასაკითაც დაინტერესდა, მოკლედ გაქაფულები, მაგრამ მაინც დისტანციურად ვსაუბრობთ. რიგში მდგომ ხალხს ველარ ვამჩნევთ. წინ ვიღაც ჭაღარაშერეული ქალი იდგა. მოუტრიალდა ლევანს და ეუბნება, შენი რიგია, მიბრძანდიო.

ლევანმა მიუგო, გითმობთ ქალბატონო.

ჭაღარაშერეულმა ქალბატონმა არც აცია, არც აცხელა და ეუბნება, პროფესორი ვარ, ფიზიკოსი, იმდენი რამე მაქვს ნანახი, რას გამომაპარებ. მომინდომა აქ ჯენტლმენობა, მაგ გოგოსთან გინდა საუბარი და იმიტომ მითმობ რიგსო.

ლევანს ჩაეღიმა, დიახ, ქალბატონო ძალიან საინტერესო დიალოგი გვაქვს და გვაცადეთო.

ეს ქალიც შევიდა მაღაზიაში. ჩვენ საუბარი განვაგრძეთ, ჩემი რიგიც დადგა, შევედი. კუთვნილი ტუალეტის ქაღალდი და პური ავიღე და გამოვედი მაღაზიიდან. ლევანს ღიმილნარევი სახით დავემშვიდობე.

ლევანმაც გამიღიმა და მომაძახა

– გაღმა ნაპირიდან ქალბატონო, გელოდები ხვალაც რიგში!...

ლია მიქაბერიძე

ლექსები

პანდემია

ოთახი – საკანი... ღამეა – მნახველი,
რომელიც დამღლელი დღის შემდეგ მოვიდა,
სიცხიან მეგობარს სძინავს თუ ახველებს?! –
უხმოდ თანამიგრძნობს სიბნელის გროვიდან
ღამე მომკითხველი... ოთახი – საკანი,
ფანჯარა ჩვენს შორის დგას, სუნთქვას მიმოწმებს,
ცდილობს გამოიცნოს, წუხილის საგანი
სიკვდილის შიშია თუ ყოფნის სიმორცხვე...
ცა მელნისფერია, მინა კი — სენსორი,
ზემგრძნობიარე და ტკივილებს ირეკლავს,
იერუშალაიმ... რამდენჯერ გესროლეს,
ითვლის ჩემი გული – არ მიძგერს, მირეკავს...
შეშლილი მწერლების ბოდვებს ჰგავს ეპოქა,
ელის ჩემს არჩევანს „ბედი“ და მიღიმის
შორიდან... სიყვარულს სიკვდილის მეტოქედ
ვირჩევ სამეუფო ზარების ღიღინით…

ლოცვა პანდემიისას

დღეს მოვალ შენთან,
მით უმეტეს, რომ ავდარია,
რომ შემცივნებულ მრავალწერტილს ჰგვანან ჩიტები,
ყველგან ხარ, მე კი მენატრები ისე ძალიან,
როგორც ნაზამთრალ მთებს ბალახის მალაქიტები .

ქუჩებში ავი სიზმარივით ელდა სეირნობს
და ჩახუტების სურვილს გულში იკლავს მოყვასი,
არასოდეს რომ მყვარებია – იმგვარ სერიალს
ჰგავს ყოფა, შეშლილ რეჟისორის ხილვით მოხაზულს...

დღეს მოვალ შენთან, ხვალაც მოვალ, ზეგაც – უძღები,
მოგგვრი რაც შემრჩა, ბზარებისგან დანაწევრებულს,
ჩამიკრავ გულში და მასწავლი, როგორ უძლებდნენ
ტკივილებს შენი მეგობრები ან რა ნერვებით,

როდესაც ჯვართან შორიახლო უღონოდ ისხდნენ,
სად სძლია შიში სიყვარულმა, მოძღვრის ცხედართან?
დღემდე სიმწრის და სირცხვილისგან ყვავილობს ის ხე,
ყალბი ამბორის უტყვი შემსწრე და შემხედვარი.

მეგი ბაქრაძის ხსოვნას ♥

ამხელა ზამთრის მნახველ ბელურას
ყვავილზე მეტად ის გაუკვირდა,
ხე რომ კაცივით გახევებულა,
მზის დანახვისას არ გაიკვირტა...
სასტიკი ზამთრით დაღლილ ბელურას
ახლა, უბრალოდ, ასფალტზე სძინავს,
ხე ღადარივით გაღვივებულა,
ჩიტი – შეასკდა საქარე მინას...

20. 03. 21

წერილი

(რომლის გაგზავნა გადავიფიქრე მას შემდეგ, რაც ვესაუბრე)

უცხოეთში მყოფ მეგობარს

წუხელ თბილისში თოვლი მოვიდა,
ჟამიანობას ასე უდარა
გაზაფხულისთვის, ღამის გლოვიდან
გამოხმობილმა თეთრმა სუდარამ.
იცი, წუხელ ცა სიზმრებს ბარდნიდა
აყვავებული დახვდა ჭერამი,
მე გავყურებდი თოვას ფანჯრიდან
ჩემთვის ვწვიმდი და ვთოვდი ჭერამდი.

გათენდა, თოვლმა იწყო დადნობა...
გზა ჩანს ხან სწორი და ხანაც, მრუდე,
ჟამი რომ დგება, არ აქვს დანდობა
არავის, გესმის?! უნდა დაბრუნდე...
აქ არ შეცვლილა ბევრი რამ თუმცა,
კვლავ ლაღობს ღვარძლი და დუმს ღირსება,
სამშობლოში ვარ და გული უძლებს,
სულიც, დროდადრო, ლხენით ივსება.
მაკურთხეველი კვლავაც აკურთხევს,
ასმაგად იღწვის ახლა მოღვაწე,
ახსოვხარ ქალაქს, მამულს, შენს კუთხეს
და თუმცა ლოცვას მანდაც მოგაწვდენს,
დ ა ბ რ უ ნ დ ი !...
იცი, დღემდე ვუძლებდი,
შენზე დარდს, ყელში რომ მებჯინება...
გამოჩნდებიან, თუ ეძებ, გზები...
გთხოვ, არ მიწყინო ეს დაჟინება!

19. 03.20

ინტერვიუ მადონა ჩამგელიანთან[1]

– თუ გახსოვს, პირველად როგორ გაიგე კოვიდის შესახებ?

– ძალიან საინტერესო თემა იყო ჩემთვის, სხვათა შორის. ვიყავი დაპატიჟებული პატრიარქის წირვაზე (შაბათ-კვირას ვიწრო წრეში ატარებდა ხოლმე წირვას). საერთოდ არ ვიცოდი ამ კოვიდის შესახებ არაფერი მაგ დროს. იქ პატრიარქმა თქვა, რომ რაღაც დაავადება არის შემოსული მსოფლიოში, ოღონდ საქართველოს არ შეეხება, მე სიზმარი ვნახეო (ტალახისგან როგორ აზილა თეთრმა ჭაბუკმა და შუბლზე წამისვაო... ცნობილი სიზმარია, სამებაშიც თქვა მერე ეგ). მოკლედ, საქართველოს არ შეეხება ეგ ამბავიო, პატრიარქმა.

– საფრთხე როგორ აღიქვი?

– სისულელე იყო ახლა, მე ეგ სერიოზულად არც აღმიქვია, იმიტომ, რომ რა დაავადება იყო, საერთოდ არ ვიცოდი. მერე ჩემი მეგობარი იყო 112-ის ფინანსური დირექტორი, რომელმაც თქვა, რომ უკვე მსოფლიოში არის ასეთი დაავადება, რომელიც, ალბათ, საქართველოშიც იფეთქებს და ვემზადებით ამისთვისო. ამ დროს ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ევროპის ტურნე. ოღონდ საქართველოში საერთოდ არც ერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული, უკვე პანიკაში იყო მსოფლიო, ჩინეთი, ისა ესა, და ჩვენც ცოტა დავპანიკდით, სიმართლე გითხრა და იქნებ ცოტა გადავდოთ-მეთქი, რომ მივწერეთ ამ ჩვენს „მასპინძლებს“, იმათმა თქვეს, არა, არავითარ შემთხვევაში, ჩვენ ვერ გავაუქმებთ მაგ ღონისძიებებს იმიტომ, რომ აქ არაფერი არ ხდებაო, ეს იყო ბელგიაში, ჰოლანდიასა და გერმანიაში. მოკლედ, ჩვენც გავემზადეთ და ამასობაში დაფიქსირდა 2-3 შემთხვევა.

– თუ გახსოვს, როდის იყო?

– წირვა თებერვალში იყო, ზუსტი თარიღი არ მახსოვს. ჩვენ წავედით ტურნეში მარტში და თებერვალში უკვე დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა. როცა ხალხმა არ იცოდა, მე ვიგებდი ჩვენი მეგობრისგან, სად იყო დაფიქსირებული ეს შემთხვევები. მოკლედ, პირბადეებიც უკვე რომ შემოვიდა ყველგან, გვეკეთა პირბადეები გამგზავრებისას აეროპორტში და რომ ჩავედით

[1] ინტერვიუ ჩაწერა თეა ქამუშაძემ.

ბელგიაში, ანტვერპენში არავის არ ეკეთა პირბადე. ანას ეკეთა მარტო პირბადე. ქუჩაში გვაჩერებდნენ ანტვერპენში, აინტერესებდათ, რატომ ეკეთა პირბადე. ვეუბნებოდით, რომ დაცვის მიზნით და გვეუბნებოდნენ, რომ ეს ვერ დაიცავდა და მოეხსნა, აგრესიული ხალხი იყო. ეს ყველაფერი ხდებოდა მარტში. საერთოდ არაფერი არ ხდებოდა და არ იგრძნობოდა. ჩვენთან რომ პანიკა იყო, იქ მშვიდად იყვნენ. ხვალ რომ კონცერტი გვაქვს და დღეს უკვე რომ უნდა მივსულიყავით იმ ადგილზე, ბელგიის სამეფომ გამოაცხადა, რომ ყოველგვარი ღონისძიება აეკრძალათ. უკვე საზღვრებიც დაიკეტა, აეროპორტებს მიაწყდა უამრავი ხალხი. ჩვენ უკანა ბილეთები გვქონდა ჰოლანდიიდან სადღაც აპრილში. მე საერთოდ არ ვფიქრობდი, რომ რამე სერიოზული ხდებოდა, მე ვეუბნებოდი ამათ, სამი დღე და დალაგდება ყველაფერი-მეთქი. ჩვენი მეგობარია ლევან ბითაროვი, რომელმაც თქვა, ვიფიქროთ უკან წასვლაზეო და ორი დღე ვიყავით ჩვენი ბელგიელი მეგობრების სახლში. იმათმა გვიმასპინძლეს. ყველა კონცერტი გაუქმდა, მერე შეკრიბა სამეზობლომ ფულები რომ უკან გავემგზავრებინეთ როგორღაც. სახლის პირობებში კი ჩავატარეთ კონცერტი, მაგრამ იქაც არ იგრძნობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ნაწილი იყო მოხუცები, არ ჰქონდათ ეს შიშის შეგრძნება არანაირი. თან აღდგომის პერიოდი იყო მაშინ ბელგიაში და ყველა მაღაზია იყო დაკეტილი გარდა ტკბილეულისა. ვიყიდეთ „ენ“ (ან N) რაოდენობით შოკოლადის კვერცხები და რაღაც-რაღაცები საჩუქრებად. წკიპზე რომ მიასწრებ, ისე ვიყიდეთ თვითმფრინავის სამი ბილეთი. წამოვედით და ქართველების გეითზე იყო წყვეტა, ჩახუთულობა, ჭედვა... საშინელი მდგომარეობა იყო, თან საშიშია, რომ გადაგედოს, პირბადე ეკეთა ყველას ამ ქართველებს, მაგრამ მაინც არ ერიდებოდნენ ერთმანეთს აშკარად. მე ალერგიული ვარ ნესტზე ან ტემპერატურის ცვალებადობაზე, მეწყება ცემინება და რომ დამეწყო და გავარდა ეს ხალხი, ჩემ გარშემო აღარავინ აღარ იყო. რომ ჩამოვედით ქუთაისის აეროპორტში, იქ დაგვხვდნენ და სპეციალური რაღაცებით შეგვამოწმეს. არაფერი არ გაქვთ ახლა და იზოლაციის პერიოდი რომ დაიცვათ ან სასტუმროში ან სადმეო. ჩვენ ვუთხარით, რომ გვქონდა ადგილი იზოლაციისთვის. წამოვედით

სახლში ტაქსით. ჩვეულებრივ შევედი ჩემს ოთახში გვიან ღამე, იმიტომ რომ ესენი კი გავაფრთხილე, რომ გაემზადებინათ პატარა სახლი ჩემთვის, მაგრამ რატომღაც ჩემი ლოგინი არ იყო ჩატანილი და შუა ღამეს დაღლილი მე ვერაფერს ვერ ვიზამდი და დავწექი ჩვეულებრივ ჩემს ოთახში. დილით ძილბურანში ვარ და მესმის ჩემი ექიმი რძლის ჩხუბი: აი, მაგას რა აზრი ჰქონდა ახლა, აქ როგორ დაიძინა, ვაიმე, რა გვეშველება და რაღაცა პანიკა. ჰოდა, უხმოდ ავდექი, ავხიკე ჩემი გუდა-ნაბადი და გადავედი იმ პატარა სახლში. მე და ანა გადავედით და ხომ გვაქვს ახლა ეს უამრავი შოკოლადი. ჯერ ვერავის ვერ აკადრებდი იმ დროს, რომ აეროპორტგამოვლილი რამე მიგეკარებინა, გამორიცხული იყო, ოჯახის წევრებიც კი ერიდებოდნენ, რომ ჩვენგან საჩუქარი მიეღოთ. დავდექით მე და ანა და 16 დღეში გავხდი ტონა-ნახევარი. ერთი სასაცილო მომენტი ის იყო, რომ ერეკლეს გაუკეთებდნენ ნიღბებს და მთელი აღჭურვილობით გამოატანდნენ საჭმელს. ერეკლე შემოვიდოდა სახლში ჩვენთან, მოიხსნიდა ამ ყველაფერს, მიირთმევდა შოკოლადს, მერე აისხამდა და წავიდოდა ისევ იმ სახლში. არასერიოზულად ვუყურებდით მაინც. ჩვენ უფრო მარიამი გვაპანიკებდა, ექიმი იყო, მორიგეობები ჰქონდა, ძალიან შეშფოთებული და შეშინებული იყო და ჩვენც ხელს ვუწყობდით. თორემ მე პირადად არც მქონია იმის განცდა, რომ რაღაც საშიშთან მქონდა საქმე. ამ 16 დღეში გარეთაც არ გავდიოდით რატომღაც, ეზო გვქონდა და რატომ არ შეიძლებოდა გასვლა, არ ვიცი). პანიკა იყო, შიში და ვერ ვხვდებოდით, რაში იყო საქმე. ესენიც შორიდან გვესალმებოდნენ, ანა იძახდა, ავი ძაღლი მგონია თავი, ყველა მერიდებაო. ასეთი სიტუაცია იყო, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი გვჭირდა, არანაირი სიმპტომები არ გვქონდა. მე მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს იყო უბრალოდ პანიკის თესვის საფუძველი ან ბუნების განტვირთვა. აი, ყველაფერი რომ გაჩერდა, აივნიდან რუსთავს ვუყურებდი ნუცუბიძიდან, გაკრიალებული ცა იყო, ეს იყო წარმოუდგენელი. ცუდ ვარიანტს კი არ განვიხილავდი იმ დროს, ვფიქრობდი, რომ აი, ყოჩაღ, ვიღაცამ მოიფიქრა ეს, რომ განტვირთოს ბუნება. ვფიქრობდი, რომ ვიღაცამ მოიფიქრა ეს ვირუსი. მერე კონტაქტი გვქონდა მხოლოდ ფაქტობრივად ორ მეგობართან, მეტი არავინ არ მოდიოდა. ეს

იყო გელა, რომელიც 112-ში მუშაობდა და ყოველთვის შეეძლო გადაადგილება და მეორე მასთან ერთად ჩვენი მეგობარი სანდრო, რომელსაც ისვამდა თვითონ ჩუმად და მოდიოდნენ. ანუ მეტი ჰაერიც კი არ იძვროდა მაგ დროს.

– რას აკეთებდით, გარდა იმისა, რომ შოკოლადს ჭამდით?

– მოვიფიქრე კოვიდური სისულელე სიმღერა, რომელიც ანამ მერე ჭუნირზე დაამღერა, ფეისბუქზეც გამოვდე მაშინ და ყოველდღე ვდებდი ჩემი კარანტინის დროს ჩემს მდგომარეობას ფეისბუქზე დღიურივით (დღე პირველი, დღე მეორე და ა.შ).

– როგორი იყო თქვენ გარშემო მყოფი ადამიანების მოლოდინი ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით?

– მერე უკვე ვაქცინა რომ გამოჩნდა, ჩამოვედით სვანეთში და იყო ძალიან საინტერესო ამბავი აქ. იყო უამრავი რაღაც გავრცელებული ამ ვაქცინაზე, რომ ვინც გაიკეთებს, 3 თვეში დალპება, 5 თვეში დალპება, ის ჩაიშლება, ეს ჩაიშლება, ეშმაკის კოდია... ეს ჩემი ექიმი რძალი ძალიან ცდილობდა, რომ აცრილიყო ყველა. გვქონდა ასეთი აქტივობებიც: რაღაცებს ვაცხობდით, რომ ხვალ ვინც აცრაზე წავა, დავასაჩუქრებთ და მთელი ამბები იყო. ერთხელაც წავედი მეც აცრაზე, ძალიან მეშინია ნემსის და მე მგონი ბავშვობის მერე არც მქონდა გაკეთებული და პირველად გავიკეთე მაგისი აცრა. ზუგდიდში იყო და მე რადგან ალერგიული ვიყავი, ცოტა პანიკაშიც ვიყავი, რომ რას გამოიწვევდა ჩემს ორგანიზმში. არაფერი არ გამოუწვევია, მაგრამ რომ მოვედი აცრიდან, დამხვდა ე. წ. ბირჟა სიფში (ლახუშტის ცენტრში) და იქ იყო განხილვა ამ კოვიდზე. ერთი ქალი მეუბნება, ვაიმე, აიცერიო? უიმე, იძახიან, რომ 6 თვეში ღვიძლი დაგეშლებაო. ჰოდა, მადლობა-მეთქი, რა ვიცი, რა უნდა მეთქვა. ერთი სიტყვით, ეგეთი ამბები იყო მაგ დროს. ერთი სასაცილო შემთხვევაც მაქვს დაწერილი, კახამ დაურეკა მეზობელს (მაშინ ხომ მანქანებიც არ დადიოდნენ და არაფერი), აღმოაჩინა, რომ მაცივარში გვქონდა ნაირ-ნაირი ხორცი და მოდი ხინკალი გავაკეთოთო და დაიწყეს ხინკლის მზადება. მარიამი (ჩემი რძალი) იყო ნამორიგევი და ეძინა მაგ დროს. აღმოჩნდა, რომ ხახვი არ გვქონდა ოჯახში. დაურეკა ჩემს მეზობელ გენო მეტრეველს და უთხრა, გადმოდი გენო, ხინკალი გავაკეთოთ და თან ხახვი თუ გაქვს, გამოიყო-

ლეო. იმასაც გაუხარდა, რაღაცა აქტივობა ხდება სამყაროშიო და ამასობაში მარიამმა გაიღვიძა და აივანზე ფენს თეთრეულს. მოვიდა გენო ხახვით, ესენი შიგნით ხომ ამზადებენ ამ ხორცს და მარიამმა ეს ხახვი გამოართვა და თან ეუბნება შეწუხებული: უიმე, გენო, ისეთი დროა, ახლა ვერ შემოგიპატიჟებო და გააბუნძულა უკან. მერე გავუგზავნეთ გენოს ხინკალი. სხვათა შორის, ახლა ერთი მოხუცი კაცი არის ავად და ამასწინათ იძახდა, რომ სადღაც ექიმთან მივედი და მითხრეს, რომ ვაქცინის ბრალია შენი ავადმყოფობაო – დღემდე ეგეთი ხმები დადის.

– თუ გახსოვს, საქართველოში პირველი ინფიცირებული ვინ იყო?

– მე მახსოვს, იტალიიდან რომ ჩამოვიდა ვიღაც წყვილი და ერთ-ერთს რომ აღმოაჩნდა. ეს არ გახმაურდა მაშინ, ოღონდ მე გელასგან გავიგე. მერე იყო უკვე ის ცნობილი ამბავი – „ავად არის, ავად“ ვიდეო. პირველი ინფიცირებულის სახელი და გვარი აღარ მახსოვს.

– თუ ადევნებდი ვირუსით დაინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკას თვალს? როგორ მოქმედებდა შენზე?

– სხვა რა გზა გვქონდა, ის ქალი რომ გამოდიოდა ყოველდღე... ერთი იყო კიდევ ბელთაში, რომ ვუყურებდით ამ სტატისტიკებს და ყოველდღე რომ იცვლებოდა ყველასი (საქართველოში ამდენი ინფიცირებულია უკვე, იქ ამდენი...). სომხეთში იყო სულ ერთი და მაგაზე ვიცინოდით სულ, მთელ მსოფლიოში უკვე მოდებული იყო და ისინი არ ავრცელებდნენ მაინც ინფორმაციას, სომხეთში კაი ერთი თვე მაინც ერთი და იგივე რიცხვი ფიქსირდებოდა. მარინა არ მიყვარდა უკვე, იმდენად ხშირად იყო ტელევიზორში, მაგრამ ყველა მაინც მაგას ვუყურებდით.

– შენმა ოჯახის წევრებმა თუ გადაიტანეს ვირუსი?

– გადავიტანეთ ბოლო შტამი ყველამ თითქმის კახას გარდა. კახას საერთოდ არ დამართვია, ზოგს სუსტად დაგვემართა, ზოგს – შედარებით მძიმედ. საზიზღარი შეგრძნება იყო, მაგრამ ის, რომ ვკვდები და ა. შ. ეგეთი შეგრძნება არ მქონია. დედაჩემზე ფიქრობდნენ, რომ კოვიდი ჰქონდა და მაგიტომ გარდაიცვალა, მაგრამ ეს არავინ არ დაუდასტურა ჯერ. დედაჩემი გარდაიცვალა იანვრის ბოლოს (იმ წლის, როცა დაიწყო კოვიდი).

– რეგულაციებზე რა შეგიძლია გაიხსენო?

– პურის გარეცხვა. მარიამი რეცხავდა, მერე აორთქლებდა, მერე გარედან წვავდა და ასე ვჭამდით. მე არ გამიკეთებია ეგ, შიში უფრო კოვიდის კი არა, მარიამის გვქონდა, მე მგონი... სპირტით დაუვლიდა ყველა სახელურს, აივნებს, სპირტით ვრეცხავდით ყველაფერს. ერთი პერიოდი კიდევ ვიღაცამ გვირჩია, რომ ზეჟანგის ხსნარს ვინც დალევს აღარ გაეკარებაო და მაგასაც ვსვამდით. დოზირებები არ მახსოვს, მაგრამ რომ ვსვამდით, ეგ მახსოვს. ძირითადად, კახას ჰქონდა გარესამყაროსთან ურთიერთობა და ეგ იყო წნეხში ხსნარის დალევის მხრივ. თვითონაც აქტიური ექიმი იყო მაგ დროს, მორიგეობები ჰქონდა მაგრამ 9 პირბადით რომ იყვნენ და ა. შ. რა ვიცი...

– სვანური ტრადიციები რაც არის, ამას ხომ ზღუდავდა სოციალური დისტანცია და ა.შ...

– გაგანია კოვიდის დროს, ეს რეგულაციები რომ ცოტა გამარტივებული იყო, მაგ დროს იყო თანღილობა, ფოლკლორისტები იყვნენ ჩამოსული გადაღებაზე. და თანღილზე ხო არის, რომ ბოთლიდან მოსვამს თითო ყლუპს ყველა, დაახლოებით ხალხურ ზიარებასთან გვაქვს საქმე. ჰოდა დონაძე ხუმრობდა, რომ ამ რეგულაციის პერიოდში 300 სვანის ნაპირალით დავლიეო თუ რაღაც, მოკლედ... არანაირი შეზღუდვა არ ჰქონდათ იქ სალოცავზე, მთლიანად ისე ჩაატარეს, როგორც იყო საჭირო.

– სხვა დღესასწაულებს როგორ შეეხო კოვიდი?

– იმ პერიოდში ვინმე თუ გარდაიცვალა, ძალიან ცოტა ხალხი იყო უჩვეულოდ ქელეხებზე. ხალხში არ იყო შიში თითქოს მაინც სვანეთში, ქალაქში უფრო დიდი პანიკა იყო. უბრალოდ გზა რომ ჩაკეტეს და ადამიანები სასტუმროებში გამოკეტეს და ჯარიმების შიში ეგ იყო, თორემ თვითონ დაავადების ნაკლებად ეშინოდათ. და ეს იმიტომ, რომ სხვათა შორის გავრცელდა, რომ ძველი გენეტიკის ხალხს არ ერჩისო და ჩვენ ხომ ვთვლით, რომ ძველი გენეტიკის ხალხი ვართ.

– რეგულაციებიდან რომელი იყო უაზრო შენი გადმოსახედიდან, ან აუცილებელი?

– უაზრო იყო, წინ რომ არ სვამდნენ ხალხს მანქანაში. ძალიან სისულელე იყო ეგ და კიდევ უაზრო იყო ისიც, რომ მანქანით სი-

არული არ შეიძლებოდა ზოგადად. მერე რომ გახსნეს და წინ რომ არ შეიძლებოდა მძღოლთან ვიღაც დამჯდარიყო.

– შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო, ხალხს სცოდნოდა, საიდან გავრცელდა ვირუსი?

– იყო, კი. ჩინელებზე ამბობდნენ, რომ ყველაფერს ჭამენ, მათ შორის ძაღლებსაც და დადიოდა ხმები, ცხადია. ძაღლზეც ლაპარაკობდნენ და ღამურაზეც. ერთი იყო კიდე: რომ მივდიოდით ჩვენ გასტროლებზე, ჩინური აღნაგობის (არ ვიცი, ჩინელი იყო თუ კორეელი) საზღვარზე ვინც პასპორტ კონტროლს გადიოდა, ეგეთი ტიპი იყო: არაფერი არ ეკეთა., ჰოდა, ანამ რომ მიაწოდა პასპორტი, ზედ დააცემინა და ამის შიშები მერე და რაღაცა... დასპირტა პასპორტი, პარკში ჩადო და ა.შ.

– რამე ლოცვა ხომ არ შექმნილა კოვიდისთვის?

– არ მახსენდება. აქტიურად ვუმღეროდით ბატონებს. სხვათა შორის, ნანეიშვილს მერე სამკურნალო სიმღერების კონცერტიც ჰქონდა.

– რამე ტრადიციულს ხომ არ იხსენებდნენ სამკურნალოდ?

– კი, ვიღაცამ გვირჩია მაგალითად, ძველი სვანური რეცეპტით დამზადებული ქერის სუპი ნივრიანი დალიეთ და არაფერი არ მოგეკარებათო. ჩვენც აქტიურად ვაკეთებდით. დემეტრემ შეისწავლა კარგად და აკეთებდა ხოლმე. ბავშვობაში მახსოვდა გრიპის დროს რომ გვიკეთებდნენ და იმის მერე აღარ დამილევია კოვიდამდე. კოვიდის მერე არავის არ გაუკეთებია, სასმელია ნივრიანი და ცხარე, გემრიელი არის, ალბათ, იმათთვის, ვისაც უყვარს ეს გემოები. სასმელს ჰქვია ლცფექ – ქერის სუპი. სხვათა შორის, ბევრს უყვარს კიდეც. დედაჩემს ბუნებრივი რაღაცებით მკურნალობა ერჩივნა ყოველთვის. მერე გაჩნდა დეფიციტი ამ პირბადეების და გელა რომ მოდიოდა საღამოს ჩვენთან ჯოკერის სათამაშოდ, გადაღლილი/დაქანცული ადამიანი, მოჰქონდა საჩუქრად პირბადეები, კარგი საჩუქარი იყო იმ დროს. ჩემი მკერავი, ვინც კაბებს მიკერავს ხოლმე, მირეკავდა პერიოდულად და მეკითხებოდა, მინდოდა თუ არა პირბადეების შეკერვა. არ შემიკერინებია ნამდვილად.

– შენი აზრით, რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი პანდემიის პერიოდიდან?

– მე ფოტოგრაფიული მეხსიერება მაქვს და როცა ვხედავ კრიალა ცას, მახსენდება კოვიდი.

– ინფორმაციის წყარო რა იყო მთავარი, გელას გარდა?

– გელასგან ვიგებდი შიდა ამბებს, რაც არ ვრცელდებოდა ტელევიზიით. მარიამისგან ვიგებდი, რა სიტუაცია იყო რეალურად საავადმყოფოებში. ჩვენ მეტ-ნაკლებად მაინც სწორი ინფორმაცია მოგვეწოდებოდა მაგ კუთხით, არა მხოლოდ ტელევიზიით.

– ოჯახური ურთიერთობები თუ შეიცვალა იმის გათვალისწინებით, რომ სულ ერთად უნდა ყოფილიყავით?

– სხვათა შორის, ჩვენი უცხოელი მეგობრები გვეუბნებიან ხოლმე, რომ კოვიდის დროს დააფასეს, რას ნიშნავდა ოჯახი. საჭირო გახდა ურთიერთობები, როცა იზოლაციაში იყვნენ ცალ-ცალკე. თუმცა, ჩემ გარშემო კოვიდის დროს ბევრი წყვილი დაშორდა. მუდმივად რომ ერთად იყვნენ, შეისწავლეს ერთმანეთი და ერთი სიტყვით, რამდენიმე ჩემი მეგობარი დაშორდა ქმარსაც.

– შენი აზრით, ოჯახურ ურთიერთობებში რამე შეიცვალა კოვიდის შემდეგ?

– ჩვენთან ძირითადად არაფერი, მანამდეც ეგრე ვცხოვრობდით. ზრუნვა უფრო მეტი იყო, უფრო ვუფრთხილდებოდით, ალბათ, ერთმანეთს.

– მეზობლებთან ურთიერთობები თუ შეიცვალა?

– მეზობლებთან საერთოდ არ გვქონია კონტაქტი მაგ დროს. მერე რომ ავიშვით უკვე, მასშტაბური გახდა ეს ურთიერთობები. როცა გაქვს ეს სოციალური სივრცე, ანუ ფეისბუქი, არ იყო ეს განმარტოვება, მაინც ერთად ვიყავით ყველა. ოღონდ, მქონდა უამრავი ფეისბუქ ჯგუფები, რომლებიც მანამდე არ მქონდა(სამეგობროების, კლასელების და ა.შ), რატომღაც მაშინ შეიქმნა ყველა. მესენჯერში ვიწრო წრეში გვქონდა უამრავი ჯგუფები. ახლა, მაგალითად, არ შემიძლია რომ იგივე გავაკეთო. ჩვენთან კიდევ ზუმმა ჩაანაცვლა, ჩვენ ხომ აქტიურად ვასწავლიდით, ვორკშოპები გვქონდა სიმღერის და ა.შ. ამან უკვე გადაინაცვლა ზუმში, ანუ ფოლკლორულ სიმღერებს ვასწავლიდით ამ პლატფორმის საშუალებით, ვმღეროდით, კონცერტიც გვქონდა სახლიდან. ეს მარტივი არ აღმოჩნდა, პირიქით, ძალიან რთული იყო

ჩვენთვის იმიტომ, რომ როცა პირდაპირი კონტაქტი არ გაქვს ადამიანთან და არ გრძნობ მის ემოციას შენდამი, ეს არ არის ნამდვილი და მარტივი. იმ ემოციასაც ვერ გამოხატავ მაშინ, შენ რაც უნდა გამოხატო რაღაცის სიმღერისას, რომ გადასცე მას. მარტო ბგერის და სიმღერის სწორად თქმა არაა მნიშვნელოვანი. სოციალური ქსელების, მეილის საშუალებით გვწერდა ხალხი, ვინც გამოკეტილი იყო სახლებში და ვისაც უნდოდა სიმღერა მოესმინა/ესწავლა და ბევრი ვორკშოფი გვქონდა სხვათა შორის მაშინ. დიდად უჩვეულო არ ყოფილა ეს ყველაფერი. ჯობდა პირდაპირი კონტაქტი გვქონოდა, მაგრამ მაშინ ასეთი დრო იყო. უფრო ყალბი იყო ყველაფერი შედარებით. თავიდან მქონდა შეგრძნება, რომ ეს იყო დროებითი. მერე ძალიან შევეჩვიე და ხანდახან მეგონა, ესეც რომ დარჩეს, არაუშავს-მეთქი. სეზონიც ხომ ჩაგვეშალა, ბუნებრივია, არც არავინ ჩამოსულა ორი წელი და ეს გაუქმებული ჯავშნები... თან მშენებლობა გვქონდა დაწყებული იმ დროს და ყველაფერი რომ „დავაქენსელეთ“, ძალიან რთული იყო. მაგრამ თითქოს თან ისვენებდი ამ რაღაცა ბობოქარი ცხოვრებისგან, ბუნებამაც დაისვენა და ჩვენც, მე ვფიქრობ. ასე აღვიქვი, რომ დაისვენა რაღაც დროით დედამიწამ. მე არ დამიჯერებია, რომ ეს ღამურასგან და შემთხვევით მოხდა. ვფიქრობდი, რომ ჩვეულებრივ ვიღაცა ჭკვიანმა ხალხმა მოიფიქრა, რომ ეგ გაეკეთებინა.

— მოხუცებისადმი დამოკიდებულება ხომ განსაკუთრებულია მთაში ტრადიციულად. იმ კუთხით, რომ ეს ვირუსი განსაკუთრებულად იყო საშიში ასაკოვანი ადამიანებისთვის, რა ხდებოდა?

— ბევრი მოხუცი გარდაიცვალა. კოვიდამდე ამბობდნენ, რომ კოვიდი იყოო, იმიტომ რომ დედაჩემი რომ გარდაიცვალა, იმ პერიოდში გარდაიცვალა უამრავი მოხუცი. მერე უკვე კოვიდი რომ გავრცელდა და კოვიდით გარდაიცვალა ერთი ჩვენი ნათესავი, დაკრძალვაზეც ვერ წავედით. დალუქული სასახლით დაკრძალეს. ძალიან გვინდოდა, რომ რაღაც გამოგვეხატა მის მიმართ, მაგრამ წარმოუდგენელი იყო მაშინ იქ მისვლა. იმისიც მიკვირდა, მესაფლავე ან ვინც გამოასვენებს, ისინი როგორ სწირავდნენ თავს. მერე როცა რეგულაციები მოიხსნა ცოტა და დრო გავიდა, მერე მივიდნენ ოჯახში და პირადად მიუსამძიმრეს.

– კოვიდით გარდაცვლილი ადამიანები თუ იყო ცალკე კატეგორია, რომ პატივისცემა მოაკლდათ ან რაღაც სხვა უნდა გაგეკეთებინათ?

– პირდაპირ კლინიკიდან მიჰყავდათ და კრძალავდნენ და... ჩემი მამიდაშვილის ქმარიც გარდაიცვალა მაგ დროს და მამიდაშვილს ახლა აქვს ნევროზი. იმიტომ კი არა, რომ ქმარი გარდაეცვალა(რა თქმა უნდა, ეგეც სამწუხარო ამბავია), იმიტომ უფრო, რომ მას ვერ მიეგო ის პატივი, რაც საჭირო იყო, დააკლდა ყველაფერი. ვერც კი ნახეს ფიზიკურად, ძალიან რთულია ეგ ამბავი.

– ლიფანალზე ეს ხალხი მოვიდა, სახლში დაბრუნდა?

– ვინ ხალხი? კოვიდით გარდაცვლილები? მაგ დროს მაინც ხომ უნდა მოსულიყვნენ, შე დალოცვილო, რას ერჩი?! განსაკუთრებული პატივი არ უციათ, ყველას განსაკუთრებულად ექცევიან მაგ დროს.

– რა გვასწავლა პანდემიამ, რა მივიღეთ პანდემიისგან?

– პანდემიამ მე მასწავლა ის, რომ ყველანაირ გარემოში შეიძლება ადამიანი ადაპტირდეს. რომ ძალიან მნიშვნელოვანია მაგ დროს ოჯახი, რომ ვიღაც ზრუნავს და გაქვს იმედი, რომ იზრუნებს. კიდევ ის, რომ მეტ-ნაკლებად დავიცვათ ბუნება გარემო გამონაბოლქვისგან, იმიტომ რომ კარგად მახსოვს იმ დროს ქალაქი როგორი იყო.

– რა შეცვალა პანდემიამ შენი აზრით?

– პანდემიამ რა შეცვალა და, მაგალითად, ახლა რომ ვსაუბრობთ ყველა ერთმანეთთან... მე მაგალითად, პარალელებსაც ვავლებდი როგორი იქნებოდნენ ქოლერას დროს ადამიანები ძველად. ჩვენ როგორი იღბლიანები ვართ თუნდაც იმიტომ, რომ ვართ ცალკე და კონტაქტი გვაქვს გარესამყაროსთან. იმათ ეს არ ჰქონიათ, ცხადია. ჩემში ის შეცვალა, რომ ირგვლივ მყოფებთან ურთიერთობებს მეტად ვაფასებ, ნამდვილ ურთიერთობებს, ვიდრე მანამდე.

– შენი აზრით, ყველასთვის ერთნაირი იყო პანდემია?

– არა, ცხადია. ჩემი მეგობარი თანამდებობის პირი იყო და როცა უნდოდა, მოდიოდა-მიდიოდა. მე, რომელიც არ ვიყავი თანამდებობის პირი, ამეკრძალებოდა ნებისმიერი გადაადგილება, ძალიან საჭირო რომც ყოფილიყო.

– პანდემიის პერიოდში ვინ იყო ავტორიტეტი, ვის უსმენდნენ?

– ჩემთვის იყო გელა, იმიტომ რომ შიდა ამბებს გვეუბნებოდა. პრივილეგიაც შეიძლებოდა გვქონოდა ჩვენ, იმიტომ რომ ძალიან ბევრს დავეხმარე მე პირადად. ვერ იძახებდნენ სასწრაფოებს და ვრთავდი გელას და გვქონდა იმედი, რომ დამჭირვებოდა, განსაკუთრებულ სასტუმროში გამიშვებდნენ, იმიტომ რომ გელა იყო იქ.

– ისტორიისა და ტრადიციების ცოდნა დაგეხმარა რამეში?

– უფრო სიმღერის ცოდნა დამეხმარა. პანდემიის პერიოდში ჩართული ვიყავი რაღაც აქციაში „დარჩი სახლში“ და მთელი ჩვენი ოჯახი ტელევიზიით გამოვედით. „დარჩით სახლში“ რომ ვმღეროდით, ეს იყო ჩვენი მესიჯი.

– წარმოიდგინე, რომ კოვიდ-19 არის ფიზიკური ადამიანი. რას ეტყოდი მას?

– ყოჩაღ შენ, რომ ხარბი ადამიანები ცოტა ხნით გააჩერე-მეთქი. მაგალითად, სვანეთის ტყეები არ იკაფებოდა მაგ დროს და ახლა გაუთავებელი კაფვაა და ეს ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია.

ინტერვიუ ნესტან ლომთაძესთან[2]

– გაიხსენეთ, პირველად როდის გაიგეთ პანდემიის შესახებ?

– თანამშრომლებისგან სკოლაში. სამასწავლებლოში საუბარი იყო ჩინეთში რაღაც ვირუსი გაიპარაო. ჩინეთში არის რთული მდგომარეობა. თავიდან იყო ეგეთი შეხედულება, რომ თითქოს მაღალ ტემპერატურაზე ეს ვირუსი არ ვრცელდებოდა. ვხუმრობდით, იმედი გვაქვს, რომ ჩვენთან ზაფხულზე მოვა, მანამდე დათბება და ეს პანდემია ასე კატასტროფულად არ გავრცელდება. მართლა არ გვქონდა წარმოდგენა, თუ ასე სწრაფი ტემპით გავრცელდებოდა.

– პირველივე მოსმენაზე საფრთხის სერიოზულობა აღიქვი?

– ზოგადად, ეს ვირუსი რაც არის და პირდაპირ რომ ითქვას, რომ ეს ხელოვნური ვირუსია, რაც გაიპარა ლაბორატორიიდან...

– პირდაპირ ასე გაიგე?

-კი. ასე გავიგე. დამაფიქრებელი ნამდვილად იყო, მაგრამ პანიკაში არ ჩავვარდნილვარ.

– ირგვლივმყოფების რეაქცია როგორი იყო?

– თავიდან ვხუმრობდით „ლაითად“. მერე და მერე რომ გავრცელდა, ბევრ ქვეყანას მოედო და საშიშროება იყო ჩვენთან შემოსვლის, მერე უკვე ძალიან სერიოზულად აღვიქვამდით ყველაფერს.

– საქართველოში პირველი ინფიცირებულის შესახებ როგორ გაიგე?

– ტელევიზიიდან გავიგე პირველად, რომ დაფიქსირდა. თუ არ ვცდები, ეს იყო უცხოელი მგზავრი, რომელიც თვითმფრინავით შემოვიდა. უკვე საკმაოდ დამაფიქრებელი რეაქცია მქონდა. ჩვენთან ხომ უფრო გვიან შემოვიდა, ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში. მივხვდი, რომ ჩვენც ვერ ავუვლიდით გვერდს ამ პანდემიას.

– რა არხებით ადევნებდი თვალს სტატისტიკურ მონაცემებს?

– ინფორმაციას ტელევიზიით ვისმენდით, მაგრამ ჩემი შვილი, გვანცა, ნახულობდა ვებ-გვერდზე. ყოველდღე ნახულობდა და მერე გვაწვდიდა ამ ინფორმაციას. მე თვითონაც, მინიმუმ დღეში

---

[2] ინტერვიუ ჩაწერა ელისო ჭელიძემ.

ერთხელ ტელევიზიით ვუსმენდი ინფორმაციას, მერე მეც ვნახულობდი საიტებზე.

– თქვენ ვირუსი ყველამ გადაიტანეთ ოჯახში. რამდენჯერ გადაიტანეთ?

– ორჯერ, სავარაუდოდ.

– პირველად როდის გადაიტანეთ?

– 2020-ში. 2020 წელი რომ მთავრდებოდა. პირველად ჩემს სიძეს ჰქონდა ტემპერატურა, მაგრამ დააბრალა იმას, რომ ნაბანავებმა იარა ქარში. ერთი დღით ჰქონდა ტემპერატურა და ცუდად იყო. ვთხოვე, წასულიყო და ტესტი გაეკეთებინა. რომ დავრეკე ტესტის პასუხის გასაგებად, აღმოჩნდა, რომ უკვე სოფელში იყვნენ წასულები. იქ ჩემი დაც თითქოს ცოტა შეუძლოდ იყო, მაგრამ სერიოზული არაფერი. მერე ავედით ჩვენ, ხუთშაბათი დღე იყო, ბარბარობა. მთელი ოჯახი ვიყავით ერთად. მეორე დღეს ტასო იყო მოწყენილი, წამოწითლებული. ცუდად იყო და რატომ იყო ცუდად, ვერ ვხვდებოდით. ჩვენ დავრჩით სოფელში. ნატო და გელა წამოვიდნენ და ვთხოვე, რომ ტესტი მაინც გაეკეთებინათ. აღმოჩნდა, რომ კოვიდი დაუდასტურდათ.

– იცოდით, რომ მსოფლიოში პანდემიაა, ადევნებდით თვალს სტატისტიკას, იყავით საფრთხის შეგრძნების ქვეშ. რატომ წახვედით მაინც იქ, სადაც იცოდით, რომ შეიძლებოდა კოვიდი ყოფილიყო?

– ოჯახური ტრადიციის გამო თუნდაც და იმის გამო, რომ არ გაგვენაწყენებინა ისინი. მე, მართალი გითხრათ, არ მინდოდა, მაგრამ მეუღლემ არ დამიჯერა.

– როგორ მიმდინარეობდა ავადობა?

– მამას რამდენჯერმე მანამდე ფილტვების ანთება ჰქონდა გადატანილი, ბოლოს სექტემბერში. ამიტომ როცა მითხრა, რომ რაღაც ვერ ვარ კარგადო, წამოვიყვანეთ მამა. მერე მეუღლესაც ტემპერატურა მისცა. რომ ჩამოვედით, უკვე ორივეს კოვიდი დაუდასტურდათ. მამას უკვე სერიოზული პრობლემა ჰქონდა ფილტვებზე. მამა მოვათავსეთ საავადმყოფოში, ინფექციურში. ქულებით ხომ ფასდებოდა მდგომარეობა. მამას ჰქონდა 8 ქულა. ღვთის წყალობით და ექიმის წყალობით... ძალიან კარგი სპეციალისტი გვყავს ექიმი. მაშინ კი არავინ იყო მაგისი სპეციალისტი,

ეგ გამორიცხულია. მამა ერთი კვირის მერე გამოვიყვანეთ საავადმყოფოდან და უკვე ნორმალურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამოკვლევების დროს მამას ფილტვზე დაუფიქსირდა ჩრდილი, რომელიც არ იყო პანდემიით გამოწვეული. ეს იყო ჩრდილი, რომელიც სექტემბერში არ იყო და დეკემბერში უკვე გამოჩნდა. საბოლოოდ დაუდასტურდა ონკოლოგია.

– ოჯახის სხვა წევრების ავადობა როგორ მიმდინარეობდა?

– მეუღლეს რამდენიმე დღე ტემპერატურა. მეც გავიკეთე და, რა თქმა უნდა, მეც დამიფიქსირდა, მაგრამ მე არც ტემპერატურა მქონია, არც რაიმე სხვა სიმპტომები.

– იზოლაციას რამდენად იცავდით?

– ჩემი შვილები, გვანცა და ანანო, რომლებიც არ ყოფილან სოფელში და კონტაქტი არ ჰქონიათ, ვცდილობდით, რომ იზოლირებულად ყოფილიყვნენ. ჩვენ დაგვირეკეს (იგულისხმება კოვიდის მართვის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა – ე.ჭ.) და გვითხრეს, არ გახვიდეთ სახლიდანო, მაგრამ მე რომ სახლიდან არ გავსულიყავი, მე რომ ექიმთან არ მივსულიყავი, თუნდაც მამასთან დაკავშირებით... მამაზე დამირეკეს 10 დღის შემდეგ. ფაქტობრივად, მამაჩემი ცოცხალი აღარ იქნებოდა, მე რომ დამეჯერებინა და თვითონ არ მიმექცია ყურადღება. მე და ჩემი მეუღლე ჩავჯდებოდით ჩვენს კუთვნილ ავტომობილში, მივდიოდით ექიმთან, სადაც დანიშნულებას ვღებულობდით. მოსმენა, გადაღება... ამას ყველაფერს ვაკეთებდით. კოვიდ კლინიკაში მივდიოდით და იმათაც იცოდნენ, რომ ინფიცირებულები ვიყავით.

ჩემს შვილსაც დაურეკეს, გვანცას, რომელიც უკვე სრულწლოვანი იყო მაგ დროს. ჰკითხეს – „სად არის დედა და მამა?“ გვანცამ უთხრა, რომ გასულები ვიყავით ექიმთან. „რატომ გავიდნენ საკუთარი მანქანითო?“ გვანცამ უპასუხა: „ამდენი დღე არავის დაურეკავს და მოუკითხავს და ხომ დაიღუპებოდნენ, თავისთვის რომ ყურადღება არ მიექციათო?!“ პასუხი იყო საოცარი: „ტაქსი რატომ არ გამოიძახეს და ისე რატომ არ წავიდნენო?“ გვანცას კი უპასუხია: „ტაქსის მძღოლს რას ვერჩოდითო?!“ ეგეთი სიტუაცია იყო.

მე გამირთულდა მდგომარეობა. 31 დეკემბერს დამირეკეს კლინიკიდან და მამას რენტგენის პასუხზე მითხრეს, რომ ეს ნამ-

დვილად იყო სიმსივნე. ერთ საათში ტემპერატურა 40 გრადუსზე ამივიდა. ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ. ექიმს დავურეკე ჩემსას. მომცა დანიშნულება: წამლები, გადასხმა. მეგობარი ქალი ცხოვრობს მეზობლად, დავურეკეთ და მოვიდა, გადასხმა გამიკეთეს. ეს მერე. მანამდე სხვათა შორის ეფექტური იყო ხალხური მედიცინის ხერხი: უმარილო ღორის ქონი მქონდა სახლში და იმან გამომიკრიფა სიცხე. მომდევნო დღეებში ძლიერი სისუსტის გამო ძირითადად წამოწოლილი ვიყავი და ხელები და ფეხები ძალიან მიბუჟდებოდა. ამ დროს ანანო წამომაყენებდა, ჩართავდა მუსიკას და მარბენინებდა და მაცეკვებდა.

– რეგულაციებიდან რა გახსენდება?

– პირველი, როცა დაგიფიქსირდებოდა, არ უნდა გამოსულიყავი სახლიდან. არადა ჯანდაცვის სისტემა არ იყო მობილიზებული იმისთვის, რომ თითოეული პაციენტისთვის ყურადღება მიექცია. იმ პერიოდში ვინც გარდაიცვალა, ბევრი იყო დაგვიანებული მკურნალობის გამო. მე რომ მართლა მაგათთვის მეყურებინა, სერიოზული პრობლემები შეგვექმნებოდა.

– ხომ შეგხვდათ კიდეც – დედა გარდაიცვალა.

-კი. ექიმს ვუთხარი, რომ დედა სახლში არის და არანაირი სიმპტომი არ ჰქონდა, არაფერი. მაგრამ ჩვენ კლინიკისთვის არ მიგვიმართავს, კითხვით მოვიკითხეთ მხოლოდ, რადგან დედა არ თანხმდებოდა სახლიდან წამოსვლას.

კიდევ რეგულაციებიდან იყო მოძრაობის ჩაკეტვა. ამის საჭიროება იყო. მაშინ ახალი წლები იყო და ქართველების ხასიათიდან გამომდინარე, რომ საახალწლოდ თავყრილობები ვიცით, საჭირო იყო.

რეგულაციებიდან მახსოვს, რომ მძღოლს არ უნდა უჯდეს ვინმე და უკან შეიძლებოდა ორი-სამი ადამიანის დასხდომა. ეს არ იყო სწორი, რადგან ჩემს მეუღლესთან ერთად რომ ვმგზავრობ, სახლში ხომ ისედაც ერთად ვიყავით.

-კოვიდით გარდაცვლილის დაკრძალვასთან დაკავშირებული რეგულაციები როგორი იყო?

– საათობრივი აკრძალვები იყო. ჩვენ იმ დრომდე (9 საათამდე) ავასვენეთ დედა სოფელში, მაგრამ ირაკლი წამოვიდა გვიან და დარეკვით აიღო ნებართვა.

– ახლა ცოტა მტკივნეულ წუთებს ვეხები: მიცვალებულის გაპატიოსნებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული რეგულაციები როგორი იყო.

– დედა უნდა დაგვეკრძალა 72 საათში. დედა გარდაიცვალა რვაში და 10-ში უკვე დავკრძალეთ. საშინელი და მტკივნეული აღსაქმელი იყო ის, რომ ჩვენ მიცვალებული არ გვინახავს. მიცვალებული, რომელიც დაიმარხა შიშველი, იყო სპეციალურ ცელოფანში და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეცმებოდა თუ არა სამოსი? ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ჩემი აზით, უფრო მეტად პატივდადებული უნდა ყოფილიყო ეს თემა.

– ვის უნდა ჩაეცმია მიცვალებულისთვის?

– იმას, ვინც ცელოფანში ათავსებდა. უბრალოდ კაბა, რაიმე სამოსი ტანზე. კიდევ მქონდა ეს განცდა, რომ დედას ჯვარი არ ეკეთა, როცა დაასაფლავეს. მე ხომ სასახლის გახსნის უფლება არ მქონდა და გარედან ვნახე ქსოვილის პატარა ყური გამოწეული და იმაზე მივაკერე ჯვარი, რომ დედასთვის ჩამეტანებინა. ეს ძაან რთული თემა იყო ჩემთვის.

– როგორი იყო პანაშვიდთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული რეგულაციები?

– ტრადიციულად, როგორც დაკრძალვის სუფრას აკეთებენ, ჩვენ სუფრა არ გაგვიკეთებია, თუმცა იყო პურ-მარილი გაკეთებული. ვისაც სურვილი იქნებოდა, ქვედა სართულზე შეეძლო შესულიყო. შედიოდნენ, მაგრამ არა ყველა.

– ვინ ერიდებოდა უფრო მეტად, ახალგაზრდა, ასაკოვანი?

– ასაკობრივ კატეგორიებად ვერ დავყოფ. ჩვენ ფეისბუქ გვერდზე განვათავსეთ დედას ფოტო და გარდაცვალების ამბავი. იქიდან გაიგო უმეტესობამ და გვირეკავდნენ. ჩვენ ყველას ვთხოვდით, რომ არ მოსულიყვნენ. მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ არ დარჩენილა სამეგობროში და სანათესავოში ვინმე, რომ არ მოსულიყო. ხელს არ გვართმევდნენ, პირბადეებით შემოდიოდნენ და მალევე გადიოდნენ.

– ჭირის დღე არაპანდემიურ ვითარებაში რომ ყოფილიყო, განსხვავებული რა იქნებოდა?

– იქნებოდა კიდევ უფრო ბევრი ხალხი, ანუ რაოდენობა იქნებოდა განსხვავებული და იქნებოდა სუფრა. გაშლილი დიდი სუფრა, სადაც ხალხი დაჯდებოდა.

– სოფელში გვერდით მაცხოვრებლების ქცევა როგორი იყო?

– იყო ოჯახები, ვინაც თავი შეიკავა კონტაქტისგან. განსაკუთრებით რთული იყო ამ მხრივ მიცვალებულის სახლში შესვენების მომენტი. იყვნენ ხელთათმანებით, პირბადით. რომ არ მორიდებოდათ, ალბათ, არც მოვიდოდნენ. გვჭირდებოდნენ მიცვალებულის სახლში შესვენებაში.

იყო დაბნეულობაც. ნატოს თანამშრომლებმა ჰკითხეს, მოსვლა გვინდა და როგორ მოვიქცეთო. სხვათა შორის, მეზობლის ქალები, დედას ასაკის, ყველა იყო მოსული. დაკრძალვის დღეს ჭირისუფლადაც ისხდნენ.

ერთი მინდა გავიხსენო. ჩემს თანამშრომელს გარდაეცვალა დედა. მამა ჰყავდა 6 თვის გარდაცვლილი. დედა ასთმით იყო დაავადებული. ეს ქალი სახლიდან საერთოდ არ გამოდიოდა, მაგრამ არჩევნებზე იყო მისული და იქიდან გაჰყვა ვირუსი. ამ ჩემს თანამშრომელს დედმამიშვილი არ ჰყავს. მისთვის იყო კატასტროფულად მტკივნეული ეს თემა, რომ მასთან არ იყვნენ ახლობლები. პირველი ტალღა იყო. მე რომ ვთქვი სკოლაში, რომ მოდი, წავიდეთ დიანასთან, ჩემმა თანამშრომლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. აბსოლუტური შოკი ჰქონდა ამ გოგოს და ძალიან უახლოესი ადამიანების გარდა, ერთეულების გარდა, მასთან არავინ მისულა.

ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება, ვფიქრობ, იყო ძალიან არასწორი. იყო პერიოდი, რომ ხალხი მიაწყდა პროდუქტებს და მაშინ მარკეტებში ისეთი რიგები იდგა და დისტანციის ისეთი დარღვევები იყო. წირვა-ლოცვის მიმართ იყო ძალიან აგრესიული დამოკიდებულება საზოგადოებაშიც და ზემდგომიდანაც. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაშიც ნამდვილად ვიცავდით დისტანციას. სააღდგომო ლიტურგია რომ ჩავატარეთ, ღამით რამდენჯერმე იყვნენ შემოსული კონტროლზე. ზიარებასთან დაკავშირებით იყო ძალიან დიდი პრობლემები. ზიარებით ვეზიარეთ ერთი კოვზით.

– როგორ გახსოვს, შენს ირგვლივ მოსახლეობა როგორ აღიქვამდა რეგულაციებს?

– ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ. მანქანაში სხდომის წესები ძალიან სისულელე იყო, 9 საათის მერე გადაადგილებაც. მაგრამ ის, რომ ქელეხები, დიდი სუფრები და დიდი თავყრილობები

იყო აკრძალული, ამაზე გვქონდა ძალიან დადებითი რეაქცია, ასეც უნდა ყოფილიყო.

— როგორი იყო გარშემომყოფების დამოკიდებულება: პასუხისმგებლობიანი თუ უპასუხისმგებლო?

— უმრავლესობა პასუხისმგებლობით.

— როგორ ფიქრობ, რა იყო დანარჩენის უპასუხისმგებლობის გამომწვევი?

— პირდაპირ ვიტყვი: დაბალი თვითშეგნება, დაბალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება.

— შენი აზრით, იყო თუ არა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი იმის ცოდნა, საიდან გავრცელდა ვირუსი?

-კი. მე ყველაფერი მაინტერესებდა და მაინტერესებს.

— რაზე შეიძლება ვთქვათ, რომ პანდემია ამით დაგამახსოვრდა?

— ონლაინ სწავლება. ეს იყო არა მარტო ჩემთვის და პედაგოგებისთვის ურთულესი, არამედ მოსწავლეებისთვისაც. დრო გვქონდა შეზღუდული 40 წუთიანი გაკვეთილი უნდა ჩაგვეტარებინა. ტექნიკური გაუმართაობა იყო საკმაოდ დიდი პრობლემა. ზოგს ტელეფონიც არ ჰქონდა ისეთი, რომელზედაც თიმსს გადმოწერდა და ჩაგერთვებოდა. ინტერნეტის ხარვეზები იყო. იყო შემთხვევები, რომ 10 და 15 წუთი მოსწავლეების გაკვეთილზე შემოსვლას სჭირდებოდა. წარმოიდგინეთ ჩემი ოჯახი, სადაც სამი მოსწავლე და ერთი მასწავლებელია.

— მოდი გავიხსენოთ შენი ოჯახის ერთი პანდემიური დღე.

— დილას ჩვეულებრივ ვდგებოდი ისეთ დროს, როგორც მაშინ, როცა სამსახურში მივდიოდი. ვაწესრიგებდი საოჯახო საქმეებს და მერე, როგორც ბევრი, მეც ვიმოსებოდი და ვიპრანჭებოდი წელს ზემოთ. განაწილებული გვქონდა ჩვენ-ჩვენი ოთახები მე და ჩემს შვილებს. ყველაზე მეტი შემაწუხებელი ვიყავი მე. სისტემატურად ჩართული ეკრანი, ხმა მაღალი, მეც ვსაუბრობდი. ეს ჩვენთან, სადაც ყველას საკუთარი ოთახი გვქონდა, და როგორ იყვნენ მაგალითად ოროთახიან ბინაში? ჩემს თანამშრომელს რომ ვკითხე, მითხრა, რომ ერთი ბავშვი აბაზანიდან ერთვებოდა ონლაინ მეცადინეობას. მრავალსულიან ოჯახებში ეს რთული იყო. რთული იყო ის, რომ ონლაინ სწავლების დროს ბავშვების დაინტერესება უნდა მოგვეხდინა ვიზუალური მასალით. ვქმნი-

დით პრეზენტაციებს. ვიძიებდით ვიდეო მასალებსაც. ხშირად იყო ამ რესურსის ჩვენების დროს ტექნიკური ხარვეზი. მართლა კოშმარი იყო. ბავშვების მხრიდანაც რთული იყო. შევატყვე, რომ 2-3 თვეში ჩემი შვილი ეკრანს მოშორდა. მის მერე მე ანასტასია ვეღარ მივაჩვიე მობილიზებას და დღემდე ამ ასაკის ბავშვებს აქვთ გაკვეთილზე მოსმენის პრობლემა.

– პანდემიის დროს საინფორმაციო წყარო შენთვის რომელი იყო სანდო?

– ძალიან რთული სათქმელია. ალბათ, ისევ სოციალური ქსელები, უფრო მეტად, ვიდრე მედია. თავიდან ვითომ ძალიან აღფრთოვანებული ვიყავით, რომ მწვანე ზონა ვიყავით. მართლა გულწრფელად ავყევი მეც, მაგრამ მერე... დღემდე აღარავის აღარ მჯერა.

– პანდემიურმა ცხოვრების რეჟიმმა ოჯახურ ურთიერთობებში თუ შეიტანა რამე ცვლილება?

– ვერ ვიტყვი, რომ შეიტანა. იმ დროს, რასაც სკოლაში ვატარებდი, ახლა ვატარებდი კომპიუტერთან. ერთი იყო, მეუღლე სახლში რომ მოვიდოდა შუადღეზე, სახლში ვიყავი, მაგრამ მისთვის არ მეცალა, საჭმელს ვერ მივაწოდებდი. თუ სტუმარი მოდიოდა, იმათაც ბოდიშს ვუხდიდი და ავდიოდი ზემოთ სართულზე. ვერ ვიტყვი, რომ სახლში ყოფნამ ოჯახის წევრები დაგვაახლოვა. გაკვეთილების დროს მაინც არ გვეცალა და გაკვეთილების შემდეგ მაინც იგივე პროცესი იყო: უნდა გვემეცადინა, გვევახშმა.. მუდმივად გვიწევდა კომპიუტერთან ყოფნა, მხედველობაზეც იქონა გავლენა. კომპიუტერთან 5-6 საათი ჯდომისგან მქონდა თავბრუსხვევა, გულისრევის მსუბუქი შეგრძნება და ფეხების ტკივილიც იქედან დამეწყო, დღემდე მომყვება. გარდა იმისა, რომ ჩვენ გადავიტანეთ კოვიდი, რომელმაც ჯანმრთელობა დაგვიზიანა, ჩემთვის ეს რეჟიმიც იყო ჯანმრთელობის დამაზიანებელი.

– სამეზობლოში როგორ შეიცვალა ურთიერთობები?

– მეტად თავშეკავება. პანდემიამ, ხომ ცხადია, რომ ქართულ ურთიერთობებზე გავლენა იქონია.

– თუ დაქორწინდა ვინმე ამ პერიოდში და თუ აღნიშნეს?

– ჯერ ერთი, ქორწინება იშვიათი იყო, ამ პერიოდში ყველა ერიდებოდა. მახსოვს ჩემი კურსელის შვილი დაქორწინდა და

პოსტი დადო დიდი გულისტკივილით, რომ მხოლოდ მეჯვარეებთან ერთად მოაწერეს ხელი. სხვათა შორის, შვილიც შეეძინათ და პანდემიის დასრულების შემდეგ გადაიხადეს ქორწილი. შობადობაც სერიოზულად შემცირდა. ყველა ერიდებოდა ფეხმძიმობის დაგეგმვას. რომ გავიგებდი, ვინმე ფეხმძიმედ იყო, ვნერვიულობდი, როგორ იქნებოდა. სხვათა შორის იყო ვირუსით გამოწვეული ფეხმძიმობის შეწყვეტის ამბებიც და მშობიარის ვირუსის გამო გარდაცვალების ამბავიც. მათ შორის ჩვენი მეგობრის მეუღლე თვითონაც გარდაიცვალა და ტყუპებიც. კოვიდი შეხვდა ექვსი თვის ფეხმძიმე ქალს, საკეისროთი დაბადა ბავშვები. დედა გარდაიცვალა. ჯერ ერთი ტყუპი დაიღუპა, მერე მეორეც.

— რიგით დღესასწაულებს როგორ აღნიშნავდით? მაგალითად, რომელია თქვენი ოჯახის საყვარელი დღესასწაული და როგორ აღნიშნავდით?

— აღდგომა და ახალი წელი. პანდემიის გარეშე ჩვენთან აღდგომას მრავალნაირი აქტივობებია. პირველ რიგში ტაძარში. ჩვენი ოჯახიდან მეუღლე სტიქაროსანია, ანანო გალობს ტაძარში. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ სამნი წავსულიყავით ტაძარში, თან ვთქვი, რომ თუ ტაძარში ბევრი ხალხი იქნებოდა, მე უკან გამოვბრუნდებოდი, რადგან ანანო და მერაბი უნდა დარჩენილიყვნენ. მაგრამ არ იყო ისე ბევრი. ჩვენ გვქონდა დინამიკები, მიკროფონი. ტაძრის ეზოშიაც მონიშნული ადგილები და ტაძარშიც. ღვთის წყალობით, დავრჩი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული ლიტურგია, თუ შეიძლება ასე ითქვას. იყო ასმაგი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართაც, პასუხისმგებლობა. მივედით საღამოს 11-ზე (იმ დღეს დაგვრთეს ნება, თორემ ისე 9 საათის შემდეგ აღარ შეიძლებოდა) და დილის 5 საათზე დამთავრდა ლიტურგია. მაგრამ ყველა იქ ვიყავით ექვსამდე, რომ რეგულაცია არ დაგვერღვია. მერე ჩვენ ტრადიციულად მივდივართ სოფელში სასაფლაოზე. პანდემიის დროს ვერ წავედით. რაც შეეხება ახალ წელს, ოჯახთან ერთად ვხვდებოდით. პანდემიის გარეშე პერიოდში მივდიოდით ჯერ ერთ მაზლთან, მერე მეორესთან და ერთად აღვნიშნავდით. პანდემიის დროს კი ტელეფონით ვულოცავდით, ხან ისე, ხან ვიდეოზარით.

– სამძიმრის სათქმელად რა გზას მიმართავდი?

– სამძიმარი უფრო მიმოწერით. ამ პერიოდში ვისაც ახლობელი გარდაეცვლებოდა, ფეისბუქზე დებდნენ პოსტებს და პოსტის ქვეშ კომენტარებში ვწერდით სამძიმარს.

– ფინანსური ურთიერთდახმარების ფორმები როგორ იყო?

– თანამშრომლებში, მაგალითად, აიკრიფა თანხა და როცა დავბრუნდი დედას გარდაცვალების შემდეგ, მომცეს. ასე ვაკეთებთ, ხელფასზე იკრიფება.

– გადარიცხვის მომენტი არ ყოფილა?

– მე არ გადამირიცხავს ვინმესთვის, მაგრამ მე თვითონ ნათესავებმა ჩამირიცხეს დედას გარდაცვალების გამო, ძირითადად უცხოეთიდან. საქართველოდანაც ჩემს დას გადმოურიცხა რამდენიმემ.

– რა აზრი გაქვს ვაქცინაციაზე?

– მე პირადად არ ამიცრია, არც ჩემი ოჯახის წევრებს. იდეა ვაქცინაციის რაც არის, ვიცი, რომ ძალიან კარგია და ვარ მომხრე, მაგრამ ამ პანდემიის დროს ვაქცინაციასთან დაკავშირებით ძალიან დიდი კითხვის ნიშნები მაქვს. გვანცა იყო 18 წლის. თქვეს, რომ აუცილებელია აცრა. დავისვი ჩემი შვილი და ვუთხარი: შენ ხარ სრულწლოვანი და შენი გადასაწყვეტია. მე, მაგალითად, არ ვიცრები ამიტომ, ამიტომ და ამიტომ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ მჯერა იმ ვაქცინის, რაც არის ამ პანდემიის დროს.

– ბავშვთა ინფექციებზე აცრილი გყავს ბავშვები?

– უფროსები კი, უმცროსი არა. იმ პერიოდში წამოვიდა ძალიან დიდი უნდობლობა, რადგან იყო ხარვეზები. როცა ფეხმძიმედ ვიყავი 2010-ში, მაშინ, როგორც თქვეს, ჩამოიტანეს ვადაგასული ვაქცინები და უკეთეს ბავშვებს. აქედან გამიჩნდა დიდი უნდობლობა.

– საიდან გაგიჩნდა ეს უნდობლობა, ან საიდან იცი, რომ ვადაგასული ვაქცინები იყო?

– ამაზე ტელევიზიით. თან აღმოვაჩინე, რომ პოლიკლინიკის თანამშრომლის შვილებს და შვილიშვილებს არ ჰქონდათ აცრილი. ტასოს ასაცრელად რომ დამიბარეს პოლიკლინიკაში, მი-

ვედი და ვუთხარი: „მე ვიცი ვაქცინაციის მნიშვნელობა და ვიცი, ვაქცინა რომ არ ყოფილიყო, რა დღეში იქნებოდა კაცობრიობა. თქვენ თუ დამარწმუნებთ, რომ ამ შუშაში არის ის წამალი, რაც უნდა იყოს და არის ხარისხიანი, ავცრი ჩემს შვილს-მეთქი. მაშინ ვუთხარი: „ადამიანის მიერ გაკეთებულის ეჭვის ქვეშ ყოფნას, მირჩევნია ჩემი შვილი იყოს ღვთის ანაბარა“.

– დაეჭვება რამ განაპირობა?

– ზოგადად ჩვენს ქვეყანაში არსებულმა სიტუაციამ. არაფრის ნდობა არა მაქვს, პოზიცია – ოპოზიციას ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა. შემოვიდა წამლები, რომლებიც არაფერს არ შველოდა. იყო წამლები, მე თვითონ მქონდა შემთხვევა, გახსნიდი და არაფერი არ იყო შიგნით. მქონდა სხვა შემთხვევაც. ჩემი რამდენიმე მოსწავლის დედმამიშვილი იყო ინვალიდი, რომლებსაც აცრის შემდეგ დაემართათ ეს. სახელები და გვარებიც კი შემიძლია ვთქვა მათი. 3-4 შემთხვევა ვიცი, როცა ბავშვთა აცრების შემდეგ დაემართათ ეს. ყველაზე მეტად შემშურდა იაპონელების, როცა ვნახე ცუნამის შემდეგ ინტერვიუები. ატომური საფრთხის შესახებ ამბობდნენ: მე ვენდობი ჩემს ქვეყანას, აქ რომ საშიში იყოს, ჩემი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, ჩვენი უსაფრთხოებისთვის. მაშინ ვიფიქრე, ღმერთო, როდისმე ასეთ ქვეყანაში თუ ვიცხოვრებთ. მინდა მჯეროდეს ჩემი ქვეყნის.

– შენი აზრით, მსოფლიო როგორ გაუმკლავდა პანდემიას?

– მაგაზე პროფესიული გადმოსახედიდან გიპასუხებ (ეკონომიკური გეოგრაფია). იმ 20 %-ის მილიარდებმა კიდევ მეტი მილიარდი მიიმატა ჩვენი, დანარჩენი 80 %-ის ბაზაზე.

– სად არის ის 20 %?

– ადრე რომ გეკითხა, პირდაპირ გეტყოდი, რომ დასავლეთი: ამერიკა და ევროპა. მაგრამ ახლა – თითქმის ყველგან: ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, თურქეთი...

– რამ განაპირობა ეს მოგება?

-ფარმაკოლოგიამ, ონლაინ ინფრასტრუქტურამ. პანდემიის დროს ყველაფერი იყო ამაზე დამოკიდებული.

– პანდემიასთან გამკლავების პროცესში რა შეგიძლია გამოყო უარყოფითი და დადებითი?

– პირველ რიგში კორონამ უარყოფითი მოიტანა ის, რომ ჩვენი ჯანმრთელობა სამუდამოდ შეირყა. ამაზე ახლა არავინ დავობს.

ჩვენი აქტიური აზროვნება და ქმედითუნარიანობა შეიძლება დავყოთ ორად: პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. ჯანმრთელობაში სერიოზული პრობლემა და განათლებაში სერიოზული პრობლემა. და ურთიერთობები. ურთიერთობები ძალიან სერიოზულად შეცვალა. არა მარტო ახალგაზრდები, ჩვენი ასაკის ადამიანებიც გახდნენ მიჯაჭვული ტექნოლოგიებზე. ახლა მეზობელს რომ შემიძლია გადავძახო: „თამილა, გილოცავ დაბადების დღეს!"-მეთქი, ავდგები და ვწერ. პანდემიის დროს გადავედით ვირტუალურ ურთიერთობებზე.

დადებითი, არ ვიცი, რა მოიტანა.

— გაკვეთილები რა მივიღეთ?

— ძალიან მწარე გაკვეთილები მივიღეთ. მე მაინც ვფიქრობ, რომ მეტი უნდობლობა გააჩინა საზოგადოებაში ჩვენი სახელმწიფო მმართველობისადმი. არა მარტო ჩვენი სახელმწიფოსადმი.

— რა კვალი დატოვა პანდემიამ ჩვენს ახლანდელ ყოველდღიურობაში?

— ბევრი რამე შეცვალა. მთელი აქცენტი ამ ეტაპზე იმიტომ, რომ აღარ ვარ მაღალპროდუქტიული, მიდის სამსახურზე. მატერიალისტი არც არასდროს ვიყავი, მაგრამ პანდემიამ კიდევ უფრო დამანახა: მიხედე ჯანმრთელობას და სულიერ სიმდიდრეს. მივხვდი, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— საზოგადოება როგორ შეხვდა ამ პანდემიას?

— ძალიან მოუმზადებელი.

— რა იყო ამის მიზეზი?

— ცნობიერება. ერთი — ზოგადად და მეორე — ბევრმა არც იცოდა წარსულის ეპიდემიების შესახებ.

— ჩვენკენ, ლეჩხუმში, თუ მოგისმენია რამე ეპიდემიების შესახებ ძველ დროში?

— კი. მამაჩემის დედა იყო მოწონელიძის ქალი, გაზრდილი იყო რაჭის სოფელში — ღვარდიაში. დედა დაღუპული ჰყავდა ბატონების ინფექციით. იხსენებდა: მეო პატარა ვიყავიო, მეზობლები კალათით რომ გადმოგვიდგამდნენ საჭმელს და ის კალათა უკან აღარ მიჰქონდათო. იხსენებდა: დედაჩემი ზეწარში გახვეული და-

ასაფლავესო. ბებია იყო დაბადებული 1899 წელს – სამი საუკუნის მომსწრე იყო.

– ის გადმოწოდებული კალათი თუ გაგხსენებიათ პანდემიის დროს?

– უბრალოდ კალათა არ გვქონია. როცა ახლობლის ავადმყოფობა გაგვიგია, მე და ჩემს მეგობრებს გვიყიდია ყველაფერი საოჯახო, რაც შეიძლებოდა ადამიანს დასჭირვებოდა, მივუტანეთ, კარებთან დავუდეთ და დავურეკეთ, გამოდი და აიღე-მეთქი. პირდაპირ არ დამიკავშირებია იმ კალათასთან, მაგრამ ასე იყო.

– პანდემიას რომ ადამიანის სახე ჰქონდეს, როგორი იქნებოდა?

– იქნებოდა მასონების ხელმძღვანელი. არც თუ ისე ცუდი გარეგნობა ექნებოდა, მაგრამ ძალიან პირქუში იქნებოდა. ინტელიგენტურად ჩაცმული იქნებოდა.

– რას ეტყოდი?

– რას ვეტყოდი და: ძალიან ბევრი რამ შეუძლია. ბევრი რამ გააკეთა და ბევრსაც გააკეთებს, მაგრამ ვერასდროს გაიმარჯვებს.

ინტერვიუ დიანა წიკლაურთან[3]

— თუ გახსოვთ, როდის, როგორ და ვისგან გაიგეთ პირველად ვირუსის გავრცელების შესახებ? ხევსურეთი— ბაცალიგო

— მახსოვს, სოფელში ვიყავი ჩემთან, არხილოსკალოში და უნივერსიტეტიდან მქონდა დასვენება, იყო შემოდგომა, ალბათ, ოქტომბრის თვე იქნებოდა. მაშინ ინფორმაცია ვნახე და მოვისმინე ტელევიზორში, რომ ჩინეთში იყო გავრცელებული და როგორ ვრცელდებოდა ჩინეთიდან. ძალიან არასერიოზულად მივიღე იმიტომ, რომ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენამდე მოვიდოდა და საერთოდ მთელ მსოფლიოს მოედებოდა. ეგ იყო პირველად, როცა გავიგე ვირუსის შესახებ და ის ფაქტიც, რომ საკმაოდ არასერიოზულად ჩავთვალე.

— გაიხსენეთ, როგორი იყო თქვენ გარშემო მყოფი ადამიანების მოლოდინები ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით.

— სანამ საქართველოშიც არ დაფიქსირდა და ცოტა სერიოზული ზომები არ მიიღეს, იქამდე სერიოზულად არავინ არ აღიქვამდა. თითქოს, რაღაც შორეული გვეგონა, რომ ფიქრობ, შენამდე არასდროს არ მოვა. მახსოვს რომ ეს დამოკიდებულება იყო ჩემს ოჯახშიც და ჩემს მეგობრებშიც, წინასწარი შიში არავის ჰქონია. მაგრამ უკვე საქართველოშიც რომ დაფიქსირდა, ვფიქრობდი, თბილისში წამოსულებს, ახლა ყველას უკან წასვლა მოგვიწევდა სოფელში და გამოკეტვა იმიტომ, რომ ეს სიტუაცია იწყებოდა. გულწრფელად რომ ვთქვა, დიდი პანიკა არ იყო ჩემს მეგობრებში, საკმაოდ ადექვატური სიტუაცია იყო იმიტომ, რომ არც ხუმრობით და არასერიოზულად ეკიდებოდნენ და არც ძალიან სერიოზულ პანიკაში იყო ჩავარდნილი ვინმე, არც ჩემი ოჯახიდან.

— თუ გახსოვს, საქართველოში პირველი ინფიცირებულის შესახებ ინფორმაცია? ვინ იყო და როგორი იყო შენ გარშემო მყოფი ადამიანების რეაქციები?

— თუ არ ვცდები, ერთ-ერთი პირველი იყო უცხოელი ბიჭი, რომლის ვიდეოც გავრცელდა მერე, საავადმყოფოში რომ ჰყავდათ და რომ ამბობდნენ „ეს ვერ არის კარგადო“, რომ გამოვიდა,

[3] ინტერვიუ ჩაწერა ნათია გოჯორაშვილმა

აი ეს მახსენდება. ამაზე ყველა იცინოდა, სასაცილო ვიდეოდ და სიტუაციად გვეჩვენებოდა. მეტი არ მახსოვს ვინმე სხვაზე კონკრეტულად რაიმე ინფორმაცია რომ მქონოდეს.

— თუ ადევნებდი თვალს ვირუსით დაინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს? როგორ მოქმედებდა შენზე?

— საკმაოდ ხშირად, სიახლეები რომ იდებოდა, ვაქცევდი ყურადღებას, ვამოწმებდი და მოქმედებდა იმ მხრივ, რომ ვფიქრობდი, ეს იყო მაქსიმუმი და ამაზე მეტი აღარ დაინფიცირდებოდა, ყოველდღიურად ემატებოდა და ემატებოდა, ძალიან საშიში იყო. რაოდენობა რომ შემცირდებოდა ცოტა ხნით, თითქოს მშვიდად ვიყავი, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ დღეს ისევ მომატებული იყო, ძალიან არასტაბილური იყო ეს ცვლილებები და უკვე ვეღარ ვხვდებოდი, რა უნდა მექნა. უბრალოდ, ვცდილობდით იმას, რომ თავი დაგვეცვა და სახლში ვყოფილიყავით. იქიდან გამომდინარე, რომ სტატისტიკური მონაცემები მართლა ძალიან მაღლა ადიოდა დროის გასვლასთან ერთად, საკმაოდ გვეშინოდა. ისიც მახსოვს, რომ ამ მონაცემებმა როცა დაბლა ჩამოსვლა დაიწყო, მერე ძალიან თავისუფლად ვიყავით, ჩვეულებრივი ცხოვრება დავიწყეთ, ვმუშაობდით და ვსწავლობდით. ჩემთან უნივერსიტეტში კოვიდის პერიოდშიც არ შეუწყვიტავთ სწავლება (კი იყო დისტანციურად, მაგრამ გამოცდებს მაინც კავკასიის უნივერსიტეტში ვწერდით). რომ ვთქვა, რომ ის პერიოდი ძალიან ჩაკეტილი ვიყავი, არ იყო ასე.

— შენ ან შენმა ოჯახის წევრებმა თუ გადაიტანეთ ვირუსი და ავადობა როგორ გახსენდება?

— გადავიტანე ორჯერ, მაგრამ საერთოდ არ მქონია არანაირი სიმპტომი, უბრალოდ იმიტომ გავიკეთე ტესტი, რომ ჩემთან სამსახურში იყო სავალდებულო თვეში ერთხელ გაკეთება და ჩემს სამსახურს ჰქონდა სივრცე ცალკე მოწყობილი, სადაც აკეთებდნენ უფასო ტესტს. მეორედ დამიფიქსირდა მაშინ, ჩემს მეგობრებს როცა დაემართათ და სულ ერთად ვიყავით, ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა მეც მქონოდა და აღმომაჩნდა. ჩემს მშობლებს რაც შეეხებათ, არ ჰქონიათ, ჩემს დას ჰქონდა, მაგრამ მასაც არ ჰქონია რთული სიმპტომები. ჩემ გარშემო რთული სიმპტომები თითქმის არავის არ ჰქონია.

– დაწესებული რეგულაციები თუ შეგიძლია, რომ გაიხსენო?

– რაც ძალიან გვზღუდავდა და არალოგიკურად მიმაჩნდა, იყო ის, რომ მანქანაში არ შეიძლებოდა ხუთი ადამიანის ჩაჯდომა, მაქსიმუმ 3-4 უნდა ყოფილიყო და ამ დროს ოჯახში მეტნი თუ იყავით, გადაადგილება არ შეგეძლო. მახსოვს, რომ ქუჩაში 3-4 ადამიანის ერთად დგომა არ შეიძლებოდა. კიდე კომენდანტის საათი მახსოვს ძალიან მწარედ, იმიტომ რომ ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ტაქსებით გადაადგილებაც რომ არ იყო მიზანშეწონილი და აკრძალული იყო ეგ მახსენდება. ჩემთვის ძალიან რთული იყო კომენდანტის საათი, საქართველოში არ გვაქვს ისეთი დღის წესრიგი, როგორიც სხვა ქვეყნებში (ევროპაში რაც ვნახე, ძალიან ადრე იწყებენ და ძალიან ადრე ამთავრებენ სამუშაოს). ჩვენთან ასე არაა და კომენდანტის საათის დაწესება ძალიან რთული მომეჩვენა, ვერ ხვდები, როდის უნდა მოასწრო რაღაცები, იმიტომ რომ "უცებ" კომენდანტის საათი იწყება და ფეხის აწყობა ძალიან გამიჭირდა ამასთან. პირბადის ტარება და გარეთ გასვლისას დისტანციის დაცვა არ იყო ჩემთვის რთული.

– როგორც მითხარი, ხევსურეთში, სოფელ ბაცალიგოში გაატარე გარკვეული პერიოდი. იქ მცხოვრები მოსახლეობა როგორ აღიქვამდა რეგულაციებს და რატომ?

– ჩემთან სოფელში, ხევსურეთში, მარტო პაპაჩემის და ბებიაჩემის სახლი არის, არ გვყავს სხვა მეზობელი, მარტო ჩვენ ვართ. ბებიაჩემი საკმაოდ შეშინებული იყო, პაპაჩემიც, მაგრამ ბებიაჩემი უფრო ემოციურია, ცდილობდა, ყველანაირად დაეცვა რეგულაციები. იყო ისეთი სიტუაციებიც, რომ იმ პერიოდში თუ გვინდოდა აგვეყვანა სტუმარი, ერთი მეგობარიც რომ წაგვეყვანა, გვეუბნებოდა, რომ სჯობდა თავი შეგვეკავებინა და ჩვენც ვითვალისწინებდით მის გადაწყვეტილებას. ხევსურეთში, ჩვეულებრივ, ერთად ძალიან ბევრი ნათესავი ავდივართ ხოლმე დასასვენებლად, ზოგს თავისი მეგობრები მიჰყავს, მაგ პერიოდში თავს ვიკავებდით იმიტომ, რომ ბებოს ძალიან ეშინოდა. საკმაოდ ადექვატურად იღებდნენ სიტუაციას ბებიაჩემი და პაპაჩემი და სხვა მეზობელ სოფლებშიც მაცხოვრებლები, სიფრთხილის და შიშის გრძნობა ჰქონდათ.

– შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობისთვის იმის ცოდნა, საიდან გავრცელდა ვირუსი?

– თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა ვფიქრობ და მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, საიდან გავრცელდა ვირუსი, მაინც იმას ფიქრობდნენ გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც თვითონ აწყობდათ, თუმცა რეგულაციების დაცვის თვალსაზრისით ამ ცოდნას გავლენა არ მოუხდენია.

– თუ გახსენდება რაიმე მოვლენა ან ისტორია, რომელსაც იმ დროინდელ რეალობას დაუკავშირებ?

– მე ვმუშაობდი ერთ-ერთ მაღაზიაში კონსულტანტად. კოვიდი რომ დაიწყო, ყველაფრის დაკეტვა ერთად მოგვიწია. სადღაც ერთი თვის შემდეგ ყველა ცდილობდა, რომ რაღაც მხრივ თავისი ბიზნესები განეახლებინათ რეგულაციების ფარგლებში. რადგან ჩვენ ვიყავით კონსულტანტები, ასეთი რაღაც გადავწყვიტეთ, რომ ჩვენც მივდიოდით მაღაზიაში და ვმუშაობდით დისტანციურ შეკვეთებზე. უფრო მეტნი ვმუშაობდით ოპერატორად კონსულტანტობის ნაცვლად და ასევე ვახარისხებდით პროდუქციას, ვფუთავდით და ვატანდით კურიერებს. ჩაკეტილი, ჩაბნელებული მაღაზია იყო, არ გვჭირდებოდა დიდად განათება. მახსოვს, ხალხი გვეუბნებოდა, რომ მაღაზიასთან ახლოს ცხოვრობდნენ, ჩამოვიდოდნენ და წაიღებდნენ კონკრეტულ ნივთს, რომ კურიერისთვის აღარ გადაეხადათ. ვერ ვუხსნიდით და ვერ ვაგებინებდით, რომ რეგულაციის გამო არ შეიძლებოდა პროდუქციის ხელიდან ხელში გადაცემა და აუცილებელი იყო საკურიერო მომსახურებით სარგებლობა. რამდენიმე თვე ამ პირობებში ვმუშაობდით.

– შენი აზრით, რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი პანდემიის პერიოდიდან?

– შეკრება მეგობრების, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები არსებობდა. იმ პერიოდშიც კი, როდესაც კომენდანტის საათი იყო, რომელიმე მეგობრის სახლში ვიკრიბებოდით და ვრჩებოდით გამთენიის ხუთამდე (კომენდანტის საათი ამ დროს იხსნებოდა). ასე მგონია, უფრო ხშირად ვიკრიბებოდით, ვიდრე მანამდე, იმიტომ რომ საქმეც ნაკლები გვქონდა, ყველანი სახლებში ვიყავით და ყველაფერი დისტანციურად იყო.

– როგორი იყო პანდემიური ცხოვრებიდან შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

– სხვათა შორის, ძალიან არაპანდემიური. უნდა გითხრათ, რომ მე ჩაკეტილობას დიდად არ შევუწუხებივარ, რადგან სამსახურის გამო ასე ვიყავი და უნივერსიტეტიც მთლიანად დისტანციურზე არ იყო გადასული. მაგრამ იმ სამსახურის პერიოდიც რომ ავიღოთ, მივდიოდით, ვმუშაობდით შემცირებული დროით, დაახლოებით 10 საათიდან საღამოს 4-5 საათამდე. შემდეგ სახლში მქონდა ლექციები 8-10 საათამდე. შემდეგ ვიძინებდი და დილისთვის ვემზადებოდი. ასეთი დღის წესრიგი მქონდა საკმაოდ დიდხანს, რამდენიმე თვე.

– რა იყო შენთვის ინფორმაციის მთავარი და სანდო წყარო პანდემიის პერიოდში?

– გუგლში ვამოწმებდი სტატისტიკებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში როგორი იყო ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკა.

– შენი აზრით რა შეიცვალა ოჯახურ ურთიერთობებში?

ოჯახურ ურთიერთობებში ბევრი რამ შეიცვალა პანდემიის პერიოდში. ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომლებმაც ის პრობლემები გადალახეს, რაც მანამდე ჰქონდათ ოჯახში და ძალიან ბევრი ვიცი, ვინც ერთმანეთს დაშორდა, ვერ შეძლეს ერთმანეთთან გამკლავება 24 საათის განმავლობაში თვეების მანძილზე. ჩემი აზრით, საკმაოდ დიდი გამოცდა იყო ადამიანებისთვის, რომელთაც ახალი შექმნილი ჰქონდათ ოჯახი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთმანეთთან განუწყვეტლივ ჰქონოდათ კომუნიკაცია. ძალიან ბევრი ადამიანისთვის ეს გახდა მიზეზი, რომ გაშორებოდნენ ერთმანეთს. ჩემს ოჯახში, რომელიც დიდი ხნისაა, არ იყო არანაირი პრობლემა – 20-30 წლიან ოჯახებში, სადაც შვილები უკვე დიდები არიან და მეტწილად სახლიდან გასულნი და სადაც ოჯახის წევრებს ერთმანეთი ენატრებათ, იქ სიყვარულმა და სითბომ უფრო მეტად დაისადგურა. სიამოვნებას ვიღებდით და ვგრძნობდით ბოლომდე.

– სამეზობლოში რა შეიცვალა შენი აზრით?

– თბილისში რომ ვცხოვრობდი, მაგ პერიოდში მყავდა სამი მეზობელი, რომლებთანაც ახლო კომუნიკაცია მქონდა. ვერ ვი-

ტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული ცვლილება მოხდა ამ პერიოდში.

– დღესასწაულებს როგორ აღნიშნავდით?

– იქიდან გამომდინარე, რომ პანდემია არასტაბილური იყო საქართველოში (რაღაც პერიოდში უფრო მეტი თავისუფლება იყო და სტატისტიკის გაზრდის შესაბამისად უფრო მეტად გვკეტავდნენ), მიჭირს პასუხების გაცემა იმიტომ, რომ ვერ ვხვდები, რომელ პერიოდზე ვისაუბრო. საერთო ჯამში რომ ავიღოთ, ძალიან დამწყდა გული აღდგომაზე. როგორც ყველა, ვისაც აქვს სოფელი, ჩვენც ამ დღეს სოფელში ვატარებდით. იქიდან გამომდინარე, რომ მიჩვეულები ვართ ძალიან ბევრი ხალხის ჩამოსვლას ამ პერიოდში და ერთად აღვნიშნავთ ხოლმე აღდგომას, ამჯერად ეს არ მოხერხდა. მახსოვს, არ შეიძლებოდა სასაფლაოზე გასვლა, აღდგომის იქ აღნიშვნა. სახლებში შედარებით მცირე მასშტაბში ვეცადეთ რაღაც გაგვეკეთებინა, სტუმარს არ ველოდებოდით და ვერც ჩვენ წავიდოდით სხვაგან მისალოცავად და აღსანიშნად. მთაში ისე არავინ აკონტროლებდა სასაფლაოებს, როგორც ქალაქში. ჩემთან ახლომახლო სოფლები რაც არის, იქაც თითქმის 1-2 სახლი არის დარჩენილი და ასე ცხოვრობს მოსახლეობა. თითო სოფელში პოლიცია ასე ვერ დადგება და ვერ გააკონტროლებს. მაგრამ ხევსურეთში კიდევ აქვთ სხვანაირი ტრადიციები. ჩვენ გვაქვს ჩვენი დღესასწაული „ათენგენობა“, რომელიც ტრადიციების მიხედვით აღინიშნება. ასევე უკავშირდება გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას, იკვლება საკლავი და ა.შ. ხევსურეთში აღდგომას სასაფლაოებზე გასვლაც იმდენად არ იციან გაზაფხულზე, როგორც სხვა ქრისტიანულ დღესასწაულებს აღნიშნავენ, რამდენადაც ზაფხულში. ზაფხულში გადიან სასაფლაოებზე, ივლისში, ათენგენობის პერიოდში, დღესასწაული ტარდება ივლისის ბოლო შაბათ-კვირას აუცილებლად და წინა დღეებში, დაახლოებით პარასკევს სასაფლაოებზე გადიან ხოლმე, მაგრამ ასე კონკრეტული დღე არ არის. ხევსურეთში ასე მკაცრად არ მიჰყვებიან საფლავზე გასვლის ტრადიციას მაინც, ამიტომ დიდი პრობლემა იქ არ შეუქმნია მაგას.

– პანდემიის პერიოდში თუ გარდაიცვალა შენ გარშემო ვინმე და როგორ მოხდა მისი გაცილება?

– ჩემი სკოლის ბიბლიოთეკარი/მასწავლებელი გარდაიცვალა. ძალიან მოულოდნელი იყო და ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავდა (საახლობლო), ვისაც უნდოდა რომ მისულიყო დაკრძალვაზე. ეს მოხდა ჩემს სოფელში (ოღონდ ხევსურეთში არა, მეორე სოფელში – დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ არხილოსკალოში). იქ, მახსოვს, პოლიციაც იდგა სახლთან იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მისამძიმრების მსურველი იყო და არ გვიშვებდნენ, მარტო ოჯახის წევრებს შეეძლოთ. როგორც ვიცით ხოლმე, ქელეხის დროს სუფრის გაშლა და მსგავსი არ ყოფილა, ვიწრო წრეში მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები (მაქსიმუმ 20 ადამიანი) იყო დასაფლავებაზე.

– პანდემიის პერიოდში მანდაც გაატარე დრო?

კი, მანდ უფრო ვიყავით გაზაფხულის პერიოდში, პირველად საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები რომ იყო. მანდ ვარ გაზრდილი, სკოლაც მანდ დავამთავრე და ჩემი მშობლებიც და მეგობრებიც მანდ ცხოვრობენ.

– ვინ და როგორ აიცრა შენ გარშემო?

– მე და ჩემი მეგობრები ჩვეულებრივად მივყვებოდით რეგულაციებს და როცა დაიწყო აცრები, მაშინ ჩვენც ავიცერით. ჩემი მშობლებიდან მამაჩემია აცრილი იმიტომ, რომ მუშაობს საჯარო სისტემაში და სავალდებულო იყო მაგათთვის. დედაჩემი არაა აცრილი, თუმცა არ ჰქონია მკვეთრი რეაქცია აცრაზე. უბრალოდ, სოფელში რომ ცხოვრობს, რამდენჯერმე გადადო და აღარ აიცრა. ბებიაჩემსა და პაპაჩემს რაც შეეხება, არ გაუკეთებიათ იმიტომ, რომ ხევსურეთში იყვნენ უმეტესად და ხელმისაწვდომობა არ იყო ვაქცინებზე. ანტივაქსერული რეაქცია ჩემ გარშემო ახლო ადამიანებს არ ჰქონიათ, მაგრამ შორეული ნათესავებისგან ბევრისგან გამიგია, რომ არაფრის დიდებით არ უნდოდათ აცრა, ძალიან ეშინოდათ და ხედავდნენ დიდ პროპაგანდას აცრაში.

– ამ გადმოსახედიდან როგორ შეაფასებდი ჩვენი საზოგადოების ქცევებს? რა გავიგეთ ჩვენს სოციუმზე?

– პანდემიის პერიოდში ჩვენს სოციუმზე, არ მგონია, რომ ახალი რაიმე გავიგეთ, იმის გარდა, რომ ძალიან გვიჭირს რეგუ-

ლაციებისა და წესების დაცვა. გავიხსენებ ტაქსების ფაქტორს – ისევ აკრძალული იყო თავისუფალი ტაქსებით გადაადგილება (აპლიკაციის ტაქსების გარდა) და თუ ქუჩაში იდექი, ჩუმად მოდიოდნენ და გეკითხებოდნენ, ტაქსი ხომ არ გინდოდა. ყველანაირად ცდილობდა ყველა, რომ თავი დაეღწია რეგულაციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა, სერიოზულად არ აღიქვა ბევრმა ადამიანმა ვირუსი. აცრაშიც ბევრი პრობლემა დავინახეთ, სულ ვფიქრობთ, რომ ვიღაც გვატყუებს და რაღაც ცუდს გვაკეთებინებს. ეს კიდევ განათლების სიმცირის ბრალი არის ჩემი აზრით. თუ აშკარად გადახედავ ისტორიას და ძირფესვიანად გაიგებ, რისგან შედგება და რის საწინააღმდეგოდაა აცრა, ჩემი აზრით, უნდა მიხვდე საჭიროებას. ჩვენს საზოგადოებაში კი, თუნდაც, 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა იყო ძალიან რთული.

– ოჯახში როგორ გაუმკლავდით დისტანციურ სწავლასა და მუშაობას?

– სწავლასა და მუშაობას რაც შეეხება, იმ პერიოდში ვცხოვრობდით მე და ჩემი მეგობარი ერთად და ორივეს სწავლა დისტანციურად გვქონდა (მე საღამოს საათებში, მას – დილით), დილით მე სამსახურში ვიყავი გასული და საკმაოდ კარგად ვეწყობოდით ამ მხრივ, ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით. რაც შეეხება სოფელში ყოფნას, იქაც, ლექციები როცა მქონდა, ხელს არ მიშლიდნენ. მახსოვს, მარტო ერთხელ დავწერე შუალედურები დისტანციურად, ფინალურები ასე აღარ დაგვაწერინეს. სასაცილო მომენტი ის იყო, რომ 10 საათიდან იწყებოდა კომენდანტის საათი და საღამოს საათებში გვქონდა ლექციები, 6-8 და 8-10 საათებში. იმის გამო, რომ დისტანციურად არ ჩაეტარებინათ ლექციები კომენდანტის პერიოდშიც კი, გადაგვიწყვიტეს, რომ მივსულიყავით უნივერსიტეტში და მეორე ლექცია რომ გვეწყებოდა 8 საათზე, ერთი საათი იქ ვყოფილიყავით, მეორე საათისთვის სახლში გავქცეულიყავით და იქ ერთი საათის დაგვიანებით დისტანციურად ჩაგვეტარებინა ლექციის მეორე ნაწილი. ეს იყო სიგიჟე, გადაგვიწყვიტეს, რომ 1 საათი საკმარისი იყო სახლში მისასვლელად.

– შენი აზრით, როგორ გაუმკლავდნენ მსოფლიოს ქვეყნები კორონა ვირუსის გავრცელების საფრთხეს და მათ შორის, საქართველოც?

– გულწრფელად რომ ვთქვა, კარგად არ მახსოვს, სხვა ქვეყნებში რა სიტუაცია იყო, მაგრამ როგორც ვიცი, საქართველოსთან შედარებით უფრო მკაცრი იყო ჩაკეტვა. ზოგადად, ჩვენთან შეზღუდვები არასტაბილური იყო, რამდენიმე თვე ვიკეტებოდით, მერე ისევ გამოვდიოდით და ა.შ. სხვა ქვეყნებში უფრო ხანგრძლივად იყო დაწესებული შეზღუდვები და მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ყველაფერი შეეწყვიტათ და გაეჩერებინათ. ერთადერთი თავის არიდების გზა იყო ის, რომ დავრჩენილიყავით სახლში. საქართველოშიც, ჩვენი ცხოვრების წესისა და მენტალიტეტიდან გამომდინარე, რაღაც დონეზე ვუმკლავდებოდით. არ ვეთანხმებოდი ძალიან ბევრ წესსა და რეგულაციას, სახელმწიფოს მიერ მიღებულს ჩვენს ქვეყანაში. უბრალოდ, ძალიან დიდი უაზრობა იყო კონკრეტული წესების მიღება, რაც იმ პერიოდში არანაირ შედეგს არ გვაძლევდა (მაგალითად, ის რომ მანქანაში 5 ადამიანის ჩაჯდომა არ შეიძლებოდა). თუ დღის პირველ ნახევარში შემიძლია, რომ გასული ვიყო, უნივერსიტეტში ვისწავლო, ხალხს შევხვდე და სამსახური მქონდეს, ღამის 8 საათის განმავლობაში, როცა უმეტესობა ისედაც სახლშია და ძილის პერიოდია, რატომ იყო კომენდანტის საათის დაწესება აუცილებლობა, არ ვიცი. თან ეს იყო მთელი ნახევარი წელი, გადაბმულად, ვერ ვხვდებოდი ამის აზრს.

– როგორი გამოცდილება იყო პანდემიასთან გამკლავება? დადებითი და უარყოფითი მხარეები რომ გამოყო.

– დადებითი ის იყო, რომ რაღაცნაირად დღის წესრიგში ჯდები, ამ შეზღუდვებიდან გამომდინარე, ბევრი ცუდი კი ვილაპარაკე, მაგრამ კარგი ის ჰქონდა, რომ რეჟიმში ვიყავით და ვიცოდით, დღე როდის დაგვეწყო და დაგვესრულებინა. ღამით გარეთ გასვლა გასართობად აკრძალული იყო და უფრო მეტი დრო გქონდა მეორე დღისთვის მოსამზადებლად და ადრე დასაძინებლად, რაც ზოგადად ჩემი პრობლემა არის, იმიტომ რომ არ მივყვები დღის წესრიგს. უარყოფითს რაც შეეხება, ვიტყოდი, რომ შიშის ფაქტორი ძალიან რთულად დასაძლევი იყო, ჩემს თა-

ობას პირველად ჰქონდა ამხელა პანდემიასთან გამკლავების გამოწვევა. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება იყო. კიდევ ის, რომ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება იყო, რაც არ უნდა მოენდომებინათ, სწავლების ხარისხი მაინც ჩვეულებრივთან შედარებით დაბალი იყო. ასევე, დაგეგმილი მქონდა გერმანიაში საზაფხულო სტუდენტურ სამუშაოზე წასვლა, ვიზასაც ვაკეთებდი და დაიწყო პანდემია, მაგის მერე ველარც მოვახერხე, რომ წავსულიყავი. კიდევ მქონდა სხვადასხვა გეგმა, რის გაკეთებასაც ვაპირებდი მაგ პერიოდში და კოვიდმა საკმაოდ შემიშალა ხელი. დადებითს კიდევ ვიტყვი, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება იყო ჩვენი ასაკისთვის იმ თვალსაზრისით, რომ შევძელით გავმკლავებოდით ამ ყველაფერს დისტანციურად. კიდევ, აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი სამუშაო და შეხვედრა დისტანციურადაც შეიძლება გაიმართოს და კოვიდამდე ამაზე ასე არ გვიფიქრია. ჩემი აზრით, ეს ძალიან კომფორტული და მისაღებია.

– რა გვასწავლა პანდემიამ? რა გაკვეთილები მივიღეთ ამ კრიზისიდან?

– გაკვეთილები მივიღეთ, ჩემი აზრით, დამორჩილებასთან და წესრიგთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება მივყვეთ რაღაც რეგულაციებს. შეიძლება, ბევრი რეგულაცია აზრისგან დაცლილი იყო, თუმცა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი წყალში გადაყრილი შრომა იყო. გვასწავლა, წესრიგს როგორ უნდა მივეჩვიოთ (საქართველოში ძალიან დიდი პრობლემაა ეს).

– შენი აზრით, რა შეცვალა პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურობაში?

– რაღაცების დისტანციურ რეჟიმში გადასვლა, რაც ძალიან კომფორტული და მოსახერხებელია და ყოველდღიურობაში მაგ პერიოდში ბევრი რაღაცის დაფასება დავიწყეთ. ერთმანეთისთვის დრო რომ არ გვქონდა და საყვარელი ადამიანებისთვის ვერ ვიცლიდით, მაგ პერიოდში მივხვდით და დავაფასეთ, რამდენად გვჭირდება ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანების მიერ დათმობილი დრო. ეგეც ძალიან კარგი გაკვეთილი იყო, იმიტომ, რომ ამის შემდეგ ძალიან ბევრმა ადამიანმა გააანალიზა და შეცვალა თავის ყოველდღიურობაში ის შეცდომები, რასაც ვუშვებდით ურთიერთობებისას.

– შენი აზრით, ვინ დაიჩაგრა ყველაზე მეტად პანდემიის პერიოდში?

– დაჩაგვრით ყველაზე მეტად მოხუცები, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი რისკ-ჯგუფი იყო. ასევე, სტუდენტებიც და სკოლის მოსწავლეებიც, განათლების კუთხით. შეიძლება, სკოლის მოსწავლეები დიდად ვერ იაზრებდნენ ამ ყველაფერს და უხაროდათ დისტანციური სწავლება, თუმცა, ეს ყველაფერი ხარისხიანი არ ყოფილა. მე-11-მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად ცუდი იქნებოდა ეს ყველაფერი.

– ვისთვის იყო შედარებით სარგებლიანი პანდემიის პერიოდი?

– შედარებით სარგებლიანი მშობლებისთვის, რომ თავისი შვილებისთვის დრო გამოენახათ. ბევრი ადამიანისგან მსმენია კიდევაც, რომ მართლა ვერ გაუაზრებიათ იქამდე და კომენდანტის საათის პერიოდში დრო ჰქონდათ თავიანთი შვილებისთვის, რის ნაკლებობასაც აქამდე განიცდიდნენ.

– შენი აზრით, რას გაიხსენებენ და რა დარჩება პანდემიის პერიოდიდან?

– ზოგ ადამიანს, ალბათ, დარჩება შიში, ზოგს – დისკომფორტი, ბევრს დარჩება შეუსრულებელი გეგმების სევდა (ჩემსავით) და ბევრ ადამიანს დარჩება გაღიზიანება სხვებისგან, სახლში ყოფნისგან და იმ წესების დამორჩილებისადმი გაღიზიანებაც, ალბათ.

– პანდემიის პერიოდში ვის უსმენდი, ვინ იყო შენთვის ავტორიტეტი?

– კონკრეტულ ადამიანს ვერ დავასახელებ, არავინ იყო ისეთი, ვისაც თვალდახუჭული ვენდობოდი მაგ პერიოდში. ვხელმძღვანელობდი მხოლოდ სტატისტიკით.

– სახელმწიფოს მოქმედებას როგორ შეაფასებდი პანდემიის პერიოდში?

– ჩემი აზრით, ეცადნენ. ცდილობდნენ, თავიანთი გადმოსახედიდან სწორად მოქცეულიყვნენ და როგორღაც აღეკვეთათ ეს ყველაფერი, მაგათი მოვალეობაც იყო, თავისთავად. მაგრამ ძალიან ბევრ რეგულაციას შევაფასებდი უარყოფითად და არასაჭიროდ. ხანდახან მგონია, რომ თავიანთ სასარგებლოდ შემოჰ-

ქონდათ კონკრეტული რეგულაციები, თვითონ რომ გადაადგილებულიყვნენ ღამე საშვებით საცობის გარეშე, მგონია, ამიტომ გაწელეს ამდენი ხანი კომენდანტის საათის მდგომარეობა.

– რამდენად მომზადებული შეხვდა ჩვენი საზოგადოება პანდემიას?

– არანაირად. მე და ჩემ გარშემო ადამიანებს მართლა ბოლომდე გვეგონა, რომ ჩვენ არ შეგვეხებოდა პანდემია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში გავრცელდა, არ ვფიქრობდით, რომ აქაც შემოაღწევდა. როგორც ჩინეთში იყო ამხელა პანდემიის ტალღა და ჩაკეტვა, ჩვენ არ ველოდით, რომ ასე სერიოზულად შემოაღწევდა ჩვენთანაც. არ იყო ხალხი მომზადებული, რომ ამხელა რაღაცას გამკლავებოდა. მით უმეტეს, წინაპირობა არ გვქონია, ვირუსები იყო საშიში მანამდე, რომელსაც მოყოლია ადამიანების დაღუპვა, მაგრამ გამოცდილება არასდროს გვქონია ამხელა პანდემიასთან გამკლავებისა.

– როგორ გაართვა სამედიცინო სექტორმა პანდემიას თავი?

– არ მგონია, რომ ძალიან კარგად. არც იმას ვფიქრობ, რომ სამედიცინო სექტორი გამოყოფილია და ცალკე დგას სახელმწიფოსგან, ამ უკანასკნელის მხარდაჭერა სჭირდებოდა ფინანსურად, აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსებით. ეს უშუალოდ სამედიცინო სექტორის პრობლემა არ ყოფილა, სახელმწიფოს პრობლემა იყო, მათ უნდა გაეწიათ უდიდესი დახმარება. თვითონ რასაც აკეთებდნენ, ძალიან ბევრს ცდილობდნენ და ძალიან ბევრი შრომა ჩადეს იმ პერიოდში, რომ ქვეყანასა და ხალხს დახმარებოდნენ. თვითონ ექთნებიც დაიღუპნენ, რადგან სხვა ადამიანების მოვლისას დაინფიცირდნენ. რაც შეეძლოთ, გაეკეთეს იმისთვის, რომ პანდემიას გამკლავებოდნენ.

– როგორ ფიქრობ, ისტორიის ან ტრადიციების ცოდნა თუ დაგვეხმარებოდა პანდემიის დაძლევაში?

– კულტურას შევეხები და დავიწყებ წარსულის გამოცდილებით. ვაქცინებზე ვისაუბრებ – ბევრ ადამიანს რომ ჰქონოდა შესაბამისი ცოდნა ადრინდელი პანდემიების შესახებ და გაეაზრებინა ის, იმასაც მიხვდებოდა, რომ სწორედ ვაქცინებით იქნა ისინი დაძლეული, როგორც მოხდა, მაგალითად, შავი ჭირის შემთხვევაში. ჩვეულებრივად, ბავშვებიც ხომ იცრებიან წითე-

ლაზე, წითურაზე და ა.შ. ეს ყველაფერი რომ გაიაზრო, მიხვდები, რომ კოვიდისგან თავის დასაცავადაც ვაქცინაცია იყო საჭირო. კულტურას რაც შეეხება, ეგეც იმოქმედებდა. ხევსურეთში პანდემიასთან გამკლავების ძალიან სასტიკი, საინტერესო და გულისამაჩუყებელი წესი ჰქონდათ. მაგალითად, შატილში არსებობს „ანატორის აკლდამა“, სადაც დღემდე ინახება ადამიანების ძვლები, რომლებიც შავი ჭირის პერიოდში დაინფიცირდნენ. აკლდამებს აშენებდნენ შავი ჭირის პერიოდში და როცა ადამიანს გამოუვლინდებოდა სიმპტომი, მიდიოდნენ იქ და თავს იკეტავდნენ, რომ სხვებს არ გადასდებოდათ, იქ იღუპებოდნენ ყველანაირი დახმარებისა და კონტაქტის გარეშე. შატილის ამ აკლდამაში დღემდე არის ჩონჩხი დედისა, რომელიც შვილის აკვანზე არის გადაფარებული. ზოგი იქაც აჩენდა შვილებს, თუ უკვე მშობიარეს ჰქონდა ეს სიმპტომები. დღემდე არის შემორჩენილი ის, რომ თავის შვილიანებად მიდიოდნენ იქ, იმხელა თავგანწირვა იყო, არაეგოცენტრული დამოკიდებულება, თემზე იმდენად რომ ფიქრობ და ზრუნავ, რომ შენი მცირეწლოვანი შვილიც კი მიგყავს, რომ ასე ცოცხლად დაიმარხოთ თავი. ამის ცოდნა, მაგალითად, სულ მცირე, იმის გააზრებაში დაეხმარებოდა კოვიდისას საზოგადოებას, რომ წარსულში ამხელა თავგანწირვა შეეძლოთ ადამიანებს და 21-ე საუკუნეში იმას თუ გთხოვენ, რომ 2-მეტრიანი დისტანცია დაიცვა ან საჭიროების გარეშე სახლიდან არ გახვიდე, უფრო მარტივია.

– წარმოიდგინე, რომ კოვიდ-19 არის ფიზიკური ადამიანი. რას ეტყოდი?

– კარგს არაფერს. ვთხოვდი, რომ სადაც გაჩნდა, იქ დარჩენილიყო და ამდენად მაინც არ მოსდებოდა მსოფლიოს. მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანებს, სადაც დაიბადა, საერთოდ არ უნდოდათ და არ ჰქონიათ მიზნად განზრახული პანდემიის დაბადება, რომელიც მსოფლიოს მოედებოდა და ამდენ ადამიანს დაღუპავდა, მაინც მაგათი ბრალი იყო და ვეტყოდი, რომ იქ დარჩენილიყო და იმ ქვეყანაზე ემოქმედა მარტო. ძალიან ცუდად გამომდის, მაგრამ...

ჩანაწერი

ქალბატონი ბორჯომიდან[4]

კოვიდის დაწყების პერიოდში ვმუშაობდი ავერსის სარეაბილიტაციო ცენტრში და პანდემია რომ დაიწყო, ნიუსებს ვუყურებდით სთაფი და გავიგეთ, რომ ძალიან საშიში რაღაც გავრცელდა ჩინეთიდან. საავადმყოფოში პანიკა იყო, რომ აქაც გავრცელდება, ჩვენამდეც მოვა და პირველი რაც ვიფიქრე, იყო შემდეგი: იმედია, არ მოვკვდებით. ძალიან შემეშინდა. ჩემ გარშემო მყოფი ადამიანების რეაქციები ძალიან სერიოზული არ ყოფილა, ყველა ფიქრობდა, რომ არა უშავს, რამე ვაქცინა შემოვა და გაივლის ეს ყველაფერი მალე. რამდენადაც მახსოვს, ინფიცირებულთა ბოქსები იდგა ავერსის გვერდზე განცალკევებით და ყოველდღე მიწევდა ავლა-ჩავლა, და უბრალოდ ვიცოდი, რომ თუ საკმარისი დისტანცია იქნებოდა არ დავინფიცირდებოდი და შიში არ მქონია ამ მხრივ. ჩემ გარშემოც დროთა განმავლობაში უფრო მეტად დაპანიკდა ხალხი, მიხვდნენ, რომ იმაზე სერიოზულად იყო საქმე, ვიდრე თავიდან აღიქვეს. თავიდან სტატისტიკას ვადევნებდი თვალს აქტიურად. მერე გავიაზრე, რომ ჩემზეც და სხვებზეც ნეგატიურად აისახებოდა და დავანებე თავი ნიუსების ყურებას.

ოჯახში ყველამ გადავიტანეთ ვირუსი ჩემი უფროსი ძმის გარდა. პირველად დედაჩემს დაემართა და ძალიან მძიმედ გადაიტანა. საავადმყოფოში მოუწია ერთი კვირა გაჩერება მაგის გამო. მამაჩემსაც გადაედო და ორ დღეში გამოკეთდა. რწმენა ჰქონდა, რომ მალე გაუვლიდა თუ არ დანებდებოდა. რაც შეეხება ჩემს ძმებს, მშობლებთან ერთად იყვნენ და ერთს გადაედო, მეორეს – არა. მაგ პერიოდში მეც არ გადამედო, ყველაზე სუსტი შტამი რომელიც იყო, ეგ შემხვდა მე, ბოლოსკენ უკვე, ბაკურიანში ვიყავი და იქ გადაგვედო მე და ჩემს შეყვარებულს ერთად, ერთად მოგვიწია კარანტინში ყოფნა და ცუდად არ მახსენდება. მხოლოდ ერთი ღამე ვიგრძენი თავი ცუდად, მაკანკალებდა და შეგრძნება მქონდა, რომ რაღაცები მერჭობოდა მთელ სხეულში. ერთი ღამის მერე გამიარა.

---

[4] ინტერვიუ ჩაწერა და ტექსტი მოამზადა ნათია გოჯორაშვილმა

დაწესებული რეგულაციებიდან პირველ რიგში ლოქდაუნი მახსენდება(9 საათზე რომ ყველა სახლში უნდა ყოფილიყო). აკრძალვების რაოდენობა რომ გაიზარდა, მაგ პერიოდში ბორჯომში ვიყავი და მომიწია იქ დავრჩენილიყავი. უნივერსიტეტებიც ჩაიკეტა და ონლაინ სწავლებაზე გადავიდა სრულიად. ეს ყველაფერი ისე გაიწელა, რომ ბოლო აღარ უჩანდა და საკმაოდ ცუდად იმოქმედა ჩემზე, სოციალური ადამიანი ვარ და სახლში ჯდომა საშინელება იყო, მითუმეტეს ზამთარი იყო. 9 საათის მერე ვერ გახვალ სახლიდან, ყველაფერი დაკეტილია და უნდა იჯდე იზოლირებულად. კარგია, რომ ოჯახთან ერთად ვიყავი, მაგრამ მაინც საშინელება იყო.

ბორჯომში რეგულაციები საკმაოდ სერიოზულად მიიღეს. 9 საათის მერე გარეთ არავინ არ დამინახავს, ყველა მაქსიმალურად ცდილობდა ჰიგიენის დაცვას, ნიღაბი თითქმის ყველას ეკეთა, როგორც მახსოვს. საკმაოდ დიდი იყო შიში და ამის გამო ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთის მოფრთხილება და რეგულაციების დაცვა.

არ ვიცი, რა არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, საიდან გავრცელდა ვირუსი და როგორ, ფაქტი მოხდა და მოედო მთელ მსოფლიოს. გავრცელების კერა, რა თქმა უნდა, საინტერესოა ვიცოდეთ, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანიც არა, ნებისმიერი ქვეყნიდან რომ შემოსულიყო იგივე მოხდებოდა მაინც.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მთელი კოვიდის პერიოდი ისე დამავიწყდა, თითქოს არ არსებობდა. იმდენად ტრავმული იყო, რომ ჩემმა გონებამ უბრალოდ ამოშალა მეხსიერებიდან, ფაქტები, განსაკუთრებით. ვიცი, რომ რაღაც ცუდი გადავიტანეთ, რა და როგორ – არ მახსოვს.

მაინც, ყველაზე დასამახსოვრებელია, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და დროთა განმავლობაში როგორ შეიცვალეს ადამიანებმა დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ. დახმარება დაიწყეს ერთმანეთის, დააფასეს ერთმანეთი. მაგრამ იყო განკითხვებიც, რომ ვიღაცები უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ და ა.შ. იმ სივრცეში, ჩემი აზრით, ყველამ თავისი საუკეთესო სცადა და არ იყო საჭირო პანიკა.

პანდემიის დღეები ჩემთვის ყველაზე მოსაბეზრებელი იყო, ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა: უბრალოდ გაღვიძება, ბანალუ-

რად ჭამა, რამის ყურება, მერე ისევ ძილი. გარეთ ვცდილობდი რაღაც საქმიანობებით დავკავებულიყავი, მაგრამ ბორჯომში აქტიური არაფერი არ არის თითქმის, მაქსიმუმ, გაისეირნო და ეგ იყო მთელი აქტივობა და მეცადინეობაც პარალელურად.

ვინაიდან, ჩემი მშობლები ექიმები არიან, ყველა ინფორმაციას მათგან ვიღებდი. დედაჩემი სპეციალურად შექმნილ „კოვიდრაზმში“ მუშაობდა და სანდო ინფორმაცია იქ მიდიოდა, იქიდან ვიცოდი ბევრი რამ. ყველა ძალიან უმადური იყო ექიმების, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ საუკეთესოს აკეთებდნენ.

როცა დედაჩემი ავად გახდა და საკმაოდ რთულად იყო, უფრო დავახლოვდით. სხვა მხრივ, ჩემი გადმოსახედიდან, ოჯახურ ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა. რაც შეეხება სამეზობლოს, ყველა სახლში იყო ჩაკეტილი, არ ჰქონდათ დიდად კომუნიკაცია და ეზოშიც არავინ დამინახავს. სტუმრად თუ მიდიოდნენ, არ ვიცი, ჩემი ოჯახი არსად არ დადიოდა. ვფიქრობ, ნაკლებად ჰქონდათ კომუნიკაცია ერთმანეთთან. დღესასწაულებსაც სახლებში აღვნიშნავდით, ჩვენს ოჯახებში. აღდგომაზე სასაფლაოზე არ გავსულვართ, მამაჩემი წავიდა ერთი კვირის შემდეგ დღესასწაულიდან. როგორც ვიცი, ეკლესიურად ეგრეა მიღებული, რომ ერთი კვირის შემდეგ უნდა მიხვიდე, მიცვალებულები მაგ დროს გელოდებიან. ყველა თუ აღდგომას გადის, მამაჩემი ყოველთვის შემდეგ ორშაბათს მიდის და აქედან გამომდინარე, არც ხალხი იყო და არც პრობლემა, რომ მისულიყო.

კოვიდით ჩემ გარშემო ბევრი ნაცნობი გარდაიცვალა და ომიკრონით დაღუპული ადამიანები უკვე რეგულაციების შესუსტების შესაბამისად გააცილეს. ბევრი შეზღუდვა არ იყო და მახსოვს, ტაძარშიც შევიკრიბეთ და საკმაოდ ბევრი ხალხიც იყო.

ზოგადად, რეგულაციებისას ეკლესიებშიც ყველაფერი ხომ აკრძალული იყო და მახსოვს, მღვდლები ქადაგებდნენ, რომ წმინდა სახლია, აქ მოდით, არავის არაფერი არ გადაგედებათ, ღმერთი დაგვიცავს და ა.შ. თავიდან რაციით აჟღერებდნენ, ეზოში კითხულობდნენ ამ ყველაფერს. იმდენად ახლოს იდგა მათ მოსასმენად მისული ხალხი, რომ ძალიან ბევრი დაინფიცირდა ამის მერე. დედაჩემი, როგორც ექიმი, ძალიან გაბრაზებული იყო ამ ფაქტზე. მივიდა, ცალკე ამ ხალხს ესაუბრა, ცალკე – მოძღვრებს.

არავისგან რეაქცია არ მოჰყოლია მის ქმედებას, ისევ ისე აგრძელებდნენ შეკრებას და დაინფიცირებულთა რიცხვიც გაიზარდა.

ჩემ ირგვლივ საკმაოდ კარგი სიტუაცია იყო, ვინაიდან წესებს ყველა იცავდა. მაგრამ საზოგადოდ რომ შევხედოთ, დამიფიქსირებია ვიდეოები ნიუსებში, რომ უმეტესობა არ იცავდა არც ჰიგიენურ წესებს, არც დისტანციას და ვიღაცები საერთოდაც არ უყურებდნენ სერიოზულად ამას.

მე-3-მე-4 კურსზე სწავლა დისტანციურად მომიწია და ძალიან ცუდი იყო. მაშინ ძალიან ახალი და დაუხვეწავი იყო ონლაინ სისტემა და სრული საგიჟეთი იყო, არაფერი არ გამოდიოდა, არანაყოფიერი იყო. ჩემი მშობლები მუშაობდნენ, რადგან ექიმები არიან და სახლში სივრცის გადანაწილების პრობლემა არ გვქონია, თუმცა, დიდ მსხვერპლზე წასვლა მოუწიათ. მხოლოდ მე რომ ვსწავლობდი, ეგ იყო დისტანციურად, მშობლები უფრო გაძლიერებულ რეჟიმშიც მუშაობდნენ, სახლში არც იყვნენ.

მსოფლიო გამკლავების მიხედვით სხვადასხვანაირად დაიყო, რაც მახსენდება. ერთი ჩვენმა სახელმწიფომ რაც გააკეთა, რეგულაციები დააწესა და ამით ცოტათი მაინც შეამცირა ინფიცირების რიცხვი. მეორე მხრივ, იყვნენ ქვეყნები, რომლებშიც რეგულაციები არ იყო საერთოდ (კონკრეტული ქვეყანა არ მახსენდება, ალბათ, სკანდინავიის რომელიმე), ყველგან გავრცელდა, ვისაც მოსახდელი ჰქონდა, მოიხადა, ყველას გამოუმუშავდა იმუნიტეტი. იქ პრობლემა სხვანაირად მოგვარდა, იმუნიტეტის გამომუშავების ხარჯზე, იქაც, ალბათ, ბევრი დაიხოცა. რეალურად რომ შევხედოთ, მგონი საქართველოშიც ყველას შეხვდა მაინც, უბრალოდ ჩვენ დროში გავწელეთ პროცესი.

ვერ ვიტყოდი, რომ პანდემია დადებითი მოვლენა იყო საერთოდ ჩემთვის. ვიღაცებისთვის, შეიძლება, ისე დაემთხვა, რომ დაისვენეს სახლში. მე იმ პერიოდში უფრო მეტი მჭირდებოდა სოციალური გარემოსგან, უნივერსიტეტისგან, უფრო რეალური ურთიერთობები და საქმიანობები მჭირდებოდა, რომლებიც არ მქონდა და კარგად ნამდვილად არ აისახა ჩემზე. თუმცა, გამოუსწორებელიც არ იყო, იმიტომ რომ დასრულდა და მერე უკვე ისევ შევძელი, სადაც ჩამოვრჩი, იქიდან რომ გამეგრძელებინა. პანდემიამ გვასწავლა, რომ „საშინელი რაღაცები ხდება“. ადამიანებიც

თითქოს შედარებით დეგრადირდნენ, პანდემიამდე პერიოდი და ახლანდელი რომ შეადარო, უკან დაგვხია, რეგრესი განვიცადეთ.

კოვიდისას საზოგადოდ ალბათ ყველა დაზიანდა. ბავშვებისგან რომ დავიწყოთ, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ სოციალური გარემო, ფიზიკური აქტივობა, კომუნიკაციები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვი ხარ. ვფიქრობ, ყველაზე რთული მათთვის უნდა ყოფილიყო. ასევე, მარტოხელა ადამიანები დაიჩაგრნენ, იმიტომ რომ ყველას არ აქვს ის სიამოვნება, რომ ირგვლივ ოჯახი/საყვარელი ადამიანები ჰყავდეთ. ვერც წარმოვიდგენ, როგორ შეიძლება წლები სულ მარტო ყოფნა მოგიწიოს. ალბათ, ვიღაცებმა სამსახურებიც დაკარგეს და ამის გამო ეკონომიკურადაც ძალიან გაუჭირდათ და დარწმუნებული ვარ, რომ ყველას არ ყავს ირგვლივ ისეთი ადამიანი, რომელიც დაეხმარება. ყველა გაჭირვებაში იყო იმ პერიოდში და ამ კუთხითაც, ძალიან დიდი ნაწილი დაიჩაგრა. შედარებით სარგებლიანი პანდემია საავადმყოფოებისთვის იყო, იმიტომ რომ ძალიან ბევრი პაციენტი ჰყავდათ და ასევე, სარგებლიანი იყო იმ ლაბორატორიებისთვის, რომლებმაც შექმნეს ვაქცინები და შემდეგ გაიყიდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან დიდი რაოდენობით.

პანდემიის პერიოდიდან გაიხსენებენ, რომ აი, ერთ დროს გავრცელდა ვირუსი, რომელმაც პანიკაში ჩაძირა მთელი სამყარო, დედამიწა და თითქმის ყველაფერი იყო აკრძალული. ადამიანებში დიდი შიში გაღვივდა, ყველას ეშინოდა, პანიკაში იყო ყველა. თუმცა, რაღაცნაირად ერთმანეთს მაინც დავუდექით მხარში და როცა გვჭირდება, თურმე, შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ.

იმ პერიოდში ტელევიზიას არ ვუყურებდი საერთოდ, მასმედია ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენდა, ირგვლივაც ყველას, ვინც ამაზე საუბრობდა, მაქსიმალურად ვერიდებოდი, რეალურად მაინც არავინ იცოდა, რასთან ჰქონდა საქმე და რაზე ლაპარაკობდა, ყველა ინფორმაცია არ მიმაჩნდა სწორად და ამიტომ არც ვუსმენდი. ჩვენმა სახელმწიფომ რაღაც კუთხით მართლა ყველაფერი გააკეთა, რაც იმ პერიოდში იფიქრეს, რომ შეეძლოთ გაეკეთებინათ. რამდენად სწორი იყო ეგ უკვე სხვა საკითხია. ჩემი აზრით, ამაზე ეფექტურს ვერაფერს იზამდნენ. იყო უაზრო

რეგულაციებიც, რომლებიც მხოლოდ ჯარიმებისთვის იყო შემოღებული, რომ ეხეირათ.

პანდემიისთვის მზად არავინ არ ვიყავით. სხვა ქვეყნებში საავადმყოფოები ისე მობილიზდნენ, რომ მაქსიმალურად ადგილები იყო ადამიანებისთვის. ჩვენთან უბრალოდ ოთახებიც კი არ იყო, რომ ამდენი დაინფიცირებული მიეყვანათ, შეეყვანათ და ის მომსახურება გაეწიათ, რაც საჭირო იყო დასახმარებლად. უბრალოდ, რესურსი არ იყო მაგდენი. ზოგადად, ჩემი აზრით, სამედიცინო სექტორმა ძალიან კარგად გაართვა თავი სიტუაციას, მაგრამ ტექნოლოგიების და ადგილების ნაკლებობის გამო მაინც ვერ დაიდო ის შედეგი, რაც უნდა ყოფილიყო. თვითონ ექიმებმა თუ ექთნებმა ყველაფერი გააკეთეს იმ პირობებში, რაც ჰქონდათ, ეგ ზუსტად ვიცი.

სხვა მომაკვდინებელი დაავადებების დროს რამდენი ადამიანიც დაიხოცა, იმდენი არ დახოცილა კოვიდისას, ამიტომ წარსულის ცოდნა ამ მხრივ არაფრისმომცემი იქნებოდა. ტრადიციებს რაც შეეხება, ექიმბაშური და ცრურწმენული მომენტები უშუალოდ რწმენაზე ვისაც შეეხებოდა და დაიჯერებდა რაღაცებს, იმათ ალბათ ფსიქოლოგიურად უფრო გაუმარტივდებოდათ მდგომარეობის გადატანა. რეალური ეფექტი არ ექნებოდა, მაგას ვერ ვაღიარებ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არც მჯერა მსგავსი რაღაცების.

კოვიდ 19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს ვეტყოდი, მაგრად გვეღადავე-მეთქი.

ჩანაწერი

თამარ ყალაბეგაშვილი[5]

კოვიდის გავრცელების შესახებ გავიგე ტელევიზიით, საგანგებო შეხვედრა იყო, მგონი, მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ გამოსული და კიდევ გამყრელიძე ამირანი იყო და გამოაცხადეს, რომ პირველი შემთხვევა დაფიქსირდა ოფიციალურად. ოჯახმა გავიგეთ ტელევიზიით. მანამდე უკვე შეშინებულები ვიყავით, ვიცოდით, რომ სხვა ქვეყნებშიც იყო დაფიქსირებული და ყველა მოლოდინის რეჟიმში იყო, რომ საქართველოშიც დაფიქსირდებოდა. გულის სიღრმეში მაინც ვფიქრობდი, რომ უკვე რამდენიმე ადამიანს ექნებოდა, მაგრამ როდესაც ოფიციალურად გამოცხადდა, იყო შიშის შეგრძნება, საფრთხე სერიოზულად აღვიქვი. ჩემი ოჯახის წევრები ფიქრობდნენ, რომ საკმაოდ შორს წავიდოდა პანდემია და საკმაოდ გავრცელდებოდა. ჩემ გარშემო ვინც იყო, ყველა სერიოზულად აღიქვამდა ამ საფრთხეს. რამდენიმე ადამიანი იყო ისეთი, ვინც ფიქრობდა, რომ უბრალოდ სპეკულაცია იყო და არანაირი ვირუსი არ არსებობდა. საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ის პერიოდი, როდესაც ფიქრობდნენ, რომ არანაირი ვირუსი არ არსებობდა, სანამ მათ ახლობლებს/გარშემომყოფებს არ დაემართათ და არ იგრძნეს, რომ რეალური იყო. ყოველი დილა თავიდან ისე იწყებოდა, რომ ტელევიზიას ვუსმენდით, ვინ გამოვიდოდა და ვინ განაცხადებდა, რომ დღეს ამდენი შემთხვევა დაფიქსირდა, სტატისტიკა – რამდენია გამოჯანმრთელებული, რამდენია სტაბილურად, მძიმედ და ა.შ. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო არასაინტერესო ხდებოდა ამ ინფორმაციის მიღება.

ვირუსი ყველამ გადავიტანეთ, ოჯახის უფროს წევრებს გაუჭირდათ, მათ შორის პაპაჩემს დაემართა კოვიდი და ერთ-ერთი მიზეზი მისი გარდაცვალების ეგ იყო, დაასუსტა. მთავარ მიზეზად არ დაფიქსირდა, რადგან გამოჯანმრთელდა და შემდეგ მოხდა, მაგრამ ორგანიზმი დაუსუსტა და შესაბამისად, მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, არა სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ

[5] ინტერვიუ ჩაწერა და ტექსტი მოამზადა ნათია გოჯორაშვილმა

ისე. მე რამდენიმე დღე მქონდა სუნთქვის გაძნელება, მაგრამ საბოლოო ჯამში ადვილად გადავიტანე. პირველი დოზით ვაქცინირებული ვიყავი და სანამ მეორე დოზას გავიკეთებდი, შუალედში შემხვდა ვირუსი.

დაწესებული რეგულაციებიდან მახსენდება კომენდანტის საათი, კონკრეტული დროის შემდეგ არ შეგვეძლო გასვლა. ერთი უცნაური რეგულაცია იყო მანქანაში მძღოლის გვერდით თავისუფალი ადგილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლებოდა ოჯახის წევრთან ერთად გემგზავრა ასე, რომელთანაც მთელი დღე გქონდა უშუალო შეხება, მაგრამ მანქანაში ასე იყო. ასევე, პირბადე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ყველაზე რთული ჩემთვის პირბადით სიარული იყო, რადგანაც კანს მიღიზიანებდა და პირდაპირ დაკავშირებული იყო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, აკნეს გაუარესებას შეუწყო ხელი. ყველაზე მარტივი ჩემთვის კომენდანტის საათი იყო, იმიტომ რომ ისედაც ონლაინ რეჟიმში მიწევდა სწავლა და დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა სახლში 9 საათის შემდეგ ყოფნა, თუნდაც. გურჯაანში საზოგადოების ერთ ნაწილს ჰქონდა პროტესტი ყველანაირი რეგულაციის მიმართ და ფიქრობდნენ, რომ ეს ხალხის დამორჩილების ერთგვარი გზა იყო და ზოგი უბრალოდ კონსპირაციულ თეორიებში იყო ჩაკარგული და ხალხის დაზომბების მიმართულებით ფიქრობდა, რომ ამისთვის იყო ეს ყველაფერი. მაგრამ მეორე ნაწილი პირიქით, სხვებისთვის სამოტივაციო პოსტებსაც კი წერდა სოცქსელებში, რომ შენს სიცოცხლეს თუ გაუფრთხილდები, სხვისასაც გაუფრთხილდები ამით და ა.შ. ძალიან გაყოფილი იყო საზოგადოება ამ მხრივ, ერთ აზრზე არ ყოფილა. მათთვის იმის ცოდნა, საიდან გავრცელდა ვირუსი – მნიშვნელოვანი იყო. ჩინეთი იყო ის სახელმწიფო, საიდანაც გავრცელდა, მაგრამ ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ამერიკის მთავრობამ გადამალა და ჩინეთს გადააბრალა ეს ამბავი. ის ხალხი, რომელიც პროდასავლურად არ არის განწყობილი გურჯაანში, განსაკუთრებით თავდაჯერებული ლაპარაკობდა, რომ ეს ვირუსი ხელოვნურად იყო შექმნილი და გავრცელებული ამერიკის მიერ. თუ არ ეცოდინებოდათ, ზოგადად საიდან შემოვიდა ვირუსი დაბნეულობასა და გაურკვევლობას გამოიწვევდა და თუ ეს სხვა კონკრეტული ქვე-

ყანა იქნებოდა, მის მიმართ აგრესიაშიც გადაიზრდებოდა, იმიტომ რომ თვითონ ჩინეთმა, როგორც მახსოვს, დამალა საწყისი შემთხვევები და მათ მიმართ აგრესიაც საზოგადოების ნაწილში წამოვიდა. სხვა ქვეყნიდან დაწყების შემთხვევაში, ადრესატი შეიცვლებოდა მხოლოდ.

სამწუხარო ამბავი, რაც მახსენდება კოვიდისას, რეგულაციების ფონზე, დიდხანს დაგეგმილი გამოსაშვები წვეულება, რაც სკოლის დამთავრებას თან ახლავს, არ მქონია და არც ჩემ გარშემო, გურჯაანში რაც ვიცი, იმ სკოლებს ჰქონიათ. გულდასაწყვეტი იყო. უნივერსიტეტის რამდენიმე წელიც (1,5-2 წელი) ონლაინ გავატარე და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლაში ხელი შემეშალა. ყველაზე დასამახსოვრებელი ამ პერიოდიდან იყო ის ფაქტი, რომ ხალხში გავრცელდა პანიკა, რომ თითქოს მარაგები ამოიწურებოდა და შესაბამისად, მაღაზიებში იყო უდიდესი რიგები, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებს. ეგ კადრები რომ გავრცელდა, ჩემი გონებიდან არასდროს არ ამოიშლება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის წევრებიც კი გამოვიდნენ და თქვეს, რომ მარაგები შევსებულია და ალტერნატიული წყაროებიც არსებობს, საიდანაც შეიძლება კონკრეტული რესურსი შემოვიდეს, პანიკა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ ქაოსამდე მივედით. თვითონ გურჯაანშიც ჩემი თვალით მაქვს ნანახი როგორი ქაოსი იყო. ამოიწურა შაქრის მარაგი და თუ სადმე რამე იყო დარჩენილი, ადგილობრივ პატარ-პატარა ჯიხურებში იყო რიტორიკა, რომ „ნათესავებს გადავუნახავ“ და ა.შ. კონკურენცია იყო სერიოზული.

პანდემიური ცხოვრების ერთი დღე ჩემთვის გამოიყურებოდა ასე: დილით გავიღვიძებდი და მქონდა ლექცია, ვერთვებოდი ონლაინ. შემდეგ, რადგანაც რეკომენდაცია იყო, რომ სუფთა ჰაერზე გვევლო, ჩემი სახლის ეზოს ვიყენებდი იმ ადგილად, სადაც შემეძლო საკმარისი რაოდენობის ნაბიჯები დამეფარა, სუფთა ჰაერზე ვყოფილიყავი. შემდეგ ისევ მოვდიოდი სახლში, წიგნს ვკითხულობდი/ფილმს ვუყურებდი, საღამოს უბრალოდ ოჯახის წევრებთან ერთად ვატარებდი, რადგან სხვებთან კომუნიკაციას ვერიდებოდით ყველა. შემდეგ ისევ მსგავსი დღე იწყებოდა, არაფერი განსაკუთრებული და წინა დღისგან განსხვავებული.

ინფორმაციის მთავარი და სანდო წყარო ჩემთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ამბები იყო. არასანდო წყაროებს ნაკლებად ვენდობოდი. ტელევიზიასაც ვადევნებდი თვალს, სადაც კონკრეტული კლინიკების წევრები გვაცნობდნენ კონკრეტულ სტატისტიკას, თავიანთი გამოცდილების მიხედვით.

ოჯახურ ურთიერთობებში ის შეიცვალა, რომ უფრო მეტი დრო დავუთმეთ ერთმანეთს და უფრო მეტი რამ გავიგეთ ერთმანეთზე, მიუხედავად იმისა, რომ აქამდეც ოჯახის წევრები ვიყავით. ერთად ყოფნამ სხვა გასართობი საშუალებების ძებნისკენაც გვიბიძგა, მაგ. სამაგიდო თამაშების, ან ერთად ფილმის ყურება და სხვ. ამასთანავე, უარყოფითიც უნდა აღვნიშნოთ, ოჯახის ყველა წევრზე ცუდად აისახა პანდემია და ჩაკეტილობა. სამეზობლოშიც ზოგიერთისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა პანდემია, რადგან დააკარგვინა ოჯახის წევრი. სრულიად შეიცვალა ასეთი ხალხის ყოველდღიურობა, ჯანმრთელი ადამიანებიც კი იმსხვერპლა ჩემ გარშემო, იყო ასეთი შემთხვევებიც. ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სრულიად ახალი რეალობის წინაშე დადგნენ. ჩემი მეზობელი გარდაიცვალა საავადმყოფოში და მაშინ იყო რეგულაცია, რომ პანაშვიდი და ა.შ. მხოლოდ ოჯახურ წრეში უნდა გამართულიყო და სხვები არ უნდა მისულიყვნენ. შესაბამისად, მე პირადად, მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ვიყავი, არ მივსულვარ, პიკის პერიოდი იყო მაშინ. გაცილებაც ძალიან სადად და დახურულ სივრცეში მოხდა, საჯაროდ არ მომხდარა. პაპაჩემი პანდემიის დასასრულისკენ გარდაიცვალა, შესაბამისად, რეგულაციები მოხსნილი იყო, მაგრამ შედარებით ვიწრო წრეში გაკეთდა ყველაფერი.

დღესასწაულებს მოკრძალებულად აღვნიშნავდით. ახალ წელს მხოლოდ მეკვლე, ოჯახი და ოჯახის ძალიან ახლო ნათესავები. ზოგი დღესასწაული საერთოდ არ აღგვინიშნავს ჩვენს სახლში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერავის ვერ მოვიწვევდით შინ. რაც შეეხება აღდგომას, ის გამონაკლისი იყო, როცა თბილისიდან ჩადიოდნენ რეგიონებში, გურჯაანშიც ჩამოდიოდნენ. აღნიშნავდა ხალხი, ტაძარშიც ჩვეულებრივ დადიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები იყო, საზოგადოების ნაწილს

სჯეროდა, რომ ტაძარში პრობლემა არ შეექმნებოდა ვირუსის გადადების მხრივ. ჩემი აზრით, საკმაოდ ბევრი დაინფიცირდა მაგ დროს, მაგრამ კონკრეტული სტატისტიკა ვერ გვეცოდინება, რადგან ვერ გავიგებთ, მაგ მიზეზით დაინფიცირდა თუ უბრალოდ მაღაზიაში გასვლით. დიდი ალბათობით, ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იქნებოდა.

ჩემი ოჯახის ყველა წევრი აიცრა ჩვეულებრივ (არასრულწლოვანის გარდა). მე მხოლოდ ერთი დოზით ავიცერი, მეორემდე კოვიდი შემხვდა და რადგანაც გადავლახე, აღარ ჩავთვალე საჭიროდ მეორე დოზის გაკეთება. ჩემ გარშემო იყვნენ ცოლ-ქმარი, ქმარი შაქრიანი დიაბეტით, რომელიც აიცრა, ცოლი სრულიად ჯანმრთელი, რომელიც არ აიცრა (იმიტომ რომ ანტივაქსერი იყო). ორივეს ერთდროულად შეხვდა ვირუსი. ქმარი, რომელიც აცრილი იყო, გადარჩა და მისი მეუღლე, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ასაკშიც არ იყო, რომ მაინც და მაინც მაგას დავუკავშიროთ გარდაცვალება.

ჩვენს სოციუმზე ერთი კარგი დაკვირვება იყო ეს ყველაფერი. თუნდაც ის, რომ გამოიკვეთა საზოგადოების პოლარიზაცია. ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ საკითხში, საქართველოს მოსახლეობა არის ორ უკიდურეს ნაწილად გაყოფილი და პანდემიის დროსაც დავინახეთ, რომ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები ჩამოუყალიბდა ორ განსხვავებულ ფრთას. ერთ მხარეს იყვნენ უფრო კონსერვატორები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს არის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა და ერთი სოციუმის შექმნა, ხალხის დამორჩილების და დამონების მხრივ. მეორე მხარეს დიდად ლიბერალურ ფრთას ვერ დავუკავშირებ, რადგან თვითონ მაგ ფრთის წარმომადგენლებშიც გაჩნდა ეგ აზრი, რომ სახელმწიფოს როლი იზრდებოდა. რადგანაც სახელმწიფო უფრო გვაკონტროლებდა, ისინი რეგულაციების შემსუბუქებას ან აღმოფხვრას უფრო ემხრობოდნენ, თუნდაც, ქუჩების რეცხვა რომ ბიუჯეტის უაზრო ხარჯვა იყო ან კომენდანტის საათი ადამიანის უფლებების შელახვა და ა.შ. ეს ნაწილიც მეორე ფრთად საკმაოდ გამოიკვეთა და ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამაზე დაკვირვება.

ჩემს ოჯახში დისტანციურ სამუშაოს კარგად გავუმკლავდით, რასაც ვერ ვიტყოდი დისტანციურ სწავლებაზე. მუშაობა იმიტომ გაუმარტივდათ, რომ ზრდასრული ჩამოყალიბებული ადამიანები არიან და ზუსტად იციან, რა უნდა გააკეთონ. სწავლა ჩემი დისთვის, რომელიც სკოლის მოსწავლეა, იყო ძალიან რთული, რადგან დაემატა ახალი საგნები. ასევე, ჩემთვის – უნივერსიტეტის პირველი წელი იყო, სრულიად უცხო გარემო, ახალი საგნები, ახალი გამოწვევები, რომელთან გამკლავებაც რეალურ სივრცეშიც რთულია და მითუმეტეს პანდემიამ ეს უფრო დიდ გამოწვევად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ სახლი დიდი მაქვს და ყველას შეგვეძლო ოთახებში განვმარტოებულიყავით, იყო სივრცის დაკავების მხრივ პრობლემებიც. ვიღაცას ტელევიზორის ყურება თუ მოუნდებოდა, ის ხმა შემაწუხებელი იქნებოდა სხვისთვის, ასევე, ოჯახის ერთ-ერთი წევრი არასრულწლოვანია და ვერ იაზრებდა მაშინ, რომ მისი ხმაური სხვას ზიანს აყენებდა. რაც შეეხება ოჯახის ზრდასრულ წევრებს, ერთმანეთთან ვიყავით შეთანხმებულები, დროის რა მონაკვეთში გვჭირდებოდა სიჩუმე.

საქართველო კოვიდთან გამკლავების მხრივ არც უკანასკნელი იყო და არც მოწინავე, როგორც მახსოვს სტატისტიკიდან. ერთ-ერთი მაგალითი, რაც დამუშავებულიც მაქვს და შედარებით ვერკვევი, სინგაპურის მაგალითი იქნება. მათ რამაც გაუმარტივა საქმე, არის ის, რომ ტექნიკურად საკმაოდ განვითარებულები არიან, მათთვის არც ონლაინ სწავლება იქნებოდა გამოწვევა ისეთი მასშტაბით, როგორიც ჩვენთან იყო. ჩვენთან, მაგალითად, აკადემიურმა პერსონალმაც არ იცოდა ის ძირითადი რაღაცები (თუნდაც, ეკრანის გაზიარება), რაც ონლაინ სალექციო კურსის წარმართვისთვის საჭირო იყო. სინგაპურის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, უკვე რობოტების დონეზეც კი ხდებოდა გაკონტროლება და თერმო რეგულატორებიც ჰქონდათ ადამიანებს, აკვირდებოდნენ, ტემპერატურა ვის ჰქონდა ნორმაზე მეტი. მეორე მხრივ, ეგეც ადამიანების უფლებების შელახვაა და უზომოდ დიდ კონტროლზე გავდივართ, რისი უფლებაც მთავრობას არ უნდა ჰქონდეს წესით დემოკრატიულ სახელმწიფოში. ეს რეალობა დადგა და ამ ყველაფერს მაინც პოზიტიურად უყურებენ,

თუმცა, მარტო ერთი მხრიდან შეხედვა არ ვარგა, როცა ამ დონეზე მიდის კონტროლი. საერთო ჭრილში (სხვა ქვეყნების მაგალითებს თუ გავითვალისწინებთ), მგონია, ჩვენმა ქვეყანამ საშუალო პოზიცია დაიკავა ან საშუალოზე უფრო დაბალი. თავიდან კარგად ვმართავდით ვირუსს, როგორც მახსოვს, მაგრამ მერე სიტუაცია უკონტროლო გახდა. ეს საზოგადოების ბრალიც იყო, მარტო მთავრობას და მათ ნაბიჯებს ვერ დავაბრალებთ.

პანდემიასთან გამკლავების გამოწვევას რომ შევხედოთ, რა თქმა უნდა, უარყოფითი უფრო მეტია გამოცდილების მხრივ. მენტალურ ჯანმრთელობაზე იმოქმედა ძალიან და ეს პირადად ჩემ თავზეც გამოვცადე(ნერვული სისტემის დაძაბულობა და გადაღლა). სულ ონლაინ გიწევს კომუნიკაცია, ჯანსაღ ურთიერთობებს მოკლებული ხარ. ასევე, დავკარგეთ ძალიან ბევრი ძვირფასი ადამიანი და ესეც კიდევ მეტ სტრესად დააწვა ხალხს. დადებითი არის ის, რომ დროის ეფექტიანად მართვაც გვასწავლა და ის რაღაც, რაც ონლაინ შეიძლება გააკეთო ადამიანმა, სულაც არაა საჭირო თუნდაც ტრანსპორტირებაში დაკარგო დრო. დრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადამიანური რესურსია და ამის გაფლანგვისგან გვიხსნა. რამდენიმე სამსახური, როგორც ვიცი, ზუსტად პანდემიის მერე გადავიდა ჰიბრიდულ რეჟიმზე და დღემდე ასე ეფექტიანად მუშაობს. პანდემიამ გვასწავლა, რომ კონკრეტულ ქვეყანას უნდა შეეძლოს რაღაცაზე პასუხისმგებლობის აღება. თუნდაც ჩინეთის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ: ის ექიმი, რომელიც ამტკიცებდა, რომ აღმოჩენილია რაღაცა ახალი ვირუსი, სიკვდილით დასაჯეს. ეს, არ ვიცი, რეალური ფაქტია თუ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ჩინეთი, როგორც არადემოკრატიული სახელმწიფო, ასე მიუდგა რეალურ გამოწვევას და თუ კიდევ განმეორდება მსგავსი შემთხვევა, არ ვართ დაზღვეულები, რომ რომელიმე ქვეყანა იმავეს არ იზამს. არც იმისგან ვართ დაზღვეულები, რომ მსგავსი რაღაცები სხვა ქვეყნებში არ მოხდება. რაც შეეხება ადამიანებთან ურთიერთობას, ვისწავლეთ ის, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაქვს არა მარტო ჩვენს თავზე, არამედ სხვებზეც და ის, რომ მხოლოდ შენი თავის ბატონ-პატრონი ხარ, არაა ეგრე – შენ არ ხარ მხოლოდ ინდივიდი, შენ ხარ სოციუმის ნაწილი და ის, რაც შენ გე-

ხება, ეხება სხვასაც. ასევე, ყოველდღიურობაში შეიცვალა ის, რომ მეტწილად შემოვიდა ტექნოლოგიური მხარე, უფრო მეტად ვართ დამოკიდებული გაჯეტებზე, ვიდრე მანამდე ვიყავით და ეს ფაქტორია ყველაზე მეტად თვალშისაცემი დღესდღეობით.

პანდემიისას ყველაზე მეტად ჯანმრთელობის მხრივ ხანდაზმულები დაიჩაგრნენ, მაგრამ სხვა მხრივ (განვითარების მხრივ) – სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები განათლების მიღების საშუალების შემცირებისა და ხარისხის დაკლების გამო. პროფესიული თვალსაზრისით, ექთნებს ყველაზე მეტი დატვირთვა ჰქონდათ და იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ცვლაში გადაბმულად მუშაობდნენ, ზეგანაკვეთურ სამუშაოს ასრულებდნენ და არ ვთვლი, რომ საკმარისი ანაზღაურება ჰქონდათ იმის ფონზე, რა დატვირთვაც მათ ჰქონდათ. შედარებით სარგებლიანი კი იყო თუნდაც იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ვაქცინებზე მუშაობდნენ, მაგ.ფაიზერის კომპანია რომ ავიღოთ. რომ დავუკვირდეთ კომპანიის ზრდას, პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ მისმა თანამშრომლებმა და ვინც იყიდა აქციები, საკმაოდ დიდი მოგება ნახეს. ფაიზერს რომ თავი დავანებოთ, პირბადეების მწარმოებლები და სადეზინფექციო ხსნარის მწარმოებლებიც საკმაო მოგებით არიან. ბიზნესის დიდი ნაწილი გაკოტრდა, მაგრამ რაღაც ნაწილმა სპეციფიკური განხრით საკმაოდ დიდი მოგება ნახა.

პანდემიის პერიოდიდან გაგვახსენდება, რომ სახელმწიფოს მიმართ მაინც უნდობლობა გვაქვს. არ აქვს მნიშვნელობა, პრემიერ მინისტრი რომც გამოვიდეს, იმდენად დიდი უნდობლობა და ეიფორიაა ხალხში, რომ რა სპეკულაციაც არის, იმას მაინც აჰყვება საზოგადოების დიდი ნაწილი. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად საინტერესო და ძლიერ არგუმენტს დაუსახელებ. კიდევ ერთი, რაც ვისწავლეთ, ის არის, რომ უამრავი ცრუ/დეზინფორმაცია გავრცელდა ინტერნეტის საშუალებით და რა დონეზე შეუძლია ამას მასების აყოლიება, ცხადად დავინახეთ. თუ პანდემია არ იქნება და სხვა პრობლემა იქნება ქვეყანაში, მსგავსი დაკვირვება მსგავს შედეგს მოგვცემს. ამ პერიოდში, მთავრობის წევრებს ვუსმენდი, განცხადებას რომ ავრცელებდნენ და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს ასევე.

საწყის ეტაპზე ამირან გამყრელიძეს და ა.შ ვუსმენდი, მაგრამ რაღაც ეტაპზე ავტორიტეტი დაკარგეს მაგ ადამიანებმა საზოგადოებისთვის. ეს, ალბათ, გამოწვეული იყო იმით, რომ ხალხი ცალსახად შეწუხდა რეგულაციებით, ასევე რაღაც მხრივ მართლა გაზვიადებული იყო სხვადასხვა ფაქტორები პანდემიასთან დაკავშირებით. მათი განცხადებები, რომ პიკში შევდივართ, ამდენი გარდაცვლილი გვეყოლება და სხვა ნეგატიური ინფორმაციები, ძალიან გამაღიზიანებელი იყო საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, მათი გონება აღარ იღებდა მეტ ნეგატიურ ინფორმაციას, განსაკუთრებით პანდემიის მეორე წელიწადში. ზოგადად სახელმწიფომ თავიდან ადეკვატური ქმედებები განახორციელა. მაგრამ იყო რაღაც ნაბიჯები, რაც, ვფიქრობ, ბიუჯეტის არასწორი ხარჯვა იყო. თუნდაც, ქუჩების რეცხვა, რომელიც არანაირ კავშირში არ იყო პანდემიის გავრცელებასთან. რეგულაციებისთვისაც უფრო მეტად უნდა გადაეხედათ, უფრო მეტად სერიოზული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ადამიანის მძღოლის გვერდით ჯდომა/არ ჯდომა იყო. ჩვენს საზოგადოებას საკმაოდ გაუჭირდა ადაპტაცია პანდემიის პირობებში და განათლების სექტორი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი გვქონდა, თუ სხვა ქვეყნებს შევადარებთ. როგორც აღვნიშნე, არა მარტო მასწავლებლებს, არამედ უნივერსიტეტების პროფესორებსაც გაუჭირდათ ამ სიახლეებზე გადართულიყვნენ.

რაც შეეხება სამედიცინო სექტორს, მათაც გაუჭირდათ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ რესურსი, რაც ჩვენ გვქონდა მედიცინისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით, ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ რაოდენობას, რა მოთხოვნაც იყო პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი ფაქტორი, რაც მსმენია, ასევე, იყო ის, რომ ჟანგბადის მილების პრობლემაც კი გვქონდა და ადამიანებს სუნთქვის საშუალებაც არ ჰქონდათ. ან თუ დაუმაგრებდნენ ჟანგბადის მიწოდების დანადგარს, მათი კონტროლიც ვერ ხდებოდა, რამდენიმეს ფილტვებიც კი დაუზიანდა ამის გამო, მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა ჩემ გარშემო. ერთ-ერთი ჩამორჩენილი ჯანდაცვის სექტორი გვაქვს და ერთი მიზეზი ის არის, რომ შეიძლება საკმარისი კადრი გვყავდეს, მაგრამ საკმარისი ტექნოლოგიები მაინც არ გვაქვს.

ისტორიის ან ტრადიციების ცოდნა, ჩემი აზრით, არა თუ დაგვეხმარა, პირიქით, ხელისშემშლელიც იყო. ქართული ტრადიციები მაგ. ქორწილი და ქელეხი, ვიცით როგორი მასშტაბურია და ამან პანდემია გაამწვავა. მაგრამ თითქოს ხალხი მიეჩვია, რომ ამ ტრადიციებს თან მიჰყოლოდნენ, თან შეემცირებინათ და მოკრძალებულად გადაეხადათ. ეს დამკვიდრდება და გაგრძელდება, რეალურად მოახდინა თუ არა კოვიდმა გრძელვადიან პერსპექტივაზე ზეგავლენა, არ ვიცი.

კოვიდ-19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს, თავს მოვაკვლევინებდი, ვაიძულებდი, საერთოდ არ ეარსება.

ჩანაწერი

მედეა ლეკაშვილი[6]

მაშინ, როცა იყო არდადეგები, ვიყავი ისედაც მაჩხაანში. იმ დროს უნივერსიტეტში ვსწავლობდი, უნდა ჩამოვსულიყავი და თავიდან საინფორმაციოდან გავიგე კოვიდ პანდემიის დაწყების შესახებ. არ დავიჯერე, როდესაც ეს გავიგე და მერე არგუსზე მომივიდა მეილი, რომ მდგომარეობის გამო სწავლა იქნებოდა ონლაინ და ა.შ. სამსახურში, ისედაც, ონლაინ ვმუშაობდი და ამიტომ პრობლემა არ შემქმნია. თავიდან სერიოზულად არ აღმიქვამს საფრთხე, გონებამ არ დაიჯერა ეგ ამბავი. გარშემომყოფთა რეაქციიდან, ყველაზე მეტად ჩემი დის რეაქცია მახსოვს, რომ „ვაიმე, რა გვეშველება“ და თან, საინფორმაციოდან ვიდეოები რომ ვრცელდებოდა, რა ხდებოდა კლინიკებში და მედპერსონალი როგორ აღიქვამდა ამ მდგომარეობას, როგორ ტიროდა და როგორი პანიკა იყო, მე მგონი ამან უფრო დამძაბა. სახლში ერთი ჩემი და იყო, რომელმაც ძალიან ისე სხვანაირად ინერვიულა და სხვანაირად მიიღო ეს ინფორმაცია. მაგ დროს აღვიქვი, რომ „მოიცა, რაღაც ისეთი ხდება?!“ „მართლა შეიძლება ასეთი რაღაც მოხდეს?!“ ერთი მაგ დროს მქონდა შეგრძნება. თავიდანვე ვერ ვიტყვი, რომ პანიკაში ჩავვარდი, მაგრამ ძალიან დაძაბული ვიყავი. პირველი ინფიცირებულის შესახებ ინფორმაცია მახსოვს, ვინ იყო, სიმართლე გითხრა, არ მახსოვს, მაგრამ რეაქციები და მისი გამოჯანმრთელების ამბავი მახსოვს, ძალიან ველოდებოდით ამ ინფორმაციას. სტატისტიკურ მონაცემებს თვალს ვადევნებდი და მოქმედებდა ჩემზე. ყველაზე უცნაური ჩემი დამოკიდებულება იყო. კახეთი, თუ გახსოვს, მწვანე ზონად იყო გამოცხადებული დიდი ხანი, მგონი, 2 თვე (შეიძლება, თვე-ნახევარი) ერთი ინფიცირებულიც არ შემთხვევაში, ეს არავის გაუჟღერებია) და მე რადგან იქ ვიყავი, ოღონდ აქ ის არ იყო მარტო, რომ მე არ მეხებოდა ან რაღაც, რაღაცნაირად, ეგ ამბავი მაიმედებდა, რომ ასეთი ზონა არსებობდა, რომ არავინ არ იყო ინფიცირებული და ბოლომდე ველოდებოდი, რომ იქნებ დაინფიცირების გარეშე გა-

[6] ინტერვიუ ჩაწერა და ტექსტი მოამზადა ნათია გოჯორაშვილმ

მოვძვრეთ. სტატისტიკა თავიდან მოქმედებდა ძალიან ცუდად, იმიტომ რომ ემატებოდა და ემატებოდა. გამოჯანმრთელებულების სტატისტიკასაც, რა თქმა უნდა, ვეცნობოდით. პირველი გარდაცვალება მახსოვს ძალიან მწარედ, პაციენტი რომ გარდაიცვალა კოვიდით. რაღაც პერიოდის მერე თითქოს მივეჩვიე. ძალიან მარტივად რომ ეჩვევი, რომ რაღაც ვირუსი არსებობს, რომელიც არ ვიცით რამდენი ხანი იარსებებს, მაგრამ არსებობს. პირველი ორი კვირა, ალბათ, უფრო ყველაზე ისეთი იყო, სანამ გადახარშავდა ჩემი გონება, რა ხდებოდა ან როგორ ხდებოდა. ოჯახში ვირუსი პირველად დედაჩემს შეხვდა, ოღონდ პირველ სამ თვეში არა. დედაჩემის ძმა გარდაიცვალა კოვიდით, თუმცა, სანამ კლინიკაში მივიდოდა, მხოლოდ მაღალი სიცხე ჰქონდა და ახველებდა. ძალიან შეშინებული იყო, მაგრამ რომ გითხრა, ძალიან ჩვეულებრივად კომუნიკაციაზე გამოდიოდა და თავისი ინიციატივით, თავისი ფეხით მივიდა კლინიკაში. მეორე დღეს გარდაიცვალა. ოღონდ, აპარატი დაუდგეს და დააძინეს, მოკლედ. სრულიად გაუგებარი იყო ჩემთვისაც და დედაჩემისთვისაც როგორ შეიძლებოდა, ადამიანი თავისი ფეხით მისულიყო კლინიკაში და რამდენიმე საათში რატომ უნდა დააძინო პაციენტი?! ხომ, ნუ მერე იყო იქ თავისი ახსნები და ა.შ, მაგრამ ამ მხრივაც უკვე ძალიან შეშინებული იყო დედაჩემი და როცა კოვიდი დაემართა, სახლში მოაწყო, ასე ვთქვათ, იზოლაცია და სახლში გადაიტანა კოვიდი დედაჩემმა. ბიძაჩემის ამბავი არავის არ გაუსაჩივრებია, იმიტომ რომ ასეთი პასუხი იყო, რომ ფილტვები ჩაეკეტა და ნუ კოვიდმა ასე იცის, რომ ძალიან მალე დამძიმდა, რამდენიმე საათში. მაგრამ არ ვიცი, სიმართლე გითხრა, ასე რამდენად შემიძლია კომენტარის გაკეთება, იმიტომ რომ ჩემთვისაც ძალიან უცნაურია. ფაქტი ის იყო, რომ კომუნიკაციაზე იყო, როცა შევიდა ჩვეულებრივ და ამის შემდეგ კომუნიკაცია დავკარგეთ, იმიტომ რომ მაშინვე, სულ რაღაც 2 საათში დააძინეს.

დაწესებული რეგულაციებიდან ყველაზე მეტად ჩამრჩა ის, რომ 3 ადამიანზე მეტის შეკრება არ შეიძლებოდა. პრინციპში, სამი მახსოვს სულ, ისინი რომლებიც ძალიან შემეხო. მეორე იყო, ტრანსპორტით გადაადგილებაც რომ აიკრძალა, თუ გახსოვს. ეს არ ვიცი კარგად გამახსენდეს თუ ცუდად იმიტომ, რომ მაგ დროს

მე მაჩხაანში ვიყავი და ყველას გვყავდა ველოსიპედები და გადავაადგილდებოდით ასე. ველოსიპედებს არ ეხებოდა ეს აკრძალვა. მესამე იყო კარანტინი, იმიტომ, რომ მერე თვითონ კოვიდპანდემია რომ დასრულდა, გარკვეული შიში გამიჩნდა ღამე გასვლის, მეგონა, რაღაც ისეთს ვაკეთებდი, რაც არ უნდა გამეკეთებინა და ძალიან მეშინოდა მართლა. ეგ იყო, რაც დამამახსოვრდა. აი, ცხრის მერე სადმე წასვლის, ეს იქნებოდა მაღაზია, ბარი – შიში გამიჩნდა, არ ვიცი, რატომ, უკვე ფსიქოლოგიურად ცოტა შევირყიე, მაღაზიაში რომ გავდიოდი, მეგონა რაღაც ისეთს ვაკეთებდი, რისთვისაც დავისჯებოდი. ხო, ეგ სამი მახსოვს ყველაზე მეტად. რადგან მე მანქანით ისედაც არ დავდიოდი, იმიტომ რომ არ მყავს, ალბათ, ყველაზე მარტივი შესასრულებელი ტრანსპორტის შესახებ რეგულაცია იყო. სამ კაცზე მეტი რომ არ უნდა შევკრებილიყავით, ეგ იყო ურთულესი შესასრულებელი, იმიტომ, რომ ფაქტობრივად გწყვეტენ ყველანაირ კომუნიკაციას. სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რამდენად ვასრულებდი, ფაქტობრივად, არ შემისრულებია. ძალიან აკონტროლებდნენ სიტუაციას ამ მხრივ და პატრულირება იყო 24 საათის განმავლობაში. იქ გვქონდა ტყე და ასე მოვიფიქრეთ ახალგაზრდებმა, რომ აგვეშენებინა ქოხი და იქ ვიკრიბებოდით, სამზე მეტიც ვიყავით ხოლმე. თან თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ ბუნებაში არ გადაგვედება და რაღაც, ერთმანეთთან ახლოს არ მივიდეთ და ა.შ. ა, ხომ, პირბადის ტარების რეგულაციაც მახსენდება. ყველგან პირბადით სიარული ძალიან უცნაური იყო თავიდან. ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, ვერ წარმოვიდგინე, პირველად რომ მეკეთა, სულ როგორ უნდა მკეთებოდა, მაგრამ, ნუ, ძალიან დიდი ხანი დავდიოდი პირბადით. რაც შეეხება რეგულაციების აღქმას მოსახლეობის მხრიდან, სიმართლე გითხრა, ოჯახის გარდა მხოლოდ ახალგაზრდებთან (ჩემს მეგობრებთან) მქონდა კომუნიკაცია, მაგრამ რომ არ მოვიტყუო, მაინც და მაინც მგონია, რომ კი იყო ყველა შეშინებული, მაგრამ, იცი, როგორ? ალბათ, სახლებში მაინც ხდებოდა შეკრებები. ყოველ შემთხვევაში თავიდან შეიძლება არა, მაგრამ შუა მონაკვეთში, როცა თითქოს შეეჩვივნენ სიტუაციას და გადავიდნენ იმაზე ფიქრზე, რომ სულ ასე ხომ არ ვიცხოვრებთ, პანდემია სულ შეიძლება გაგრძელდეს და რაღაც

და უკვე გახშირდა კომუნიკაცია. ვერ გეტყვი, რომ არ აღიქვამდნენ სიტუაციას სერიოზულად. აღიქვამდნენ, იმიტომ რომ რაღაც მხრივ პანიკა იგრძნობოდა: ყველა პირბადით იყო ყოველთვის გარეთ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ რაღაც შუა პერიოდში იყო. ახლა ყველა რეგულაციას არავინ არ იცავდა, მეც არ ვიცავდი. მგონია, რომ მოსახლეობისთვის თავიდან შეიძლება ყოფილიყო მნიშვნელოვანი იმის ცოდნა, თუ საიდან გავრცელდა ვირუსი. მერე უკვე ცოტა იუმორიც ჩაირთო, ამ ღამურაზეც უამრავჯერ ვიხუმრეთ. მე, მაგალითად, ძალიან ხშირად გამიგია, რომ თუნდაც ეს ვირუსი არის სპეციალურად შექმნილი და გამოფანტული და ა.შ. მარტო მაჩხაანში არა, ზოგადად გავრცელებული თეორიები იყო ეს და მაინც და მაინც არ ვიცი რამდენად უკირკიტებდნენ ამ თემას, მაგრამ ბევრნაირი ინტერპრეტაცია გამიგია ამ ამბის. რომელიმე მათგანს ვერ გამოვყოფ, რომელიც ყველაზე მეტად ყურადღების მისაქცევი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემთვის.

ისტორია/მოვლენა რაც პანდემიას უკავშირდება და მახსენდება, არის ის, რომ მეილებით კომუნიკაცია დავიწყე, იმიტომ რომ ვერ ჩამოვდიოდი თბილისში, აიკრძალა ტრანსპორტი რაღაც პერიოდით თბილისში და ფიზიკურად ვერ ვახერხებდი წამოსვლას, ტანსაცმელი მაინც რომ წამომეღო, მაგიტომაც კი ვეღარ ჩამოვედი. 3-4 თვე მომიწია იქ ყოფნა და რადგან ასეთი დისტანციური სიტუაცია შეიქმნა (არ ვიცი, როგორ მოვიფიქრეთ ეს, სიმართლე გითხრა, ან ვინ მოიფიქრა). მე და ჩემმა მეგობრებმა ვიფიქრეთ, რომ მოდი, ვითომ ძველ დროში ვცხოვრობთ, რაღაცა ვირუსია გავრცელებული და ერთმანეთთან რადგან წერილებს ვერ გავაგზავნით ფოსტით, მივიწეროთ ელექტრონული წერილები. ამ წერილებზე შეიძლება, თვეში ერთხელ გვეპასუხა ერთმანეთისთვის, ოღონდ ვწერდით მთელ ამბებს, იყო 2-3 თაბახის ფურცელი. მივხვდი, რომ ყველა ჩემს მეგობარს ჰქონია წერის ნიჭი, უმაგრეს ამბებს მიყვებიან საერთოდ, რაც ესემეს შეტყობინებაში არასდროს არ ჩანდა და მაგიტომ მივხვდი, რომ ძალიან მომწონს ასეთი კომუნიკაცია. რთულია ცოტა, მაგრამ მომწონს, დრო ჭირდება. გარდა ამისა, ყველაზე დასამახსოვრებელი პანდემიის პერიოდიდან ის არის, რომ ადამიანებმა ერთმანეთი უფრო

მეტად დავაფასეთ, სიცოცხლეც დავაფასეთ, ჯანმრთელობაც. იმიტომ, რომ, ხომ გეუბნები, როგორ შეიძლება სამ საათში ავადობით, ვირუსით, ხველითა და სიცხით მოკვდე, ხომ? აი, ეგ გავიაზრე, რომ შეიძლება ასეთი რაღაც მოხდეს ან განმეორდეს. როგორი ჩვეულებრივია ეს ყოველდღიურობა – რომ გამოვედი, წავედი, სადაც მინდა, არც პირბადე მიკეთია, არც არანაირი რეგულაცია არაა... ისიც ძალიან უცნაური იყო, როგორ გაჩვეულებრივდა რამდენიმე კვირაში პანდემია და რაღაცა თითქოს ისეთი არაფერი არ ხდებოდა. მეც რომ გადავიტანე კოვიდი, სიმართლე გითხრა, არანაირი გართულება არ მქონია, ცოტა მეშინოდა, რომ ცუდი ხველა მქონდა და რაღაც, მაგრამ ჩვეულებრივად მივიღე. პირველ ეტაპზე რომ მომსვლოდა, ჩვეულებრივად არ მივიღებდი, მაგრამ უკვე ისეთ დროს დამემართა, რომ აღარ დავპანიკდი.

პანდემიური ცხოვრებიდან ერთ დღეზე თუ დავფიქრდები, სიმართლე გითხრა, ჩემთან ყველაფერი კარგად დარეგულირდა. რას ვგულისხმობ: ვიძინებდი საღამოს 10-11-ზე, ვიღვიძებდი დილით 7-8 საათზე, ანუ მივხვდი, რა ყოფილა დილა, იმიტომ რომ 12 წლის მერე მართლა არ ვიცოდი ეგ. სკოლაშიც რაღაც პერიოდის მერე არ მივლია და 9-ზე როგორ იღვიძებდნენ, უბრალოდ ვერ ვხვდებოდი. რადგან დარეგულირდა ძილი, დარეგულირდა თითქოს კვების რეჟიმიც და ძალიან მოწესრიგებულ რეჟიმში ჩავდექი. ალბათ, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, სამსახურიც ონლაინ მქონდა და უნივერსიტეტიც. არსად გასაქცევი რომ არ ვიყავი, მაგანაც იმოქმედა და თან ორიენტირი გადავიტანე, რაღაცით ხომ უნდა შემევსო ჩემი დღე, რაღაცაზე ხომ უნდა მეზრუნა. თავიდან გააზრებულად დავიწყე ამ ყველაფრის კეთება და მერე უკვე იმდენად მივეჩვიე ამ რეჟიმს, რომ სხვანაირად ვეღარც ხდებოდა. აი, ბოლოს უკვე ისე ვიყავი, 9 საათზე რომ იყო კომენდანტი, მე 9-ზე ვიძინებდი მართლა და მეგონა, რომ დასასრული იყო დღის და სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო?! რაღაც პერიოდი გაგრძელდა ეს, მაგრამ ახლა ისევ ისე ვარ, როგორც პანდემიამდე ვიყავი. პანდემიის პერიოდში საინფორმაციოდან (უფრო სოციალური ქსელებიდან) ვიღებდი ინფორმაციას, მაგრამ არ ვიცი რამდენად სანდო იყო, უბრალოდ ვუსმენდი რაღაც პერიოდი, მერე უკვე აღარ. რაღაც პერიოდის მერე უკვე ყველა-

ნაირი საინფორმაციო ავკრძალე, ასე ვინმესგან თუ რაღაცას გავიგებდი. ჩემი და არის ჩემს სახლში ყველაზე დიდი საინფორმაციო წყარო: რომ იღვიძებს, მაგისი დილა იწყება იმით, რომ ნიუსს კითხულობს და დააფარფატებდა ამ ინფორმაციას, რომელიც საერთოდ მზარავდა და რაღაც პერიოდის მერე მართლა ყველაფერი ავკრძალე. სამეგობროშიც ასე გადაწყდა, რომ აღარ ვლაპარაკობდით უბრალოდ ამ თემაზე იმიტომ, რომ ძნელი იყო. ოჯახურ ურთიერთობებს რაც შეეხება, სიმართლე რომ გითხრა, პირველი პოსტი, რაც პანდემიის დროს შემხვდა და რაზეც გამეცინა, იყო ჩემი მეგობრის. მსახიობია და პანდემიამდე სულ გადატვირთული რეჟიმი ჰქონდა, ჰო და დაპოსტა, რომ „ჩემი ოჯახის წევრები გავიცანი და არ ყოფილა ცუდი ხალხიო“. მესმის, რომ იუმორია, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ მეც ეგრე ვიყავი, რომ, აი, რა კარგია სახლში ყოფნა, თითქოს, უფრო მეტად გავიცანი ოჯახის წევრები, იმიტომ, რომ ისედაც სატელეფონო კომუნიკაცია უფრო გვქონდა ხოლმე. პანდემიას მე მგონია, რომ ორივენაირი შედეგები ჰქონდა ალბათ. მე რაც ვიცი, კარგი შედეგებიცაა და ცუდიც. რამდენიმე ჩემი მეგობარი პარტნიორს დაშორდა იმიტომ, რომ არ ვიცოდი, ასეთი აუტანელი თუ იყოო(რაღაც მსგავსი მიზეზის გამო). მაგრამ, პირიქით, ზოგმა, ვიცი, რომ ერთმანეთი უფრო კარგად გაიცნეს და უფრო მეტად დააფასეს და მიხვდნენ, რომ უი, რა მნიშვნელოვანი ადამიანები გვყავს, თუ რაღაც. ასე რომ ორივე შედეგი ძალიან ბუნებრივია, რამე მოულოდნელობა არც ერთში და არც მეორეში არ ყოფილა, იმიტომ, რომ ეგრე ხდება ხოლმე. სამეზობლოზე რომ ვილაპარაკოთ, არ დავკვირვებივარ, სიმართლე გითხრა, მაგრამ ძირითადად იყო კითხვები ერთმანეთთან ან თუ უბანში სადმე შეხვდებოდნენ, რომ ვინმე შენიანი ხომ არ არის ცუდად, როგორ ხართ და ა.შ. ალბათ ერთმანეთმა უფრო დააინტერესათ ამ კუთხით, დანარჩენი რომ გითხრა, რა ხდებოდა სამეზობლოს შიგნით მაჩხაანში, არ ვიცი, იმიტომ რომ მისალმების დონეზე მქონდა ურთიერთობა ჩემს მეზობლებთან და ეგ იყო მხოლოდ. ძალიან ბევრი გამახსენდა ვინც დაქორწინდა პანდემიის პერიოდში. მაჩხაანში უშუალოდ არ ვიცი, ისედაც, ასაკიანი მეზობლები მყავს, ან ბავშვები ჰყავთ უკვე. მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანის დაოჯახება გავიგე

და ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მეგობარია, ჩემი კარგი ნაცნობი, რომელმაც თქვა, რომ გასართობი აღარაფერი მქონდა და გადავწყვიტე დავოჯახებულიყავიო. თან ისიც ვიფიქრე, რომ სულ ასე არ გაგრძელდესო – ამანაც უბიძგა.

დღესასწაულებს რაც შეეხება, მახსენდება აღდგომისა და ჩემი დაბადების დღის აღნიშვნა. ჩვენ, ამ შემთხვევაში ახალგაზრდობა, შევიკრიბეთ ჩვენ მიერ აშენებულ ქოხში და იქ დავანთეთ ცეცხლი. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ყველანი უნდა მივსულიყავით ცალ-ცალკე, იმიტომ რომ ერთად ათი კაცი ვერ მივიდოდით. ყველა 10-15 წუთგამოშვებით გავდიოდით, იმიტომ რომ იქ ცენტრი უნდა გავიაროთ, სადაც პატრული იდგა და მოვხვდეთ ტყეში. მერე აღმოვაჩინეთ, რომ უამრავი შემოვლითი გზა არსებობს, უბნებიდან რომ გადმოვჭრათ და რაღაც და რაღაც... აი, ეს ძალიან სასაცილო იყო: ისინი იქიდან მოვლენ, ესენი – აქედან და ა.შ.

აღდგომაც ასე აღვნიშნეთ: პასკები, პეროგები და ვინც რამე სახლში გამოაცხო, მოვაგროვეთ და ყველას რაღაცები მიგვქონდა. აღდგომა უკვე მაისში იყო, 2 მაისს, როგორც მახსოვს და უკვე კარგი ამინდი იყო, ცეცხლიც არ დაგვჭირდა. სასაფლაოზე არ ავსულვარ, მაგრამ მახსოვს, რომ დედაჩემი იყო მამამისის საფლავზე, სოფელშია დასაფლავებული. ეგეც რაღაც დღეებში შეგვეძლო კონკრეტულად ასვლა და არა ისე, როგორც გვინდოდა. ზოგადად, საფლავზე გასვლის ტრადიცია გვაქვს ოჯახში, მაგრამ მე იმ წელს არ გავსულვარ და მახსოვს, რომ ჩემი ოჯახიდან მარტო დედაჩემი იყო. პანდემიის პერიოდში სამეზობლოში არ გარდაცვლილა არავინ, მაგრამ ბიძაჩემი როდესაც გარდაიცვალა, ჯერ ის იყო საშინელება, რომ სრულიად თავისი ფეხით მივიდა სიცხით (37.8 ჰქონდა) და ხველით (ახველებდა ჩვეულებრივ, არც მშრალი ხველა ჰქონია) და ნახევარ დღეში ფაქტობრივად გარდაიცვალა. როგორ ჩამოასვენეს: გახსნა არ შეიძლებოდა და ორ საათში დამარხეს, მე ვერ ავედი, არ ვიცოდი, თუ ასე მოხდებოდა ეგ ამბავი, უბრალოდ ვერ წარმოვიდგენდი. ეს იყო ძალიან დიდი საშინელება იმიტომ, რომ მე მგონია, ცხოველებსაც, მითუმეტეს ჩვენს ქვეყანაში, ცხოველებსაც არ ვაფასებთ, მაგრამ ეგრე არავის არ ექცევიან. თუნდაც ყოფილიყო პარკში, მაგრამ 2 საათში მიწაში ჩაგდებას გავდა ეგ ამბავი და ძალიან ცუდი და მძიმე იყო.

რაც შეეხება ვაქცინაციას, როგორც მახსოვს ფაიზერით აიცრა ძალიან ბევრი. თავიდან რაღაც სხვაც იყო, სინოფარმით აიცრა, როგორც მახსოვს, ძალიან ბევრი ადამიანი ჩემ გარშემო და ეს რაღაცა აზრთა სხვადასხვაობა ძალიან დამთრგუნველი იყო. მგონია, რომ ძალიან ჩვეულებრივ ადამიანის უფლებაა, არ უნდოდეს აცრა. ეს დაპირისპირებაც ძალიან არ მომეწონა, იმიტომ, რომ მე თვითონაც არ ავცრილვარ. ოღონდ არ ვარ ანტივაქსერი, უბრალოდ, ჯერ ერთი, უკვე გადატანილი მქონდა კოვიდი და თან ის მომენტი მქონდა, რომ არ ვიცოდი რეალურად რამდენად ვენდობოდი. ოღონდ ეს ის კი არ არის, რომ ვაიმე, რამე არ დამემართოს და ა.შ. ცხოვრებაში ალერგიაც კი არაფერზე მქონია და ჩემი ორგანიზმი ისეთია, რომ აცრა არაფერს არ მიზამს, მაგრამ, ხო, ხალხის ეს დამოკიდებულება ძალიან არ მომწონდა. ის დამოკიდებულება მახსოვს კიდევ, რომ ორსულობას ხელს უშლიდა თუ რაღაც ეგეთი და ნიშნისმოგებით ლაპარაკიც ძალიან მიუღებელი იყო: „ჩემმა ნათესავმა გაიკეთა, აქამდე ბავშვი არ ყავდა და ორ კვირაში დაორსულდა“. ანუ რაღაც ძალიან ისეთი უაზრო, რადიკალური წინადადებები...

პანდემიის პერიოდში ქართულ სოციუმზე მაინც და მაინც ახალი არ გამიგია, მაგრამ რაღაც მხრივ (ჩემ გარშემო, ყოველ შემთხვევაში) ძალიან მომეწონა, რომ უფრო მეტი მხარში დგომა და ყურადღება იყო, ოღონდ არ ვიცი, რამდენად შემიძლია ამის განზოგადება, იმიტომ რომ ჩემთან დავაკვირდი უშუალოდ. მთლიანობაში, არ ვიცი. ბევრი გაკიცხვაც იყო, რომ, მაგალითად, თუ დააცემინებდა ადამიანი, წიხლით ჩაექოლათ, თუ როგორ გაბედა გამოსვლა. მესმის ეს პანიკა რაღაც მხრივ, მაგრამ ჩემი აზრით ცოტა ზედმეტი რადიკალურობაც მიუღებელია.

სწავლასა და მუშაობას რაც შეეხება, რადგან ეს იყო ეტაპი, რომ დისტანციურ სწავლაზე პირველად გადავედით, ვერ ვიტყვი, რომ დალაგებული იყო პროცესი. ფაქტობრივად, მთელი სემესტრის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ 4 ლექცია ჩაგვიტარდა 3 თვეში, იმიტომ, რომ ვერ ადაპტირდა უნივერსიტეტი უცებ და გაჭირდა რაღაცნაირად. ძირითადად გვქონდა დავალებები და კომუნიკაცია ფაქტობრივად არ გვქონია, ჯგუფელებს არ ვიცნობდი სახეზე, მერე უფრო დაიხვეწა ეს ჰიბრიდული და ონლაინ

ფორმატი, მაგრამ იმ სემესტრში არ იყო ეგრე მაინც და მაინც. ასე რომ, მხოლოდ შუალედურები დავწერე, ისიც არც ისე კარგად დავწერე, ჩემი აზრით, მაგრამ ის იყო, რომ თითქოს გარანტირებული გვქონდა ქულები, იმიტომ, რომ ისეთ რეჟიმზე გადავედით, რაც ყველასთვის უცხო იყო. სამსახურს რაც შეეხება, იმ პერიოდში ისედაც ონლაინ ვმუშაობდი და თან ქართულ-ამერიკული ორგანიზაცია იყო, თვითონ ამერიკაში იყვნენ და კოვიდი დიდად არ შეხებია ამ შემთხვევაში ჩემს სამსახურს.

პანდემიის მართვა, არ ვიცი, ასე როგორ შევაფასო, მაგრამ ფაქტია, ასეა თუ ისე გაუმკლავდა მსოფლიოს ქვეყნები გამოწვევებს, მათ შორის საქართველოც. ჩვენ გვყავს, მაგალითად, ოჯახის ექიმი, რომელიც არის ძალიან ადეკვატური ექიმი, ჩემი აზრით, თავის სფეროში, ყოველ შემთხვევაში. მე მახსოვს, თუ ვინმე ცუდად ხდებოდა (ძირითადად ჩვენი რეგიონიდან, ნუ რამდენიმე სოფლიდან მოკლედ) პაციენტები რომ მიდიოდნენ ამ ექიმთან, მართლა სასთუმალთან ეჯდა, სანამ არ გამოაჯანმრთელებდა და ძალიან მომწონდა მისი ეს დამოკიდებულება. ამ კონკრეტული მაგალითის რაღაც კონკრეტულ სეგმენტზე გადანაწილებაც შეიძლება, მგონია, და ჩემი აზრით, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია სიცოცხლე და ყველა ცდილობდა, რომ ასე თუ ისე მაქსიმალური გაეკეთებინა... თუმცა, ყველა შემთხვევაზე ვერ ვიტყვი, თუნდაც, ბიძაჩემის ამბავი, მგონია, რომ რაღაც ძალიან არასწორად მოექცნენ, არ ვიცი, ვერ გეტყვი.

ეს ყველაფერი თითქოს ფილმის სცენარივით იყო თავიდან, მე ფილმში მეგონა თავი, იმიტომ, რომ ეს აკრძალვებიც რომ მესმოდა, ვერ ვიჯერებდი, რომ რეალურად შეგვეხებოდა. თავიდან ინფორმაციის დონეზე როდესაც ვიგებდი, ვერ გადმომქონდა რეალობაში... უარყოფითი მხარე პანდემიის ის იყო, რომ უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და საშინელი დანაკარგია. დადებითი ალბათ ის, რომ ფორსმაჟორში, უცებ გამკლავების უნარი გამოუმუშავა სოციუმს. თუნდაც ის, რომ არსებობს ჰიბრიდული რეჟიმი და მე მაშინ არ გამეგო ონლაინ კურსების არსებობის შესახებ. ახლა შემიძლია, თუნდაც, ონლაინ გავიარო რაღაცები. მგონია, ამ პერიოდმა უფრო დაამკვიდრა ეს. მე მესმის, რომ დადებითი რამდენიც არ უნდა ჩამოვთვალო, ვერასო-

დეს გადაწონის უარყოფითს, იმიტომ რომ სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი არ შეიძლება რამე იყოს. მაგრამ მგონია, რომ სწრაფად კონცენტრაცია თუ რაღაც ვისწავლეთ და თუნდაც სამედიცინო სფეროშიც ერთ-ერთი დიდი გამოცდილება იყო იმ მხრივ, რომ რაღაცაზე უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ. უცებ შეიძლება მოვიდეს რაღაცა ისეთი ვირუსი, რომელმაც მეოთხედი ადამიანებისა იმსხვერპლოს. პანდემიამ გვასწავლა, რომ ჯანმრთელობა, თავისუფლება და შენ ნებაზე ყოფნა (ჩვენ რასაც აღვიქვამთ თავისუფლებად) ძალიან შეჭიდულია დედამიწასთან, გარესამყაროსთან და ყველანაირ ყველაფერთან აბსოლუტურად და ეგ იყო.

პანდემია რომ დასრულდა, მართლა ძალიან უცნაური იყო რეალურად სამყაროს აღქმა, რომ ეს ნამდვილად გამოვიარე და იქამდეც რომ თავისუფლად ვცხოვრობდი, უფრო მეტად დავაფასე. პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურობაში ის შეცვალა, რომ ჰიბრიდული რეჟიმი შემოვიღეთ და გავიაზრეთ, რომ ჰიბრიდული სწავლება და მუშაობა ჩვეულებრივ მოხერხებადია. სხვა ისეთი ადამიანურ ღირებულებებში თუ რამე შეიცვალა, ასე ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ არ მიფიქრია მაგაზე. პანდემიის დროს ყველაზე მეტად მგონია, რომ ექიმები დაიჩაგრნენ, მასობრივად. შეიძლება ორი ან სამი ცუდი შემთხვევა ყოფილიყო და ყველას ეხებოდა ეს ამბავი მერე. კონკრეტულ პროფესიას როცა ეხება საქმე, ასე მგონია, რომ ძალიან განზოგადებულია და რაღაც. თან მე მახსოვს ჩემი მეგობარი, რომელიც ექთანია, უბრალოდ ვერ გამოდიოდა კლინიკიდან, სახლში ვერ მიდიოდა, იმიტომ რომ ეშინოდა, კოვიდ პაციენტები მყავს და მე რომ სახლში მივიდე, საშიში იქნებაო. მგონია, რომ მისთვის და სამედიცინო სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის ძნელი იყო, იმიტომ რომ სულ შიშის პროცესში ხარ, მარტო შენ თავზე არ ფიქრობ. სარგებლიანობას რაც შეეხება, ამაზე ბევრი თეორია მსმენია, მაგრამ მე პირადად არ მიფიქრია, რომ ვინმესთვის პანდემიის პერიოდი შეიძლებოდა სარგებლიანი ყოფილიყო. ჩემი, როგორც ერთი სუბიექტის გადმოსახედიდან გეუბნები ამას.

პანდემიის პერიოდიდან თვითონ პანდემიას გაიხსენებენ არაერთხელ, მე პირადად გავიხსენებ და იმედია მსგავსი გამოცდილება აღარ მექნება. კარანტინზე რომ ჰყვებიან ხოლმე ძველი

ხალხი და რაღაცებზე, ეგრე გავიხსენებ. გახსენებაც ხომ რაღაც ისეთია და მე გავიხსენებ მხოლოდ ისეთ რაღაცებს, რაც შეიძლებოდა მომწონებოდა ამ პანდემიაში, ან ისეთს, რაც უცნაური იყო და ყოველდღიური არა. პანდემიის პერიოდში დავიწყე პოდკასტების მოსმენა, ოღონდ ეს არ ეხებოდა პანდემიას. დავიწყე დეა ყოლბაიას მოსმენა, როცა უკვე არანაირი ინფორმაციის გაგება არ მინდოდა პანდემიასთან დაკავშირებით და შემეცნებით საკითხებზე გადავედი (დროც მქონდა ამისთვის). გარდა იმისა, რომ ბევრ წიგნს ვკითხულობდი, რაც იქამდე დავიწყებული მქონდა(მხატვრული ლიტერატურასთან ბევრი ხანი აღარ მქონდა შეხება), ვუსმენდი დეა ყოლბაიას დიდი ინტენსივობით, იმიტომ რომ ძალიან მომწონდა, თან ძალიან მიყვარს ტერენს მაკენა და ფაქტობრივად, გადმოქართულებული ვარიანტი იყო. მესმის რომ ცუდად ჟღერს, მაგრამ დაახლოებით ქართველი ტერენს მაკენასავით ლაპარაკობდა და ეს ძალიან მომწონდა. აღმოვაჩინე სხვათა შორის ის, რომ ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გვყავს, ვინც შეიძლება ასმა კაცმა ნახოს და იცოდეს მხოლოდ. გამიკვირდა ეგ ამბავი, როგორ შეიძლება ასეთი საინტერესო რაღაც 100-მა კაცმა ნახოს და რაღაც იდიოტურ შოუებსა და გადაცემებს უყურებდეს მილიონობით ადამიანი, გავბრაზდი მაგაზე.

ჩვენი სახელმწიფოს მოქმედებას რაც შეეხება, ბევრი ისეთი რეგულაცია იყო, ჩემი აზრით, რაც იყო სისულელე. მაგრამ მგონია, რომ ისე თუ ასე, რაც შეეძლოთ ცდილობდნენ, იმიტომ, რომ ეს ხომ არ ყოფილა მარტო ჩვენთან. ცდილობდნენ განვითარებული ქვეყნებიდან გადმოეღოთ მაგალითი და მგონია, რომ ძალიან ბევრი უაზრო რეგულაციაც იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში მცდელობა იყო, როგორ გამოუვიდათ, ეს უკვე სხვა საკითხია.

ჩვენი საზოგადოება რომ განვიხილოთ, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა პანდემიას, იმიტომ, რომ შეუძლებელია უცებ მოვარდნილ რაღაცას შეხვდე მომზადებული. მაინც უფრო ფენტეზის ჟანრი იყო, როგორც ჩემთვის 90%-ისთვის ასევე. სამედიცინო სექტორიც ასევე ძალიან მოუმზადებელი იყო და არ ვიცი, მერე, ალბათ, ცდილობდნენ. ისტორიის ან ტრადიციების ცოდნა პანდემიის დაძლევაში ალბათ ფსიქოლოგიურად უფრო მეტად დაგვეხმარებოდა, მაგრამ მე მგონია, რომ როცა პირდაპირ გეხება,

შენს რეალობასა და ყოველდღიურობაში ხდება, აი, ეს ინფორმაციული ცოდნა პრაქტიკულობასთან ზოგჯერ ძალიან შორს არის, პროფესიის შესწავლასავით: თუ არ მაქვს შეხება რაღაც კონკრეტულ პროგრამასთან, მე თეორიულად რაც არ უნდა ვიცოდე, ვერ ვიმუშავებ და მგონია, რომ ეგრე იქნებოდა. გვიშველიდა ფსიქოლოგიურად და შეიძლება უფრო კარგად გაგვემხნევებინა ჩვენი თავები.

კოვიდ-19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს, ვეტყოდი, რომ საერთოდ არ იყო ჩვენს ცხოვრებაში მისი გამოჩენა საჭირო, მაგრამ არა უშავს. ეგეც ისეთია, მე შემიძლია ვუთხრა, არა უშავს, იმიტომ რომ აგერ ქოხი მოვიწყე და წიგნების კითხვა დავიწყე, მაგრამ ვიღაცას რომ ვიღაც გარდაეცვალა და თუნდაც იმათმა როგორ გადაიტანეს... მოკლედ, არ მომწონს, მე არ მინდა რომ ეგეთი ადამიანი იყოს ჩემს ცხოვრებაში.

ჩანაწერი

ნათია რობაქიძე[7]

პირველად კოვიდის გავრცელების შესახებ გავიგე ინტერნეტ სივრციდან, რომ ჩინელმა რაღაც შეჭამა და მსგავსი ჭორები რომ ვრცელდებოდა, მანდედან. ძალიან ვნერვიულობდი, მახსოვს, როდესაც პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, თავიდან საფრთხე ვერ აღვიქვი იმიტომ, რომ ჩემს ცნობიერ ცხოვრებაში მსგავსი პანდემია არ მახსოვს. ვირუსი და ვირუსის გამო დიდი პანდემია ცოტა წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, მაგრამ მერე უკვე, როდესაც საქართველოშიც დაფიქსირდა, ყოველდღიურად ვამოწმებდი სტატისტიკას. მახსოვს, პირველ არხს ჰქონდა სიუჟეტი, რაღაც ძალიან მძიმე, რომ ადგილები აღარ იქნება საავადმყოფოებში, თუ ხალხი დაუდევრად გააგრძელებს მოქცევას და მახსოვს, რომ ძალიან განვიცადე, ეგ სიუჟეტი ძალიან არაეთიკური იყო, ჩემი აზრით. ალბათ, ბევრმა ინერვიულა. ჩემ გარშემო მყოფი ადამიანების რეაქციები არაერთგვაროვანი იყო, ზოგი სერიოზულად აღიქვამდა და განიცდიდა, ზოგი არ უყურებდა ამას რთულად, მართვის მექანიზმად აღიქვამდა, რომ მასის სამართავი მექანიზმი იყო. აგრეთვე, ევგენიკური მოძღვრებებიც, რომ აუცილებელია ეს, რომ ბევრნი ვართ ძალიან და უნდა შევმცირდეთ, გადარჩევა უნდა მოხდეს, იყო ეს აზრებიც. დანარჩენი იყო კიდევ, რომ ეშინოდათ, მაგრამ უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ, არ იცავდნენ წესებს. სხვები იყვნენ ჩემსავით: ვისაც შეეშინდათ, წესებიც დაიცვეს და ა.შ.

საქართველოში პირველი ინფიცირებულის შესახებ ინფორმაცია ასე არ მახსოვს, ვინ იყო, მაგრამ მახსოვს, რომ ვიღაც უცხოელი იყო შემოსული(ირანელი, თუ არ ვცდები) და ძალიან ქსენოფობიური საუბრები წავიდა მახსოვს: „ირანელი თუ შემოიტანდა“ და ა.შ. ჩინელებზეც ხომ მსგავსი დამოკიდებულება გვქონდა კიდევ. სტატისტიკურ მონაცემებს ხშირად ვადევნებდი თვალს, ყოველდღე და მოქმედებდა, ვადარებდი, რომელ ქვეყანაში როგორი სტატისტიკა იყო და ვნერვიულობდი იმ კუთხით,

[7] ინტერვიუ ჩაწერა და ტექსტი მოამზადა ნათია გოჯორაშვილმა

რომ არ მინდოდა ძალიან დიდი რაოდენობა გვქონოდა. მე და ჩემი ოჯახის წევრებმა ორჯერ გადავიტანეთ კოვიდი. პირველად უფრო მარტივად, იმიტომ, რომ არაფერი მძიმე სიმპტომი არ გვქონია. ერთადერთი მამაჩემზე ვნერვიულობდით, იმიტომ რომ რისკჯგუფში არის და დიაბეტი აქვს. ყველაზე მარტივად მამაჩემმა გადაიტანა. მეორედ უფრო რთულად გადავიტანეთ მე და დედაჩემმა. დაწესებული რეგულაციებიდან, პირველ რიგში, მახსენდება კომენდანტის საათი, 9 საათზე რომ სახლში უნდა ვყოფილიყავით, ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა, კიდევ მწვანე პასპორტი რომ შემოიტანეს. ასევე, ძალიან სისულელე რეგულაცია იყო ის, რომ არ შეიძლებოდა მანქანაში მჯდარიყო წინ მგზავრი. ყველაზე რთული დასაცავად იყო კომენდანტის საათი. კი ვიცავდით ყველა ჩემ გარშემო, მაგრამ უფლებაშელახულად ვგრძნობდი თავს, იმიტომ, რომ მეკრძალებოდა 9 საათის მერე სახლიდან გასვლა, ეგ იყო ცუდი. მარტივი მანქანაში წინ რომ არ შეგეძლო დაჯდომა, ეგ იყო და მაგას, მგონი, არც არავინ ასრულებდა, იმიტომ, რომ ძირითადად მამაჩემის მანქანით ჩვენი ოჯახის წევრები გადავაადგილდებით. პანდემიის პერიოდში ხაშურში ვიყავი ძირითადად. იქაური მოსახლეობა რეგულაციებს ძირითადად იცავდა, ყველაზე მეტად უჭირდათ იმის დაცვა, რომ 9 საათის მერე არ უნდა გასულიყვნენ და რამდენჯერმე გავიგე ამბები, რომ მეზობელთან იყვნენ გადასული, სვამდნენ და იქიდან რომ ბრუნდებოდნენ მერე, გამოიჭირა ზოგი პოლიციამ და ერთი ამბები იყო. ამ რეგულაციას არ უდგებოდნენ სერიოზულად. მანქანაში წინ არდაჯდომის რეგულაციას არავინ არ იცავდა და ვერც ვხვდები, რატომ უნდა დაიცვა ეგ წესი. მოსახლეობისთვის იმის ცოდნა, თუ საიდან გავრცელდა ვირუსი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იყო, მარტივია სხვაზე გადაბრალება, რომ აი, ჩინეთიდან გავრცელდა და ამ ქვეყნის მიმართ ჩვენს საზოგადოებაში არ არის კარგი დამოკიდებულება, არ ვიცი, რატომ. ჩემთვის ძალიან მშრომელი ხალხი არიან და დიდ პატივს ვცემ. ქსენოფობიური მომენტი იყო, რომ იმათმა რაღაცები ჭამეს და ამ ვირუსმა კიდევ უფრო გააღვივა ქსენოფობია.

ისტორიებს რაც შეეხება, მახსენდება, თავიდან რომ გავრცელდა ვირუსი, ვიღაცები არ ადიოდნენ ორსართულიან მატარე-

ბელში, თბილისში, იმიტომ რომ რამდენიმე ჩინელი იჯდა და ჰქონდათ სხვადასხვანაირი კომენტარები(ცხვირიდან სდით და ა.შ). მერე გამოიძახეს სასწრაფო, ჩამოიყვანეს ეს ხალხი და ევაკუაცია მოახდინეს, გატესტეს მერე და არანაირი ვირუსი არ ჰქონდა ამ ხალხს, ჩამოსულებიც არ იყვნენ, აქ ცხოვრობდნენ, გადაადგილდებოდნენ ქალაქიდან ქალაქში და რადგანაც ჩინელები იყვნენ, დააცლევინეს ტრანსპორტი. ეს არ არის ადეკვატური ქმედება, ჩემი აზრით. კიდევ ძალიან კომიკური იყო, რომ გამოვიდა ირანელი დაინფიცირებული და მედპერსონალი რომ გამოჰყვა, არ არის ეს კარგადო და რომ შეაბრუნეს უკან. მოკლედ, ბევრი კომიკური მომენტი გვქონდა ქართველებს და მაგით თუ გადავიტანეთ ეგ პერიოდი. ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც იყო შიში. ხომ იყო პერიოდები, გავიხსნებოდით ზაფხულში, ფულის შოვნის სეზონზე, მერე ისევ ჩავიკეტებოდით და იყო შიში, რომ ახლა თავისუფლად ცხოვრობ და ისევ იზოლაცია მოგიწევს. შენს ხელში რომ არ არის შენი ცხოვრება, ვიღაცები გადაწყვეტენ, რომ ტრანსპორტით ვერ გადაადგილდები და ჩაგკეტავენ, გარეთ გასვლას დაგიშლიან და მაგისი შეგრძნება იყო, რომ ისევ არ დაწყებულიყო მსგავსი რეგულაციები. თავიდან ვუყურებდი მედიას (ტელევიზია და ბეჭდური) ინფორმაციის მისაღებად, მერე შევწყვიტე. ხალხის დაშინება იყო ძირითადად, უფრო სტატისტიკას ვნახულობდი და საერთაშორისო მედიას, რეგულაციებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან.

პანდემიური ცხოვრებიდან ერთი ჩვეულებრივი დღე ჩემთვის ცოტა განსხვავებული იყო, იმის მიხედვით, რომელ ქალაქში ვიყავი. პერიოდულად თბილისში ვიყავი, პერიოდულად ხაშურში. ხაშურში ოჯახის ყველა წევრი ერთად ვიყავით, იყო ხმაური, ყველა გაღიზიანებული იყო ერთდროულად. თბილისში მარტო ვიყავი სახლში, ჩემი მეგობრები ძლივს გამოდიოდნენ ხოლმე ჩემთან იმიტომ, რომ ტრანსპორტი არ მოძრაობდა და ტაქსით თუ გამოვიდოდნენ. ერთი პერიოდი ეგეც აიკრძალა. ოჯახურ ურთიერთობებს რაც შეეხება, ყველას ყოფნა ერთდროულად სახლში არ იყო კარგი იმიტომ, რომ ენერგია დაგროვდა უცბად, არ ვიცოდით, სად წაგვეღო, ვერაფერში ვერ ჩადებდი ამ ენერგიას – არ მუშაობდი, უნივერსიტეტში სიარული აკრძალული იყო. ამიტომ

ცოტა შემაწუხებელი იყო, გადაჩვეული ვიყავი უკვე ხალხმრავლობას ოჯახში(მე და ჩემი და უნივერსიტეტისთვის თბილისში ვიყავით მანამდე), რთული იყო ჩემთვის ხმაური და ა.შ. ზოგი ამბობს, რომ პირიქით, უფრო კარგი ურთიერთობები დაამყარა თავის ოჯახის წევრებთან, ჩემს შემთხვევაში ასე არ იყო.

რაც შეეხება სამეზობლოს, ისეთი არაფერი მახსენდება, რაც შეიცვალა. უბრალოდ, ერთი პერიოდი ყველა იყო შეშინებული. შეიძლება ასევე ითქვას, რომ პასუხისმგებლობა გაეზარდათ რაღაც კუთხით. პანდემია ერთმანეთთან მისვლა-მოსვლით გადაიტანეს. ამ პერიოდში ქორწინების შემთხვევა არ მახსენდება. დღესასწაულების აღნიშვნაზე ახალი წელი მახსენდება პირველი. ტრადიციულად ვხვდებით ხოლმე მამიდაჩემის ოჯახში, თბილისში და ორივე ოჯახს გვქონდა გადატანილი უკვე კოვიდი (ჯერ მამიდაჩემის ოჯახს ჰქონდა ძალიან რთულად, მერე ჩვენ გვქონდა). გამოჯანმრთელებულები წავედით და ახალ წელს იქ შევხვდით, რადგან გადატანილი გვქონდა, უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობდით თავს. ასე შევიკრიბეთ და მერე მახსოვს, ბავშვებმა უბრალოდ გავისეირნეთ გარეთ, რაღაც ივენთზე წავედით. დაბადების დღეზე ძალიან ცოტა მეგობარი მყავდა და მახსოვს, რომ ერთ-ერთი კორპუსის სახურავზე ვიყავით შეკრებილები, არაფერი განსაკუთრებული. აღდგომას ჩაკეტილი იყო სასაფლაო, ერთი წელი არ გავსულვართ რეგულაციის გამო, ფაქტობრივად, აღდგომა არ შედგა. 2021-ში მახსოვს, რომ გავედით და 2020-ში – არა (ხაშურში ერთ-ერთ სასაფლაოზე პოლიციის მანქანები ეყენათ).

ვაქცინაციას რაც შეეხება, მე და ჩემი ოჯახის წევრები ყველანი ავიცერით სინოვაკით, მამაჩემი, მახსოვს, რომ ფაიზერით აიცრა.

ჩემი აზრით, საზოგადოებაში არ ვართ მზად მსგავსი გამოწვევებისთვის, ვერ ვიტყვი, ზუსტად რაში გვაქვს ჩავარდნა და რა გვაქვს გამოსასწორებელი, მაგრამ მსგავსი რაღაც რომ მოხდეს კიდე, ისევ ასეთი პანიკა იქნება, ვერ ვიტყვი, რომ რაღაც გამოცდილება დავაგროვეთ, რაც შემდეგში დაგვეხმარება.

დისტანციური სწავლა მე უფრო მომწონდა, იმ დროს არ ვმუშაობდი. გზაში ძალიან მეზოგებოდა დრო, უნივერსიტეტი ჩემი

სახლიდან შორს არის. ბევრი ამბობს, რომ უჭირდა ლექციის მოსმენა, მაგრამ მე უფრო პროდუქტიული ვიყავი ხოლმე, ისევე ვსწავლობდი, როგორც სააუდიტორიო სწავლებებისას. არაფერი არ შეცვლილა მაგ კუთხით, კონტრასტი არ ყოფილა. სხვები ამბობდნენ, რომ ძალიან უჭირდათ ონლაინ სწავლება, ყურადღების კონცენტრირება და პასუხისმგებლობის აღება. უკმაყოფილოები იყვნენ სწავლების მეთოდით და სტილით, ზოგადად, უნივერსიტეტის. სახლში იყო ძალიან ცუდი სიტუაცია, იმიტომ რომ ოთხი დედმამიშვილი ვართ, ძალიან გვიჭირდა ოთახებში გადანაწილება ისე, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ შეგვეშალა. რამდენჯერმე პროცესი ჩაშლილა ხოლმე ჩემი ლექციის, ჩემი დის და ძაღლის შემოსვლის გამო და ხმაურის ზოგადად, იმიტომ რომ ოჯახში ბევრნი ვართ.

მსოფლიოს ქვეყნები კოვიდის გავრცელებას მეტ-ნაკლებად ერთნაირად გაუმკლავდა. მაგალითად, ჩინეთი და იაპონია კარგად გაუმკლავდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში იყო, მგონი, შვედეთში, რომ რეგულაციები საერთოდ არ ყოფილა. მე ვთვლი, რომ საქართველოც მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ქვეყნების მსგავსად გაუმკლავდა ვირუსს. ძალიან რთულია, როდესაც მთლიანად გიწევს შენი ცხოვრების სტილს ჩამოშორდე და სხვანაირზე გადაერთო, ძალიან დიდი დისკომფორტია და არ არის მარტივი – ეს ჰქონდა უარყოფითი მხარე კოვიდს. დადებითი ის იყო, რომ ახალი რაღაცები აღმოვაჩინეთ პანდემიისას, მაგალითად, ის რომ ბევრი რაღაცის გაკეთება თურმე, ონლაინაც შესაძლებელია, მაგაზე რატომღაც არ გვიფიქრია აქამდე. აღმოვაჩინეთ ზუმის პლატფორმა, რომელიც აქამდე არ ვიცოდით, არადა ძალიან კომფორტულია, მე ძალიან მომწონს. კიდევ ის იყო კარგი, რომ თბილისში გაიწმინდა ჰაერი ტრანსპორტის აკრძალვის შემდეგ. საბოლოო ჯამში, ცუდი გამოცდილება იყო და აღარ ვისურვებდი, რომ გაგრძელებულიყოს, მაგრამ ახლა უფრო მზად ვარ იმისთვის, რომ ონლაინ პლატფორმებზე გადავიდე, ჩემთვის ასე უფრო კომფორტულია, დიდად არ მიყვარს სახლიდან გასვლა. სხვა მხრივ, ჩემი გართობის სივრცეს ძალიან შეეხო ეს პანდემია, მაკლდა მეგობრები, სოციალური სივრცე და ა.შ.

პანდემიამ გვასწავლა, რომ მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება, თუმცა, მგონი არც ეგ არ გვისწავლია. მე ვისწავლე,

რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვექცე ჩემს ქმედებებს, იმიტომ რომ ძალაუნებურად სხვაზე მოქმედებ ამ ყველაფრით და მნიშვნელოვანია, სხვისი გათვალისწინება. რაც შეეხება პანდემიის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს, ზოგიერთი სამსახური პირდაპირ ონლაინ რეჟიმზე გადავიდა. ზოგადად, ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა – ბევრი მათგანი გაღარიბდა და გაღატაკდა მაგ დროს, დაეხურათ სტარტაპები და ბიზნესები და ა.შ. მაგისი შიში ახლაც იგრძნობა, ტრავმა არის საზოგადოების ჩვეულებრივ. მარტივად შეიძლება გახდეს ეს სპეკულაციის საგანი. ხალხში შიში ისევ იგრძნობა. ამავდროულად, ყველაზე მეტად დაიჩაგრნენ ხანდაზმულები, შშმ ბავშვები, რომლებსაც თვეების განმავლობაში შეზღუდული ჰქონდათ თერაპიები და ეს კატასტროფა არის მათთვის, 3-4 თვე არ ჰქონდათ თერაპიებთან წვდომა. შესაბამისად, დაიჩაგრნენ შშმ ბავშვების მშობლები, რადგან უწევდათ გამწვავებულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან ერთად ცხოვრება. ხანდაზმულები დაიჩაგრნენ იმიტომ, რომ ისედაც არ არიან გათამამებულები სოციალური ცხოვრებითა და აქტივობებით. საქართველოში ძალიან მაღალია ხანდაზმულებში მარტოობის მაჩვენებელი და პანდემია კიდევ უფრო ხელისშემწყობი აღმოჩნდა – ვინც თავის ნაჭუჭში იყო, უფრო ჩაიკეტა. ჩვენთვის უფრო მარტივია, გვაქვს სოც.ქსელი და ერთმანეთს ვუკავშირდებით და ზოგიერთ ხანდაზმულს საერთოდ ტელეფონიც არ აქვს და მთელი დღე უბრალოდ სახლში ჯდომა, თან როცა გეშინია, რომ რაღაც შეგეყრება, ძალიან რთულია. ნაკლებად იყო სისტემა, რომელიც მათ გაამხნევებდა და რაღაცაში დაეხმარებოდა. კი იყო რაღაც აქტივობები, პირბადეების დარიგება, საჭმლის მიტანა და ა.შ მაგრამ საბოლოო ჯამში, ბევრ ადამიანს გაუჭირდა ამ მარტოობის გაძლების. კიდევ ვიტყოდი, რომ სტუდენტები დაიჩაგრნენ, მაგრამ ბევრს მოგვწონდა ონლაინ სწავლება. დაიჩაგრნენ ის ადამიანები, ვისაც იმ პერიოდში ჰქონდა დაწყებული სტარტაპები და ვეღარ გააგრძელეს, იმიტომ რომ მთლიანად ჩამოეშალათ ყველაფერი, სამომხმარებლო პროდუქტები ჰქონდათ, რომლებსაც ვეღარ ყიდდნენ. სარგებლიანი კი იყო სხვადასხვა პატარა თუ დიდი ინსტიტუციებისთვის. მაგალითად, ჩემი უნივერსიტეტისთვის,

რომელიც თუნდაც, გათბობის სისტემისთვის გამოყოფილ ფულს თვითონ ჭამდა, მგონია, არც აწყობდათ, რომ დაწყებულიყო სწავლა. ვიღაცებმა ხელი მოითბეს იმით, რომ რაღაცები არ გაკეთებულიყო და ის ფული, რაც რაღაცის განვითარებაზე უნდა დახარჯულიყო, თვითონ გამოიყენეს. მთავრობაც, რაღაც მომენტში, ამ სიაშია. კერძო ბიზნესისთვის კარგი საბრძოლო მომენტი იყო, რომელიც გამოიყენეს და ფარმაცევტული კომპანიებმაც, რა თქმა უნდა, დიდი სარგებელი ნახეს. თუნდაც, პირბადეებსა და ანტისეპტიკურ ხსნარებზე ძალიან იყო გაზრდილი ფასები.

პანდემიის პერიოდიდან გასახსენებელია დავა და პოლარიზაციის გაჩენა, რომ „მე ავიცერი, შენ არ აიცერი“ და ა.შ. კომენდანტის საათი იქნება ყველასთვის დასამახსოვრებელი, არავის არ დაგვავიწყდება, ჩემი აზრით, ეგ გამოცდილება.

სახელმწიფოს მოქმედებას პანდემიის პერიოდში ცუდად შევაფასებდი, იმიტომ რომ არ იყო საჭირო ამდენჯერ კომენდანტის საათი, მაინც არ ჰქონდა შედეგი, ის ხალხი ერთმანეთს მაინც ხვდებოდა ცხრა საათამდე. მსგავსად სახლებში გამოკეტვა ძალადობაა, ჩემი აზრით. ზოგადად, ძალიან ბევრ რეგულაციას არ ვემხრობი, რომელიც გაატარეს. თუნდაც, მანქანაში წინ ჩაჯდომასთან დაკავშირებით. ერთი შეიძლებოდა ის მომწონებოდა, რომ ხალხმრავალ ადგილებში შეზღუდვა იყო, ეგ ადეკვატური რეგულაცია იყო. თავიდან რომ არ გავრცელებულიყო ვირუსი, ყველაფერი ქნეს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც გავრცელდა და მერე მსგავსმა აკრძალვებმა აღარ გამოიღო შედეგი, იფეთქა და იფეთქა. თავიდან გვქონდა ცოტა მაჩვენებელი იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რეგულაცია გვქონდა. ჩვენი საზოგადოება არ იყო მზად პანდემიისთვის და არც მომზადებული შეხვედრია. ძალიან გვიჭირს ზოგადად აკრძალვის მიღება ქართველებს. ის, რომ შენ 9 საათის მერე მეზობელთან გადასვლა არ შეგიძლია, ქართველისთვის ძალიან წარმოუდგენელია. უშუალოდ სამედიცინო სექტორში ბევრი იყო ისეთი, ვისი შრომაც დასაფასებელია. გადაბმულად მუშაობდნენ და ყველანაირად ყველაფერს ცდილობდნენ, თვეებით არ მიდიოდნენ ხოლმე სახლში და ა.შ. მაგრამ თვითონ თავში ვინც იდგა და ხელისუფლებასთან ერთად

ათანხმებდნენ რეგულაციებს, არ იღებდნენ მთლად გონივრულ გადაწყვეტილებებს.

ისტორიის ან ტრადიციების ცოდნა პანდემიის დაძლევაში დაგვეხმარებოდა იმ კუთხით, რომ გვცოდნოდა, მაგალითად წარსულში რა პანდემიები არსებობდა, როგორ გადაიტანა ხალხმა, რა გამკლავების მექანიზმებია და ა.შ. ამ ყველაფრის მეტად ცოდნა დაგვეხმარებოდა პანიკის დაძლევაში.

კოვიდ 19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს, ვკითხავდი იმას, თუ რატომ იყო ასეთი გაბრაზებული და რატომ გადაწყვიტა ამდენი ხალხის სახლში ჩაკეტვა.

ჩანაწერი

ქალბატონი ოზურგეთიდან[8]

ვირუსის გავრცელების შესახებ პირველად მარტში გავიგე, ვიყავი სასტუმრო „ბაკურიანი ინნში“ სამსახურებრივ ტრენინგზე, სადაც დაფიქსირდა შემთხვევა და მახსოვს, რომ ამ სასტუმროში გავიგე ჩემი თანამშრომლებისგან. საფრთხე სერიოზულად არ აღმიქვამს, იმიტომ რომ დაბრუნებისთანავე გავცივდი და ვვარაუდობ, რომ მქონდა კოვიდი, თუმცა, ჩავთვალე, რომ ეს ჩვეულებრივი ვირუსი იყო და არც გადამიმოწმებია, ისე ვიმკურნალე ანტიბიოტიკებით. თავიდან ყველამ ჩავთვალეთ, რომ იყო ჩვეულებრივი ვირუსი, თუმცა, სადღაც 1 თვის შემდეგ გადაიზარდა პანიკაში. თუ სწორად მახსოვს, პირველი ინფიცირებული საქართველოში იყო უცხოელი, რომელიც შემოვიდა და ნეგატიური იყო მის მიმართ რეაქცია, იმ მხრივ, რომ არ უნდა შემოეშვათ უცხოელები და მათ გარეშე უსაფრთხოდ ვიყავით. მე ღრმად მწამს, რომ მაგ დროს სხვა დაინფიცირებული ადამიანებიც იყვნენ საქართველოში, ის კონკრეტული ადამიანი კი იყო პირველი, რომელიც დაიტესტა და გამოუვლინდა. ჩემ გარშემო უმრავლესობაც აღიქვამდა ისე, რომ ეს იყო არა საზოგადო პრობლემა, არამედ პრობლემა რომელიც უცხოეთშია და საქართველო ამისგან დაცულია.

ვირუსით დაინფიცირებულთა სტატისტიკას არ ვადევნებდი თვალს, იმიტომ რომ არ მიყვარს საინფორმაციო სახის გადაცემების ნახვა/სტატიების წაკითხვა, თუმცა, რადგან ყოველ დილას რიცხვებს აცხადებდნენ, იძულებული ვიყავი და ეს ინფორმაცია მაინც მოდიოდა ჩემამდე. არც ნეგატიური, არც პოზიტიური რეაქცია არ მქონია, უბრალოდ, ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია ამისთვის. ზოგადად, კოვიდი იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე შემთხვევა, რაც თავს გადამხდენია, იმიტომ რომ პანდემიის მეორე ტალღის პერიოდში მე და ჩემი შეყვარებული ვცხოვრობდით ერთად, მას დაემართა კოვიდი, მე არ დამიდასტურდა და ძალიან მინდოდა მაგ პერი-

[8] ინტერვიუ ჩაწერა და ტექსტი მოამზადა ნათია გოჯორაშვილმა

ოდში მასთან ვყოფილიყავი, თუმცა ფიზიკურად არ გადამედო ვირუსი. ამავე პერიოდში დაემართა მამაჩემს, რომელიც ძალიან მძიმედ გახდა, შემდგომ გადაიყვანეს კლინიკაში, რამდენიმე დღე იყო აპარატზე. ეს მეორე ტალღის ის პერიოდია, როდესაც ძალიან რთულია კლინიკებში მოხვედრა და ბევრი მცდელობის, ნაცნობების ჩარევის შემდეგ, მოვახერხეთ, რომ ბათუმში საავადმყოფოში გადაეყვანათ (ოზურგეთიდან). იყო ძალიან მძიმედ და თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ მამაჩემი გადარჩებოდა. ეს იყო ძალიან რთული ჩემთვის იმიტომ, რომ დედაჩემი ძალიან ემოციური ადამიანია, მამაჩემის ავადობისას დეპრესიაში ჩავარდა, ფაქტობრივად არავინ არ იყო ჩემ გარშემო, ჩემი შეყვარებულიც კოვიდ სასტუმროში იყო და მოკლედ, ძალიან მძიმე მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. მერე ბათუმშიც წავედი თბილისიდან, კლინიკაში არ გვიშვებდნენ და მომიწია გადავპარულიყავი და ღამე გამეთია კლინიკის ეზოში, რომ დილით ექიმის მოსვლისას გამეგო მამაჩემის მდგომარეობა.

რეგულაციებს რაც შეეხება, მახსენდება ტემპერატურის გაზომვა დახურულ სივრცეში შესვლისას, პირბადის ტარება, ხელების დაბანა განსაზღვრული წესით, ასევე, ხელების დეზინფექცია, დისტანცია მაღაზიებში, დისტანცია ერთი სკამის გამოტოვებით (მაგ.რესტორნებში). დისტანცია იყო ძირითადი, რაც მახსენდება. ყველაზე რთული შესასრულებელი ჩემთვის იყო პირბადის ტარება, ვინაიდან მოვიხმარ სათვალეს და იორთქლებოდა, განსაკუთრებით, ზამთარში, რაც ჩემს მხედველობაზე მიქმნიდა პრობლემას. ასევე, ტემპერატურის გაზომვა რთული არ იყო, უბრალოდ აზრს მოკლებული იყო, იმიტომ რომ თერმომეტრები არ მუშაობდა და ეს იყო უბრალო პროცედურა, რომელიც არანაირ ფუნქციას არ ასრულებდა. ასევე, ალბათ, ძალიან რთული იყო კლინიკაში ვიზიტის წინასწარი დაჯავშნა, დარეკვა და თუ რაიმე მოულოდნელი შეგემთხვეოდა, ძალიან რთული იყო კლინიკაში მოხვედრილიყავი. მარტივი ხელების დაბანა იყო იმიტომ, რომ ამას ისედაც ვაკეთებთ. რასაც ვაკვირდები, ადამიანებს ძალიან უმარტივდებათ რაღაცებთან შეჩვევაც და გადაჩვევაც და თუ გგონია, რომ რაღაც რთული პროცესია, არ არის ასე, იმიტომ რომ შეჩვევაც ძალიან მარტივად მოხდა, გადაჩვევაც

ასევე, თითქოს არც არსებობდა ეს პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში. დღევანდელი გადმოსახედიდან, არ მეჩვენება რთულ პერიოდად, თუმცა იმ მომენტს თუ გავიხსენებთ, რეგიონებში განსაკუთრებით რთულად იდგა პირბადეების საკითხი. იმდენად ჭირდა გამოცვლა და ახლის შეძენა, რომ ეგეთი პირბადეებით სიარულს, ჯობდა, საერთოდ არ ჰკეთებოდათ.

სიძულვილი ადამიანებში აკუმულირდება და საჭიროა რაღაცაზე გადავიდეს, ამ შემთხვევაში, იმის ცოდნამ, რომ ვირუსი შემოვიდა ჩინეთიდან, აგრესიით მიმართა ადამიანები ჩინეთისა და ჩინელების მიმართ. კი, საზოგადოებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია წყარო იცოდეს, იმიტომ რომ ეს თავისი აგრესია და ბრაზი რაღაცის მიმართულებით მიმართოს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო იმის ცოდნა, თუ საიდან გავრცელდა ვირუსი.

ჩემი დაოჯახების ისტორია მეტწილად კოვიდმა განაპირობა, ყოველთვის დამოუკიდებელი ადამიანი ვიყავი, ამასთანავე ვგრძნობდი მშობლების მხარდაჭერას. კოვიდისას ყველაფერი ძალიან ჩაიკეტა, ნათესავები და მეგობრები ველარ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან და მარტო დავრჩი მეც. ჩემი მშობლებიც, როგორც წელან ვახსენე, მამაჩემი ძალიან მძიმედ იყო, დედაჩემი – დეპრესიაში და სრულიად მარტოდ ვიგრძენი თავი. ამის გამო გადავწყვიტე, ადამიანთან, რომელთანაც ურთიერთობაში ვიყავი, დამეწყო თანაცხოვრება, რომ ამ პანდემიას გავმკლავებოდი, იმიტომ რომ სხვა ცხოვრებისეული პერსპექტივა პრაქტიკულად არ იყო. ერთადერთი, რასაც ვფიქრობდი, იყო ის, რომ რამდენი დღეც მქონდა დარჩენილი მე თუ საზოგადოებას, გამეტარებინა ოჯახურ გარემოში. ეს გადაწყვეტილება მივიღე პანდემიური გარემოებებიდან გამომდინარე, როგორც ომის მიმდინარეობისას მოქმედებენ ადამიანები სპონტანურად, ისე იყო ამ შემთხვევაშიც.

ყველაზე დასამახსოვრებელი პანდემიის პერიოდიდან იყო მიმები და ვიდეოები, რომლებიც ვრცელდებოდა კოვიდთან დაკავშირებით. რა ვიცი, მთლიანი პროცესია ძალიან დასამახსოვრებელი, ასე შეიძლება არც ერთი მომენტი სპეციფიკურად განსხვავებული არ მოგვეჩვენოს, მაგრამ მთლიანი პროცესი არის ძალიან დასამახსოვრებელი.

პანდემიური ცხოვრება სხვადასხვაგან გავატარე. რაღაც პერიოდი გავატარე გურიაში. დილით ვდგებოდი და ვცდილობდი რაიმეთი დავკავებულიყავი, ხშირ შემთხვევაში ეს იყო ფილმი/წიგნი ან რაიმე სხვა საქმიანობა. მაგ პერიოდში დავიწყე მცენარეების მოვლა და რამდენიმე ქოთანი წიწაკაც კი დავრგე, იმიტომ რომ ძალიან მჭირდებოდა რაღაც საქმის მოძებნა. ასევე, დავიწყე სახლში ვარჯიში და დავიწყე მინი ბლოგერობა. ვცდილობდი, რომ ჩემი ყოველდღიურობა, როგორც სხვა ყველას, მეც ამეტვირთა. რომ არა სოციალური ქსელები და სოციალური სივრცე, იმ პერიოდში მეტად გართულდებოდა ცხოვრება. შემდეგ სასეირნოდ გავდიოდი ხოლმე მეგობრებთან(კლასელებთან) ერთად, რადგან რეგიონში თბილისური ცხოვრებიდან გამომდინარე დიდხანს არ ვყოფილვარ და პანდემიამ ჩამიყვანა/დამაბრუნა ისევ რეგიონში და სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსენდება ეგ მომენტი. მოვახერხე, რომ სკოლის პერიოდი აღმედგინა და გამეგრძელებინა, რადგან ყველანი თავისუფლები ვიყავით, პასუხისმგებლობები არ გვქონდა, საქმე არ გვქონდა, საღამოს ვიკრიბებოდით, ვთამაშობდით, ვსაუბრობდით, ვსეირნობდით... თუმცა, რა საკვირველია, რეგიონში არც მანამდე და არც მერე კაფეები/ბარები არ ფუნქციონირებდა და შესაბამისად, პანდემიამ დიდად ვერ დააკლო იქაურ გართობას ვერაფერი.

ინფორმაციის მთავარი წყარო პანდემიის პერიოდში ძირითადად იყვნენ ახლობელი ადამიანები, ჩემი ნათესავები მუშაობდნენ სამედიცინო სექტორში, ფლობდნენ ხოლმე ექსკლუზიურ ინფორმაციას და მათგან ვიგებდი ბევრ რამეს.

პანდემიის პერიოდმა ერთი მხრივ ადამიანების ნაწილი ძალიან დააახლოვა და ერთმანეთთან დააბრუნა, გადააწყვეტინა ადამიანებს (როგორც მე), ოჯახები შეექმნათ და როგორც ვიცი ამის სტატისტიკაც არსებობს, რომ პანდემიის პერიოდში უამრავი ოჯახი შეიქმნა, თუმცა, ეს ეფექტი იყო, რომელიც პანდემიამ გამოიწვია და იყო არარეალური, არამყარი. შემდგომ უკვე პოსტპანდემიურ პერიოდში ეს კავშირები უფრო შესუსტდა, იმიტომ რომ ადამიანებს ძალიან დიდი დროის გატარება მოუწიათ ერთმანეთთან საკუთარი საქმის არქონის გავლენით, საკუთარი პიროვნების დაკარგვა, ერთმანეთში ასიმილაცია (ოჯახის წე-

ვრებმა განიცადეს პიროვნული ასიმილაცია ერთმანეთში), რამაც შემდეგ კონფლიქტები გამოიწვია. ჩემი დაკვირვებით, თავიდან ჰქონდა პოზიტიური გავლენა, შემდგომში, როცა ეს ყოველდღიურობა გახდა, ნეგატიურ გავლენაში გადაიზარდა. სამეზობლოში შეიცვალა ის რომ დღემდე ჩვევიდან ამოიღეს გადაკოცნა, ასევე, ახალდაბადებულ ბავშვთან მოფერება, მიდგომის ჩვევები შეიცვალა. ადრე პანდემიამდე პერიოდში აქტიურად იყო მეზობლების დაუპატიჟებლად ერთმანეთთან სტუმრობა, რაც უკვე აღდგა, თუმცა, იმ დოზით ვეღარ მოახერხა ამ კულტურამ არსებობა, რაც ასე თუ ისე კარგია. სამეზობლოში არავინ დაქორწინებულა, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, გურია დაბერებული რეგიონია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ხანშიშესული, რომლებიც დიდი ხანია იქ ცხოვრობენ. ჩემს სამეზობლოში ახალგაზრდა ბევრი არ ყოფილა, თუმცა, ერთი მახსენდება, რომელმაც პანდემიის პერიოდში შექმნა ოჯახი. ქორწილი მაშინ არ გადაუხდიათ, ახლახან გადაიხადეს. მაშინ დაქორწინდნენ, ერთად გადავიდნენ საცხოვრებლად, ხელი მოაწერეს იუსტიციის სახლში 4 ადამიანის თანდასწრებით.

პანდემიის პერიოდში დღესასწაულები არ მახსოვს. ასე მგონია, რომ რაღაც ჩემი მეხსიერებიდან ამოვარდნილია ეგ პერიოდი. აღდგომა მახსენდება ყველაზე მძიმედ, რადგან ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია და ძალიან ცარიელი იყო ტაძრებიც, სასაფლაოებიც და საკმაოდ რთული იყო, როცა ვერ ვახერხებდით ერთმანეთის ნახვას, იმიტომ რომ აღდგომა ისეთი დღესასწაულია, როცა ყველა ერთმანეთს ვნახულობთ და მთავარი ხიბლი ეგ არის. ასევე, პოლიციელები იყვნენ სასაფლაოზე კვირა დღეს, შეუძლებელი იყო შესვლა და ვერც ორშაბათს მოვახერხეთ, თუმცა, მთავარ შესასვლელთან იყო პატარა დამატებითი შესასვლელი, რომლიდანაც ერთი ადამიანი შედიოდა, სასაფლაოზე სიმბოლურად ტოვებდა სხვადასხვა პროდუქტს და გამოდიოდა, ის რომ სასაფლაოზე დრო გაგვეტარებინა, ეს არ ყოფილა. ახალ წელზე არაფერი შეცვლილა, ოჯახი ყოველთვის ერთად ვხვდებით ხოლმე და იგივე იყო, თუმცა, ისეთი შეგრძნება მაქვს ახლა რომ ვიხსენებ, რომ ხალისიც ნაკლები იყო და ახალი წლის მოლოდინიც ნაკლები იყო, რადგან პანდემიის პერიოდში

რაღაცნაირი უიმედობა სუფევდა, მგონია, რომ უიმედოდ ვიყავით ყველანი.

პანდემიისას მეზობელი გარდაიცვალა და მახსოვს, რომ ვერავინ ვერ მოახერხა გასვენებაში მისვლა პანდემიის პერიოდში და ძალიან სწრაფად (2 დღეში დაკრძალეს).

რაც შეეხება ვაქცინაციას, ჩემ გარშემო პირველი აიცრა დედაჩემი და ბაბუაჩემი. პრობლემა არავის ჰქონდა ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ერთადერთი აწონ-დაწონეს, რომელი ვაქცინა იყო უკეთესი და რომლის გაკეთება იყო უფრო მიზანშეწონილი. შემდეგ აიცრა მამაჩემიც ძალიან მალევე და მეც.

პანდემიის პერიოდში ჩვენს საზოგადოებაზე გავიგეთ ის, რაც ალბათ ისედაც უკვე ვიცოდით: პირველ რიგში, ყოველთვის ვეძებთ ადამიანს/პირს, რომელსაც რაც ხდება, იმას დავაბრალებთ და არასდროს არ ვცდილობთ, რომ საკუთარ თავში ვეძებოთ პრობლემა. მეორე ისაა, რომ ძალიან ვართ დაკავებული ყოველდღიურობით და მიღმა გვრჩება სამყაროს სხვადასხვა ასპექტები, როგორც „შავ ჭირშია“ დაახლოებით ისე. და ალბათ, ისიც გავიგეთ, რომ ადამიანებს გვიჭირს ერთმანეთის(მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კონტრაქტის ნაწილები ვართ და ერთმანეთს პატივს ვცემთ იძულებით თუ სურვილისამებრ) ზღვრები დავიცვათ, ერთმანეთს პატივი ვცეთ და მოვუფრთხილდეთ. ეგოისტურად ყოველთვის ვცდილობთ, რომ საკუთარი თავი გადავარჩინოთ.

პანდემიის პერიოდში თითქმის ჩემი არც ერთი ოჯახის წევრი არ მუშაობდა, რადგან დედაჩემი არის მეტყველების თერაპევტი და შესაბამისად, შეუძლებელი იყო ამ პერიოდში ემუშავა. მეც ძირითადად ფრილანსინგით ვიყავი დაკავებული, თუმცა ეს იყო ძალიან მცირე სამუშაო, რომელსაც, ალბათ, თვეში რამდენჯერმე ვაკეთებდი მხოლოდ, შესაბამისად, პანდემიისას თითქმის არავინ არ ვმუშაობდით და ეს გამოცდილება არ მქონია. სწავლას რაც შეეხება, ერთი წელი მთლიანად გამოვტოვე იმიტომ, რომ არ მინდოდა პანდემიის პერიოდში მაგისტრატურის გაგრძელება და შემდგომში ერთი სემესტრი მომიწია ონლაინ სწავლება. საკმაოდ რთული და მოუხერხებელი იყო და შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი მისწავლია იმ პერიოდიდან.

მგონია, რომ ყველა ადამიანს დაემართა ვირუსი, ვისაც შეიძლებოდა დამართოდა, ეს ქვეყნების მხრიდან გამკლავება ნაკლებად არის. ასევე, ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ რისკ-ფაქტორები და სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემები, გარდაიცვალნენ, სამწუხაროდ, შესაბამისად, აქაც დიდი ძალა ვერ გამოვავლინეთ. საერთოდ, არ იყო მსოფლიო მზად ამისთვის. თუმცა, ცუდად რომ ვთქვათ, მსოფლიომ მაინც იხეირა ამით, იმიტომ რომ მოსახლეობა უკვე ჭარბ რაოდენობას აღწევდა და შესაბამისად, რესურსებიც უკვე არასაკმარისი იყო. მაინც მოხდა ის, რაც ხდება ხოლმე პანდემიების დროს, რაც ვიწრო სურათში ძალიან ცუდია, მაგრამ ფართო სურათში სარგებლიანია მსოფლიოსთვის რაღაც ასპექტში.

პანდემიას ერთადერთი დადებითი მხარე რაც ჰქონდა, იყო ის, რომ დასრულების შემდეგ ძალიან ბევრი რამე თავიდან დავინახე და დავაფასე, ისეთი რამეები, რაც აქამდე ყოველდღიურობის ნაწილი იყო, პანდემიის შემდეგ გახდა ძალიან ძვირფასი. თავისუფლების ის კოეფიციენტი, რაც პანდემიის შემდეგ აღმოვაჩინე, რეალურად ყოველთვის მქონდა, მაგრამ ვერასდროს ვერ ვახერხებდი მის დანახვას. სხვა მხრივ, ძალიან ცუდი გამოცდილება იყო როგორც სუბიექტისთვის/ადამიანისთვის და არანაირი ღირებულება არ ჰქონია. იყო დიდი სტრესი, უიმედობა, იმედგაცრუება და გაყინვა დროში. მე ვთვლი, რომ ის 2 წელი იყო დაკარგული პერიოდი, რომელიც გაიყინა დროში და იყო ყველაზე არაპროდუქტიული წლები ჩემს არსებულ თუ დარჩენილ ცხოვრებაში. რა გაკვეთილი მივიღეთ პანდემიისგან? – ალბათ, ეს კითხვა რომ დასმულიყო, პანდემიის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ბევრ რამეს ჩამოვთვლიდი, მაგრამ დღეს როცა ვუყურებ საზოგადოებას, რომელიც ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, თითქმის, არაფერი და ასე მგონია, რომ ეს პერიოდი ყველამ დაივიწყა და ყველამ გააგრძელა ის ცხოვრება, საიდანაც დაიწყო. ყოველდღიურობიდან რაღაც ჩვევები ამოვიღეთ და ონლაინ სფეროში უფრო სწრაფად გადავინაცვლეთ. ეგ ისედაც მოსალოდნელი და სავარაუდო იყო, თუმცა გაჩნდა ძალიან ბევრი ტრენინგები/კურსები და ის ადამიანები, რომლებმაც მარტივად აუღეს ალღო ონლაინ სწავლებას/სწავლას, დარჩნენ ამ სივრცეში და უფრო

მარტივად გადავედით ტექნოლოგიებზე. პანდემიამ დამოკიდებული გაგვხადა ახალ სოციალურ ქსელებზე, შემოვიდა ტიკტოკ პლატფორმა იმაზე აქტიურად, ვიდრე მანამდე იყო და გააჩინა ახალი მარკეტინგული თუ რეკლამირების სფეროები. ასევე, ამ პერიოდში დაიჩაგრნენ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები, რომელთაც ნაკლები წვდომა ჰქონდათ ინტერნეტთან და კომპიუტერთან. დაიჩაგრნენ მოხუცი ადამიანები, რომელთაც უდიდესი შიში ჰქონდათ პანდემიის და დეზინფორმაციის მსხვერპლნი იყვნენ ხშირად. მოკლედ, ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ნაკლები ინფორმაციის წყაროები, რადგან პანდემიის პერიოდში ვრცელდებოდა ყველაზე დიდი რაოდენობით დეზინფორმაცია და ამ დეზინფორმაციას ვაწყდებოდით ყველგან. ის ადამიანები, რომელთაც არ ჰქონდათ უნარი ინფორმაციის გადამოწმების ან ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ, ყველაზე მეტად დაიჩაგრნენ, იმიტომ რომ მუდამ შიშში იყვნენ და მუდამ შეთქმულების თეორიების ქვეშ იყვნენ მოქცეულები, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. მეორე მხრივ, სარგებლიანი იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მუშაობდნენ ონლაინ სფეროში, იმიტომ რომ მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო ეს პერიოდი. ასევე საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა ეს ინტელექტუალებისთვის, რომლებმაც დაიწყეს თავიანთი ცოდნის ონლაინ გავრცელება, ლაიფ ქოუჩებისთვის, რომლებიც იყვნენ მამოტივირებელი სფიჩებით და ა.შ და იმ ადამიანებისთვისაც, რომლებსაც სურდათ საკუთარი თავებისთვის მეტი დრო დაეთმოთ და ქაოსურ რეჟიმში ვერასდროს ვერ ახერხებდნენ ამას. ადამიანები, რომლებმაც დაიწყეს ფერმერობა, ადამიანები რომლებიც წავიდნენ და დარჩნენ სოფელში, დაიწყეს სხვადასხვა საქმიანობები, აღმოაჩინეს ახალი ჰობები, დაიწყეს ახალი ბიზნესები – ამ ადამიანებისთვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა პანდემია. ადამიანებს მიეცათ საშუალება სქილებზე ორიენტირებულიყვნენ და ბანკებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან გამოსულიყვნენ. გაჩნდა იდეა, გაჩნდა ხელსაქმე, გაჩნდა საქმიანობა და შემდგომში, როცა უკვე ეტაპობრივად ბაზრებიც გაიხსნა და ეკონომიკაც ასე თუ ისე მწყობრში მოვიდა, უკვე თავიანთი უნარები, რომლებიც ამ პერიოდში გამოიმუშავეს და რომლებიც უკვე იყო იდეა, აქციეს ბიზნესად.

პანდემიის პერიოდიდან გაიხსენებენ და დარჩება ალბათ პირბადეები იმიტომ, რომ დღემდე, ზამთრის ვირუსების პერიოდში განსაკუთრებით, საკმაოდ დიდი რაოდენობით მოსახლეობაა, რომელიც პირბადეს ატარებს. ძირითადად, არის მოწყვლად ჯგუფებში (ორსულები, მოხუცები...), მაგრამ ნუ მაინც, პირბადის გამოყენება პანდემიამდე ძალიან იშვიათი იყო და ეს ჩვეულებრივი ნორმა გახდა, უცნაურობად აღარ ითვლება და ეს არის რაღაც სიმბოლო, რომელიც პანდემიის შემდეგ, ალბათ, დარჩება.

კოვიდისას ძირითადად არავის ვუსმენდი, ვგულისხმობ, ავტორიტეტად არავინ მყავდა, იმიტომ, რომ ქვეყნები მეტ-ნაკლებად მსგავს სიტუაციებში იყვნენ და ძალიან რთულია ასეთ დროს გულწრფელად ილაპარაკო. ძალიან სანდო ადამიანსაც კი უწევს, რომ რაღაც ინფორმაცია დამალოს ან პირიქით – გადააჭარბოს. არიან სტატისტიკოსები, რომლებიც იკვლევენ როგორ რეაგირებს ადამიანი რეაქციაზე, რამდენად იცავენ თავს და ა.შ. როცა ადამიანები თავს აღარ იცავდნენ, საჭირო ხდებოდა უფრო მკაცრი ზომები უფრო მკაცრად ელაპარაკათ, იმიტომ, რომ ადამიანებს მეტად შეშინებოდათ. როცა დასტაბილურდებოდა და ადამიანები უკვე პანიკისკენ მიდიოდნენ, ცდილობდნენ, უფრო მსუბუქად ესაუბრათ. ეს ყველაფერი, ჩემი გადმოსახედიდან, იყო აუცილებელიც და საჭიროც. ამიტომ ასე სრულ ნდობას არავის არ ვუცხადებდი, თუმცა, ვიღებდი ყველა ინფორმაციას იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო და მესმოდა ამის აუცილებლობის მიზეზებიც. ჩვენი სახელმწიფო მიყვებოდა დინებას, სპეციფიკურად მნიშვნელოვანი არაფერი არ გაუკეთებია, რასაც გამოვყოფდი. უბრალოდ, ეს იყო პროცესის მიყოლა და ის მცდელობები, რასაც სხვა ქვეყნები აკეთებდნენ და რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო. ბუნებრივია, ჩვენ არ ვართ ერი, რომელსაც შეუძლია, რომ სტადიონზე ერთ დღეში კლინიკები ააშენოს და ამის მოლოდინი არც მქონდა. თუ 10-ბალიანი შკალით შევაფასებთ სახელმწიფოს მოქმედებას, ეცადნენ და 6 შეიძლება ითქვას.

არ მგონია, რომ საზოგადოებები მზად არიან პანდემიისთვის, ზოგადად. ჩვენც საერთოდ არ ვიყავით მზად და მიუხედავად ყველაფრისა, რამდენიმე წელიწადში ისევ რომ მოხდეს პანდემია, დარწმუნებული ვარ, ისევ არ ვიქნებით მზად. ჩვენი განწყობები

ყოველთვის არის მიმართული მომავალი პერსპექტივებისთვის და არა ნეგატიური მოვლენებისკენ. ვინაიდან ვირუსი არ იყო ცნობილი, შესაბამისად, კომპეტენცია ვირუსის მიმართულებით არავის არ ჰქონდა და ამიტომ რთულია იმის განსჯა, სამედიცინო სექტორმა რამდენად კარგად გაართვა ყველაფერს თავი. ეს იყო დაავადება, რომელიც აქამდე არ არსებობდა და არც ერთ ექიმს არ უსწავლია. შესაბამისად, რთული იყო ინფორმაციის მოპოვება, ზოგადი სტანდარტიც არ არსებობდა, რასაც ყველა ექიმი იტყოდა და მათ ხშირად ჰქონდათ განსხვავებული რეაქციები. თუმცა რაღაც მომენტებში ვერ გავართვით კარგად თავი, ვერ გავითვალისწინეთ რაღაც ფაქტორები და პირდაპირ გადმოვიღეთ ის რეკომენდაციები, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებში შედიოდა და ასეთი ახალი ჩვენ არაფერი შეგვიქმნია, ჩვენს ექიმებს ახალი აღმოჩენები არ გაუკეთებიათ, მეტიც, ძალიან ბევრი ექიმი ძალიან არასწორი რეპლიკებით გამოდიოდა ხოლმე და აკეთებდა დასკვნებს, რომლებიც არაკომპეტენტური იყო, ჩემი აზრით.

ისტორიის ან ტრადიციების ცოდნა ალბათ უფრო მორალურად დაგვეხმარებოდა პანდემიის დაძლევაში. ძალიან ბევრი უბედურება ყოფილა ჩვენს ისტორიაში, ბევრი ჭირიც ყოფილა და ეს რაღაც განგრძობადი პროცესია, პირველად არ მომხდარა. თუმცა, ეგ ალბათ უფრო შეგვაშინებდა, რადგან იმ პერიოდში გაცილებით დიდი რაოდენობით იხოცებოდნენ ადამიანები, რადგან არ იყო სამედიცინო სექტორი განვითარებული. არა მგონია, ამას რაიმე დახმარება გაეწია, პირიქით, ძველი მედიკამენტები გაჩნდებოდა და ლეგენდები – როგორ უნდა ვუმკურნალოთ, რა შელოცვები გავუკეთოთ და ა.შ.

კოვიდ-19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს, არ ვისურვებდი მასთან ლაპარაკს, ახლაც რომ ვლაპარაკობ, ერთი სული მაქვს, როდის ჩავხურავ ისტორიის ამ ნაწილს.

ნათია გოჯორაშვილი

პანდემის შემგომ ჩანაწერი

პირველად კოვიდის შესახებ რომ გავიგე, რიგითი სეზონური ვირუსი მეგონა და გავბრაზდი კიდეც, უნივერსიტეტში სწავლას ამის გამო კვირებით რატომ დებენ-მეთქი. იმდენად ჩვეულებრივი და უმნიშვნელო იყო ჩემთვის, იმ ცნობილი ვიდეოს ყურებისას (ექთანი რომ ამბობს კოვიდდადებით პაციენტზე, ვერ არისო), ჩავთვალე, ეგრე მარტივად და კომიკურად დასრულდებოდა ყველაფერი. თუმცა, გადიოდა დღეები, კვირები და სიტუაცია მეტად იძაბებოდა. ჩემ გარშემო მეტ-ნაკლებად მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა ხალხს, არავინ ელოდა, რომ ისე განვითარდებოდა მოვლენები, როგორც განვითარდა. ზოგადად, ეგრეა, იქამდე ვერ იაზრებ საფრთხეს, სანამ პირდაპირ არ ეჯახები. ამასობაში, დაიწყო აკრძალვები, შემოიღეს შეზღუდვები და ყველაფერი უფრო და უფრო რეალური გახდა. დაიწყო სტატისტიკის წარმოება და რიცხვები კატასტროფულად იზრდებოდა. თვალს მუდმივად ვადევნებდი და შიშიც მატულობდა. ჩავიკეტე სახლში, რაც მაშინ მეგონა, რომ მარტივი და სასიამოვნო იყო, ჩემი ინტროვერტობიდან გამომდინარე, თუმცაღა, შედეგები გვიან გავიაზრე. ვფიქრობ, კოვიდმა, ისევე როგორც ყველას, მეც მნიშვნელოვანი დაღი დამასვა, პეპლის ეფექტი და სამყაროში ყველაფრის ერთმანეთთან გადაჯაჭვა რელევანტური გახდა. ყოველდღიური მონოტონურობა, ცხოვრების გაჩერება და სოციუმთან პირდაპირი ინტერაქციის გაწყვეტა მძიმე აღმოჩნდა. გავიაზრე, რომ მეც რიგითი სოციალური ცხოველი ვარ, რომელსაც ჭირდება სოციალიზაცია იმისთვის, რომ თავი მთელის ნაწილად იგრძნოს. სტატისტიკურ მონაცემებს თვალს ხშირად ვადევნებდი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო და იმიტომ. ეს არ იყო უბრალოდ რიცხვები, დღითიდღე უარესდებოდა სიტუაცია და მეტი ადამიანი ეწირებოდა ვირუსს. საბედნიეროდ, მე და ჩემი ოჯახის წევრებს ყოველ ჯერზე მსუბუქ ფორმებში შეგვხვდა. მახსოვს, პირველად რომ მომაკითხა კოვიდმა, ძალიან გაბეზრებული ვიყავი. მაქსიმალურად ვიზოლირდი და ერთგულ მეგზურად ჩემი

კატა შემომრჩა, რომელიც გვერდიდან არ მშორდებოდა. ძირითადად, ვიწექი, სერიალებს ვუყურებდი, ვკითხულობდი და საყვარელ ადამიანებს დისტანციურად ვეკონტაქტებოდი. ახალი წლის პერიოდს დაემთხვა, მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი 1-2 კვირის მორჩენილი მქონდა, გემოს და სუნს დიდი ხანი ვერ ვგრძნობდი, ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, საახალწლო კერძები რომ ვერ დავაგემოვნე.

რაც შეეხება რეგულაციებს, პირველ რიგში მახსენდება კომენდანტის საათი, ბევრჯერ გავქცეულვარ გარეთ მყოფი(სხვა რეგულაციების გამო შორსაც ვერ წავიდოდი) ბოლო წუთებში რომ მიმესწრო სახლამდე. ტრანსპორტის შეზღუდვა მნიშვნელოვანი იყო, ჩემი აზრით. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა უმრავლესობას დისკომფორტი შეექმნა, გარემოსთვის დიდად სარგებლიანი აღმოჩნდა(მართალია, ცოტა ხნით, თუმცა მაინც). პირბადის ტარება, რამდენადაც აუცილებელი იყო, იმდენად უმნიშვნელო შედეგი ჰქონდა, ასე მგონი ა(ადამიანები, რომელთაც შეძენის საშუალება არ ჰქონდათ, ერთჯერად პირბადეებს კვირების განმავლობაში ატარებდნენ, ზოგი რეცხავდა კიდეც, რომ ხელახლა გაეკეთებინა). ვინაიდან, იმ დროს სათვალეს ვატარებდი, საკმაოდ დიდ დისკომფორტს მიქმნიდა, სანამ შევეჩვეოდი. მძღოლის წინ ჯდომის აკრძალვის აბსურდულობაზე, მგონი, ყველა ვთანხმდებით. ჰიგიენის ნორმების დაცვა და ხელების სწორად დაბანა ვფიქრობ, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დღემდე გამოყენებადია.

ჩემ გარშემო მეტ-ნაკლებად ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ რეგულაციების მიმართ, ზოგი იძულებით აკეთებდა იმას, რაც არ უნდოდა, ზოგს ამ ყველაფერს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა აკეთებინებდა, ზოგსაც შიში ამოძრავებდა. რეალურად, ყველაფერი საკმაოდ ქაოტური იყო, პანიკა, შიში, ისტერიკა მართავდა სოციუმს და დავემსგავსეთ ადამიანთა წინაპრებს, რომლებიც უბრალოდ გადარჩენისთვის იბრძვიან. საზოგადოებისთვის, იმის ცოდნა, თუ საიდან და რატომ გავრცელდა ვირუსი, თავიდან რაღაცის მომცემი იყო, ვგულისხმობ, თავდაპირველი ბრაზი და ნეგატიური ენერგია მიემართა რაღაც კონკრეტულს, არ აკუმულირდა იმ დოზით, რა დოზითაც შე-

საძლებელი იყო და რაც მერე უარეს შედეგებზე გაგვიყვანდა. უფრო მარტივია, როცა იცი, რაღაც რატომ გემართება, ქაოსში მიზეზებისა და ახსნების პოვნა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. და მაინც, უამრავი დეზინფორმაცია, ცრუ თეორია თუ მოსაზრება გაჩნდა კოვიდის შესახებ. ყველაზე საინტერესოა მოსაზრება, რომ ვირუსი სპეციალურადაა შექმნილი იმისთვის, რომ დედამიწაზე გადაჭარბებული პოპულაცია რამენაირად შემცირდეს. თითქოს, დედამიწაზე მზრუნველთა ჯგუფი შეიკრიბა, განიცადეს პოპულაციის სიჭარბე და გადაწყვიტეს, პლანეტას ამოესუნთქა.

მოვლენა, რომელიც კოვიდზე ფიქრისას მახსენდება, არის მაღაზიების წამიერად დაცარიელება, იმაზე ფიქრი, რომ ტუალეტის ქაღალდი და შაქარი შეიძლება სანატრელი გაგიხდეს, პირბადეების თავდაპირველ დეფიციტზე აღარაფერს ვამბობ. იმის გააზრება, რომ კრიტიკულ სიტუაციებში ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, რომ შიშმა და პანიკამ შეიძლება მარტივად მართოს ფსიქიკა და გაგაკეთებინოს აბსურდული რაღაცები. ასევე, დავფიქრდი იმაზე, რამდენად უსუსურია ადამიანი, როცა არ იცის, რა გააკეთოს და უბრალოდ ცდილობს მომავალი ნახევარი თუ ერთი წლის მარაგი გაიტანოს მაღაზიიდან, ვაი და, ვინმემ დაასწროს და ტუალეტის ქაღალდის გარეშე დარჩეს. ამხელა შიში სოციუმში პირველად დავინახე. საბოლოოდ, მივდივართ იქამდე, რომ გადარჩენისთვის ბრძოლა ადამიანთა უდიდესი ნაწილის მთავარი თვისებაა, რომელიც ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში განსაკუთრებით იჩენს თავს. აღნიშვნას იმსახურებს ფაქტიც, რომ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და დროის სვლის პარალელურად, კოვიდ-ამბები ჩვეულებრივი გახდა.

კოვიდის შემდეგ უამრავი რამ შეიცვალა. ყველას მენტალურ მდგომარეობაზე იმოქმედა პანდემიამ. მგონია, რომ ხალხმა მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მეტად დაიწყო, სხვანაირად შეუძლებელი იყო გაგრძელება ბევრისთვის. ის ტრავმები და პრობლემები, რაც კოვიდმა დატოვა, ვფიქრობ, დღემდე იჩენს მომენტებში თავს.

ჩემი პირადი გამოცდილებიდან ოჯახურ ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა, უბრალოდ, კოვიდის პერიოდში ჩემს და-ძ-

მასთან ერთად ბევრად მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე ჩვეულებრივ. თუმცა, მსმენია, რომ ბევრს გაუფუჭდა ურთიერთობები მსგავსი ტიპის აქტუალური კომუნიკაციითა და ინტერაქციით, ზოგსაც კი პირიქით – ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ ოჯახის წევრები არ არიან „ცუდი ტიპები“. სივრცის მოკავების პრობლემა დიდ ოჯახებში, ვფიქრობ, მეტად იჩენდა თავს, რაც გამოიწვევდა გაღიზიანებას და საერთო ფონის გათვალისწინებით, სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდებოდა. ზოგადად, მგონია, რომ ადამიანებს ყველაფერი ადრე თუ გვიან ჰბეზრდებათ და მოწყენილობაა ის მამოტივირებელი, რაც რაღაცების გაკეთებისკენ გვიბიძგებს. კოვიდის დროს იყო მობეზრება, მოწყენილობა (რომლის დროსაც ბევრს ვერაფერს გააკეთებდი) და შიში, რამაც საზოგადოება რთულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამას გარდა ბევრი სამეზობლო რურალური მეზობლური ურთიერთობიდან გადავიდა, ფაქტობრივად, ურბანულზე, ვინაიდან ის ახლო და მჭიდრო კავშირები, რაც რურალურ სივრცეს ახასიათებდა, ჩვენს უამრავ ქალაქში შევიწროვდა და ურბანიზდა, ურთიერთობები შედარებით გაცივდა და ადამიანები ერთმანეთისადმი გაუცხოვდნენ. ჟან ბოდრიარს თუ დავესესხებით, „ადამიანები საკუთარ ნარჩენთა ნარჩენები ხდებიან[...] აი, ასეთია საზოგადოება, რომელიც თავისივე თავს უბიძგებს გულგრილობისა და სიძულვილისკენ“ – თითქოს, ყველა თავის თავში ჩაიკეტა, გულგრილი გახდა სხვის მიმართ და შიშით გამოწვეული სიძულვილიც წინა პლანზე წამოვიდა, უდიდესი აგრესია იყო დაგროვილი საზოგადოებაში, სასოწარკვეთა და მომავლის დაკარგვის შიში. ამ ყველაფერმა, თითქოს დღესასწაულების აღნიშვნის მოტივაცია ჩაკლა. ვისაც მოტივაცია ჰქონდა, აკრძალვები არ აძლევდა საშუალებას, ეზეიმა (თუმცა, მგონია, პრივილეგირებული ადამიანები სურვილისამებრ იქცეოდნენ). სიმართლე ვთქვა, იმ პერიოდში ჩემი ახალი წელი არ მახსენდება, სავარაუდოდ, სტანდარტულად შევხვდით, მეტი შეზღუდვებითა და ნაკლები ენთუზიაზმით, მაგრამ საიდუმლო სანტას ყოველთვის ვთამაშობდით და არც კოვიდის პერიოდი იყო გამონაკლისი (შედარებით მცირე რაოდენობამ ვითამაშეთ, ვიდრე ჩვეულებრივ). რაც შეეხება აღდგომას, მახსოვს, მამაჩემის საფლავზე ვერ გავედით ვერავინ. როგორც ვიცი, სა-

საფლაოებთან პოლიციელები იდგნენ, რომ ხალხი არ შესულიყო. ერთ წელს ასე იყო, მეორე წელს ოჯახიდან ერთი ადამიანის ასვლა შეიძლებოდა მხოლოდ, თუ არ ვცდები.

პანდემიის პერიოდში ჩემ გარშემო რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, ზოგი კოვიდით (ან კოვიდისას არასწორი და არაპროფესიონალური მკურნალობით), ზოგი – კოვიდის შემდეგ დასუსტებული ორგანიზმითა და არსებული დაავადებების გამწვავებით. როდესაც ჩემი ნათესავი გარდაიცვალა, გაცილება იყო მეტ-ნაკლებად სტანდარტული, შედარებით ნაკლები ხალხითა და პირბადეებით, დისტანციის დაცვის მცდელობითა და წუხილით.

რაც შეეხება ვაქცინაციას, ჩემ გარემოცვაში მყოფ ადამიანთაგან 90% აიცრა. ზოგი, დღეს თუ რამე დაემართება, მაშინდელ აცრას აბრალებს, ფაქტია, ყველამ მარტივად გადაიტანა. იყვნენ ანტივაქსერებიც, რომლებსაც ნდობა და სურვილი არ ჰქონიათ აცრის. რეალურად, საზოგადოება პოლარიზდა ამ საკითხთან დაკავშირებით და ერთი მხარე ყოველთვის მეტად პრივილეგირებულად თვლიდა თავს მეორე მხარესთან შედარებით და ეს იყო ორმხრივი. მე კი მგონია, რომ ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც გადარჩენისთვის იბრძოდა და ამ პროცესში მანამდე არსებულმა რწმენა-წარმოდგენებმა წინა პლანზე წამოიწია.

ზოგადად, პანდემიამ ბევრი რაღაც გვასწავლა. ის, რომ ბევრი საქმის გაკეთება შეიძლება ონლაინ, დროც იზოგება ასეთ შემთხვევებში. საკუთარი ქმედებების გააზრება და დაფიქრება, პასუხისმგებლობის მეტად აღება საკუთარ თავზე იმისთვის, რომ სხვებიც არ დააზიანო. მგონია, ზოგიერთ ადამიანს შემორჩა ეს თვისებები პანდემიის შემდგომაც. ვისწავლეთ, რომ მენტალური ჯანმრთელობა ფიზიკურზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სოციუმი არასდროსაა მზად მსგავსი მასშტაბური დარტყმებისთვის და ასეთ დროს შედეგი ყოველთვის მძიმეა. ჩემი გადმოსახედიდან, ტრადიციებისა და ისტორიის ცოდნა სრულ აბსურდში გადაგვაგდებდა, დახმარების ნაცვლად. ვგულისხმობ, უფრო მასიური იქნებოდა ვიღაცების გამოგონილი „წამლების“, შელოცვებისა და სხვა მისთანების გაზიარება ხალხისთვის, რაც მეტ ქაოსს შექმნიდა. თუმცა, ამას მეორე მხარეც აქვს, გარკვეული დროით, ხალხის ნაწილში იქნებოდა იმედი, რომ რაღაც

მსგავსს გადაურჩნენ ადრე ადამიანები და ამისთვის რაღაც გზები ჰქონდათ (რაც იქნებ, ჩვენც გამოგვადგეს). ეს ყველაფერი სასოწარკვეთასა და უიმედობას უფრო შეამცირებდა, ვიდრე უშუალოდ პანდემიის დაძლევაში დაგვეხმარებოდა. ასეა თუ ისე, პანდემია გადალახულია, მისგან დატოვებული ტრავმები კი კიდევ შემორჩენილი და გადასამუშავებელი. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი და როგორც თავის დროზე პანდემიის მდგომარეობას შევეჩვიეთ, ძველ რუტინაზეც მალევე გადმოვეწყვეთ, რაც შემორჩა, იმაზე ფიქრი და გახსენება აღარავის უნდა.

დასასრულს, კოვიდ-19 რომ ფიზიკური ადამიანი იყოს, დავისვამდი დიდხანს და ვალაპარაკებდი, იქნებ, რამე საინტერესო მიზეზი ჰქონდა, რის გამოც ასეთ დღეში ჩაგვყარა?!

სალომე მელაძე

პანდემიის შემდგომ ჩანაწერი

არაერთხელ აღმომიჩენია, რომ როდესაც ადამიანები კოვიდ-პანდემიის სტრესულ გამოცდილებასა და მასთან დაკავშირებულ ცუდ მოგონებებზე საუბრობენ, ჩემთვის პანდემია არც ისე უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული. აქამდე არ დავფიქრებულვარ, კონკრეტულად რამ განაპირობა ჩემი ასეთი განწყობა; არც იმაზე მიფიქრია, ჩემი გამოცდილება ვინმესთვის საინტერესო იქნებოდა თუ არა.

პანდემიის არსებობა გავაცნობიერე 2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დადგომისას, როცა სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში გადავიდა. ისევე როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც უჩვეულო იყო, რაც მაშინ სამყაროში ხდებოდა, თუმცა პირველი განცდა არ ყოფილა შიში, ჩემდა უნებურად, განვეწყვე იმედით, რომ ეს პერიოდი ოდესღაც აუცილებლად დასრულდებოდა და პანდემიისგან „გაჩერებული დრო“ სასარგებლოდ უნდა გამომეყენებინა. მაშინვე რომ ბრძოლის რეჟიმზე გადავედი, ხუთი წლის წინანდელმა ჩემმა გამოცდილებამ განაპირობა. დაახლოებით მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი 2014 წელს, როდესაც ოკუპირებულ ახალგორის რაიონში ორი თვით იძულებით ჩავრჩი. მაშინ მიზეზი ე. წ. საზღვრის გადასაკვეთად საჭირო საბუთის – „პროპუსკის“ მოპოვება იყო; თუ საბუთის გარეშე დავტოვებდი ახალგორს, ვერასოდეს დავბრუნდებოდი იქ – ეს ცალკე სიურეალისტური ისტორიაა, თუმცა მაშინდელი ემოციები, იძულებით ჩაკეტილობა გარკვეულ სივრცეში (ტერიტორიაზე) კოვიდის დროს გამიცოცხლდა. 2014-ში მთელი ორი თვე არაფერი გამიკეთებია, არც არაფერი მაინტერესებდა იმის გარდა, თუ როდის ავიღებდი საჭირო საბუთს. მხოლოდ თბილისში დაბრუნების შემდგომ გავაცნობიერე, რამდენი დრო დავკარგე უქმად. ალბათ, ამ გამოცდილებამ განაპირობა, რომ კოვიდის დროს დაწესებულ შეზღუდვებს სხვანაირი შემართებით შევხვდი.

ყოველდღიურობა

პანდემიის დროს ერთი ჩვეულებრივი დღე ახალი ამბების შემოწმებით იწყებოდა. უჩვეულო განცდაა, როცა იცი, რომ არსად გეჩქარება. თავიდან მეგონა, რომ დღეები გაიწელებოდა, მაგრამ, პირიქით, ისე სწრაფად გადიოდა, ჩემი დასახული პროფესიული თუ ყოფითი გეგმების ნახევარიც ვერ განვახორციელე. ვიყავი კოვიდსტატისტიკის აქტიური მიმდევარი და საინფორმაციო მორევში ჩათრეულიც, ინკუბაციის პერიოდის დარღვევით აღშფოთებული და ანტივაქსერებზე განაწყენებულიც. სახლში სამი თაობის ადამიანები ვიყავით და პასუხისმგებლობა ახალგაზრდებმა ავიღეთ, სახლის გარეთ გასვლა ჩვენ ვიტვირთეთ, რადგან ვფიქრობდით, რომ დისტანციას და სხვა დანარჩენ ჰიგიენურ ნორმებს სახლის გარეთ ჩვენ უფრო ზედმიწევნით დავიცავდით. მახსოვს, დროის გასვლასთან ერთად იმატებდა სიამაყის განცდა, რომ ოჯახის არც ერთი წევრი არ ვიყავით დაინფიცირებული.

თავიდანვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს შეცვლილი რეალობა გამომეყენებინა იმ მიზნებისთვის, რაც აქამდე დავისახე და ვერ ვახორციელებდი. სწორედ პანდემიის დამსახურებაა, რომ დავიწყე ფიზიკური აქტივობა. რამდენადაც დღის დიდ ნაწილს ახალი ამბების გაცნობაში ვატარებდი, საღამოს აუცილებლად უნდა გვევლო გარეთ მე და ჩემს დას, რაც ერთგვარი განტვირთვაც იყო ცუდი ინფორმაციებისგან. ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებულად აღიბეჭდა ცარიელ საავტომობილო გზაზე ჩქარი ნაბიჯით ყოველდღიურად გავლილი ათამდე კილომეტრი. დღესაც ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ფეხით ბევრი ვიარო და დღიური მინიმუმი შევასრულო. სწორება ქვეცნობიერად კოვიდის პერიოდთან მაქვს – იმ დროს ხომ ამდენს დავდიოდი!

პანდემიას უკავშირდება ჩემი ურთიერთობა სამზარეულოსთან. ამ მოვლენას დღემდე ყველასთან აღვნიშნავ, რადგან არათუ რაიმეს ცხობა, არამედ კულინარიიდანაც შორს ვარ და მაშინ ეს დიდი მოვლენა იყო ჩემთვის – თითქოს რაღაც შეუძლებელი შევძელი. 2020 წლის აღდგომას სააღდგომო პასკა გამოვაცხვე. თუნდაც კარგი არ გამოსულიყო, მთავარი ცდა იყო. ჩემი ცნობიერი ცხოვრების მანძილზე პირველი შემთხვევა იყო, რომ აღდგომის ლიტანიობაზე ვერ წავედი; მქონდა ცოცხალი განცდა

იმისა, რომ რადგან ღამისთევის ლიტურგიაზე ფიზიკურად ვერ მივდიოდი, ამის სანაცვლოდ ჩემთვის რაღაც ყველაზე რთულს და შეუძლებელს ვაკეთებდი. დღეს პასკის ცხობა ტრადიციად დავამკვიდრე და იმდენად შევედი აზარტში, რომ პასკის ჩემეული რეცეპტიც კი შევიმუშავე.

დღეს მეღიმება – იყო კი საჭირო, ყველა იმ წესის დაცვა, რასაც იმ დროს ვაკეთებდი ან ექიმების მიღებულ დადგენილებებს ზედმიწევნით რომ ვასრულებდი?

კვლევითი საქმიანობა

ერთის მხრივ, პანდემიის მიერ შეცვლილ ყოველდღიურობას ჩემი საქმიანობა და სამუშაო გარემო მნიშვნელოვნად არ შეუცვლია. ადრე ერთ-ერთმა „კეთილმოსურნემ“ მითხრა, კვლევითი საქმიანობით ადამიანი ასოციალური ხდებაო. მეც იმავეს ვფიქრობ, თუმცა ამგვარი „კარჩაკეტილობა“ უარყოფითი მდგომარეობა არ მგონია, როგორც ეს ჩემთან დაკავშირებით ითქვა; ალბათ, ამიტომ „ჩაკეტილ“ და „ონლაინ“ ცხოვრებას უარყოფითი ემოციები არ გამოუწვევია, დისერტაციის წერისთვის ამ მხრივ იდეალური გარემო მქონდა.

მეორე მხრივ, კოვიდის მიერ გამოწვეული სირთულეები ჩემს კვლევით საქმიანობას ირიბად (თუ შეიძლება ამას ირიბი ეწოდოს) მაინც შეეხო. ეს იყო ვალდებულებები, რაც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტის გრანტის ფარგლებში მქონდა აღებული და ამავდროულად – ბიუროკრატია, რომელიც ყველა პროექტის თანმდევია.

პროექტი 2018 წლის დეკემბერში დავიწყე და უკვე აქტიურ ფაზაში ვიყავი, როცა პანდემია წამომეწია. კვლევის დასასრულებლად მნიშვნელოვანი აქტივობები მქონდა დაგეგმილი: ორი საველე ექსპედიცია ზემო სვანეთში, ერთი კვლევითი ვიზიტი საბერძნეთში, სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში და უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა.

როდესაც სახელოვნებათმცოდნეო კვლევას ატარებ, მით უფრო, როცა ახალი მასალის გამოვლენაა კვლევის მიზანი, არსებითად მნიშვნელოვანია, საკვლევი ობიექტის/ძეგლის ადგილზე მონახულება; წინააღმდეგ შემთხვევაში ის კვლევა არ იქნება „ახალი“ და შენეული. ამიტომ დარჩენილი აქტივობებიდან, სა-

ერთაშორისო ღონისძიებაზე მონაწილეობის გარდა, ონლაინ ან ვირტუალურად ვერც ერთს ვერ განვახორციელებდი. ამის გამო იძულებული გავხდი, პროექტი რამდენიმეჯერ შემეჩერებინა. მას შეზღუდვების მოხსნის შესაბამისად ვააქტიურებდი, ამიტომ 2021 წლის ზაფხულის ნაცვლად პროექტი 2023 წლის დეკემბერში დავასრულე.

სტრესული ნამდვილად იყო, მუდმივი ფიქრი, მომდევნო თვეების განმავლობაში საქართველოსა და მსოფლიოში რა მდგომარეობა იქნებოდა – რადგან საბერძნეთში კვლევით ვიზიტს იმ დროს არსებული რეგულაციების შემთხვევაში ვერ შევძლებდი (მით უფრო საბერძნეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო ევროპაში, რომელიც განსაკუთრებით მკაცრ რეგულაციებს აწესებდა, როგორც ვაქცინაციის, ისე საზღვრების გახსნის კუთხით). საბერძნეთში კვლევით ვიზიტთან იყო დაკავშირებული პროექტის ერთ-ერთი ქვეთავი და შესაბამისად, სტატიისა და მოხსენების თემების მომზადებაც.

მახსენდება ერთ-ერთი სატელეფონო საუბარი ფონდის წარმომადგენელთან, რომელიც მთავაზობდა, იმ დროს არსებულ რეალობაში ზემო სვანეთში საველე ვიზიტი მაინც განმეხორციელებინა, რაც გულისხმობდა დილით ზემო სვანეთში გამგზავრებას, ადგილზე ძეგლის მონახულებას, და იმ დღესვე უკანვე დაბრუნებას, რადგან იმ დროს არსებული შეზღუდვებით, სასტუმროში განთავსება არ შემეძლო. ძალისხმევა დამჭირდა ფონდის წევრის დასარწმუნებლად, რომ ზემო სვანეთში, რომელიც 500 კილომეტრითაა თბილისიდან დაშორებული, ერთ დღეში მსგავს საველე კვლევას ვერ ჩავატარებდი.

ზემო სვანეთში საველე ექსპედიცია 2020 წლის ივლისში მოვახერხე. ისევე როგორც მთელ სამყაროში, იმ დროს ადამიანებს შორის დიალოგი ასე იწყებოდა: გადაიტანე თუ არა კოვიდი? ასე იყო საქართველოს ზღვის დონიდან მეორე უმაღლეს სოფელში, უშგულშიც. თუმცა მაინც პანდემიას იქ ისე სერიოზულად არ უყურებდნენ, როგორც ქალაქში და თბილისის კოვიდსტატისტიკას ირონიულად კითხულობდნენ. იმ წელს ჩემი საველე ექსპედიცია ერთგვარი სოციალური აქტიც იყო. ტურისტებისგან დაცლილ ზემო სვანეთში ყოველ „ახალი ჯავშანსა“ თუ კა-

ფეში შეკვეთილ კუბდარს დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ალბათ, ჩემი სიხარული კარგად გამოხატავს პანდემიის პირობებში მცხოვრები ადამიანის მდგომარეობას. მახსოვს იმ სიხარულის განცდა, როდესაც გავიგე, რომ ორკვირიან იზოლაციას ერთი ნაბიჯით ავცდი: ისე მოხდა, რომ სვანეთიდან ჩემი წამოსვლის მეორე დღეს, 10 აგვისტოს მესტია ჩაიკეტა, რადგან იქ კოვიდის ე.წ. „მრავალი შემთხვევა“ გამოვლინდა...

საბერძნეთსა და საქართველოს შორის საზღვარი 2022 წლის მარტში გაიხსნა და მხოლოდ იმ წლის მაისში მოვახერხე საბერძნეთში წასვლა; მოგვიანებით, მაგრამ მაინც მომეცა შესაძლებლობა, სტატია მომემზადებინა და 2023 წლის მარტში კვიპროსში საერთაშორისო ღონისძიებაშიც მიმეღო მონაწილეობა. პანდემიის დროს პროექტის განხორციელებისას თითქოს რობოტივით, ორიენტირებული ვიყავი იმაზე, რომ ყველა ვალდებულება შემესრულებინა. მხოლოდ გრანტის დახურვის შემდგომ მიღებული უმაღლესი შეფასების შემდგომ აღმოვაჩინე, რომ, წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც ყველა ვალდებულება შესრულებული მქონდა და პროფესიული თვალსაზრისითაც არაჩვეულებრივი გამოცდილება მივიღე; ალბათ, ამიტომ, როგორ შეიძლება, ეს პერიოდი უარყოფით მოგონებად დამრჩეს, როდესაც სასიამოვნო შედეგს ხედავ?დადებითი გამოცდილება მაკავშირებს სწავლის პროცესთანაც. კოვიდის დროს ვიყავი სტუდენტიც (დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებულ საგანს გავდიოდი), და ასევე პირველად ჩავერთე სწავლების პროცესშიც. სირთულეები, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს ახლდა, ჩემთვის გარკვეულწილად შესაძლებლობა აღმოჩნდა, მონაწილეობა მიმეღო, როგორც სემინარების პროცესში, ასევე – სალექციო მასალების გაციფრულებაში უნივერსიტეტის სასწავლო პლატფორმაზე განსათავსებლად. უჩვეულო იყო ერთ დაწესებულებაში არსებული ორი რეალობა: მაშინ როდესაც დოქტორანტურის საფეხურზე მყოფ სტუდენტს არათუ ჩართული კამერა, არამედ მთელი ლექციის მანძილზე აქტიურობა მევალებოდა (და ეს რთული არ ყოფილა, რადგან ჩემთვის ლექტორის მიმართ ერთგვარი პატივისცემის გამოხატულება იყო), უჩვეულოდ საპირისპირო სი-

ტუაციაში აღმოვჩნდი ლექტორის პოზიციაზე, ბაკალავრიატის სტუდენტების ჯგუფში სემინარის დროს, როდესაც გამორთულ კამერას ვუცქერდი და უკეთეს შემთხვევაში, ადამიანების სახეების ნაცვლად, სხვადასხვა პატარა ფოტოს ვუყურებდი. ჩემს ამ ორ როლს განსხვავებული ემოციები ახლდა, რამაც გარკვეულწილად ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით ჩემი ხედვაც ჩამოაყალიბა. სტუდენტებს ონლაინ სწავლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით გარკვეულ დარგებში, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ; ამასთანავე, ვთვლი, რომ მინიმალური პირობა კამერის ჩართვა უნდა იყოს, ვალდებულებაც რომ არ ვახსენოთ, მგონი, რომ ერთგვარი ურთიერთპატივისცემის გამოვლინებაა. ეს ლექტორისთვის გარკვეული სტიმულიცაა, რომ მის საუბარს ნამდვილად უსმენენ. სამსახური დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალს მნიშვნელოვნად არ შეხებია ის ახალი რეალობა, რაც პანდემიის დროს სხვა მუზეუმებმა გამოცადეს – დაკარგეს დამთვალიერებელი და დაცარიელდა საგამოფენო დარბაზები. ჩემს მუზეუმს ექსპონატები არ აქვს და აქ ძირითადი საქმიანობა კვლევაა. სწორედ ამიტომ ონლაინ რეჟიმზე გადასვლა რთული არ ყოფილა, ალბათ, პირიქით, ჩემთვის უფრო კომფორტულიც იყო, რადგან ამჯერად თბილისიდან გორში სიარული აღარ მიხდებოდა. მუზეუმში ასევე საგანმანათლებლო მიმართულებაც გვაქვს და სკოლის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ერთჯერად პროგრამებს ვატარებთ. მწირი ბიუჯეტის გამო მსგავს პროგრამებს ძირითადად გარე გრანტებით წარვმართავთ; ასე იყო იმ დროსაც, 2019 წელს, როდესაც საქართველოსა და მსოფლიოში მშვიდობა სუფევდა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განაცხადი შევიტანეთ და დადებითი პასუხი მივიღეთ 2020 წლის ზაფხულში, მაშინ, როდესაც პანდემია უკვე ფეხს იკიდებდა ქვეყანაში. გამოწვევის წინაშე დავდექით: გამარჯვებული პროექტი – „ხელოვნება საზღვრებს გარეშე“ პანდემიამდე გაწერილი პროგრამით შეზღუდვების პირობებში უნდა განგვეხორციელებინა. დაგეგმილი იყო სამ თემატიკაზე აგებული შემეცნებითი გაკვეთილები: ეს მოიცავდა თეორიულ გაკვეთილებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის აქტიურ ინტერაქციას პრაქტიკულ სამ სხვადასხვა დავალება-

სთან ერთად: ბავშვებს ფიროსმანის ნახატების მიხედვით იმგვარად უნდა დაეხატათ, რომ მუშამბაზე ხატვის სპეციფიკა გაეგოთ, ან თავიანთი შერჩეული დეკორით თიხის ქოთნები მოეხატათ, ანდა წვრილ-წვრილი მძივებით მოზაიკა აეწყოთ და გაეცნობიერებინათ, თუ რა არის მოზაიკის ხელოვნება. სამინისტროდან პროექტის განხორციელების ნება დაგვრთეს, თუ ყველა ნორმის დაცვით ჩავატარებდით გაკვეთილებს. შეგვეძლო, ალტერნატიული გზაც მოგვეძებნა და პროგრამა ონლაინ განგვეხორციელებინა. მთავარი სირთულე ის იყო, რომ გაკვეთილები ათამდე ადამიანის ერთ სივრცეში შეკრებას გულისხმობდა და მით უფრო, მთავარი მონაწილეები ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა რისკს, მუზეუმი კოვიდის გავრცელების კერა გამხდარიყო. ისიც გვაფიქრებდა, იმ დროს არსებულ რეალობაში, მოსწავლეებს ან მათი ოჯახის წევრებს მოუნდებოდათ თუ არა მსგავსი ტიპის პროგრამაში ჩართვა? 2020 წლის შემოდგომის სასწავლო წლის დასაწყისში სკოლებში სიტუაცია მუდმივად იცვლებოდა – დადასტურებული შემთხვევების გამო ბავშვები ხან ონლაინ სწავლებაზე გადაჰყავდათ, ხან კი – სწავლა საკლასო ოთახებში ახლდებოდა. ალბათ, ამ რეჟიმისგან გადაღლილობისა და ერთმანეთის მონატრების გამო, ჩვენდა გასაკვირად, პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, გამოუცდელობის გამო განსაზღვრული არ გვქონდა, ონლაინ რეჟიმის შემთხვევაში მონაწილეებისათვის რა უნდა შეგვეთავაზებინა. რადგან პროგრამის ძირითადი ღირსება პრაქტიკული სამუშაო იყო, გადავწყვიტეთ, მაინც გაგვერისკა და მუზეუმში შეხვედრები დაგვეწყო. თუ შემთხვევები გამოვლინდებოდა, მაშინ ონლაინ რეჟიმზე გადავიდოდით. რისკმა გაამართლა. იმ საოცრად ხალისიან და წარმატებულ კვირებში მძიმედ ჩამრჩა ერთი დილა: გაკვეთილზე დასასწრებად მოსულ ბავშვებს, ტრადიციისამებრ, მუზეუმში ტემპერატურის გაზომვით ვუშვებდით, იმ დილით კი ერთ-ერთ პატარა გოგონას ტემპერატურა აღმოაჩნდა. რთული იყო მისთვის აგვეხსნა, რომ ამ მიზეზით გაკვეთილზე ვერ შევუშვებდით. ატირდა და განაწყენებული წავიდა; პატარამ ვერ გააცნობიერა, რატომ იყო მიუღებელი და მისი თანატოლებისგან რატომ გამოვარჩიეთ. ამ შემთხვევის გარდა, სხვა სირთულე არ გვქონია.

პანდემიის შემდგომ მუშაობა ისევ ძველებური პრიორიტეტებით გავაგრძელეთ. პანდემიის პერიოდი თავისი სირთულეებით ჩვენი მეხსიერებიდან თითქოს წაიშალა, არ ვცდილობთ, თადარიგი დავიჭიროთ და ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამები წინასწარ შევიმუშაოთ, რადგან თუ კიდევ მსგავსი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით, ადაპტაცია მარტივად მოვახერხოთ. ამასთან ჩემი მუზეუმის, როგორც ერთ-ერთი რეგიონული მუზეუმის რეალობა ისაა, რომ დღეს არსებული მწირი ადამიანური თუ ფინანსური რესურსების პირობებში, რთულია, იფიქრო მსგავსი ტიპის რისკებზე, როდესაც ჯერ არსებითად მნიშვნელოვანის გაკეთებასაც ვერ ახერხებ.

ჩანაწერი

ქალბატონი თბილისიდან[9]

კოვიდ-19 პანდემია იყო გლობალური ჯანმრთელობის კრიზისი, რომელიც დაიწყო 2019 წლის ბოლოს და სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, გამოიწვია ფართო სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი პრობლემები. ვირუსის გავრცელებამ მრავალი გამოწვევა წარმოშვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეცვალა საზოგადოებრივი ნორმები და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა პროფესიულ გარემოზე. ეს ესე მიმოიხილავს პანდემიის გამოწვევებს, პოზიტიურ ასპექტებს და ზეგავლენას ჩემს საქმიანობასა და ოჯახზე, განათლებასა და ა.შ. გამოწვევები ყოველდღიურ ცხოვრებაში COVID-19-ის გავრცელებამ ცხოვრების ყველა ასპექტი შეცვალა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გავლენა იყო შეზღუდვების და სოციალური დისტანცირების ზომების განხორციელება. აღნიშნული შეზღუდვები მიღებულ იქნა ვირუსის მეტად გავრცელების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მან გამოიწვია მნიშვნელოვანი დარღვევები საზოგადოებაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადამიანები აღმოჩნდნენ იზოლაციაში მეგობრებისა და ოჯახისგან, რამაც გაზარდა მარტოობის გრძნობა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემები. სკოლების დახურვა და ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლა დიდი გამოწვევა აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და პედაგოგებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი იყო ასეთი სწრაფი ცვლილებისთვის. როგორც ორი შვილის დედამ, შემიძლია ვთქვა, რომ დისტანციური სწავლა ჩემი შვილებისთვისაც რთული, მიუჩვეველი და ნაკლებად პროდუქტიული იყო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური პრობლემა. მრავალი ბიზნესი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, იბრძოდნენ გადარჩენისთვის გახანგრძლივებული დახურვებისა და მომხმარებლების შემცირებული ხარჯების გამო. ამან გამოიწვია ფართო მასშტაბის სამუშაოების დაკარგვა და ფინანსური

[9] ჩანაწერი მომზადებულია ავტორის მიერ

არასტაბილურობა მილიონობით ოჯახისთვის. 24 საათიან რეჟიმში მომუშავე დარგის სპეციალისტებმა, მათ შორის ჯანდაცვის სფეროს მუშაკებმა, განიცადეს ძლიერი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დატვირთვა და მუდმივი შიში დაავადების მიმართ. ხშირად კი არასაკმარისი დამცავი საშუალებების გამო. პოზიტიური ასპექტები მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, პანდემიამ ასევე გამოიტანა რამდენიმე პოზიტიური ასპექტი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ტექნოლოგიის სწრაფი მიღება და განვითარება. დისტანციური მუშაობა გახდა ნორმა მრავალი ინდუსტრიისთვის. ამ გადასვლამ არა მარტო აჩვენა მოქნილი სამუშაო პირობების შესაძლებლობა, არამედ ხაზი გაუსვა ციფრული განათლებისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას. ვიდეოკონფერენციის ინსტრუმენტები და კოლაბორაციული პროგრამები აუცილებელი გახდნენ, რაც ახალ გზებს ქმნიდა მუშაობისა და კომუნიკაციისთვის. პანდემიამ ასევე გამოავლინა საზოგადოების სოლიდარობა და მხარდაჭერა. ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთის დახმარება, გვერდში დგომა. მეზობლები ეხმარებოდნენ ერთმანეთს საკვების და საჭირო ნივთების შეძენაში, ხოლო მოხალისეებმა დახმარება გაუწიეს მოწყვლად ჯგუფებს. ეს სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოირჩეოდა როგორც პოზიტიური და ჰუმანური ასპექტით პანდემიის პერიოდში. პანდემიამ ჩემს პროფესიულ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. შორეული მუშაობის რეჟიმში გადასვლა დიდი ცვლილება იყო. ამ გადასვლამ გამოიწვია სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის მართვა და იზოლაციის გრძნობა, თუმცა, ასევე მოიტანა მრავალი სარგებელი. თანამშრომლებმა მიიღეს შანსი, დაზოგონ დრო და ფული მგზავრობაზე და გაატარონ მეტი დრო ოჯახთან ერთად. ასევე გაიზარდა პროდუქტიულობა და სამუშაოსადმი კმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამუშაოს დისტანციურად შესრულება არ ხერხდება, ჯანდაცვის მუშაკები, ლოგისტიკაში და საცალო ვაჭრობაში აგრძელებდნენ მუშაობას წინა ხაზზე, ხშირად რთულ და საშიშ პირობებში. მათი სამუშაო გარემო სწრაფად უნდა ადაპტირებულიყო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავდა ახალი ჯანმრთელობის პროტოკოლების დანერგვას და პირადი დამცავი საშუალებების უზრუნ-

ველყოფას. ამ მუშაკებმა მიიღეს დიდი ხნის ნანატრი აღიარება საზოგადოებისგან რაც აუცილებელი იყო მათი წვლილისთვის. პანდემიამ ასევე გამოიწვია ავტომატიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის მიღების დაჩქარება სამუშაო ადგილებში. ბიზნესი ცდილობდა მინიმალური კონტაქტით შეენარჩუნებინა ოპერაციები, რაც ზრდიდა ინვესტიციებს ტექნოლოგიაში. ამ ცვლილებამ გაზარდა ეფექტურობა და პროდუქტიულობა, თუმცა ასევე გამოიწვია შეშფოთება სამუშაოს დაკარგვაზე და საჭიროება ახალი უნარებისა და ცოდნის მიღებაზე. ბევრი პროფესიონალისთვის პანდემია გახდა შესაძლებლობა რეფლექსიისა და კარიერული მიზნების გადახედვისთვის. გამოწვევების შედეგად ადამიანები ეძებდნენ უფრო მნიშვნელოვან და დამაკმაყოფილებელ სამუშაოს, რამაც გამოიწვია ისეთი ტრენდები, როგორიცაა დიდი გათავისუფლება, სადაც მუშაკები ტოვებენ სამუშაოებს უკეთესი შესაძლებლობების, გაუმჯობესებული სამუშაო-ცხოვრების ბალანსისა და მეტი სამუშაო კმაყოფილების საძიებლად. მნიშვნელოვანია ასევე პანდემიის ზეგავლენა ბავშვებზე და ოჯახებზე. სოციალური დისტანცია და სკოლების დახურვამ გამოიწვია ბავშვებში სოციალური უნარების ნაკლებობა და ფსიქოლოგიური სტრესის ზრდა. ოჯახებში გაიზარდა დაძაბულობა და სტრესი, რადგან მშობლებს უწევდათ მუშაობა და ბავშვების მოვლა ერთდროულად. თუმცა, ამავე დროს, ოჯახებმა მეტი დრო გაატარეს ერთად, რაც ზოგიერთი ოჯახისთვის პოზიტიური აღმოჩნდა, რადგან ეს დრო გამოიყენეს ერთმანეთთან უფრო ახლოს გასაცნობად და ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ჯანმრთელობის სისტემის გამოწვევები პანდემიის დროს უდიდესი იყო. საავადმყოფოები და ჯანდაცვის დაწესებულებები გადატვირთული იყო, რამაც გამოიწვია სამედიცინო პერსონალის გადატვირთვა და რესურსების უკმარისობა. ამ გამოწვევებმა გამოავლინეს ჯანდაცვის სისტემის სუსტი წერტილები და საჭიროება გაუმჯობესებისა და მომზადება მომავალი პანდემიებისთვის. განათლების სისტემაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ონლაინ სწავლება გახდა ნორმა და ამან გამოავლინა ციფრული უფსკრული, რაც ხელს უშლიდა ბევრ ბავშვს განათლების მიღებაში. თუმცა, ეს გამოწვევები ასევე წარმოადგენდა შესაძლებლობას განათლე-

ბის სისტემის მოდერნიზაციისთვის და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზრდისთვის.

დასკვნა – კოვიდ-19 პანდემია იყო 21-ე საუკუნის დასაწყისის განმსაზღვრელი მოვლენა, რომელმაც მოიტანა მნიშვნელოვანი გამოწვევები და ცვლილებები. ყოველდღიურმა ცხოვრებამ გამოკვეთა მრავალრიცხოვანი პრობლემები, მათ შორის სოციალური იზოლაცია და ეკონომიკური სირთულეები. თუმცა, ამ განსაცდელების ფონზე გამოირჩეოდა დადებითი ასპექტებიც, როგორიცაა ტექნოლოგიის მიღების დაჩქარება, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უფრო მაღალი ყურადღება და საზოგადოების სოლიდარობა. პანდემიის ზეგავლენა სამუშაოს წარმოებაშიც ტრანსფორმაციული იყო, ახალი მუშაობის გზების მოტანა, აუცილებელი მუშაკების მნიშვნელობის ხაზგასმა და ა.შ. მსოფლიოს აღდგენისა და ადაპტაციის პროცესში, პანდემიისგან შესწავლილი გაკვეთილები განაპირობებს საზოგადოების და სამუშაოს მომავლის ფორმირებას.

ლევან კოჭლამაზაშვილი

პანდემიის შემდგომი ჩანაწერი

არ ვუჩიოდი ცხოვრებას არც ძველად და არც ახლა. მადლიერი ვარ მშობლებისა, რომელთაც აღმზარდეს და მომცეს განათლება. ვფიქრობ, კარგად დავეუფლე ჩემს პროფესიას, მეტ-ნაკლებად ვართმევ თავს დაკისრებულ მოვალეობას... მეტ-ნაკლებად ... თითქოს უნებლიე ნათქვამია, მაგრამ აჯობებდა, უნებლიობის ამოძახილი რომ ყოფილიყო მხოლოდ.

ჩემი რიგითი დღე სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევითი ბაზის დამუშავებას მოიცავს. უმეტესად ბიბლიოთეკაში უნდა ვიარო ექსპედიციის დაწყებამდე: მოპოვებული მასალის დახარისხება, შესწავლა, წინამორბედ მკვლევართა შეფასებათა გაცნობა, მეცნიერული დასკვნის ქმედითუნარიანობა სადღეისოდ...

თავდაპირველად ამ საქმიანობას სამსახურში ვეწეოდი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომელიც ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ტრადიციული და მდიდარი წარსულის მქონე კერაა. გულსატკენია, წარსულის ხმის სიმძლავრე და მჭექელობა აწმყოსას რომ აღემატება, მაგრამ სამუშაო პირობების მორღვევას სხვა განა რა უნდა გამოეწვია?! მე-19 საუკუნის დასაწყისში აგებული შენობა ინგრევა კენჭ-კენჭ, ბათქაშ– ბათქაშ, აგურ-აგურ... ჩამოშლილმა ჭერმა ჯერ არნოლდ ჩიქობავს სამუშაო კაბინეტს ჩაურაზა კარი, შემდეგ ანა კალანდაძის მაგიდა დაამტვრია, საცავ-ფონდში საქეიფოდ შეპარულ თაგვსაც გააფრთხობინა სული, რომლის სუნიც დღისით ბიბლიოთეკარებს აწუხებდა და საღამოს – დარაჯს .

2019 წელს ამ შენობაში უკანასკნელი ღონისძიება ჩატარდა, ოღონდ მაშინ არ ვიცოდით მისი უკანასკნელობის შესახებ. სამინისტრომ ბრძანება გასცა შენობის დახურვისა და დაუსწრებელი სამუშაო ფორმა შემოგვთავაზა. თანამშრომლებს ფეჯი ერთბაშად არ ამოუკვეთავთ, თუმცა უმეტესმა მათგანმა ეროვნულ თუ საქალაქო ბიბლიოთეკებს, უნივერსიტეტსა თუ საცხოვრებელ ბინებს შეაფარა თავი, ვისაც სად ერჩია. შეწყდა სამეცნიერო განყოფილებების სხდომა-კრებები, შეიზღუდა მოსაზრებათა მიმო-

ცვლაც, მონოგრაფია-სტატიების განხილვაც აღმოიფხვრა. ემიგრანტთა შეხვედრას დაემსგავსა თანამშრომელთა შემთხვევითი შეხვედრა ქუჩაში...

მეგობრებისთვის რომ მიამბია ჩვენი სამსახურის ყოფის შესახებ, არ სჯეროდათ, ჩემი შეთხზული სცენარი ეგონათ... თავდაპირველად ვწუხდით საჯელმწიფო უწყებათა გულგრილობაზე, რომ ჩვენს სამუშაო პირობებს უბრალოდაც კი არ იმჩნევდა, ფუფუნებას ვიღა ითხოვდა რომ?!

მიიწურა 2019 წელიც: დიდი ვაებით წარვადგინეთ წლიური ანგარიში იმის სასოებით, რომ შეუსრულებელ საგეგმო დეტალებს (კვლევითი ფონდების გადამოწმება იყო ძირითადად) საცავთა ხელმისაწვდომობისთანავე გამოვასწორებდით ...

2020 წელი, ჩინეთი, ქალაქი ვუჰანი ... ღამურის დაგემოვნებაზე აღლიცინებული საზოგადოება და უეცარი ზარი საეპიდემიო განგაშისა. მალე მთელი მსოფლიო ვირუს „კორონას“ მოეცვა და ცხოვრების ახალი წესებით გაგრძელების გააზრების დროც არ გვქონია ... შიში გამეფდა ყველგან, სადაც მიწევდა ყოფნა . რადიო მუდამ გადმოცემდა ჯანმოს რჩევა-დარიგებას უსაფრთხოების დასაცავად, თუმცა ეროვნული ბიბლიოთეკის კარზე გამოკრული განცხადების წაკითხვამ სამკითხველო დარბაზთა უვადოდ დაკეტვის შესახებ მაინც სახტად დამტოვა: დაცვის მუშაკს ჭარმაგ მკითხველებთან ერთად მეც დაჟინებით ვთხოვდი პასუხს, როდის აღდგებოდა მუშაობა...

ერთხელ შინ მიმავალი გაჩერებაზე ვუცდი 55 ავტობუსს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე... ჩემი ერთი ნაცნობი შემხვდა, რომელსაც მუდამ თბილად ვხვდებოდი და ჩამოსართმევად გაწვდილი ჯელი შემაჯმა, სახეს გადაბმულსაყურიანი ნიღაბი უფარავდა, ღიმილით შევხედე და შიშბრაზნარევი მზერა მომიგო... თან გამიკვირდა, მოულოდნელი და უჩვეულოა ჩემთვის ასეთი ცივი შეხვედრა; ის ვიფიქრე პირველად, რა ვაწყენინე ნეტავ-მეთქი, ბოდიში მაინც რომ მომეხადა; ყველაფერზე ვიფიქრე, მაგრამ აქაც რომ ჯანმოს რჩევა ამომეკითხა, მაგას მხოლოდ შინ მისული, ისევ რადიოს მოსმენისას მივხვდი, როცა წამყვანი მისალმების ახალ ფორმას განუმარტავდა მსმენელს...

კოვიდპანდემიამ დახურა ჩემი სამსახურიც...

ქართული ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელია“ რომ დიდი სიბრძნის მატარებელია, მაშინ მივხვდი, როცა პროგრამა „ზუმი“ ჩამოვტვირთე: უცებ ყველა მონატრებული კოლეგა შინ გამომეცხადა: პანდემიამდე უნივერსიტეტს რატომღაც არცკი შემოუთავაზებია ჩვენთვის მუშაობის ამგვარი ფორმატი. ყველა ისეთი გახარებული იყო, ვიღას აჴსოვდა რეგლამენტი და შესვენება... ლუკა მახარებლის სიტყვები მაჴსენდება: „არარაჲ არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადნეს და დაფარულ, რომელი არა საცნაურ იყოს (ლუკა, 12, 2)“. გამოურთავმა მიკროფონმა იმდენ საიდუმლოს მოჰფინა ნათელი, რომ კაცს (ენათ)მეცნიერზეც წაუხდებოდა აზრი და (ენათ)მეცნიერებაზეც... იმდენად შევეჩვიეთ და გულის კარიც გავუღეთ „ზუმს“, რომ კადრში შემოჭრილი ნიფხავპერანგშემოსული ოჯახის წევრი და კონფერენციის ფონზე მიმდინარე საოჯახო დავა საერთაშორისო სტანდარტსაც კი შევუხამეთ და ხან ქართველ მომხსენებელს ეკითხებიან, რა არის საჭმელიო და ხან უცხოელს მიართმევს კურიერი გამოძახებულ ულუფას ...

პანდემია დამთავრდა. 2021 წლიდან ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას უბრუნდება მსოფლიო. ჯანმოს შეზღუდვა ჯერ სამკურნალო დაწესებულებებს მოეჴსნათ, შემდეგ – ტრანსპორტსა და განათლების სექტორს, შემდეგ – გასართობ თუ სამომსახურეო სექტორს ... ასეა ჩვენს ქვეყანაშიც. ხალხმა დაიწყო კურორტებზე დასასვენებლად სიარულიც, მოიარეს ზღვა და მთა. მაქვს მოლოდინი, რომ ჩემი სამსახურიც გათავისუფლდება ამგვარი ბორკილისაგან...

შემოდგომაა. ბათუმში საზარელი ამბავი მოხდა: საცხოვრებელი კორპუსი დაინგრა და ხალხიც იმსხვერპლა. ამ დღეს ჩვენც გავახსენდით საჴელმწიფოს და განათლების მინისტრის სახელდახელო განკარგულებაც მივიღეთ, რომ ჩვენი სამსახურის შენობა დაილუქა...

2024 წლის ზაფხულია. ვიღას აგონდება პანდემია, ცხოვრება გრძელდება და ირჯება ხალხიც... ჩემს სამსახურშიც აღმოიფხვრა კორონავირუსი, მაგრამ მაინც ვერ ვგრძნობთ ამას, რადგან ისევ „ზუმით“ ვმუშაობთ, ვერც ფონდსაცავში ვამოწმებ მასალას და 2019 წელს დაუსრულებელი მოჴსენების ტექსტი

დღესაც უცვლელად მაქვს, არც წასაშლელად მემეტება და ვერ დაზუსტებულ აზრს ვამატებ...

თანამშრომლებსაც პანდემიური წესებით ვესალმებ-ვემშვიდობები, სრულიად გავუუცხოვდით ერთმანეთს, თანამდებობრივ ვალდებულებასაც ვეღარ ვგრძნობთ, რომ სამსახურის ღონისძიებებში აქტიურად ვმონაწილეობდეთ, კვლევით პროცესზე რომ აღარაფერი ვთქვა. იკლო მივლინება-ექსპედიციამ, კვლევას მოვალეობითი ხასიათი უფრო აქვს და ისიც ეროვნული სამეცნიერო ფონდის წინაშე, თორემ სიახლეებით გამდიდრებულს ნაკლებად ჰგავს ქართული (ენათ)მეცნიერება.

საჯელმწიფომ პანდემიის მიზეზით დაასრულა იაფფასიანი სარკინიგზო რეისები ნიქოზის, სადახლოსა და აეროპორტის მიმართულებით თბილისიდან და მასთან ერთად ჩემი სამსახურის არსებობაც, ოღონდ არ იმჩნევს ამას, თან ცხელ ხაზზე დამრეკავი მოქალაქის ჴმაც არ ისმის...

ნია ლომოური

პანდემიის შემდგომი ჩანაწერი

პირველი უჩვეულო გამოცდილება, ახალციხიდან გორისკენ მიმავალ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მივიღე. 2020 წლის 9-16 მარტი ექსპედიცია ახალციხეში საოქრომჭედლო საქმის შესასწავლად. 9 მარტს ჩავდივარ ახალციხეში და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პანდემიის ქაოსშია გახვეული, ექსპედიცია წარმატებით მიმდინარეობს. ჯერ კიდევ არსებობს იმედი, რომ ყველაფერი მარტივად ჩაივლის. პირველი შეტყობინება იუნესკოს არაფორმალური განათლების ცენტრიდან: „მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე თქვენი პროექტი გაურკვეველი ვადით შეჩერდა“, ჯერ კიდევ ვინარჩუნებ ოპტიმისტურ განწყობას და თავს ვაჯერებ, რომ საგანგაშო არაფერია. არადა ჰამბურგის მიმართულებით აღებულ ბილეთზე, რომელსაც ბევრი რამ უნდა შეეცვალა, მკაფიოდ ეწერა თარიღი: პირველი აპრილი. ვნატრობ, რომ ეს ყველაფერი აპრილის ხუმრობას ჰგავდეს, მაგრამ ნელ-ნელა შემოდის ახალი რეალობის აღქმა. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ყველაფერი 16 მარტს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობამ შეცვალა. აღმოჩნდა რომ ტრანსპორტით მხოლოდ მე ვმგზავრობდი (როგორც წესი, აღნიშნული მარშრუტი ყოველთვის გადატვირთულია). პირველი ძლიერი განგაში ჩემს გონებაში სწორედ ამ დღეს გაჩნდა, სიცარიელის და საზოგადოებრივი ქაოსის პირველი ტალღა ახლოვდებოდა.

ალბათ, დღეს აღარავის უკვირს ის ფაქტი, რომ მატერიალური კეთილდღეობისთვის გვიწევს არაერთი სამსახურის შეთავსება. პანდემიამდე გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სკოლაში ვმუშაობდი, პარალელურად რამდენიმე პროექტში ვიყავი ჩართული, სადისერტაციო ნაშრომისთვის მასალებს ვაგროვებდი და დრო ფიქრისთვის ან საკუთარი სურვილებისთვის ფაქტობრივად აღარ მრჩებოდა. სახლიდან დილით გასული უამრავ ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, საღამოს ვბრუნდებოდი და ოჯახის წევრებთან საუბრისთვის ენერგია აღარ მქონდა. თით-

ქოს რობოტად ქცეული ვემზადებოდი მეორე დღის ჩვეული რეჟიმისთვის. თვითიზოლაციამ და პანდემიისგან მიღებულმა შიშის განცდამ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შეცვალა. სახლში ყოფნამ გაანალიზების, გააზრების საშუალება მომცა. მიკვირდა, რამდენად შემგუებლები ვყოფილვართ ადამიანები.

რთული იყო ყველაფრის ონლაინ რეჟიმში გადატანა. დაიწყო „ზუმის“ და „თიმსის“ ხანა.

სრულიად სხვა ეტაპზე გადავიდა კვლევის და სწავლების ხარისხი. პირველ კლასელები „თიმსით“ მივიღეთ, სამუზეუმო ლექციები „ზუმში“ ჩავნიშნეთ, უამრავი ოფიციალური შეხვედრა, კონფერენცია, თუ სამეცნიერო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გადავიდა.

საბედნიეროდ სადისერტაციო თემის კვლევისთვის საჭირო ძირითადი მასალა უკვე შეგროვებული მქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამიჭირდებოდა ონლაინ რეჟიმში გადასული მუზეუმების ფონდებიდან ექსპონატების შერჩევა და ინფორმაციის შეგროვება ლოგიკური მიზეზების გამო. კვლევებისთვის ხელის შესაწყობად გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დავიწყეთ ფონდების გაციფრულება. რა თქმა უნდა, ერთბაშად ამდენი ექსპონატის ფოტოფიქსაცია და ბაზაში ინფორმაციის განთავსება ვერ მოხდებოდა, თუმცა პანდემიამ ბიძგი მისცა აღნიშნული პროცესის დაჩქარებას. აკრძალვების გამკაცრებამდე მუზეუმში ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფის წევრები მორიგეობით მივდიოდით. სიცარიელის განცდა, კომუნიკაციის ნაკლებობა და იზოლირება ართულებდა ყველაფერს.

ადამიანის ახალი მტერი სახლშიც მალევე გვესტუმრა. მამას ჯანმრთელობის მდგომარეობა მალე გაუარესდა. პირველად შემეშინდა... აღმოჩნდა, რომ გორის ჰოსპიტალში პაციენტებისთვის ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, არადა მამას მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდებოდა. ბოლოს რჩევა მივიღეთ, რომ საავადმყოფოსთან ცოცხალ რიგში ჩამდგარიყო და უფრო მეტი შანსი იყო, დახმარება მიეღო (ასეც მოხდა, მას შემდეგ რაც ცოცხალ რიგში ჩამდგარი გულის წასვლამდე მივიდა)... მიუხედავად იმისა, რომ ფილტვები ძლიერად იყო დაზიანებული, შევძელით ვირუსის დამარცხება.

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა არ უნდა შემეჩერებინა, ნელ-ნელა მივმართავდი კვლევის ახალ მეთოდებს, რომლებიც ადაპტირებული უნდა ყოფილიყო ონლაინ ცხოვრებასთან. ინტერნეტზე დაფუძნებული კვლევა უამრავ რისკ-ფაქტორს მოიცავდა: კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება, აკადემიურობა. კვლევისთვის საჭირო ინტერვიუები განხორციელდა „Skype“ ან „Zoom“-ის მეშვეობით. რა თქმა უნდა, სირთულე ამ მიმართულებითაც არსებობდა, რადგან აღნიშნული პლატფორმები ყველა ადამიანისთვის არ იყო მისაღები. ინტერვიუების ნაწილი „WhatsApp“-ის მეშვეობით წარიმართა, ხმოვანი შეტყობინებების თუ ვიდეო ზარების მეშვეობით. ამავე მეთოდით ხდებოდა ვიზუალური მასალის მოძიება. რა თქმა, უნდა აღნიშნული მეთოდები ვერ შეედრება პირისპირ, ცოცხალი ინტერვიუს მეთოდს, რადგან მას ახასიათებს ბუნებრიობა და სპონტანურობა, რომელიც კიდევ უფრო ზრდის კვლევის ხარისხს.

განსაკუთრებით რთული იყო სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოგვიწია შესასრულებელი სამუშაოს ადაპტირება. ცოცხლად შესასრულებელი ეტაპები სრულად ონლაინ რეჟიმში გადავიდა. ღონისძიებების უმეტესობა ონლაინ ჩატარდა. სემინარები, საგანმანათლებლო პროგრამები, სამეცნიერო ღონისძიებები სრულად ონლაინ ფორმატში განხორციელდა, რამაც, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეცვალა ხარისხი. იყო ხარვეზები, იყო გაუთვალისწინებელი შემთხვევები – სემინარის მიმდინარეობის დროს ინტერნეტის გათიშვა, შემთხვევით ჩართული მიკროფონი, ღელვა, რომ ყველა მონაწილემ უპრობლემოდ შეძლოს ჩართვა, ვერ გაზიარებული პრეზენტაციები...

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკებში დაწყებულია გაციფრულების პროცესი, უამრავი წყარო ხელმიუწვდომელი იყო, რაც, რა თქმა უნდა, დაბრკოლებას წარმოადგენდა კვლევის ხარისხიანად წარმართვისათვის. გვიწევდა პირადი კონტაქტებისა, თუ სხვა საშუალებების გამონახვა სასურველი მასალის მოსაძიებლად.

დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პროექტებისათვის უამრავი ფორმალური დოკუმენტის წარმოება ონ-

ლაინ გახდა შესაძლებელი, რაც დროის დაზოგვასთან იყო დაკავშირებული.

მოსწავლეებისთვის სწავლების პროცესი უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო, მომიწია უამრავი ონლაინ რესურსის შექმნა. ფიქრი, რომ ჩემი მიდგომები გამეუმჯობესებინა და არ დამეკარგა მოტივაცია, მოსვენებას არ მაძლევდა. სკოლაში დაბრუნებულებს პირბადეებით გვიწევდა გაკვეთილების ჩატარება, ყოველ კვირა კოვიდზე შემოწმება სწრაფი ტესტებით, ჩვეულებად იქცა. „დაიცავით დისტანცია!“ გონებაში ჩაბეჭდილი ფრაზა, რომლის გაგონება, იმედია, აღარასოდეს მოგვიწევს. ეს დისტანცია, სამწუხაროდ იმდენად დიდხანს გაგრძელდა, ვფიქრობ უზარმაზარი ცვლილებები გამოიწვია ადამიანებში.

გაურკვეველი ვადით გადადებული იუნესკოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტის პროექტი ჰამბურგში გამიუქმდა და საპირველაპრილო ბილეთების გვერდით, თაროზე შემოდებულ ტკბილ მოგონებად დარჩა.

დისტანციურმა რეჟიმმა და ონლაინ სამუშაო გრაფიკმა მომცა საშუალება ბუნებასთან სიახლოვე მეგრძნო. დავლაშქრე უამრავი ადგილი, მწვერვალები და ვიგრძენი ის, რაც სიცოცხლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ჰარმონია ბუნებასთან... ჰარმონია გონებასთან...

და ჰარმონია საკუთარ თავთან...

2008 წლის ომის შემდეგ ასე მძაფრად პირველად ვიგრძენი თავისუფლების სურნელი...

მახსოვს გორიდან რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ნაცრისფერ ქალაქში დაბრუნება, სიჩუმე, სიცარიელე... ასეთივე სიჩუმე იდგა ქალაქში პანდემიის დროსაც. სუჩუმე, რომლის სურნელი სიცარიელისა და შიშის სურნელს შერეოდა...

დღეს, როცა ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდით, მახსენდება კოვიდის პერიოდში ტვინში ჩამჯდარი ფრაზა „სამყარო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო“. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ პანდემია უახლოესი წარსულის აჩრდილად იქცა, შეიცვალა ადამიანი, შეიცვალა ურთიერთობები, შეიცვალა მიდგომები... რამდენიმე წლიანმა გაუცხოებამ ღრმა კვალი და-

ტოვა ჩვენზე... თითქოს ყველაფერი დაჩქარდა... ხშირად მსმენია ფრაზა „2019 წლიდან ხუთი წელი გავიდა? თითქოს გუშინ იყო“. და მე, რომელსაც ჩემს გარშემო მიმდინარე მოვლენების კონტროლი მინდოდა, კიდევ ერთი გაკვეთილი მივიღე... რომ ყველაფერი შეიძლება ერთ დღეს, ერთ წუთში, ერთმა მოვლენამ თავდაყირა დააყენოს და სრულიად ახალი კალაპოტი შექმნას ცხოვრების უჩვეულო დინებისთვის

ანანო ჩხეტიანი

კოვიდ პანდემიის დღიურები

COVID-19-ისგან გამოწვეული კარანტინის პირობებში, ერთ-ერთმა ლექტორმა მირჩია, დღიურები გააკეთეთ, რას ფიქრობთ, გრძნობთ, ამჩნევთ, რამ გაგაკვირვათ და რამ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება კორონა-ვირუსის კუთხითო. მეც, სახლში გამოკეტვის პირობებში, 2 კვირის განმავლობაში ვწერდი, რასაც ვისმენდი, ვფიქრობდი, მაოცებდა ან მაბრაზებდა. ორი კვირის შემდეგ მივატოვე, რადგან ქალაქიდან გავედი და ველარ ვუდებდი გულს. მას შემდეგ, ასე მიტოვებული ფაილი დევს ჩემი ლეპტოპის ეკრანზე. სამედიცინო ანთროპოლოგიის ფინალურისთვის სტატიის არჩევისას, ისევ შემხვდა ფაილი სახელწოდებით Corona Virus და მაშინ ვიფიქრე, რომ გამოყენება მოვუძებნე ამ ნაშრომს. ვფიქრობ, სამედიცინო ანთროპოლოგიისთვის, საკმაოდ რელევანტური თემა და ფორმა უნდა იყოს.

თავიდან დავიწყე კითხვა და ბევრი რამ ჩავასწორე. მერე მივხვდი, რომ დღიურის მთელი ესთეტიკა პირვანდელი სახის შენარჩუნებაშია და გიგზავნით უცვლელად.

26.03.2020

COVID 19

დღეს გადავწყვიტე შევკრიბო ახალი კორონავირუსის შესახებ არსებული ცნობები, ჩემი და ჩემი ახლობლების აზრები, დასკვნები, თეორიები, სხვადასხვა ჭრილში გააზრებული ახალი აღმოჩენები. სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ანთროპოლოგიური რეაქციები ბოლო ასწლეულის ყველაზე დიდ გამოწვევაზე. ასეთები კი ბევრია. ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ და ვისმენთ ამ თემაზე. უკვე ორი თვეა, საათი არ გავა ისე, რომ ან არ ახსენო ან არ გაიგონო ''კორონავირუსი''. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ვიფიქრე და ვილაპარაკე ამ თემაზე, ბევრი ამბავი უკვე დამავიწყდა. ყოველდღიურად ვეცდები გავიხსენო ამ ორი თვის განმავლობაში მოსმენილი, წაკითხული ან უბრალოდ თავში მოსული ამბები და ამასთანავე ყოველდღიურად დავამატო სიახლე ამ მოვლენის შესახებ.

პირველად კორონა ვირუსის შესახებ, დაახლოებით ორი თვის წინ, იანვრის ბოლო დღეებში შევიტყვე რომელიღაც ამერიკული, ან ინგლისური სანდო გამოცემისგან. სტატიას საკმაოდ დამზაფვრელი ფონი ჰქონდა და იუწყებოდა, რომ ჩინეთში გაჩნდა ვირუსი, რომელიც ძალიან სწრაფად ვრცელდება, არავინ იცის მისი არც წარმოშობა, არც მოქმედება და რაც მთავარია, არავის აქვს წარმოდგენა, თუ როგორ იკურნება. არ ეწერა, მაგრამ სტრიქონებს შორის იკითხებოდა, რომ ჯერ კიდევ დიდი ხანი არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ თუნდაც მსოფლიოში საუკეთესო მეცნიერები, ან ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას შექმნიან, ან მისგან განკურნების გზებს იპოვიან. რაც მთავარია, ეს ვირუსი კლავს. ყველს არა, მაგრამ კლავს. თან სწრაფად. და უფრო სწრაფად ვრცელდება.

ვაღიარებ, რომ ამ ახალმა ამბავმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იმასაც ვაღიარებ, რომ უბრალოდ მომწონდა, რომ ჩემს სანაცნობოში ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ამ საერთაშორისო სკანდალური სიახლის შესახებ ფლობდა ინფორმაციას. ვისთანაც მოვყევი, დიდი შთაბეჭდილება ვერავისზე მოვახდინე.

შემდეგ დღეებში ასეთი სტატიები მომრავლდა, გავრცელდა სტატისტიკები, ფოტოები, ინფორმაციები ვირუსის წარმომავლობის შესახებ. თვითონ ვირუსი კი, ისევ ისე ვრცელდება და ისევ ისე კლავს.

პირველი აღმოჩენა, რაც ამ ვირუსის ფარგლებში გავაკეთე, იყო ის, რომ არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად მედია მიდრეკილია დრამისკენ. ნუ, ალბათ, საზოგადოებაა დრამისკენ მიდრეკილი და იმიტომ, მაგრამ არ მეგონა, თუ ისეთი მედია საშუალებები, როგორებიცაა BBC და CNN, მკითხველის მოსაზიდად ისეთ ჰედლაინებს გამოიტანდნენ, როგორიცაა ''Deadly virus spreads…'' ამასობაში ალაგ-ალაგ, მაგრამ ქართულ მედიაშიც იპოვი ცნობებს ამ ვირუსის შესახებ. მაგრამ ჯერ ძალიან შორსაა, ჩინეთში და იაპონიაში მხოლოდ. იქიდან გამომდინარე რომ გავეცანი ვირუსის გავრცელების გზებს, მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან და უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ეს ვირუსი აუცილებლად მთელ სამყაროს მოედებოდა და წინასწარ დავიწყე ჩვენს უუნარო მთავრობაზე გაბრაზება, დარწმუნებული ვიყავი და ახლაც

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ჯანდაცვის მინისტრზე ადრე მე ვიცოდი ამ ვირუსის შესახებ. მინდოდა, რომ გაეკონტროლებინათ აეროპორტები, რადგან თუ ჩვენთან ვირუსი შემოვიდოდა, ტოტალური არაპროფესიონალიზმის პირობებში, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

თუ სწორად მახსოვს, ამასობაში ვრცელდება ვიდეო, სადაც ნაჩვენებია, რომ ჩინეთში ადამიანები ქუჩაში ეცემიან და იხოცებიან. აი, ამ ვიდეომ, ნამდვილად გამოიწვია პანიკა ქართულ საზოგადოებაშიც, მაგრამ მაინც უფრო ვიწრო წრეებში, მათ შორის, ვინც დასავლურ მედია საშუალებებს ეცნობა. ასეთები კი ვხედავთ, რომ ვირუსი თანდათან გვიახლოვდება. ჩნდება ამერიკაში და ევროპის ქვეყნებში. ნელ-ნელა ყველა ხვდება, რომ არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისები და კორონას გამოჩენას ახლო მომავალში უნდა ველოდოთ.

ნელ-ნელა იწყება საყოველთაო პანიკა და ფსიქოზი.

პანიკის პირველ ფაზაში ვეძებთ და ვპოულობთ ამ ყველაფერში დამნაშავეს, ცხადია, დამნაშავეები „ბინძური“ ჩინელები არიან, ყველაფერს ჭამენ, რამდენი არიან, აღარ უნდა შემოვუშვათ, არა, საერთოდ უნდა მოვაშოროთ „აქედან“. რასიზმის ჭრილში ორი ამბავი მახსენდება: 1. გურიაში 3 წლის წინ ჩასახლებულ ჩინელებს მიუვარდნენ, ამათ უეჭველი კორონავირუსი ექნებათ და გადაგვდებენო, წაიყვანეთ, შეამოწმეთო, აიძულეს სახელისუფლებო ძალები და ისინიც დაემორჩილნენ, წავიდნენ და მართლა შეამოწმეს 3 წლის წინ ჩამოსული ჩინელები; ამბავი 2. ერთ დღესაც, მარტის დასაწყისში, თბილისში მოთოვა.

ახალგაზრდა ტაქსის მძღოლი შემხვდა, რომელმაც სასაცილო ამბად მომიყვა, რომ გამოძახებაზე მისულმა შეამჩნია, რომ მას 4 ჩინელი ელოდა, მობუზულები და დასველებულები. დაუფიქრებლად მოუმატა სიჩქარეს, ფანჯარა ასწია და ტელეფონი გამორთო. ხმას ვერ ვიღებდი, ის ჯერ ხითხითებდა, ბოლოს კი ჩაიჩურჩულა, ისე კი შემეცოდნენო.

დღეს:

ბრიტანეთში ლონდონის იმპერიალ კოლეჯის ეპიდემიოლოგის ძველი გათვლებით 500 000 ადამიანი მოკვდებოდა, თუ სახელმწიფო საერთოდ არაფერს არ გააკეთებდა მის შესაკავებლად.

ახლა იგივე მეცნიერმა ეს გათვლები ჩამოიყვანა 20 000-ზე, საიდანაც (მისი სიტყვებით, არა ჩემით) „აქედან ნახევარი არის იმდენად მძიმე კატეგორია, რომელიც 2020 წელს ვერ გადასცდებოდა კორონა ვირუსის გარეშეც“.

გათვლების ასეთი რადიკალური ცვლილება განაპირობა იმან, რომ წინა გათვლებისას მათი დაშვება იმის თაობაზე, თუ რამდენ ადამიანს უკვე სჭირს ვირუსი ან გადატანილი აქვს, იყო გაცილებით ნაკლები რეალურზე.

https://www.dailywire.com/news/epidemiologist-behind-highly-cited-coronavirus-model-admits-he-was-wrong-drastically-revises-model?utm–source=facebook&utm–medium=social&utm–campaign=benshapiro&fbclid=IwAR00-GdbxQdNY9u1TOJOZ9s3TkPz75I58-eQDT–Y2–WVibPfQHmJSsUS6ZM

27.03.2020

დღეს ზუსტად ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველი კორონა ვირუსის შემთხვევა დაფიქსირდა. ქართულ საზოგადოებაზე, ბოდიში, პოსტ-სოციალურ მედია ქართულ საზოგადოებაზე რამდენიმე წლიანი დაკვირვების საფუძველზე, წარმოვიდგენდი პანიკის დონეს, მაგრამ რაც აქ მოხდა, აბსოლუტურად ყველანაირ წარმოდგენასა და პროგნოზს გადააჭარბა.

საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მეტად რეალიზებულია პროფესიულად, ეგო არ აძლევს საშუალებას, რომ გაჩუმდეს, ხოლო საზოგადოების არარეალიზებულმა ნაწილმა სწორედ ამ ვირუსში შეძლო რეალიზება. 24 საათიან რეჟიმში მიდის ამ საკითხის განხილვა, ყველანაირი რეალური და მეცნიერული და სტატისტიკური ფაქტების გათვალისწინების გარეშე, ხოლო ისინი, ვინც ვცდილობთ, რომ სტატისტიკური მონაცემები მოვიშველიოთ და რაღაცნაირად ცოტათი მაინც დავამშვიდოთ სრულ ისტერიკაში მყოფი ახლობლები, გულქვებს, ბოროტებს და ეგოისტებს გვეძახიან. გვარცხვენენ და გვეუბნებიან, რომ ადამიანის სიცოცხლე არ უნდა გადაგვყავდეს რიცხვებში, გვაბრალებენ, რომ არ გვიყვარს ბებია-ბაბუები, რომ არ გვაინტერესებს მოხუცები და მათი სიცოცხლე ჩვენთვის მხოლოდ სტატისტიკაა.

ისე მართლა საინტერესოა, მაინც ასე მშვიდად ვიქნებოდი, 85 წლის რომ ვყოფილიყავი?

მე ხმალამოღებული ვიბრძვი ორი რაღაცის დასამტკიცებლად, რომ ვირუსის გარშემო პანიკა ბევრად დიდ ზიანს მოგვიტანს, ვიდრე ვირუსი და რომ ეს პანიკა ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავაბრალოთ სოც. ქსელებს.

საზოგადოების დიდი უმრავლესობა ითხოვს, რომ დაიკეტოს ს ა ე რ თ ო დ ყველაფერი. უცნაურია, რომ არა მხოლოდ ეკონომიკურად შეძლებული ფენის წარმომადგენლები არ აპროტესტებენ უამრავი ობიექტის დაკეტვას და ეკონომიკის გაჩერებს, არამედ ისინი, ვისი ოჯახების ერთადერთი შემოსავლის წყაროც, ამ ობიექტებზე მომუშავე ადამიანების ხელფასებია და როდესაც ეკონომიკას ახსენებ, ისეთი სახით შემოგხედავენ, გეგონება, ეს ვირუსი შენი შექმნილი და გავრცელებული იყოს.

ძირითადად ისმის ტერმინები: ეპიდემია, პანდემია, საგანგებო მდგომარეობა, პარალელურად კი ისმის კითხვა, ამ ტერმინების მნიშვნელობა თუ გვესმის.

ხანდახან ეჭვი მიჩნდება, რომ ხალხს უბრალოდ დასვენება და უმოქმედობა სურდა და მიიღო. საქართველოში ძალიან დიდ ხნიანი უმოქმედობის შემდეგ, ძალიან სწრაფად აჩქარდა ტემპი, ამიტომაც სადღაც გულის ძალიან სიღრმეში, ბევრს გაუხარდა თავიანთი ობიექტების დაკეტვა და ცოტა ხანი უსაქმურობის პერსპექტივა. ალბათ იმასაც ფიქრობენ, რომ ბოლო-ბოლო შიმშილით არავინ მოკვდება.

ნამდვილად რომანტიკულია ის ერთიანობა, რაც მსოფლიო მასშტაბზე იგრძნობა. სოც. ქსელებში გაზიარებული ფოტოების და სტატუსების მიხედვით ვხედავთ, რომ რამდენადაც განსხვავებული კულტურის, ეკონომიკის, პოლიტიკის და რელიგიის მქონეებიც არ უნდა ვიყოთ, ყველა ერთნაირად ვართ სახლებში გამოკეტილები, ერთნაირად ვერთობით, გაგვყავს დრო და ერთნაირად ვწუხვართ ან ვიცინით ამაზე.

აქვე აღვნიშნავ, რომ გუშინწინ დაინფიცირდა პრინცი ჩარლზი, დღეს კი – ბორის ჯონსონი.

28.03.2020

დღეს შაბათია. ასეთ დღეებში უფრო რთულია #დარჩეშინ. ნელ-ნელა ძალიან ფილოსოფიური ხდება ეს ყველაფერი. ბევრს ვფიქრობთ და ვსაუბრობთ განვითარების სცენარებზე. როგორი იქნება ამ ყველაფრის მერე სამყარო, ურთიერთობები, გართობა, სოციალური შეკრებები. შევძლებთ თუ არა მოგზაურობას.

საქართველოში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ერთი შეხედვით, ყველაფერი კონტროლქვეშაა. არც ერთი გარდაცვლილი.

ვაკვირდები ადამიანების რეაქციებს, ძირითადად სოც. ქსელებიდან. ამ ერთი თვის განმავლობაში, ჩემთვის საინტერესო იყო ვირუსთან დაკავშირებით შექმნილი მითები. ჩამოვთვლი ჩემ ფავორიტ რამდენიმე ჭორს:

– ერთ ღამეს გავრცელდა ჭორი, რომ გამთენიისას, ვერტმფრენებიდან აპირებდნენ ქალაქის სადეზინფექციო შეწამვლას და რომ ფანჯრები კარგად დაგვეკეტა და სარეცხი შემოგვეტანა. ამ მითში ის მხიბლავს, რომ არაერთმა ჩემმა მეგობარმა დაიჯერა და ყურადღების გამოხატვის მიზნით, აქტიურად გაავრცელა სანაცნობო წრეში.

– თბილი ჰაერი კლავს კორონა ვირუსს და შესაბამისად, ფენს თუ მივიშვერთ ცხვირში და პირში, ვირუსი გაქრება;

– წყალი უნდა დავლიოთ ბევრი, რადგან წყალი ვირუსს მუცელში ჩაიტანს და კუჭის მჟავა გაანადგურებს;

და ჩემი ფავორიტი:

– რაღაცისთვის გვასუქებენ;

რა თქმა უნდა, არც პოლიტიკის გარეშე ჩაუვლია ამ ყველაფერს. ყველაფერს პოლიტიკური სარჩული გამოეკერა, ვირუსს, ექიმებს, ვირუსთან ბრძოლის ინსტრუმენტებს, ვირუსთან დაკავშირებულ შეკითხვებს და სხვადასხვა წრეებში ცხარე კამათი, უკვე ამ ჭრილში გრძელდება.

29.03.2020

დღეს კვირაა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, უკვე მეორედ გაიმართა საკვირაო წირვა. ჩემს გარშემო უმრავლესობა ბრაზდება მორწმუნეებზე, რომლებიც უარს ამბობენ დარჩნენ სახლში და არ დაესწრონ საკვირაო ზიარებას. ჩემი „ბაბლი“ ითხოვს, რომ შეიცვალოს ზიარების წესი, და ერთი სა-

ზიარებელი კოვზის ნაცვლად გამოიყენონ ერთჯერადი კოვზები. მე მიჭირს ცალსახა აზრის ჩამოყალიბება, რადგან ერთის მხრივ ვხვდები, თუ ვირუსის გავრცელების რამხელა წყარო შეიძლება იყოს ეკლესიები და მეორეს მხრივ, ვფიქრობ, რომ ძალადობაა, ავუკრძალოთ მორწმუნეებს რწმენა. მე აღმაფრთოვანებს იმ ადამიანების რწმენა, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ვირუსის შესახებ, მაგრამ მაინც სწამთ, რომ ვირუსი ეკლესიაში არ გადაედებათ ან არ წუხან იმაზე, თუ ამ ვირუსის შედეგად მოკვდებიან, რადგან ზუსტად იციან, რა ელით სიკვდილის შემდეგ და მათ ეს არ აშინებთ. არ შეიძლება ამ ადამიანებს ავუკრძალოთ იმის კეთება, რაც მათთვის ამ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შეიძლება ვეცადოთ, რომ შეურყიოთ რწმენა, არ შეიძლება ვაიძულოთ, რომ ეშინოდეთ იმის, რისიც არ ეშინიათ.

30.03.2020

დღეს კარანტინის ზომები გაამკაცრეს, და ე.წ. კომენდანტის საათი დააწესეს. სისულელე. საღამოს 9-დან დილის 6-მდე. ვითომ ამ დროს რამე სხვანაირად ედება ეს ვირუსი. პირიქით, მეტ ტრაფიკს შექმნის დღის საათებში. მაგალითად, მე თუ საღამოს 10-ის მერე ვსეირნობდი სუფთა ჰაერზე უკაცრიელ ადგილებში, ახლა დღე მომიწევს, ვერც უკაცრიელ ადგილებს ვიპოვი და ტრაფიკსაც მეტს შევქმნი.

არადა ესპანეთში და იტალიაში ვერ ჩერდება ხალხი სახლშიო, სახურავებზე დასდევს პოლიცია ხალხს, რომლებიც კარანტინს არღვევენ, რომ ერთმანეთს შეხვდნენ, სოციალიზდნენო. როგორ სწყურია ადამიანს მეორე ადამიანი, როგორი დაუოკებელია სოციალიზაციის სურვილი, როგორ უჭირს ადამიანს მარტო. თეორიულად ვიცოდი, გარკვეულ გამოცდილებებსაც ვეყრდნობოდი, მაგრამ ახლა ძალიან ცხადია ეს დამოკიდებულება. ხალხს ეუბნებიან რომ სიკვდილის საფრთხე აქვთ, მაგრამ მაინც უნდათ ერთად დროის ტარება, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

31.03.2020

დღეიდან კომენდანტის საათი დაწესდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ბავშვობიდან მეშინოდა ამ სიტყვის, სანამ გავიგებდი, რას ნიშნავდა. ჩემთვის ომთან, დამალვასთან და შიშთან

ასოცირდებოდა. მაგრამ ჩემდა გასაკვირად, საღამოს ძალიან სასიამოვნო სიმყუდროვის შეგრძნება მქონდა, რომ ვიცოდი, რომ ყველა თავის სახლში იყო შეყუჟული. 3 კინოს ვუყურე გადაბმულად, ვჭამე ღამის ორ საათზე და 2 ლიტრი ღვინო დავლიე.

ეს, რაც სასიამოვნოს შეეხება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი დისკომფორტი მოყვა ამ ახალ და ჩემი აზრით არაფრის მომცემ გადაწყვეტილებას. მათ შორის უზარმაზარი რიგები დიდ მარკეტებში, რადგან შიგნით მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ადამიანებს უშვებენ. კარფურსა და აგროჰაბის რიგები ჭავჭავაძეზე, ჩემი უბნის დიდი მარკეტის კი – მიმდებარე სკვერში. კიდევ სამ ბოსტნეულის მაღაზიაში ვერ ვიყიდე ნიორი, რადგან ისე გაძვირებულა, რომ აღარ შემოაქვთ გადამყიდველებს.

01.04.2020

დღეს შევიძინე ნიორი. აქამდე არ შემიფასებია ჩემი სწავლისა და სამსახურის დისტანციური რეჟიმი. დისტანციურად მუშაობა ძალიან კომფორტულია, 8 საათის მაგივრად, ზუსტად იმ დროს ვხარჯავ, რაც რეალურად მჭირდება, დღეში 2 საათს, ერთი საათი შეხვედრა თანამშრომლებთან და იმის გავლა, თუ რას ვაკეთებ, ხოლო ერთი საათი ჩემს ბენეფიციარებთან ტელეფონით დაკავშირება და კონსულტაციები. სწავლას რაც შეეხება, ლექციებიც ონლაინ რეჟიმში გვაქვს, რითაც დიდად კმაყოფილი არ ვარ, რადგან ყურადღების კონცენტრირება მიჭირს, სწავლის გაგრძელება კი უნივერსიტეტის მონატრებამ, აუდიტორიების ესთეტიკამ და სტუდენტური ცხოვრების სიყვარულმა გადამაწყვეტინა, ასე კი პრაქტიკულად ვერც ერთს ვერ ვიღებ.

02.04.2020

რამდენიმე თვის წინ ვფიქრობდი, კიბო გადამდები რომ იყოს, როგორ შეიცვლება სოციალური ურთიერთობები, ინტეგრაცია და ზოგადად ცხოვრება-მეთქი. ესე ამიხდეს ყველაფერი.

დღეს 6 საათზე, ფსიქოანალიტიკოსთან მქონდა შეხვედრა. ვერაფრით გავაცდენდი. 8:30 ზე დავასრულე, გამოვედი და მრგვალ ბაღში დავჯექი ერთი ღერის მოსაწევად, მშვიდად, ჰაერზე, მაგრამ რამდენიმე წუთში დამეწყო საშინელი ფორიაქის შეგრძნება, რომ ვერ მოვასწრებდი სახლში მისვლას 9-მდე, და-

ვრჩებოდი გარეთ მარტო, ვეღარასდროს მივიდოდი სახლში. აი ასეთი უცნაური შიში გამიჩნდა.

ძალიან დაძაბულია ჰაერი ქალაქში 7-ს მერე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

03.04.2020

12:00 – დისტანციური, ონლაინ შეხვედრა ბენეფიციარებთან;

13:00 – დისტანციური, ონლაინ შეხვედრა თანამშრომლებთან (აქტივობებისა და გეგმების გავლა);

15:00 – დისტანციური, ონლაინ ტრენინგი:

18:00 – დისტანციური, ონლაინ ლექცია;

21:00 – დისტანციურად, ონლაინ ''რა? სად? როდის?'' მეგობრებთან ერთად;

04.04.2020

დღეს ჩვენი მეგობარი რჩება ჩვენთან. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა, როცა არა ოჯახის წევრები რჩებოდნენ ჩვენთან. ან სოფლიდან ჩამოსულები, ან გვიანობამდე შემორჩენილები. ჩვენი მეგობარი ჭავჭავაძეზე ცხოვრობს, ჩვენგან კილომეტრნახევარში, მაგრამ საღამოს გატარება გვინდოდა ერთად და სხვა გზა არ არის. ღვინო მოვწრუპეთ და ფეისბუქ ზარით დავურეკეთ ჩვენს მეგობრებს. ერთი ბულაჩაურიდან ერთვება, ერთი ოქროყანიდან, ერთი მანავიდან, დანარჩენები სამწუხაროდ თბილისში ვართ ჩარჩენილები. ბევრი თეორია გაჟღერდა, მათ შორის შეთქმულების, რომ ეს ყველაფერი რაღაც საერთო, საერთაშორისო შეთქმულების ნაწილია, სადაც ხელისუფლებები შეთანხმდნენ, რომ ხალხის უკეთესად მართვისთვის ასეთი საგანგებო მდგომარეობაა უმჯობესი. და ასე გვაჩვევენ რეჟიმს.

ხალხს მიწისკენ მიუწევს გული. ეს ტენდენცია აქამდეც შეიმჩნეოდა, ურბანული ზონებიდან, ბევრს ჰქონდა რურალ სივრცეებში დაბრუნების სურვილი. ახლა მეტი სტიმული გაჩნდა. ბევრი ლაპარაკობს მიწის ყიდვაზე, დაბარვაზე, მოთხოვნაზე და ა.შ. ბევრს გაუჩნდა სურვილი, რომ არავისზე იყვნენ დამოკიდებულები, რომ თავიანთ სამყოფ საჭმელს და სასმელს თავად მოიპოვებდნენ.

05.04.2020

დღევანდელი მონაცემებით საქართველოში ორი ადამიანია გარდაცვლილი, ერთი 79 წლის, მეორე კი -81 წლის.

ევროპაში ისევ მძიმე მდგომარეობაა, დასავლეთის ქვეყნებში დღეში 500 – დან – 1000 ადამიანამდე კვდება. საქართველოს და თბილისის მასშტაბით რომ წარმოვიდგინო, ძალიან მძიმე სიტუაცია უნდა იყოს, მაგრამ ასე შორიდან ვერ ვიმსჯელებ. მედიაში ძირითადად ზედმეტად პათეტიკური პოსტები ან წერილები ქვეყნდება, ძალიან მძიმე დეტალებით, იმდენად პათეტიკურია, რომ რთულია დასაჯერებლადაც. მაინც დღემდე მაოცებს, როგორ უყვარს ხალხს დრამა და ტრაგედია. „ხალხი გიჟდება სიკვდილის სცენაზე, თუ მსხვერპლი თავად არ არისო“ – თქვა ჰიჩკოკმა და ძალიან ეხმიანება დღევანდელ სიტუაციას, ძალიან პოპულარულია განსაკუთრებით მძიმე შემთხვევები, განსაკუთრებით მძიმე კადრებით. ვერ ვხვდები, ეს სახლში დარჩენის პროპაგანდაა, თუ საზოგადოების ვნება უბედურებისკენ. ძალიან მაინტერესებს ევროპის მოსახლეობის განწყობა, მაგრამ როგორც გითხარით, არ არის მარტივი ობიექტური ინფორმაციის მიღება.

დღეს 18 გრადუსი იყო თბილისში და თავს უფლება მივეცი, გამესეირნა. აპრილის ძალიან სასიამოვნო დღე იყო, ნაწვიმარზე გამოსული მზე, აკვირტებული ხეები, კრიალა ჰაერი. არ მესმის ჩემი მეგობრების, ვინც შეძლო და თავი შეიკავა გარეთ გამოსვლისგან.

კომენდანტის საათს რაც შეეხება, პირადად მე თითქმის არ მაქვს დისკომფორტი. მაქვს დრო, რომ მოვიმზადო გემრიელი საუზმე, მრავალფეროვანი სადილი, საკმარისი დრო დავუთმო მეცადინეობას, ვიკითხო მხატვრული ლიტერატურა, ვუყურო ბეეევრ კინოს და რაც მთავარია, მეძინოს 10 საათი. არადა, მეგონა ძალიან გამიჭირდებოდა, რადგან ნორმალური ცხოვრების რეჟიმში დიდ დროს ვატარებ გარეთ, მეგობრებთან, ბარებში, კლუბებში. დიდად არაფერი მენატრება მეგობრების გარდა. მე რა მიჭირს, პრინციპში, ლამაზ, დიდ სახლში ვცხოვრობ ჩემს მეორე ნახევართან და ჩვენს ფისოსთან ერთად. რთულია მათთვის, ვინც სულ მარტო ცხოვრობს, ან უფროს თაობებთან ერთად. უფრო რთულია მათთვის, ვისაც პირადი სივრცე არ აქვს.

აქტიურად ხუმრობენ, პანდემიის დასასრულისას განქორწინების ადვოკატებთან დამდგარი რიგების შესახებ, ჩემ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვჩხუბობდით, ეხლა მაქსიმალურად მინიმუმამდეა დაყვანილი. ალბათ, ვიცით, რომ სხვა გზა არ გვაქვს და ოთხ კედელში, კიდევ ამგვარი დაძაბულობის შემოტანა არ გვინდა.

რთული პერიოდი აქვთ მარტოხელებს, ანუ მათ, ვისაც სასიყვარულო ან სექსუალური პარტნიორის არჩევა ვერ მოასწრეს ვირუსის გავრცელებამდე. ფაქტიურად წარმოუდგენელია ამ პირობებში ვინმე გაიცნო. მე მოუთმენლად ველოდები ამ პრობლემის გადაჭრის გზას, მასზე დაკვირვებას და მის ანალიზს.

06.04.2020

დღეს საინტერესო დაკვირვება გავაკეთე ჩემს თავზე და ჩემს გონებაზე. აღმოვაჩინე, რომ შემიმცირდა კონცენტრაციის პრობლემა. ადრე ძალიან დიდი დრო მჭირდებოდა, რომ კითხვისთვის, ლექციის მოსმენისთვის, წერისთვის დამედო გული. ახლა კი, ამ პირობებში, როდესაც სულ სახლში ვარ, კარგად მძინავს, არასდროს მშია, არ მინდება რამე ტკბილი მაშინ, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი, არ მეშლება ნერვები საცობზე, რიგში უკულტურო მომხმარებელზე, გაბრაზებულ კონსულტანტზე, დაგვიანებულ ავტობუსზე, ბინძურ ჰაერზე, სიცივეზე, სიცხეზე, სამსახურში უაზროდ დახარჯულ დროზე, მეგობარზე, რომელიც სისულელეზე მეკამათებოდა და ა.შ. – გონება ბევრად სუფთა, კონცენტრირებული, მობილიზებული და სააზროვნოდ გამზადებულია. მეცადინეობაც ბევრად ეფექტურია, მუშაობაც, ლიტერატურის კითხვაც და შემეცნებითი ლექციების მოსმენაც. იმედია, ბევრია ასე, ყოველ შემთხვევაში გულით ვისურვებდი.

საინტერესოა, რამდენი ადამიანი დარჩება ასე სახლში პანდემიის დასრულების მიუხედავად. რამდენი ადამიანი მიხვდება, რომ ინტროვერტი ყოფილა და საერთოდ არ ჭირდებოდა ბევრი რამ, რაც მათ ყოველდღიურობას იკავებდა, რამდენი ადამიანი მიხვდება, რომ მომავალი სამუშაო აუცილებლად დისტანციური უნდა იყოს, რამდენი მენეჯერი მიხვდება, რომ თანამშრომლების მიერ შესრულებული საქმე, სახლიდან ბევრად მაღალი ხარისხისაა. რამდენი ადამიანი მიხვდება, რომ სახლში უფრო გემრიელ

სადილს ამზადებს, ვიდრე საყვარელ რესტორანში, რამდენი მიხვდება, რომ კინოს ყურება და ღვინის მოწრუპვა ურჩევნია კლუბში ცეკვას. მოკლედ რამდენი ვინმე და რამდენი რამე გადაინაცვლებს სახლში სავალდებულო კარანტინის დასრულებისას?

07.04.2020

სახლიდან საერთოდ არ გავდივარ, მაგრამ დღეში უამრავ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა – თანამშრომლებთან, ლექტორებთან თუ თანაუნივერსიტეტელებთან, მეგობრებთან. მთელი დღე არ ჩერდება ტელეფონი, სხვა და სხვა აპლიკაციებიდან გაუთავებლად მოდის მესიჯები, ვიდეო ჩართვები სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმებზე. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ეს ყოფა, რომ არ გვქონოდა სმარტფონები, რომ არ შეგვძლებოდა ე. წ. „სქროლვა“ და ერთმანეთში კომუნიკაცია. რამდენად შეიძლება დისტანციურმა ურთიერთობებმა ჩაანაცვლოს რეალური ურთიერთობები, თვალებში ყურება, შეხება, ჭიქის მიჭახუნება, სიგარეტზე მოკიდება, პილპილის გადაწოდება.. მე ცალსახა პასუხი მაქვს ამაზე. ერთადერთი, რაც დისტანციურად მომწონს, მუშაობაა. არც ვიდეო ზარები მომწონს და არც ვიდეო ლექციები, არც ყავის და არც ღვინის წრუპვა კამერის წინ. ჩემს თაობასთან და მითუმეტეს ჩემზე უმცროს თაობასთან შედარებით, არასდროს მიყვარდა ტექნიკასთან გრძელვადიანი ურთიერთობა.

ჩემდა სამწუხაროდ კი, მთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიურობა ონლაინ რეჟიმში გადადის.

არამარტო ყოველდღიურობა, ვირუსმა დახურა კინოები, თეატრები, მუზეუმები, ოპერები. უფრო სწორად, კალაპოტი შეუცვალა, ახლა ეს დაწესებულებები ყველასთვის და დედამიწის ყველა წერტილიდანაა ხელმისაწვდომი. მუზეუმებმა ონლაინ ტურები შექმნეს, თეატრები და ოპერები კი თავიანთ წარმოდგენებს უფასოდ უშვებენ მედიაში. კი, მისასალმებელი ინიციატივაა, კი, ძვირადღირებული კულტურა, ნებისმიერი მსურველისთვის ხელშესახები გახდა, კი, ოპერის მოყვარულებმა ისეთი შესრულებები იხილეს, რის ნახვაზეც ვერც იოცნებებდნენ, მაგრამ ამ ტენდენციით მე – მაინც უკმაყოფილო ვარ!

08.04.2020

დღეს ასეთი სტატია შემხვდა, რამაც ჩემში ამბივალენტური რეაქცია გამოიწვია. სტატიის სათაურში ეწერა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, ფრანგ ექიმებს რასისტულ განცხადებაში დებდა ბრალს და უხეშად აკრიტიკებდა მათი იდეის გამო, COVID–19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინა, აფრიკაში გამოეცადათ. გადავედი ლინკზე, სადაც ფრანგი ჟურნალისტი და ექიმი საუბრობდნენ და განიხილავდნენ ამ იდეას. საერთოდ უემოციოდ, ისე თითქოს საცდელ ვირთხებზე საუბრობდნენ. ძალიან არ მესიამოვნა, განსაკუთრებით ფრანგებისგან. ჯანმოს დირექტორიც ამას ამბობდა, უნდა მიხვდნენ, რომ დროა გამოვიდნენ კოლონიალისტური მიდგომებიდანო.

მაგრამ, მეორეს მხრივ, აფრიკაში, სადაც პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგო აუცილებელი ზომების მიღება თითქმის შეუძლებელია, არ არის საკმარისი ადამიანური რესურსი, მით უმეტეს აღჭურვილობა და სამედიცინო ტექნიკა, ინფორმაციის გავრცელება ძალიან რთულია, იქნებ საუკეთესო გამოსავალი ისევ მათთვის პირველ რიგში, და შემდეგ დანარჩენი მსოფლიოსთვის, ვაქცინის საცდელი ვერსიის გამოცდა იყოს? მას მერე ამაზე ვფიქრობ, მაგრამ ვერ ჩამოვაყალიბე ცალსახა შეხედულება.

მაია ცერცვაძე

პამდემიის დღიურები

31.03.2020

COVID-19-ის 110 დადასტურებული შემთხვევა. 11 მარტის შემდეგ სახლში ვართ, 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დღეიდან წესები კიდევ უფრო მკაცრდება. საღამოს 9 სთ-დან დილის 6 სთ-მდე მოქმედებს კომენდანტის საათი. 70 წელს გადაცილებულთა გარეთ გასვლა იკრძალება. დღეს გამოაცხადეს, რომ აშშ-ში გარდაიცვალა ერთი საქართველოს მოქალაქე – 64 წლის მამაკაცი.

დისტანციური რეჟიმით ვმუშაობთ. შოთიკო, თამთა და გიორგი თავიანთ სახლში არიან. ვკონტაქტობთ მხოლოდ ინტერნეტით – მირეკავენ ფეისბუკით ან ვაიბერით.

ლექციებს ვკითხულობთ ასევე ონლაინ რეჟიმში – გუშინ პირველად წავიკითხე ორი ლექცია 19-დან 21 საათამდე. ვიყენებთ ZOOM სისტემას, რომელიც ადვილად ავითვისე. მაქვს დაახლოებით 1 კვირის პროდუქტის მარაგი. ვიყენებ სურსათის მოწოდების დევილერ სისტემას. გარეთ რამდენიმე დღეში ერთხელ გავდივარ მხოლოდ ნაგვის გადასაყრელად. ცხადია, მამაც არსად გადის.

დღეს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. „არტანუჯმა“ გამოსცა წიგნი, რომელსაც ერთი წელია ველი – შარშან მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, სადაც ჩემი გამოკვლევაც არის: „ზვიად გამსახურდიას ლექსის ევფონია (პოეტური კრებულის „მთვარის ნიშნობა“ მიხედვით)“. პრეზენტაცია, ცხადია, არ გაიმართება. წიგნის ელექტრული ვერსია კი, თქვეს, რომ აიტვირთება და ავტორებს გვექნება შესაძლებლობა უფასოდ ჩამოვტვირთოთ.

ორი დღის წინ ვიოლა ტუღუშს გავუგზავნე კორექტურის ელვერსია ჩემი წიგნისთვის „ნიკოლოზ ბარათაშვილი – 100 ამბავი“ სერიიდან „თან საკითხავი“.

ასევე შევასრულე კორექტურა ჩემი სტატიისა ჟურნალისთვის „ქართული ემიგრაცია“ – „ქართველი ემიგრანტებისადმი მიძღვნილი გიორგი გამყრელიძის ლექსები“.

ჩვენი გრანტი ფორს მაჟორის გამო ვერ სრულდება – ერთი კვირის წინ შევადგინე ალ. ორბელიანის სავარაუდო ბიბლიოგრაფია, რაც შევძელი ამ პირობებში და ავტვირთე გრანტის დახურულ ჯგუფში.

დღეს გავაკეთე თვითნაკეთი ნიღაბი, გამჭვირვალე პლასტიკატის ვუალით, რომელიც იცავს მთლიანად სახეს.

დღის ბოლოს მომიტანეს შეკვეთილი კალათა გუდვილიდან. რამდენიმე დღე მეყოფა.

ვკითხულობ ანა დოსტოევსკაიას მოგონებებს.

ფეისბუკზე მოვუსმინე ლია ლორიას ვიდეოს – ეს იყო არაჩვეულებრივი ზეპირი ნოველა მოპასანის ერთ მოთხრობაზე, ძალიან პოეტურად და არტისტულად გადმოცემული. მიყვარს ეს ქალი.

01.04.2020

COVID-19-ის 115 დადასტურებული შემთხვევა. კარგი ამბებიც გვაქვს. 22 პაციენტი გამოჯანმრთელდა. ერთი უმძიმესი პაციენტი – 80 წლის ქალი გამოჯანმრთელდა და გაეწერა კლინიკიდან. გაეწერა ასევე ამირან გამყრელიძის შვილი – ნიკა გამყრელიძე. ჩვენი ექიმები სამაგალითოდ იქცევიან – დაავადების რისკის ქვეშ მუშაობენ. გამყრელიძე-იმნაძე-ცერცვაძის სამეული ჩვენი დროის გმირებად იქცნენ.

დღეს სამზარეულოს დღე მქონდა – გავაკეთე საჭმელი – მოვხარშე ლობიო, შევწვი კატლეტი და ასევე მოვამზადე ბრინჯის გაწურული ტკბილი ფლავი ქიშმიშით და ფორთოხლის ცედრით. რამდენიმე დღე მეყოფა.

ვკითხულობ წიგნს და გონებაში ვაწყობ შემდეგი სამუშაოების გეგმებს. უნდა დავწერო თეზისები ამერიკისმცოდნეობის კონფერენციისთვის, რომელიც მაისშია დაგეგმილი და რომლის დედლაინი 20 აპრილს იწურება. ასევე მურად მთვარელიძეს უნდა გავუგზავნო შარშანდელი ხაშურის კონფერენციის მოხსენების ტექსტი კრებულში დასაბეჭდად. თუ მოვახერხე, მინდა კორნელი კეკელიძის კრებულისათვის უკვე დაწყებული სტატიის – რუსთაველის ხიაზმებზე დაწერაც. ლიტინსტიტუტის ამ წლის კონფერენციისთვის ჯერჯერობით ვერაფერი მოვიფიქრე.

ვადგენ წასაკითხი წიგნების სიასაც.

დღეს ფეისბუკზე მოვუსმინე რეზო კორინთელის ძალიან კარგ ლექციას კორანა ვირუსით გამოწვეულ სტრესთან დაკავშირებით. მიყვარს ეს კაცი, ძალიან ღრმა განათლება და კულტურა ჩანს მისი ლექციებიდან.

საღამოს უკვე 117 დადასტურებული შემთხვევა. 23 გამოჯანმრთელებული პაციენტი.

02.04.2020

COVID-19-ის 130 დადასტურებული შემთხვევა, მათ შორის ეროვნული ბანკის 6 თანამშრომელი, სავარუდოდ, ფულის ნიშნებით ინფიცირებულნი.

03.04.2020

COVID-19-ის 148 დადასტურებული შემთხვევა. მრავალი შემთხვევაა რუსთავში, შეიძლება სრული კარანტინი გამოცხადდეს.

დილას დავამთავრე ანა დოსტოევსკაიას „მოგონებები". ძალიან მომეწონა – ანა გრიგორიევნა მწერლისთვის იდეალური ცოლი იყო.

გამოაცხადეს, რომ დაავადდა სასწრაფო დახმარების ერთი ბრიგადის ექიმი.

04.04.2020 შაბათი

COVID-19-ის 157 დადასტურებული შემთხვევა. პირველი გარდაცვალებულის შესახებ გვამცნო ამირან გამყრელიძემ. 79 წლის ქალი ბოლნისის სოფლიდან გარდაიცვალა, რომელსაც თანმხლები დაავადებები ჰქონდა.

3 საათზე წავიკითხე ონლაინ ლექცია.

საღამოს ინფიცირებულთა რიცხვი 159-მდე გაიზარდა. სულ გამოჯანმრთელებულია 31 პაციენტი.

05.04.2020 კვირა

COVID-19-ის 170 დადასტურებული შემთხვევა, 36 გამოჯანმრთელებული. მსოფლიო ცხოვრობს კორონას მიყურადებული. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა აშშ-ში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში... კორონათი გარდაცვლილებს მარხავენ განსაკუთრებული წესებით, რომელიც შეიმუშავა ჯანმომ. გამყრელიძემ გამოაცხადა, რომ ეს გავრცელდება ჩვენთანაც, გუშინ გარდაც-

ვლილზე. ეს წუთია გამოაცხადეს კიდევ ერთი გარდაცვლილის შესახებ, 81 წლის ქალი გარდაიცვალა.

საღამოს დაემატა კიდევ 4 შემთხვევა.

06.04.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 188 დადასტურებული შემთხვევა, 36 გამოჯანმრთელებული. საღამოს წავიკითხე ორი ონლაინ ლექცია. შოთიკოს და გიორგის ველაპარაკები ინტერნეტით. რა ბედნიერებაა, რომ ის არსებობს!

07.04.2020 სამშაბათი, ხარება

COVID-19-ის 195 დადასტურებული შემთხვევა. დღეს ხარებაა. სამწუხაროდ, გაფრთხილების მიუხედავად მრევლი მრავლადაა ეკლესიებში, რაც ძალიან საშიშია. დილას სპარიდან მომიტანეს პროდუქტი, ერთი ხუთი დღე მეყოფა.

ველაპარაკე და ხარება მივულოცე ქალბატონ ქეთი ანჯაფარიძეს, რომელსაც დიდი ხანია არ დავკავშირებივარ, ბოდიში მოვუხადე ამისთვის. ძალიან მიყვარს ეს არაჩვეულებრივი ქალი. ველაპარაკე ციცისაც.

საღამოს გამოაცხადეს გარდაცვალების კიდევ ერთი, მე-3 შემთხვევის შესახებ – 86 წლის ქალი გარდაიცვალა.

08.04.2020 ოთხშაბათი.

COVID-19-ის 208 დადასტურებული შემთხვევა, 50 გამოჯანმრთელებული.

ნაშუადღევს გადავწყვიტე მანქანა დამექოქა და ცოტა გამევლო, რომ არ დამიჯდეს აკუმულატორი. ის იყო ეზოდან გავედი, რომ უბნის ბიჭებმა გამაჩერეს, საბურავი გაქვთ დაშვებულიო. წინა საბურავი თითქმის ჩაფუშული იყო. რაღას ვიზამდი. მაშინვე შემოვბრუნდი და დავაყენე მანქანა. შოთიკოს ვუთხარი და დამპირდა, ერთხელ მოვალ და ე. წ. „ზაპასკას“ დაგიყენებო. გიორგის მოვუყევი ეს ამბავი – მანქანებთან დაკავშირებული ამბები უყვარს და ახალისებს.

09.04.2020 ხუთშაბათი.

COVID-19-ის 214 დადასტურებული შემთხვევა, 50 გამოჯანმრთელებული.

შუაღამისას, 3 საათზე მამამ დამიკაკუნა ოთახის კარზე და შეშფოთებულმა მითხრა, ბაკი გასკდაო. გულგახეთქილი წამოვვარდი და კარგად რომ დავაკვირდი, ცივი წყლის მილი, გარედან შემომავალი, აბაზანის შემრევს და ბაკსაც რომ უერთდება, ის იყო გახეთქილი და ძალიან დიდი წნევით ზემოდან ჭერამდე ასხამდა წყალი, წვიმდა, ფაქტობრივად. ქოლგით შევდიოდი საბაზანოს ოთახში. „მისტერ მასტერში“ დავრეკე და ასე მითხრეს, კომენდანტის საათია და ვერაფრით დაგეხმარებითო. მეორე დღეს მხოლოდ 4 საათისთვის დამიფიქსირეს შეკვეთა. სასწრაფოდ საჭირო იყო ჩვენი ბინის საერთო ვენტილით წყლის გადაკეტვა, რომელიც ძალიან მაღლაა, თითქმის ჭერში და ვერც მე და ვერც მამაჩემი ვერ შევძლებდით. იძულებული გავხდი დამერეკა ლევან ჩიხრაძისათვის, ძალიან მოვუბოდიშე და ვთხოვე დახმარება. შემპირდა, მალე მოვიდა და წყალი ჩაგვიკეტა. ძალიან მადლობელნი ვართ. ნერვიულობისა და სტრესისგან მთელი ხერხემალი ამტკივდა, ხელები მიბუჟდებოდა, მუხლები მიკანკალებდა და ცხადია, ვეღარ დავიძინე. ერთი წუთითაც არ მიძინია წუხელ. სანამ მამა დამიკაკუნებდა, არც მანამდე მეძინა.

10.04.2020 პარასკევი.

COVID-19-ის 228 დადასტურებული შემთხვევა, 50 გამოჯანმრთელებული.

გავაკეთე ჩახოხბილი – კარგი გამომივიდა. ველაპარაკე შოთიკოს და გიორგის.

საღამოს ვანოს შოუში იყო მახვილგონივრული ხუმრობა, ვანოს ხიაზმი – წინათ ფულს აუთავებდნენ ხალხის გულისთვის და ახლა ფულს აუთოებენ ხალხის გულისთვისო (იმნაძემ რომ თქვა, ფული ვირუსის გადამტანია და დააუთოვეთო). „ფორმულაზე“ ვუყურე სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები კარანტინში“.

11.04.2020 შაბათი.

COVID-19-ის 236 დადასტურებული შემთხვევა, აქედან 3 შემოტანილი სხვა ქვეყნებიდან (სომხეთი, თურქეთი) 60 გამოჯანმრთელებული.

3 საათზე წავიკითხე ლექცია. 2-ჯერ ველაპარაკე შოთიკოს და გიორგის.

საღამოს დამირეკა რუსუდან ღვინეფაძემ – მისი და ნანა დავარდნილა და თეძო მოუტეხია. საავადმყოფოშია და ოპერაციისთვის ამზადებენ. ვუთხარი, რომ მოვუსმინე მისი თარგმნილი წიგნის – კრისტა ვოლფის „კასანდრას“ წარდგენას „ლიტერატურულ სამკუთხედში“. ძალიან გაუხარდა. მეც მიხარია. მიყვარს ეს ქალი. „ფორმულაზე“ ვუყურე სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები კარანტინში“.

საღამოს 242 დადასტურებული და 3 შემოტანილი.

12.04.2020 კვირა, ბზობა.

COVID-19-ის 252 დადასტურებული შემთხვევა, აქედან 3 შემოტანილი.

დღე ბზობაა, უჩვეულო ბზობა. ველაპარაკე თამთას და შოთიკოს. გიორგის სიცხე ჰქონია – 38.2, მერე ცოტა დაუწევია – 37.8-მდე. რა უნდა ვქნათ, არ ვიცით. ლამის გავგიჟდე. ცოტა ხანში ისევ – 38.1.

64 გამოჯანმრთელებული.

დღეს გამოვიძახე ავტოსერვისი. გაფუჭებული საბურავის ნაცვლად დამიყენეს ე. წ. „ზაპასკა“. საბურავი გამოსაცვლელიაო. 20 ლარი მივეცი.

ფორმულაზე ვუყურე სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები კარანტინში“ – ძალიან კარგი სერია იყო – ნინასა და დათოს მონოლოგებით.

ველაპარაკე ქეთინოს. ლევანი თურმე ორი დღეა ხეჩინაშვილში წევს. ინსულტი ჰქონია. ძალიან მაწუხებს მისი ამბავი.

ბზობა მივულოცე ნინო ჯავაშვილს, ემზარ კვიტაიშვილს, პაატა ნაცვლიშვილს, მურად მთვარელიძეს, ზეინაბ ესაკიას.

13.04.2020 ორშაბათი.

COVID-19-ის 273 დადასტურებული შემთხვევა, აქედან 3 შემოტანილი. 68 გამოჯანმრთელებული.

გიორგის სიცხე ნაკლები აქვს. ორჯერ ველაპარაკე. საღამოს წავიკითხე 2 ლექცია. მომიტანეს პროდუქტი, პასკა, ენდრო, ვემზადები უჩვეულო აღდგომისთვის. თითქმის ყოველდღე ველაპარაკები ჟაკლინს. ვპოსტავ ფეისბუკზე.

14.04.2020 სამშაბათი.

COVID-19-ის 296 დადასტურებული შემთხვევა, აქედან ერთი სასულიერო პირი. 68 გამოჯანმრთელებული.

გიორგის სიცხე ამ დილას არა აქვს.

ღამე კარგად მეძინა, დილას ძლივს გავიღვიძე, 11-ზე ავდექი და მაინც ვერ ვფხიზლდები. ერთი ღამე კარგად მძინავს, მეორე – არა.

დღეს 14 აპრილია, ქართული ენის დღე.

უჩვეულო ვნების კვირაა. ვერც აღდგომას შევხვდებით და ვერც სასაფლაოზე გავალთ. შიშით ველოდებით აღდგომას, რომ ხალხის თავშეყრის გამო არ იფეთქოს ეპიდემიამ – არც ეკლესია და არც მორწმუნეები არ აპირებენ დათმობას, უნდათ ჩვეულებრივ ჩაატარონ მსახურება.

გახარიამ შუადღისას ჩაატარა ბრიფინგი. აპირებენ საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას 10 მაისამდე. თქვა ისიც, რომ სასაფლაოებს აღდგომის დღეებში დაკეტავენ, ეკლესიებს კი – არა.

ორჯერ ველაპარაკე შოთიკოს და გიორგის. გიორგის ყველაზე დიდი სიცხე დღეს 37 ჰქონდა.

დავიწყე თეზისების წერა ამერიკისმცოდნეობის კონფერენციისათვის.

ვკითხულობ წიგნს. დავიწყე პოლანსკის ფილმის „დრეიფუსის საქმის“ ყურება.

ფანჯრიდან დაველაპარაკე სოფოს და ლევანის ამბავი ვკითხე. ძალიან ცუდად არისო, მითხრა, აპარატზეა შეერთებულიო. ძალიან შეცვლილი სახე ჰქონდა საწყალს. ამ საშინელ დროს კიდევ ოჯახში გყავდეს ავადმყოფი, საშინელებაა.

15.04.2020 ოთხშაბათი.

COVID-19-ის 306 დადასტურებული შემთხვევა, აქედან ერთი სასულიერო პირი. 69 გამოჯანმრთელებული.

დღეს საღამოს ჩაიკეტება 4 დიდი ქალაქი: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი.

გიორგის სიცხე ამ დილას არა აქვს.

დავამთავრე პოლანსკის ფილმის ყურება. დავწერე და სათარგმნელად მთარგმნელს გავუგზავნე თეზისები. დამირეკა ბუტამ და ვისაუბრეთ, ველაპარაკე ასევე ციცის და ჟაკლინს.

საღამოს საპატრიარქომ განაცხადა, რომ ტაძრები არ დაიკეტება. მრევლი შეიკრიბება შაბათს საღამოს 9 სთ-მდე და დარჩება ტაძარში დილის 6 საათამდე ??????

იმნაძემ გააკეთა ტელევიზიით საგანგებო განცხადება. ამჯერად იყო ძალიან მკაცრი და კატეგორიული. განგაშის შემცველ განცხადებებს აკეთებენ თეოლოგები, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, სამოქალაქო სექტორი და აქაური და უცხოეთში მყოფი ქართველი ექიმები და მეცნიერები. ძალიან საშიში სიტუაციაა. იმნაძე გვაფრთხილებს, რომ თუ არ შევასრულებთ დაწესებულ შეზღუდვებს, საქართველოში იტალია განმეორდება.

16.04.2020 ხუთშაბათი. დიდი ხუთშაბათი.

COVID-19-ის 336 დადასტურებული შემთხვევა. 74 გამოჯანმრთელებული.

შევუკვეთე სურსათი გუდვილში. მომიტანეს. საღამოს დაემატა 12 შემთხვევა. ინფიცირებულია 16 მედიკოსი. ველაპარაკე გიორგის ვიდეოთი. შოთიკოს უფრო ხშირად ველაპარაკები ტელეფონით.

ვკითხულობ წიგნს. ინტერნეტით ვუყურე კლოდ ლელუშის ფილმს „ქალი და მამაკაცი 20 წლის შემდეგ“.

სამებაში ჩატარებულა მსახურება, თუმცა ფეხთა განბანის რიტუალი ვერ შედგა.

საღამოს გამოაცხადეს ახალი წესები. ხვალ 12 საათიდან 21 აპრილამდე აიკრძალა მსუბუქი მანქანების გადაადგილება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, გარდა სპეციალური სამსახურების მანქანებისა სპეციალური საშვით. ველაპარაკე გიორგის.

17.04.2020 პარასკევი. წითელი პარასკევი

COVID-19-ის 370 დადასტურებული შემთხვევა. 79 გამოჯანმრთელებული.

მდგომარეობა თანდათან საშიში ხდება. ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლების ქმედებებს.

დავადგი ლობიო. უნდა შევღებო კვერცხიც, რისთვისაც გუშინ მოვამზადე ენდროს ნახარში. ენდრო იყიდება სუპერმარკეტში და მოვატანინე.

წელს ყველაზე ნაკლები – 11 კვერცხი შევღებე. ძალიან ლამაზი ფერი მივიღე.

ყველა სიკეთესთან ერთად – ხურვალეთიდან ოკუპანტებმა გაიტაცეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი „საზღვრის“ უკანონო დარღვევისათვის?!

18.04.2020 შაბათი

COVID-19-ის 385 დადასტურებული შემთხვევა. 84 გამოჯანმრთელებული.

დავამთავრე „შავი ჭირი“.

მანანა რუსეიშვილმა გამომიგზავნა თარგმანი.

ველაპარაკე და მივულოცე რუსუდან ღვინეფაძეს, რომელსაც და ნანა ჰყავს საავადმყოფოში. ცოტა ხნის წინ სახლში დავარდა და ფეხი მოიტეხა. ოპერაცია გაუკეთეს. სამშაბათს გამოსწერენო.

დღეს საღამოს კიდევ.

11 საათზე გადმოსცეს ანდრია ბოჩელის საქველმოქმედო კონცერტი მილანის ცარიელი ტაძრიდან. შემდეგ დაიწყო ლიტურგიის ტრანსლაცია. ხალხი აივნებიდან ულოცავდა ერთმანეთს, ულოცავდნენ პატრულის ეკიპაჟებიც.

19.04.2020 კვირა, აღდგომა

COVID-19-ის 394 დადასტურებული შემთხვევა. 86 გამოჯანმრთელებული.

უჩვეულო აღდგომა. ხალხი სახლშია. მხოლოდ მრევლის მცირე ნაწილი დაესწრო ლიტურგიას სამების ტაძარში, უფრო მეტი რაიონულ ეკლესიებში?! რა მოჰყვება ამას, შიშით ველით.

მე და მამა ვართ ერთად. შოთიკო, თამთა და გიორგი თავისთან. პირველად ვხვდებით ასე ცალ-ცალკე. ვერც სასაფლაოებზე გავალთ.

დილას მომილოცა ნანული დეიდამ, შემდეგ შოთიკომ, თამთამ და გიორგიმ, მერე ნინო ბაქანიძემ, მე მივულოცე ბუტას, ქეთინოს, ციცის, ეკას.

საღამოს შევიკრიბეთ ონლაინ ფართიზე მე, მამა, შოთიკო, თამთა, გიორგი, გოგი, ნონა, ნინიკო, ჟუჟუნა და ასე ვიზეიმეთ აღდგომა.

„მთავარ აქცენტებში“ ლევან რატიანი ჰყავდა სტუმრად ნიკა გვარამიას, ბრწყინვალე ექიმი და პიროვნება, ჩვენი დროის გმირი. ძალიან საინტერესო იყო მასთან საუბარი.

20.04.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 399 დადასტურებული შემთხვევა. 93 გამოჯანმრთელებული.

დათბა, 23 გრადუსია.

დავიწყე ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“-ს კითხვა.

ვნახე ფილმი „ფანი და ალექსანდრე“.

21.04.2020 სამშაბათი

COVID-19-ის 408 დადასტურებული შემთხვევა. 95 გამოჯანმრთელებული.

საგანგებო მდგომარეობა გააგრძელეს 21 მაისამდე, ხოლო ავტომანქანების მოძრაობა განახლდება 28 აპრილიდან.

თინა დუგლაძემ გამომიგზავნა ფაილი საკორექტუროდ „ლიტძიებანისათვის“. ხვალ გავაკეთებ.

22.04.2020 ოთხშაბათი

COVID-19-ის 411 დადასტურებული შემთხვევა. 95 გამოჯანმრთელებული. გარდაიცვალა მე-5 პაციენტი – 68 წლის მამაკაცი მარნეულის კლასტერიდან.

წვიმს, ცივა. ასეთივე ამინდია გამოცხადებული ერთი კვირა.

გავაკეთე კორექტურა „ლიტძიებანის“ სტატიისთვის. ხვალ ან ზეგ გავაგზავნი. ველაპარაკე ბუტას, ციცის, ვანო მჭედელაძეს, მანანა კანდელაკს. ვკითხულობდი.

საღამოს გამოაცხადეს 416 დადასტურებული შემთხვევა.

23.04.2020 ხუთშაბათი

COVID-19-ის 420 დადასტურებული შემთხვევა. 110 გამოჯანმრთელებული.

24.04.2020 პარასკევი

COVID-19-ის 431დადასტურებული შემთხვევა. 111 გამოჯანმრთელებული.

გავაკეთე სადილი – ბრინჯის ტკბილი ფლავი და მაკარონი ხორცით.

მთავრობამ წარადგინა ანტიკრიზისული გეგმა, რომელსაც ოპოზიცია აკრიტიკებს.

თინა დუგლაძეს გავუგზავნე გასწორებული სტატია „ნ. ბარათაშვილის წერილების მხატვრული ენა – კონტამინაციები და აპლიკაციები“. ძალიან მიხარია, რომ დაიბეჭდება „ლიტძიებანში“.

25.04.2020 შაბათი

COVID-19-ის 456 დადასტურებული შემთხვევა გაფართოებული ტესტირების ფონზე. 113 გამოჯანმრთელებული. წავიკითხე ლექცია.

ველაპარაკე ლალი ავალიანს. მივულოცე აღდგომა. არაჩვეულებრივი ქალი და მეცნიერია, უდახვეწილესი. ძალიან მიყვარს.

26.04.2020 კვირა

COVID-19-ის 485 დადასტურებული შემთხვევა, 139 გამოჯანმრთელებული. დღეს გარდაიცვალა კიდევ ერთი პაციენტი – 83 წლის მამაკაცი.

27.04.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 496 დადასტურებული შემთხვევა, 139 გამოჯანმრთელებული.

დღეს აღდგა მანქანების მოძრაობა ქალაქში.

საღამოს ჩავატარე ლექციები.

28.04.2020 სამშაბათი

COVID-19-ის 511 დადასტურებული შემთხვევა, 139 გამოჯანმრთელებული.

მოვატანინე სურსათი. დღეს გავიარე მანქანით პირველად ამდენი ხნის შემდეგ. თავისუფლების მოედანს დავარტყი წრე და მოვედი. ავიღე მამას პენსია.

29.04.2020 ოთხშაბათი

COVID-19-ის 517 დადასტურებული შემთხვევა, 156 გამოჯანმრთელებული.

დღეს მთელი დღე ვწერდი სტატიას შარშანდელი ხაშურის კონფერენციის კრებულში გასაგზავნად. თითქმის დავამთავრე. ხვალ კიდევ წავიმუშავებ და გავაგზავნი. ველაპარაკე შოთიკოს და გიორგის.

30.04.2020 ხუთშაბათი

COVID-19-ის 539 დადასტურებული შემთხვევა, 178 გამოჯანმრთელებული.

დავამთავრე ხაშურის სტატია და გავაგზავნე.

01.05.2020 პარასკევი

COVID-19-ის 566 დადასტურებული შემთხვევა, 184 გამოჯანმრთელებული.

საღამოს მოვისმინე კახა ფხაკაძის ონლაინ ლექცია ნატურმორტის ფოტოგრაფიაში. ველაპარაკე გიორგის, რომელიც საწყალი მხოლოდ აივანზე სეირნობს, ისიც კარგი ამინდის დროს. დღეს უყიდიათ ახალი სათამაშოები და ძალიან გახარებულია.

02.05.2020 შაბათი

COVID-19-ის 582 დადასტურებული შემთხვევა, 207 გამოჯანმრთელებული. წავიკითხე ერთი ლექცია ონლაინ. საღამოს დავესწარი კახა ფხაკაძის ლექციას.

03.05.2020 კვირა

COVID-19-ის 589 დადასტურებული შემთხვევა, 215 გამოჯანმრთელებული, 8 გარდაცვლილი. წავიკითხე ერთი ლექცია. ველაპარაკე გიორგის.

04.05.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 593 დადასტურებული შემთხვევა, 223 გამოჯანმრთელებული, 9 გარდაცვლილი. ველაპარაკე გიორგის, წავიკითხე ორი ლექცია ონლაინ. 3 საათზე შეგვიწყდა წყალი და ერთი დღე არ იქნებაო.

05.05.2020 სამშაბათი

COVID-19-ის 604 დადასტურებული შემთხვევა, 240 გამოჯანმრთელებული, 9 გარდაცვლილი. ლაივ ჩართვა კლასის ფეისბუკ ჯგუფში.

06.05.2020 ოთხშაბათი

COVID-19-ის 610 დადასტურებული შემთხვევა, 269 გამოჯანმრთელებული, 9 გარდაცვლილი.

07.05.2020 ხუთშაბათი

COVID-19-ის 616 დადასტურებული შემთხვევა, 269 გამოჯანმრთელებული, 9 გარდაცვლილი.

სააკაშვილი დაინიშნა უკრაინაში რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარედ.

08.05.2020 პარასკევი

COVID-19-ის 623 დადასტურებული შემთხვევა, 288 გამოჯანმრთელებული, 10 გარდაცვლილი.

დღეს გორში გარდაიცვალა კიდევ ერთი პაციენტი, 45 წლის ქალი.

09.05.2020 შაბათი

COVID-19-ის 626 დადასტურებული შემთხვევა, 297 გამოჯანმრთელებული, 10 გარდაცვლილი. დღეს დასვენების დღეა, ამიტომ ლექციას არ ვკითხულობ.

11.05.2020 კვირა

COVID-19-ის 638 დადასტურებული შემთხვევა, 309 გამოჯანმრთელებული, 11 გარდაცვლილი. საღამოს წავიკითხე ლექციები. მოვატანინე სურსათი. შოთიკო დღეს ავიდა მუხათწყაროში. საღამოს გვქონდა ფეისბუქ ჩართვა, გვინდოდა გია ტივაძისთვის მიგველოცა დაბადების დღე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვიპასუხა. დღეს გარდაიცვალა კიდევ ერთი პაციენტი.

12.05.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 639 დადასტურებული შემთხვევა, 349 გამოჯანმრთელებული, 11 გარდაცვლილი. დღეს დასვენების დღეა, ამიტომ ლექციას არ ვკითხულობ.

13.05.2020 სამშაბათი

COVID-19-ის 642 დადასტურებული შემთხვევა, 349 გამოჯანმრთელებული, 11 გარდაცვლილი. ვუყურებ ძველ ფილმებს. გუშინ ვნახე ვისკონტის „სიკვდილი ვენეციაში“. ამას წინათ ძველი ფრანგული კომედია „მამა, დედა, მოსამსახურე და მე“.

19.05.2020 სამშაბათი

COVID-19-ის 714 დადასტურებული შემთხვევა, 476 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

20.05.2020 ოთხშაბათი

COVID-19-ის 702 დადასტურებული შემთხვევა, 456 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

21.05.2020 ხუთშაბათი

COVID-19-ის 721 დადასტურებული შემთხვევა, 485 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

დღეს გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი.

21.05.2020 პარასკევი

COVID-19-ის 723 დადასტურებული შემთხვევა, 495 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი. დღეს ვუყურე ფილმს „მონაკოს პრინცესა“.

21.05.2020 შაბათი

COVID-19-ის 728 დადასტურებული შემთხვევა, 509 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

დღეს დილით ლევან გვეტაძე გარდაიცვალა. ძალიან განვიცდით ყველანი.

22.05.2020 კვირა

COVID-19-ის 730 დადასტურებული შემთხვევა, 522 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

23.05.2020 ორშაბათი

COVID-19-ის 731 დადასტურებული შემთხვევა, 526 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი.

30.05.2020 შაბათი.

COVID-19-ის 757 დადასტურებული შემთხვევა, 600 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი. სამშაბათს დავკრძალეთ ლევანი. გუშინ ამუშავდა ტრანსპორტი. დღეს 11 ახალი შემთხვევაა. ერთ-ერთი არის საბურთალოს მცხოვრები, რომელსაც ბევრი დადასტურებული კონტაქტი აქვს.

31.05.2020 კვირა.

COVID-19-ის 783 დადასტურებული შემთხვევა, 605 გამოჯანმრთელებული, 12 გარდაცვლილი. 26 ახალი შემთხვევაა. აქედან 11 ბოლნისში.

05.06.2020 კვირა.

დღეს დაკრძალეს ინგა მილორავა და ეთერ მგალობლიშვილი. ეთერ მგალობლიშვილის სიკვდილი გვიან ღამე, ფეისბუკით შევიტყვე. ძალიან ავფორიაქდი.

13.08.2021

კოვიდის მეოთხე ტალღა, ხვალიდან რეგულაციები და შეზღუდვები მკაცრდება!!!

14.08.2021 გაიოზი დაინფიცირდა. მეზობელმა ლამარამ შეგვატყობინა, ორი დღეა ვერ არის კარგადო. მე და შოთიკო მივედით, საღამოს გამოვიძახეთ სასწრაფო, სწრაფი ტესტით დაუდასტურდა კოვიდი და გადავიყვანეთ გერმანულ ჰოსპიტალში.

16.08.2021 კოვიდით გარდაიცვალა ჩვენი თანამშრომელი ავთო ასანიძე. ძალიან, ძალიან განვიცდით.

კოვიდით გარდაიცვალნენ:

1. ლია ბიბილეიშვილი;
2. ტარიელ ფუტკარაძე;
3. გიორგი გაჩეჩილაძე;
4. გოჩა ჯაფარიძე;
5. თემურ წიკლაური;
6. ანზორ ერქომაიშვილი;
7. გივი ალხაზიშვილი;
8. ჯუმბერ რაზმაძე;
9. გია ცერცვაძე.

თეა ქამუშაძე

ვირუსული დღირები

2020, 21 მარტი

დღე პირველი, უფრო ზუსტად – ღამე, როცა ვიწყებ წერას, ხმამაღალი განაცხადია! მხოლოდ ის ვიცი, რომ რაც ჩემს თავსა და სხეულში ხდება, რაიმე ტექსტად უნდა იქცეს, იმდენად დიდი, ყოვლის მომცველი და ტოტალურია, რომ ხელს მიშლის ფუნქციონირებაში. რა ტიპის ნარატივად იქცევა, ჯერ არ ვიცი, არც ის, რა წილი დაეთმობა პირადს ან საზოგადო მდგომარეობას. ვეცდები გავერკვიო, თუ რა გავლენა იქონია ჩემს მდგომარეობაზე კორონა ვირუსმა, თუ როგორ და რად შეიძლება იქცეს ვირუსი ჩემს და ჩვენს ცხოვრებაში. აღვწერ მიმდინარე ამბებს ქრონიკებად, ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვარ ბოლო-ბოლო. „ჟამიანობის“ დროს შექმნილი ქრონიკა ვის და როდის ჩაუვარდება ხელში, არავინ იცის და მით უფრო გართულდება ფანტაზიასა და რეალობას შორის გაჭედილ ხდომილებათა რიგში გარკვევა. მოკლედ ვიწყებ, რა გამოვა, ჯერ არაფერი ვიცი...

22 მარტი გათენდება, ვინ იცის, ვისთვის როგორი. ღამე მუშაობა არ მიყვარს და მით უფრო წერა, მაგრამ გამეღვიძა და ვსარგებლობ შემთხვევით. ღამე ხომ იმაზე მძაფრია ემოციები, ვიდრე დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სიბნელე და ძილის ხმები არაა საუკეთესო აკომპანიმენტი მუზების სამასპინძლოდ. მაგრამ ასეა და ხელებს უნდა მივანდო ფიქრთა დინების გადმოცემა. სიტყვები ჭიქაში გამომწყვდეული ქარიშხალივით ეხეთქება კომპიუტერის კლავიშებს და ჯერ ფორმას ვერ იღებს, მხოლოდ ემზადება გარდასახვისათვის, ფიქრი უნდა დაკონკრეტდეს, აზრი უნდა იქცეს სათქმელად, რომელსაც ჯერ თავს და მერე სხვას გაუმხელ. უკვე ვფიქრობ წარმოსახვით აუდიტორიაზეც, რა მაქვს სათქმელი, როგორ, რატომ, როდის და რამდენი? არ მეხმარება ეს კითხვები, მხოლოდ ინტენსივობას მატებს ჩემში გამომწყვდეულ ემოციებს.

მოდი, იმით დავიწყებ, რატომ მომინდა წერა? წერა ბავშვობიდან არ მიყვარდა, ბევრს ითხოვს ავტორისგან, ძალისხმევა, რომელსაც რა შედეგი მოჰყვება არავინ იცის, ამიტომ დიდი

აუცილებლობის გარეშე არაფერი დამიწერია ცხოვრებაში, თუმცა, მგონი, დაგროვდა რაღაც.. ეს სხვა თემაა! ვგრძნობ, რომ ეს ვირუსი არყევს ჩემს წონასწორობას, რომელიც რუდუნებით შემიქმნია და დავყრდნობილვარ. ბალანსი, რომელიც გამოვიმუშავე, პირად ცხოვრებსა და საქმიან ურთიერთობებს შორის ჩემი თავშესაფარია. მოვიდა კორონა და სულს უბერავს ჩემს სახლს, მშიერი მგელივით... აგურის კია, მაგრამ რა ვიცი, მაინც უსიამოვნო დაბერილი სუსხი, დავიწყე ფიქრი აგურების განლაგებაზე, მათ ხარისხზე, ფანჯრის მოცულობასა და საკვამურზე, საიდანაც შეიძლება შემოაღწიოს მგელმა. მგელი, რომელიც ბავშვობის გადაუმუშავებელ არქეტიპულ ტრავმად რჩება, მგელი მოვა, თუ მგელი მოვიდა... მგელი, რომელსაც არ ელოდი?! მოკლედ მგლის მოლოდინმა თუ მოსალოდნელმა ვირუსმა მაიძულა ჩემი განცდებისათვის არხი მომეძებნა და დღის მანძილზე გადავწყვიტე დამეწერა ამ ყველაფრის თუ კონკრეტული რაღაცების შესახებ..

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ფიქრი ხან საით წამცდებოდა, ხან საით, ვემზადებოდი თითქოს და ბოლომდე არ ვაკონკრეტებდი სათქმელს, ეს ახლაც არ ვიცი. ამ თვისების გამო ბევრი ჩემს გარშემო მაკრიტიკებს, მეუბნება, რომ ყველაფერი წინასწარ უნდა დავგეგმო, რომ გეგმა გამიიოლებს ცხოვრებას. თითქოს აქ საკამათო რამე იყოს, მაგრამ ძალიან აღარ მიყვარს ეს სიტყვა, ისე ჩამესმის ყურში, როგორც ბავშვს გაუცნობიერებელი „არ შეიძლება!“. ასეთ მდგომარეობაში ამ სიტყვამ ყველა ჩემი სისუსტე გააშიშვლა და გამოააშკარავა. განზოგადება უმადური საქმეა და მაინც მენანება ეს სიტყვა სხვა ბანაკისათვის, ამიტომ აღარ გავაგრძელებ თუ რატომ არა „გეგმა“, რას მიშლის „გეგმა“ და რა გეგმების დასახვა არ მიღირს ახლა. ჩემდა უნებურადა გარკვეულ და გაურკვეველ გეგმებს ახლაც მივყვები. თუმცა ძალიან, ძალიან მიჭირს დაგეგმვა, განგეგმვა, მოგეგმვა და, რაც მთავარია, გადაგეგმვა, რადგან ყველაფერი სწრაფად და დაუგეგმავად იცვლება. რომ დავუბრუნდე იმას თუ რატომ წერა? იმიტომ, რომ, მგონია, მიშველის, მიხსნის ამ განსაცდელისგან, რომელიც ვირუსის „დაუგეგმავ“ გამოჩენას მოჰყვა. რეფლექსია იმაზე, თუ რა ხდება ჩემს თავს აქ და სხვაგან, დამეხმარება თავი დავაღწიო შფოთს, მოვემზადო ახალი ცხოვრებისათვის. ახალი

იმიტომ, რომ ძველი აღარ იქნება უკვე. სიახლეებისა და გამოწვევების მიღება თითქოს უცხო არაა ჩემთვის, რაც ცნობიერად დავიბადე ამ საზოგადოებაში, იმის შემდგომ სულ რაღაც ხდება ისეთი, რომელიც მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. მაგრამ სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად აღიქვამ საფრთხეებს თურმე. ასაკი და მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩემი განცდების ხარისხს. მგონია, ამ ვირუსის გამო ამოყირავებული სამყაროს სიმძაფრეს თმის ღერებამდე ვგრძნობ.

მოკლედ, ვგრძნობ, რაღაც ახალი იწყება და ვრცელდება სამყაროში, გლობალური ვირუსი, რომლის წამალიც ჯერ არ შეუქმნიათ. მასთან ბრძოლაში კი ვაქცინა ჩემი კალამი იქნება, კორონას წვეთებით, ვნახოთ, როგორი იმუნიტეტის გამომუშავების საშუალებას მომცემს გამოუცდელი კალამი?!

არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, ალბათ, განვლილი დღიდან, რომელიც მხოლოდ მე კი არა, ბუნებამაც გამოარჩია, 21 მარტი ბუნიობაა, დღეღამ სწორება, გაზაფხულის განაცხადი სამყაროს ხელახალ დაბადებაზე, ნოვრუზ ბაირამი, რომელიც საქართველოში აზერბაიჯანული იდენტობის ნაწილად ვაქციეთ და მისი მილოცვა კი მნიშვნელოვან პოლიტკორექტულ რიტუალად. არ აქვს მნიშვნელობა, რომ ზოგს ყურბან ბაირამში ერევა, ისიც მუსლიმური ტრადიციის ნაწილი რომ ჰგონიათ, ნუ ეგეც აზერბაიჯანელებს უკავშირდება საქართველოში, ნაწილობრივ მაინც. არ ღირს ამ თემის გავრცობა მოახლოებული ვირუსის ფონზე, თუმცა ირანი მახსენდება და ის, რომ იქ ვირუსმა სხვაზე მეტი ზიანი მიაყენა ამ ქვეყანასა და მის მოსახლეობას. კონსპირაციული თეორიების გარეშე შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს ამბავი. ისევ ორი ირანი მახსენდება, ორ რეალობას შორის გაჭედილი უძველესი ცივილიზაცია. ნოვრუზ ბაირამი თავისი ატრიბუტიკით მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევს ჩემში, თუმცა ამან დღეს დიდად ვერ მიშველა. მხოლოდ 4 წლის წინანდელმა პოსტმა გამახსენა ამ დღის მილოცვის აუცილებლობა ჩემი სტუდენტებისა და მეგობრებისათვის. უკვე ბევრ აზერბაიჯანელ სტუდენტს თუ ნასტუდენტარს შემიძლია დავუძახო მეგობარი, რაც მახარებს. თუმცა კედელი მაინც არსებობს ჩვენ შორის, რომლის ნგრევის დროს, ნამსხვრევებს უნდა ვერიდოთ. კედლებს, ღობეებსა და

თუ ჯებირებს კიდევ უფრო კარგად გამოყოფს კრიტიკული მომენტები. ასეთი მომენტი ახლაც არის. მახსოვს პირველი პაციენტი საქართველოში, რომელსაც კორონა ვირუსი დაუდგინდა, სწორედ საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი იყო, რომელმაც ირანში იმოგზაურა. ამ ისტორიის დასაწყისში იყო გაღიზიანების მომენტები, თუმცა დროზე მიხვდნენ, რომ სადაურობაზე აპელირება საშიშია და კონფიდენციალურობის ხარისხმაც მოიმატა. რადგან ვთქვი, რომ პირველი დაინფიცირებული პაციენტი საქართველოს მოქალაქე, აზერბაიჯანელი რომ იყო, ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი გამოჯანმრთელებულიც იგივე აზერბაიჯანელი აღმოჩნდა, რომელმაც საზოგადოებას, იმედისა და სიხარულის ნაპერწკლები აჩუქა.

22 მარტი

არის რაღაც მაგია ციფრებში, მიყვარს 2 და ორის ჯერადი. მოკლედ 54 დაინფიცირებული და 8 გამოჯანმრთელებული. ძნელად, მაგრამ ვეგუები იზოლირების ფორმებს. კვირა და უფლის დღე. 22 მარტმა რელიგიის ინსტრუმენტალიზებისათვის დიდი შესაძლებლობები მისცა საზოგადოებას, ემსჯელა რწმენის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. მრევლისათვის ეს დღე იქცა უპირატესობის განცდის დემონსტრირებისათვის, ხოლო სახლში დანარჩენებისათვის – ირონიის, სარკაზმისა და ინტელექტუალური უპირატესობის დემონსტრირების შესაძლებლობად.

23 მარტი

თბილისის სასიამოვნო ამინდი და გაზაფხულის განაცხადი, რომ უკვე ბუნება იღვიძებს და ღრმა ძილიდან გამოდის. ის დრო, როცა ქუჩა გეძახის და გიწვევს, მაგრამ, დარჩი სახლში რომ წმინდათა წმინდა დევიზია, სხვებს რომ ჭკუის სწავლებისთვისაც განგაწყობს. მოკლედ გარეთ გინდა ხეტიალი, მაგრამ სად არის. ცოტა ხნით მაინც გავედი ჰაერზე და სახლში დაბრუნების შემდგომ ის იგივე თემა და გაურკვევლობის აუტანლობა.

24 მარტი

რა რთული ყოფილა ემოციებისა და სტრესის პირობებში წერა, არც ხელი და არც გონება არ გემორჩილება, შეგრჩა მხო-

ლოდ გაწვრილებული გული და უსიამოვნო განცდა, რომელიც ხანდახან ისეთი სიმძაფრით გიტევს, რომ ადამიანად ყოფნის სურვილს გიკარგავს. გშურს სკამისა და მაგიდის, რომლებსაც დიდად არ ადარდებთ, ვინ რა თქვა და რატომ, არც ის, ვინ რას დაწერს. მათი შიშები ადამიანისათვის უცნობია და ამიტომაც გვშურს ერთმანეთის. მაგიდისა და სკამის კი მშურს, მაგრამ ვმეგობრობ მათთან. დღის ყველაზე დიდ დროს სწორედ აქ ვატარებ – ვზივარ კომპიუტერთან და ვიყურები სამყაროში, რომელიც ღელავს, შფოთავს და მეც არ მაძლევს მოსვენებას. ამდენი გადაუმუშავებელი ტრავმა, უსუსურობის განცდა, სიმარტოვე და წარმოდგენები შემოდის ამ პატარა სარკმელში და სუფთა ჰაერის მაგივრად შენს სხეულში ის იდებს ბინას. შენი ბინა კი პატარაა და შემოზღუდული. იწყებ თანაცხოვრებას ვირუსებთან, დაავადებულებთან, ექიმებთან, მომღერლებთან, ჩინელებთან, იტალიელებთან, ღამურებთან და ტუალეტის ქაღალდებთან ერთად. ამ პატარა სახლში მანამდეც იყვნენ ბინადრები, რომლებიც ახლა შენთან ერთად ეხეთქებიან ახალ რეალობას. არა და, რამდენჯერ გიფიქრია სახლში მეტი დროის გატარება, რა ვერაგია სურვილების მესაიდუმლე, საკუთარი სურვილების ამოცნობაც გაგიჭირდება, ისე და იმ დროს გისრულებს, რომ მადლიერების განცდას ჩაგიქრობს, რომელიც სანთელზე უფრო ნათელია ამ სამყაროში. მადლიერების განცდა ადამიანად ყოფნის ყველაზე კარგი გრძნობაა. არ მინდა მას შეველიო... ჯერ ხომ კიდევ ბევრი მიზეზი მაქვს მადლიერებისთვის, თუმცა ეს კრიტიკული მდგომარეობა საგრძნობლად ჩრდილავს ამ ყველაფერს...

24 მარტი

გვიან გავიღვიძე შედარებით – მე ხომ ბოლო დროს 3-ზე ან 5-ზე ვიღვიძებ, ვისიამოვნე ბავშვებთან ფიზიკური სიახლოვით, ეს ერთადერთი რესურსია, რომელიც ძალ-ღონით მავსებს, თუმცა არანაკლებს ენერგიას მთხოვს უკან, ისე ვინ რას მოგცემს?! თითქოს ვეჩვევი სახლში ყოფნის რუტინას, მაგრამ ჩვეულება რჯულზე ხომ უმტკიცესია, ძალიან, ძალიან მინდა გარეთ გასვლა და ყველაფერი, რაც გარეთ გასვლას უკავშირდება. შეზღუდვას ნიუტონის კანონის ძალა აქვს – ქმედება უკუქმედების პროპორციულია, თან ეს გაზაფხული და ჰაერში დატრიალებული მო-

ლოდინი, რომელიც გარეთ გეძახის. ამის სანაცვლოდ კი გაქვს ეკრანი, რომელზე დამოკიდებულებაც კრიტიკულია, ტელეფონი, კომპიუტერი, ტელევიზორი ბავშვების მიერ არის ოკუპირებული და საინფორმაციო გადაცემები აკრძალულია! საინფორმაციოში ძირითადი აქცენტი საკარანტინო ზონებზე კეთდება – მარნეული, ბოლნისი... სამწუხაროდ, ზოგად ეპიდემიურ ფონს ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობის თემაც ემატება. მარნეული საქართველოში ხომ ეთნიკურ უმცირესობასთან – აზერბაიჯანულ თემთან ასოცირდება. შესაბამისად, 62 წლის აზერბაიჯანელი ქალბატონის უპასუხისმგებლო ქცევა, რომელსაც კორონა ვირუსი დაუდგინდა, მარნეულში კარანტინის გამოცხადების მიზეზი გახდა. ამან, ბუნებრივად, საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება და გაღიზიანება გამოიწვია. რთული აღმოჩნდა ცდუნება, მისი დაუდევრობა მავანთ მისივე „განსხვავებულობით“ არ აეხსნათ, ამაზე ხაზგასმით მთელი თემი არ გაეკრიტიკებინათ, ბრაზი და გაღიზიანებაც ზედ არ გადმოენთხიათ. ჩვენი ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტები კი, რომლებიც უკვე ქართულად ცუდად არ კითხულობენ, ამაზე მწვავედ რეაგირებენ და ესეც შენი კერა დაძაბულობისა. მე კიდევ ეს მინდოდა! არა და ხვალიდან ვიწყებ დისტანციურ ლექციებს ტოლერანტობასა და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, შესანიშნავი ქეისებია განსახილველად, თუმცა ემოციურად მიჭირს დისტანცირება და მათი მხოლოდ ანალიტიკურ კატეგორიებად განხილვა. სიმშვიდეს ვეძებ....

25 მარტი.

დღეები თითქოს ტყუპი დებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს – იგივე გარემო, იგივე ხალხი, თემა და საზრუნავი, მაგრამ ემოციური თვალსაზრისით, სულ სხვადასხვა ამპლიტუდა, არამხოლოდ დღეებს შორის. ხანდახან მგონია, ერთი დღის მანძილზე მთელი ცხოვრებისას განვიცდი ერთად -კმაყოფილება, აპათია, მოლოდინი, გაურკვევლობა და შიში. ეს უკანასკნელი ყველაზე მძაფრი, ყველაზე მოუხელთებელი და დაუნდობელია, რომელიც გაშიშვლებს, გარცხვენს, ყველა სისუსტეს საჩინოს ხდის თუნდაც საკუთარ თავთან. ამის ნაწილია აპათია, მოლოდინი და გაურკვევლობა. რაც შეეხება კმაყოფილებას, ეს ის პატარ-პატარა

ნაბიჯებია, რომელიც გაიძულებს გამოწვევას უპასუხო, არ გაჩერდე და არ შეწყვიტო ფუნქციონირება. კმაყოფილება იმით, რომ სხვებს აგრძნობინო შენი მხარდაჭერა და თანადგომა და რომ შიში არ გახდა შენი შუა სახელი. დისტანციური სწავლება და მუშაობა ჩვენგან ახალ უნარებს ითხოვს, გამოწვევაა ეს ჩემი თაობისთვისაც. სოციალურ ქსელში ბევრი იწონებს თავს დისტანციური სწავლების სწრაფი ორგანიზებით, თუმცა, მგონია, რომ ამით შიშის დაძლევის, ლიდერობის შენარჩუნებისათვის გაკვეთილებს გვიტარებენ. მეღიმება და რა ვქნა...

ვაღიარებ: მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ტექნიკური ჩვევები მეც გამაჩნია, ყოველთვის მეშინია ამ ტექნოლოგიების, რომელიც განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და ლაბირინთებს გვთავაზობს, მაბნევს და მთრგუნავს მისი მოცულობა. რა თქმა უნდა, იხტიბარს არ ვიტეხ და ვცდილობ ადეკვატური ვიყო და ნაწილობრივ გამომდის კიდეც და ესეცაა ჩემი კმაყოფილების მიზეზი. დღეს პირველად ვცადე ლექციის დისტანციურად ჩატარება, ტექნიკის საშუალებით, სახლიდან გაუსვლელად. ვღელავდი – ვიცოდი დავძლევდი, მაგრამ არ მშორდებოდა მსუბუქი შფოთვა. ძალიან მინდა გავიხსენო ჩემი პირველი ლექცია, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რომელს დავარქვა პირველი. მაგისტრატურაში, 2002 წელს, სოსო ჭანტურიშვილმა მე და ნინოს ლექციები ჩაგვატარებინა. მე ფსიქოანალიზი მოვამზადე ანთროპოლოგიაში. ვღელავდი მაშინაც, მაგრამ კარგი მომზადებული ვიყავი და თემაც ისეთი საინტერესო იყო... ბატონმა სოსომ ლექციის ბოლოს მითხრა – ერთმა ვეღარ გაუძლო და ჰაერზე გავიდაო, თან მიღიმოდა კმაყოფილი. ქვეცნობიერის თემა, არარეალიზებული ლტოლვები, შიშები და ნევროზი კულტურის სხვა სარკეში გვახედებს, გვაშიშვლებს და გვმოსავს თავისებურად. მიყვარს ლექციის ჩატარება, ყოველ ლექციაზე თითქოს თავიდან ვიბადები და ეს თავისუფლების განცდას მანიჭებს. დისტანციური ლექციები ამ თვალსაზრისით ბევრად შეზღუდულია, მაგრამ ის, რომ ტექნიკის შიში დაიძლია, გარკვეული კმაყოფილების გრძნობით მავსებს. ახალი რეალობა – ვირტუალური აუდიტორია გარკვეულწილად შედგა.

დღის მთავარი ლაიტმოტივი, მაინც ჩემი აზერბაიჯანელი სტუდენტები და მათი პოსტები იყო, რომელიც „მიუღებლობის“

წყენას გამოხატავდა და იმას, რომ მათ ესმით და კითხულობენ იმ ენაზე, რომელი ენითაც შეურაცხყოფას აყენებენ. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩემი მეგობრების არც ერთი პოსტი არ ყოფილა (მე არ წამიკითხავს) მათ წინააღმდეგ მიმართული, არ ვიცი, გულში ვინ რას ფიქრობდა. ამის მიუხედავად ვკითხულობდი გაზიარებულ პოსტებს, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უნდა ითქვას ისიც, რომ გაცილებით მეტ ადამიანს მოუნდა სოლიდარობის გამოხატვა ჩვენი მარნეულელების მიმართ, ვიდრე მათი „ქართულის უცოდინარობით“ გაღიზიანებულ მოქალაქეები იყვნენ. მოკლედ, დელიკატური და მგრძნობიარე საკითხია, რომლითაც მანიპულირება ყველაზე სულმდაბალი ადამიანების საქმე შეიძლება იყოს. ეს პროცესი, სამწუხაროდ, მთლად თავის ნებაზე და დინებაზე მიშვებული არ მგონია, ვგრძნობ მის სიღრმეებს და იმასაც, რომ ამ ღელვაში ახალი ნაკადები გამოიყოფა. ამან ახალი იდენტობების გამოყოფას შეიძლება შეუწყოს ხელი, გარკვეული ჯგუფის ჩამოყალიბებას მოემსახუროს, რა და როგორ, ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ ამის კონტურები იკვეთება.

26 მარტი

სოფელში წასვლის სამზადისში ვარ, ყოველთვის მეზარებოდა ნივთების ჩალაგება, სადაც არ უნდა მივდიოდე, როგორც არ უნდა მინდოდეს სადმე წასვლა, ნივთების ჩალაგება ყოველთვის მეზარებოდა და მეზარება. მოგზაურობა, იცოცხლე, ძალიან მიყვარს, ყოველთვის მიყვარდა. საითმე გამგზავრების შესაძლებლობა გონებას მიბნელებს, რაციონალური არგუმენტები უკან იხევს ხოლმე – რჩება მხოლოდ მოგზაურობის ვნება და მოლოდინი, ხშირად გაუმართლებელიც, მაგრამ არასდროს მინანია სადმე წასვლა. დროზე წასვლა ხომ მადლია შეუფასებელი, რომელსაც მხოლოდ დრო დაგიფასებს. მოკლედ, ამ ვირუსებისგან წასვლაზე მეტად ვირუსის წასვლა მინდა ახლა. ხომ შეიძლება ის წავიდეს... წავაო, მაგრამ არავინ იცის როდის. ეგეთ წასვლას კი, აბა, რა ფასი აქვს? თუმცა, ალბათ მაინც აქვს... მოკლედ მე ვინ მეკითხება ან ვის ეკითხება, ვირუსია რა..! სადაც მოხვდება, იქ უხარია, მასზე არც წყევლა მოქმედებს და არც შელოცვა. ფაქტი კი რჩება ფაქტად: ერთმა წერტილმა, რომელსაც მიკროსკოპით თუ დაინახავ მხოლოდ, სამყარო შეცვალა.

არ ვამეტებ, სამყარო აღარ იქნება ისეთი, როგორიც მის გამოჩენამდე იყო. მართალია, ყველაფერი ისედაც იცვლება, მაგრამ მან მოსვენება დაგვიკარგა, დღეს ყურადღების ცენტრში ის აღმოჩნდა, ის გვკარნახობს დღის წესრიგს, ღირებულებებსა და მათ იერარქიასაც. და კიდევ იმას, რომ არსად წავიდეთ და სახლში დავრჩეთ. ვერსად ვერ წახვალთო, წასვლა თქვენი ნება არ არისო, თუ სადმე წახვალთ, ასე და ისე მოიქეციითო... მოკლედ, წასვლა თქვენი არჩევანი და თავისუფალი ნება არ არისო. არწასვლა გმირობაააო, სახლში დარჩითო. ერთი სიტყვით, სამყაროს ახალი ღმერთი ჰყავს – დაუნდობელი და მრისხანე, მისგან სიყვარულსა და მხარდაჭერას ნუ ელოდებით, მის გულს ვერაფრით მოიგებთ. ეს ღმერთი, ჩვენი ღმერთისგან განსხვავებით, დაუცველებს ერჩის. მოხუცები ძალიან დიდხანს ცხოვრობენო, ამდენი რად უნდათო, მაინც მალე წასვლა ჯობიაო. იქნებ ეს მისი მხრიდან სიყვარულის გამოხატვაც იყოს, ბავშვობიდან მესმის, ღმერთს თავისთან რჩეულები მიჰყავს, ვინც უყვარს, ჯერ იმას წაიყვანსო. ნუთუ ესაა მოხუცებზე ზრუნვა, თუ ჩვენი სასჯელია იმისათვის, რომ სათანადოდ არ ვზრუნავდით და ვზრუნავთ მოხუცებზე. მე დავხატე ნეტა ეს სურათი და თუ ამ სურათმა მიკარნახა კონტურების მოხაზვა შექმნილი რეალობისა! ჩემში ისეთი დიდი დოზით შემოდის ეს რეალობა, რომ ის გულში და გონებაში აღარ ეტევა. ჰოდა, ხატვა მე არ შემიძლია, მუსიკის შექმნა ჩემგან არ გამოვა. და აი ვწერ.. ვინ წაიკითხავს, როდის, ამაზე არ ვფიქრობ, მხოლოდ წერის სურვილით ვარ შეპყრობილი. ვწერო და მინდა გარეთ გამოვუშვა ჩემიდან ეს ნიაღვარი, რომ არ წამლეკოს. ეტყობა, ეს ღმერთი ეგოისტურ ვნებებსაც ახალისებს, თვითგადარჩენის ინსტინქტი ძლიერდება, ისევე, როგორც წასვლის სურვილი.

მე კი წავალ ჩემს საყვარელ სოფელში, ვითომ ჩემი არჩევანი იყოს და ხარბად ჩავისუნთქავ მოწყურებულ ჰაერს, სანამ კორონას შიში არ მომკეცავს ემბრიონივით და იქ დაბრუნებას არ მანატრებს, საიდანაც მოვევლინე ამ სამყაროს. მერე ისევ გათენდება და ახალი დღე შექმნის ცხოვრების ილუზიას, სადაც იგრძნობ, რომ ადამიანებს სჭირდები და რომ შენი არსებობა მათთვის თითქოსდა კორონას შიშზე აღმატებულია!

27 მარტი

გზა სოფლისაკენ... მიყვარს გზა, გზაში ფიქრის დრო გაქვს. რამდენი რამ მინატრია, მინანია და მითმენია გზებზე და გზებისთვის. გზა ატრაქციონს ჰგავს. ის ფიქრების კორიანტელს აყენებს, თან გითრევს და გაბრუებს, თუმცა რეალობას არ გწყვეტს. რეალობა გეთამაშება და თავის სიმძიმეს ამ მოძრაობით გავიწყებს. ამ ატრაქციონზე სრბოლაში ხელს მხოლოდ ტელეფონი მიშლის. ტელეფონი მიერთებულია სამყაროსთან, სადაც ახალი ამბები ვირუსებივით სწრაფად ვრცელდება – მიდი და არჩიე ახლა ჭორ-მართალი! უკვე ჩვევად მექცა „ფეისბუქზე სქროლვა“. გზაზეც ასე ხდება, ინსტინქტის დონეზე. როგორც კი მეღვიძება, თვალები ტელეფონს ეძებენ, ხელები კი ეკრანს და იწყება რიტუალური ნიუსფიდების „სქროლვა“, საიდან აღარ. შემოდის და შემოდის ახალი ამბები. ასე იქმნება ტენდენციები და ტრენდები. ისინი შენს საფიქრალში იკავებენ ადგილს და იმაზე ფიქრობ, რაც უმრავლესობას აღელვებს. თითქოს სამართლიანიც არის – რაც სხვას ადარდებს, იმაზე შენც უნდა შეიწუხო თავი, მაგრამ... ბოლო პერიოდში მარნეულის თემა უკონკურენტო აღმოჩნდა, აშკარაა, რომ ფეისბუქის“ მასშტაბით, ერთმნიშვნელოვნად უფრო მეტი მხარდამჭერი პოსტი გამოჩნდა, ვიდრე დისკრიმინაციული. მგონია, რომ ეგეთ რაღაცებს ე. წ. ტროლები წერენ. ამის პასუხად კი ჩემი ერთი ყოფილი სტუდენტი ისეთ სულისშემძვრელ პოსტებს წერს, ისე შორს წასულს, რომ იბნევი, სათქმელს არ გიტოვებს – მისი წყენა, ბრაზი თუ გააფთრება, ემპათიის ადგილს აღარ ტოვებს. ამ პროცესში გულგრილი ვერ ვიქნები, ჩემს მიღმა ვერ გავატარებ, ამიტომ, ვფიქრობ, რომ სათქმელი მკაფიოდ და გასაგებად უნდა თქვას ყველამ, რას და რატომ ვაკეთებთ, რას როგორ ვპასუხობთ, რა მიმართებაა გამოწვევასა და პასუხს შორის. ბავშვის ნაბანს ბავშვს ხომ არ ვაყოლებთ? ეს საკითხი კორონაზე ნაკლებად არ მაღელვებს.

კორონას რაც შეეხება, დილით ტელეფონიდან შევიტყვე ვირუსის გავრცელების ახალ მასშტაბებზე. თურმე, ამერიკამ დაინფიცირებულთა სტატისტიკით ჩინეთს გაუსწრო, ამერიკის პირველობა აბა, ვის უკვირს, მაგრამ ამაშიც? ამერიკა სულ გვაბნევს, ამის ნაწილია, ალბათ, ისიც, რომ მესინჯერით მი-

ვიღე ინფორმაცია, თითქოს ამერიკელმა სენატორებმა ლოცვა და მონანიება დაიწყეს ვირუსის შესაჩერებლად, რომელიც სასჯელად მოევლინა სამყაროს... არ მგონია, ეს ნამდვილი ამბავი იყოს, მაგრამ ხომ ითქვა, ხომ გავრცელდა, ხომ აიტაცეს და გადამდები აღმოჩნდა! ჰოდა, მას აქვს უკვე ჩვენი ტვინის რომელიღაც უჯრედში მიჩენილი ადგილი. ისევ „ფეისბუქს“ რომ დავუბრუნდეთ, რომელიც ახალ სიმულაციურ რეალობას ქმნის, დღეს იგი რეალობაზე უფრო მეტ რეალობად იქცა და კომუნიკაციის მთავარ საშუალებად რჩება. რა მნიშვნელობა აქვს, გულში რას ფიქრობ, მთავარია აქ რას წერ, რა მნიშვნელობა აქვს ამ ნაწერს, როგორ გამოიყურები... მთავარია, როგორ ფოტოს დებ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როგორ მოგწონს, მთავარია, ვის და რას ალაიქებ. რა მნიშვნელობა აქვს, რაზე ისაუბრე ლექციაზე. მნიშვნელოვანია ის, აქ რას მოუყვები... ან რა ბედენაა, რა ხასიათზე ხარ, მთავარია, ვის როლს მოირგებ. რა მნიშვნელობა აქვს რამდენი წიგნი გაქვს წაკითხული, მთავარია რას აზიარებ, რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობ, აუცილებელია მიხვდე, სად გამოდგება შენი კომენტარი. დღეს ხომ ჩვენი სოციალური ჰაბიტუსის ფორმირება მთლიანად ამ ქსელმა იკისრა? აქ გჭირდება შნო და მარიფათი, რომ რამე არ გამოგრჩეს და რეაგირება არ დაგაგვიანდეს. ინფორმაციის ფლობა ძალაა, რომელიც გონიერი ფილტრის გარეშე საშიშია, კორონა ვირუსზე უფრო საშიში. ამ უზარმაზარი ინფორმაციის ნაკადში ცურვა და ლივლივი უპირატესობაა და საფრთხეც. ბევრი ვერ უძლებს ამ ზეწოლას... ამდენი ნიჭიერი, ლამაზი, წარმატებული და გამორჩეული ადამიანის ყურება ადვილი როდია! ამდენი აღიარება, ამდენი დაფასება და ამდენი პერსპექტივა – ამას რა გაუძლებს?! მიუხედავად იმისა, რომ არც მე ვარ გულგრილი და განსაკუთრებით რაციონალური ამ ქსელის მიმართ, გარკვეული იმუნიტეტი თუ ანტიდოტი გამომიმუშავდა და ხშირად ჩემი ინტერესის საგანს ადამიანების მიერ შემუშავებული თვითპრეზენტაციის ტექნიკა და სტრატეგია უფრო წარმოადგენს, ვიდრე მისი შინაარსი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ სივრცის მავნებლური გავლენა ჩემზეც აშკარაა – ვგულისხმობ დროს, ემოციას და სხვა ძვირფას ადგილებს ჩემს გონებაში. ძალიან მენანება სამივე „ფეისბუქნიუსებისთვის“, მით უფრო,

როცა ასეთი ტოტალური გახდა იგი და ასე აშკარად გვკარნახობს ჩვენს ყოველდღიურობას. შედარება უმადური საქმეა, მაგრამ ეს სოციალური ქსელები უფრო საშიშია ვირუსების გასავრცელებლად, ვიდრე ფიზიკური სივრცე, რომელიც შეგვეზღუდა და არანაკლებ საშიშია ის ინფორმაციული ნაკადი, რომელიც ვირუსის პრევენციასა თუ მის შეჩერებას ემსახურება. ერთი, მთავარი დამავიწყდა – იუმორისა და ღლიცინ-სიცილისთვისაც რჩება საგრძნობი ადგილი ამ ნიაღვარში, რომელზედაც ხან მეღიმება, ხან მეცინება, ხანაც მასევდიანებს კიდეც.

ასე და ამგვარად, გზისა და ფიქრების ბოლოს ჩემი სოფელია, ცოტა გაუცხოებული, მაგრამ ბევრად უფრო რეალური, ვიდრე ნებისმიერი აზრი და მოლოდინი ფეისბუქიდან! ახლა კი წავედი, უნდა ვნახო, ახალი რა დაწერეს „ფეისბუქში“?

28 მარტი

გაზაფხულის სურნელი, მიწის სინოტივე, უთბილესი მზე, ხეხილის ყვავილობა, ჩიტების წკარაწკური, სუსტი ნიავი და აჰა, ეკლესიის ზარის ხმაც გაისმა. ამაზე სასიამოვნო რა შეიძლება ინატროს კაცმა, ალბათ ერთი ჯორკო ან მწვანე მოლი გამოსაგორებლად, საკუთარმა მოძრაობამაც რომ არ შეგიშალოს ხელი და ბოლომდე შეიგრძნო და აღიქვა ბუნების ეს მადლი. ჰოდა, ეს ყველაფერი ერთად ნეტარებაა წარმოუდგენელი. ამ ყველაფერს კიდევ უფრო ამძაფრებს ბავშვობის მოგონებები, რომელიც თავშესაფარივითაა, რომელიც ყველაზე რთულ და უსიამოვნო მომენტებში უშურველად გიშლის კალთას, რათა გაყუჩდე, თავი დადო და სული მოითქვა. როცა ამ ვირუსის საფრთხეების ანალიზს შევუდექი, ერთადერთი არჩევანი საამისოდ ჩემთვის სოფელი აღმოჩნდა, რომელიც იზოლაციის გარდა, განტვირთვის შესაძლებლობას მოგვცემდა. ჩემი ბავშვობა ხომ ამ სოფელს უკავშირდება – ორი ბებია, ველოსიპედი, სასაფლაოები, საყდარი და მე. აი, რა მენატრება. ერთი ბებიიდან მეორესთან გადარბენა და პირიქით, გზად სასაფლაოები და საყდარი, რომლის დანახვაც ყველაზე ზებუნებრივ გრძნობებს აღმიძრავდა და უსაზღვრო მოკრძალებას იწვევდა ჩემში. ისე არ გავივლი ამ ადგილას, ხელით არ შევხებოდი ტაძრის კედლებს და ფიზიკურადაც არ შემეგრძნო მისი ძალმოსილება. განცდის დონეზე ის ბუნების საოც-

რებებს ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა. ბებიაჩემი ეკლესიას სასწაულს ეძახდა და ეს სიტყვა ზუსტად შეესაბამებოდა მისი ნახვით გამოწვეულ ემოციას. არასდროს შემშინებია სასაფლაოების, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ახლობელი ადამიანების გარდაცვალების სიმძაფრე აქ მატერიალიზდება. სიმწვანე, ბილიკები და საფლავების ქაოსური განლაგება სიკვდილის განცდას მავიწყებდა და მას ამქვეყნიურ გარინდებად წარმოაჩენდა. ეს ხომ ყველაზე მშვიდი ადგილი იყო ამ სამყაროში, განტვირთვის ადგილი, სადაც ადამიანი მოისვენებს, სულ მოითქვამს და კვლავ სასიცოცხლო ძალებით აღივსება. აქ რწმუნდები, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, მაშინ, როცა ყველაზე მოუსვენარი ადამიანებიც კი აქ მშვიდად განისვენებენ. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს ირღვევა ყველაფერი და უკვე აღარ იცი, ვინ ცოცხალია და ვინ – მკვდარი. გარდაცვლილებს სრულიად ერღვევათ მყუდროება. ამ მშვიდ ადგილას ყველაფერი სხვაგვარად ხდება– ხმაური, სიცილი, შეხვედრები და სმა-ჭამა, კვერცხების ჭახაჭუხი და საფლავზე დაქცეული ღვინო...ძნელია ამ ვნებას შეელიო, როცა ზღვარი იშლება „წასულებსა“ და დარჩენილებს შორის. როცა წარმოიდგენ, რომ შენს სუფრას აწ გარდაცვლილებიც უსხედან და შენს მომზადებულ პურ-ღვინოს ისინიც ხარბად შეექცევიან. სხვა გემო აქვს საჭმელს სასაფლაოზე და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ ტრადიციაზე უარი ვერ ვთქვით, მათ შორის მეც. რა საჭიროა მისი რაციონალიზაცია. აღდგომის სიყვარულისთვის ყოველთვის მზად ვარ დავთმო „ქალაქელობა“ და ამ ორი სოფლის ზეიმში მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყო.

სოფელში ჩამოსვლისას ზუსტად არასოდეს ვიცოდი, რომელ „გადაღმა“ ბებიასთან მივიდოდით პირველად. ერთი სული მქონდა ველოსიპედით მეორე მხარეს გადავსულიყავი და გზად ეკლესია მენახა, ასე მონატრებული და ახლობელი. ახლა კი ყველაზე გაუცხოებულად თავს სწორედ ამ ეკლესიასთან სიახლოვეს ვგრძნობ – თითქოს წამართვეს იგი, ჩამომართვეს და აღარ მელოდება. რამდენი წელია მასზე ზრუნვის სახელით მის გარშემო ყველაფერი შეცვალეს, გადათხარეს, გაასუფთავეს, მიალაგეს, მოალაგეს და მისგან ბევრი აღარაფერი დატოვეს. ეკლესიის გარშემო ძველი სასაფლაოები გადათხარეს, სამრეკლო

ააშენეს, ყვავილები დარგეს, ეზო „გაალამაზეს“, ხეხილი გააშენეს და ახალი წესრიგი დაამყარეს. მერე საყდარი ჩაკეტეს და სახელიც შეუცვალეს. აი, ყველაფრის „გაგება“ და გამართლება ალბათ კიდევ შეიძლება, მაგრამ სახელის შეცვლა რაღა იყო? მარტო, ჩემთვის ვეღარ შევალ და ვეღარ ვთხოვ იმ სანუკვარი სურვილების ასრულებას, რომელსაც ხშირად თავსაც ვერ ვუტყდებოდი. ეს ცვლილებები სოფლისათვის მისაღები და სასურველი აღმოჩნდა, მათთვის ეს წესრიგი ეკლესიასთან დაახლოებას უკავშირდება, ჩემთვის კი – მისგან დაშორებას. მათ ხომ არასდროს უჩურჩულიათ ცარიელ საყდარში, ყოფილიყო ნება მისი და დიდება მისი. მათთვის ეკლესია ჩემს ბავშვობაში, როდესაც მე ის გავიცანი და დავუმეგობრდი, უცხო და გაუგებარი იყო. მათთვის ეკლესია სასაფლაო იყო. ახლა კი მე გავხდი უცხო, მე წამართვეს ეკლესია, რომელიც ამ სტრესულ ვითარებაში მანუგეშებდა, განმარტოებისა და შეხების შესაძლებლობას მომცემდა. დღეს მხოლოდ ბავშვობა და მოგონებები დარჩა მისგან. გული კიდევ იმაზე მწყდება, რომ ჩემი შვილები იმას ისეთად ვეღარასდროს ნახავენ და შეიგრძნობენ. მათთვის აქაურობა მხოლოდ ეს მორთული და გაკეთილშობილებული ადგილი იქნება, შესაბამისი ეკლესიური წესრიგითა და იერარქიით.

დრო გავა და მოვუყვებით შვილებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს ....

29 მარტი

ქრონიკების წარმოების მეცხრე დღე, ბევრი დროა რეფლექსიისათვის, უამრავი წინააღმდეგობრივი აზრი თუ ემოცია მუშავდება გონებაში, მაგრამ მაინც ბევრი არაფერი ლაგდება. ეს ყველაფერი თუ არაფერი გონებას მირევს. და მაინც როდის დამთავრდება ეს გაუგებრობა, როდის დავუბრუნდები ცხოვრების ნორმალურ სტილს? აბა, ვინ იცის? თან მიხარია, რომ ვითარების გამო მაქვს შესაძლებლობა, ვიყო სოფელში, ბუნებასთან ახლოს, მაგრამ ბევრი წვრილ-წვრილი უსიამოვნებები თან სდევს ოჯახურ შეკრებებსაც – მხარდაჭერასა და თანადგომასთან ერთად ხშირად ახლობლები აქილიკებენ და აკრიტიკებენ ერთმანეთს შეუსრულებელი საქმეების თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო, რომელსაც დაუნდობლად მოგაწერენ. ყველას გვაქვს

სუსტი მხარეები, მაგრამ უფრო სუსტებს სხვების სისუსტეებზე უფრო უადვილდებათ და ეხალისებათ საუბარი – არიქა და ვინმემ იქით არ დამასწროსო. განსხვავებულობა ხომ ყველგან სტიგმაა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს სხვაობა უპირატესობებს განიჭებს. განსხვავებულობა დაფარული საფრთხეა, რომელიც სად ამოყოფს თავს, არავინ იცის. ეს არჩევანიცაა, რომელსაც დაცვა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ყველას აქვს განსაკუთრებულობის განცდა, მაგრამ შემდგომ ეტაპებზე თანდათან დისტანცირება ამ განცდისაგან და საშუალო სტატისტიკური მოქალაქის როლს ირგებს გარანტირებული სოციალური მხარდაჭერებითა და უშფოთველი თანაცხოვრების შესაძლებლობით. ზოგს კი არ ასვენებს გამჩენი და ცოტა განსხვავებულ გზას ირჩევს, ახალ ბილიკს იკვალავს და თავის გზას მიუყვება, რომელიც ხან გაშარავებულია, ხანაც გაუვალი გზაწვრილებით მიემართება დასახული მიზნისაკენ. ჩემს ასაკში ამას ასე მძაფრად არ განიცდიან. ჩემს მიერ გაკვალულმა ბილიკებმა თავდაჯერებულობა შემძინა და დღეს უკვე ძნელია ჩემი „აგდება“. და მაინც მიკვირს, რა ადვილად შეუძლიათ გაგკრან კბილი აუგად და უსაქმურად მოგიხსენიებენ მხოლოდ იმიტომ, რომ იატაკის გაწმენდას სათანადო დრო და ძალისხმევა არ მოანდომე -ამაზე მნიშვნელოვანს სხვას რას შეიძლება აკეთებდე, დიდი, დიდი ვირუსის გავრცელებაზე დარდობდე, აბა, რა ვიცი!

კვირა დღე არის უფლის დღე, დღე უქმობისა, ბიბლიურად. ამ დღეს მორწმუნე ადამიანები ტაძარში მიდიან და ღმერთს ადიდებენ. ამ ვირუსების პერიოდში ტაძარში წასვლა ერთბაშად დიდ გამოწვევად და ცდუნებად იქცა, როგორც მორწმუნეებისათვის, ისე ურწმუნოებისათვის, ადვილი არაა 21-ე საუკუნეში გმირობის ჩადენა, იგრძნო რელიგიური ფესვები, რომელსაც ყველა ქრესტომათიული სახელმძღვანელოდან ბეჯითად იკვლევდი და არკვევდი. ჰოდა, დადგა ჟამი ცხოვრებაში, გამოვცადოთ ის, რასაც ჩვენი წინაპრები სარწმუნოების მიმართ გრძნობდნენ და განიცდიდნენ, უფრო ზუსტად და სინამდვილეში. ეს გახლავთ ის, რაც ჩვენ ბრძენკაცებს სურდათ რომ გვცოდნოდა ჩვენი წარსულიდან მეოცე საუკუნის დასაწყისში. მოკლედ, წიგნებში წაკითხული და ფილმებში ნანახი ამბების გახსენების შესაძლებლობას აძ-

ლევს ადამიანებს ჟამიანობის, განსაცდელის დროს იყვნენ ახალი დროის გმირები, რჩეულები გახდნენ და დემონსტრაციულად გამოხატონ სარწმუნოებისადმი ერთგულება. ამის პარალელურად ოცდამეერთე საუკუნის ინტელექტუალებს მიეცათ საბაბი ილაპარაკონ ეკლესიისა და მორწმუნე მრევლის ჩამორჩენილობაზე, სიბნელეზე და მათ მავნებელ გავლენებზე საზოგადოებაში. მოკლედ, ვირუსის მოახლოება ყველაფერს აშიშვლებს, განსაკუთრებით კი განკითხვისა და საკუთარი უპირატესობების გამოვლენის ვნებას!

30 მარტი

ორშაბათი მძიმე დღეა! ცოტა რამ მახსენებს ხოლმე სოფელში დღეების დასახელებას. რა მნიშვნელობა აქვს, რა დღეა, აქ ხომ ყოველი დღე შაბათია ხოლმე! სწორედ ეს მიქმნის დისკომფორტს ახლა, რომ უნდა მახსოვდეს დღეები, განრიგი და მოვალეობები დღეების მიხედვით, დისტანციური მუშაობა და ლექციები. სოფელი და ლექციებზე ფიქრი სად გაგონილა! შუა ეზოში პატარა სკამზე ნოუთბუქით ხელში ჯდომა და ონლაინ-ლექცია ახალი განზომილებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი არაა, სტრესს მაინც ამძაფრებს და დაბნეულობას ქმნის. აქეთ სტუდენტები, იქეთ პედაგოგები, ყველას რაღაც უჭირს, ყველასთვის გამოწვევაა შექმნილი ვითარება. ყველას მხარდაჭერა და გამხნევება სჭირდება. ადვილი არ არის ამ გაურკვევლობის დაძლევა და მასში ახალი წესრიგის შეტანა. ორშაბათი კვირის პირველი დღე და დაგროვილი საქმეების კუთხითაც რთულია. როგორ დაიწყებ კვირას, დიდი მნიშვნელობა აქვს, აქ კი ორი რეჟიმი ერთმანეთში ირევა – საქმიანი და თავისუფალი. ცალ ხელში ბავშვის საჭმლის კოვზი გიჭირავს, მეორეში – ტელეფონი. რომელიღაც სტუდენტი ჯგუფში ვერ ემატება ან პედაგოგის ტელეფონი სჭირდება, ან სამეცადინო მასალა არ მისვლია და რა ვიცი, კიდევ რა. ყველას სჭირდება მისი წილი ყურადღება. გარეთ კი ცივა, ტალახიანი ამინდია და შენ გინდა შეიყუჟო სახლში, სადაც ინტერნეტი, პრაქტიკულად, არ მუშაობს. გინდა თბილად ყოფნა და სხვების მზრუნველობა, გინდა გკითხონ: ჩაის ხომ არ დალევ? რამდენი კოვზი შაქარი ჩაგიყარო? გინდა იყო ბავშვი, ვისზედაც ზრუნავენ, რომელსაც დიდხანს არაფერზე ნერვი-

ულობა არ შეუძლია, რომელსაც მალე ავიწყდება გლობალური საფრთხეები, გამოწვევები, არ შეუძლია მისი მთელი სისრულით წარმოდგენა და განცდა. მას მხოლოდ მისი მოქმედების მეორეული გამოვლინებებზე შეუძლია რეაგირება. დარწმუნებული ვარ, ბავშვები მტკივნეულად არ განიცდიან ამ ვირუსის ზეგავლენას, მათთვის ეს სკოლისა და სივრცის თემაა მხოლოდ, სამეცადინო გაკვეთილები და მშობლების მოწოდება, რომ იმეცადინონ. და ეს კარგია...

მახსოვს, მეორე კლასში ვიყავი, როცა ცხრა აპრილი გათენდა, მანამდელი პერიოდიც მახსოვს – საყოველთაო აღტყინება, გამართლებული მსხვერპლი, დაუცველობისა და იმედგაცრუების განცდა, ბეწვის ხიდი მოლოდინებს შორის. ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი, გადატრიალებები და დენის წასვლა-მოსვლები. დღეს რომ ბნელ ოთხმოცდაათიანებს ეძახიან. ეს ჩემი ბავშვობაა, განსხვავებული, მაგრამ ბავშვობა... ჰოდა, ჩემი მოყოლილი ბავშვობა მაინც თბილი და ტკბილია, თავგადასავალია და ხალისი საათობით გაჩერებულ მატარებელში ყოფნა, ცუღლუტობა პურის რიგებში, სოლოლაკის ეზოში დანთებული ცეცხლი და დამწვარი კარტოფილის გემო, მეზობელთან შეყუჟვა და სერიალების ყურება, რამდენიმე ზომით დიდი სამოსი და სასიამოვნო განცდა სკოლის გაცდენის შესაძლებლობის გამო. და კიდევ ერთი – ავტომატის ჯერი, რომელიც ხშირად გაისმოდა, ტომრიდან კაკლის ჩამოყრის ხმას მაგონებდა და შიშის ნაცვლად მაკვირვებდა. საშიში ახალი ამბები ჭორებივით საინტერესო მეჩვენებოდა და სოფელში წასვლის შესაძლებლობას იძლეოდა. ეს არაპროგნოზირებულობა მხოლოდ მახალისებდა. ახლა კი ეს მდგომარეობა შფოთსა მგვრის... როგორც ეტყობა, გავიზარდე. ახლა ჩემზეა პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიღება, ახლა მე უნდა ვიზრუნო სხვებზე, შვილებზე და უკვე რისკის ქვეშ მყოფ მშობლებზეც. მე ისევ და ისევ კითხვები მიტრიალებს თავში, რამდენად მზად ვარ ამხელა გამოწვევისათვის? როგორ უნდა მოვმზადებულიყავი? და რას გულისხმობს ეს მზაობა? ალბათ იმას, რომ ბავშვი აღარ ვარ, ვიგრძნო სიმძიმე მშობლობისა და შვილობის, შუაში ყოფნისა, არ შევიმჩნიო სტრესი – ვუთხრა ჯერ თავს და მერე სხვებს, რომ ჩვენ ამას დავძლევთ, ისეთი არაფერი ხდება... მეტი

მობილიზება და სხვებზე ზრუნვაა საჭირო, ზრუნვა იმაზე, რომ ბავშვებმა სილაღე შეინარჩუნონ, ისიამოვნონ მათზე ზრუნვით, მათი მდგომარეობით – ისეთი ბავშვობა ჰქონდეთ, რომ მთელი ცხოვრება თან გაჰყვეთ ეს შეგრძნება, რათა გაუძლონ შემდგომი ცხოვრების სირთულეებს, ვირუსებსა და ეპიდემიებს. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლების განცდა და სილაღე, ბუნებასთან სიახლოვე და უნდა უყვარდეთ ცხოველები. ყოველივე ეს მათ დაეხმარებათ უკეთეს საზოგადოებაში იცხოვრონ. ბავშვები ცხოველები არ არიან, რომ მორჩილ და ერთგულ ადამიანებად გავზარდოთ, ჩვენს მითითებებს ზედმიწევნით რომ შეასრულებენ. დიდი ცდუნებაა მშობლისათვის შვილი მის ერთ დაძახებაზე პასუხობდეს, ერთი მითითებით ცდილობდეს მისი ქცევის შეცვლას და მორჩილად ეხმიანებოდეს მშობლის მოლოდინებს. ასეთი ბავშვობის მქონე მოქალაქეები არ მგონია დარჩნენ სახლში, იზრუნონ საკუთარ ან სხვის ჯანმრთელობაზე. ბავშვებს არ უყვართ ორშაბათი! ამ ორშაბათს კარანტინი და კომენდანტის საათი გამოცხადდა. ჩვენს ბავშვებს ეს ნაკლებად ადარდებთ და ღმერთმა არ ქნას...

ჩვენ, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობა კი არასდროს გვტოვებს და კრიტიკულ მომენტებში გვეხმარება, როცა რამდენიმე წუთს ვიპარავთ და იქ ვიპარებით!

31 მარტი

ჩემი წრუწუს დაბადების დღე, რომელიც უცნაურად უნდა აღვნიშნოთ, სოფელში, განსხვავებული ტორტით, განსხვავებული ანტურაჟითა და გართობის ორგანიზებით, უნდა ვაღიარო – ვერ ვარ კარგი ორგანიზატორი. ეს ვირუსის იდეა ხომ საერთოდ ახშობს ჩემში კრეატიულობას, არა და რამდენი კარგი რამის მოფიქრება იქნებოდა, ალბათ, შესაძლებელი. უკმაყოფილება საკუთარი თავის მიმართ ცუდი გრძნობაა და საშიშიც. ვცდილობ თავი ავარიდო ამას, მაგრამ ეს გაურკვეველი და განუსაზღვრელი ვითარებაა ჩემს სისუსტეებს კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს, ძლიერ მხარეებს კი ჩრდილავს. იმის მაგივრად, რომ არსებული შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენო, ძირითადად დინებას მივყვები და ლოკალურად წამოჭრილი საკითხების მოგვარებით ვარ დაკავებული. ერთი კია, ამით ვცდილობ მცირედითაც

სიამოვნება მივიღო და დავიცვა თავი შესასრულებელი გეგმების შეუსრულებლობის წარმოდგენისგან.

2 აპრილი

ცუდი ამინდია, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებას ცუდი არაფერი გააჩნია, სუსხიანი და ტალახიანი აპრილის ატანა მიჭირს. ისიც საკითხავია, ატმოსფერული ამინდის გაძლება უფრო მიჭირს თუ შინაგანი ქარისა და სუსხის, თავისებური მარტოობის განცდა, რომელიც კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც ადამიანთა რაოდენობა მატულობს შენს გარშემო. ახლობელი და კეთილგანწყობილი ადამიანებიც ხშირად ვერ გივსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც ღმერთმა გაჩენის დღიდან გარგუნა. ძნელია ჩემზე ადამიანმა თქვას, მარტოობა აწუხებსო. ძალიან დიდი ხანია, ამ სიტყვის მნიშვნელობა აღარც მიგრძნია. მით უფრო ახლა, მაგრამ ეს განცდა ძველ მოტეხილობას ჰგავს, რომელიც მოშუშდა და მხოლოდ ცუდ ამინდებში, ისიც ყრუდ, გახსენებს თავს. ადამიანად ყოფნის სევდას გაგრძნობინებს და დაუზარელი ჩრდილივით თან დაგყვება, მზის მოლოდინში. როგორ ძალიან შემიყვარდა მზე და როგორი აუცილებელი გახდა ის ჩემთვის. ნეტა ასაკის ბრალია? სულ მეგონა რომ მზე არ მიყვარდა. ალბათ იმიტომ რომ მზეს „ვაბრალებდით“ გაზაფხულობით ჩემს სახეზე გამოსულ ჭორფლებს. დიდი ბრძოლა გვქონდა გამოცხადებული მასთან, ბებიაჩემი რომელიღაც ბალახიდან რომელიღაც თვეში ნამს აგროვებდა და ბეჯითად მისვამდა სახეზე, იმ იმედით, რომ ჭორფლი გაქრებოდა. სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა მაშინ, რომ ეთქვა, ჭორფლის მზის საჩუქარია და ამისათვის მადლობელიც კი უნდა იყოო. ამის სანაცვლოდ, თუ ვინმეს თვალში არ მოუვიდოდა – ასეთი ბევრი არ მახსოვს – ადვილად შეეძლო დაეძახა, შე ჭორფლიანოო! ასე, პირდაპირ მზესთან არ დამიკავშირებია ცხვირზე გაჩენილი წინწკლები, მაგრამ მზე არ მიყვარდა. თუმცა ყველა ნახატზე კი ვხატავდი ბეჯითად. ალბათ იმიტომ, რომ ადვილი დასახატი იყო. მარტივი წრე და სხივები. დღემდე ისეთივე პრიმიტიულ მზეს ვხატავ!

პირველად პოლონეთში აღმოვაჩინე, რომ მზე მიყვარდა და ძალიან მენატრებოდა. ეს იყო ნამდვილი აღიარება და იმის შემდეგ მზეზე ცუდს ვერ მათქმევინებ. ატმოსფერული და ადამი-

ანური სითბო თანაბრად ძვირფასი გახდა ჩემთვის. სოფელში კიდევ სხვანაირად სასურველია მზე, აქ ხომ ბევრად უფრო კარგად ადევნებ თვალს მის მოძრაობას, არ ჩერდება, ამომავალი, ღრუბლებში გახლართული, ხანაც ურცხვი და ჩამავალი მზე, ლამაზი, საშური და ცოტა სევდიანიც.

სოფელში ყოფნისას კორონა ვირუსის თემა საგრძნობლად განელდა, ეს, ალბათ, ჩემს გონებაში ახალ ამბების ნიაღვრის კლებამ გამოიწვია და უფრო მეტად მზის თერაპიამ. ამბობენ, ამ ვირუსს სითბო და მზე არ უყვარსო. მზესაც არ ეყვარება ის. აბა, რა საყვარელია?! იმაზეც ბევრი იწერება მზიან ქვეყნებში მისი გავრცელების სიხშირე გეოგრაფიულ და ატმოსფერულ მოვლენებს უკავშირდებაო. ვირუსს, არ ვიცი, და შიშებსა და სტრესს ნამდვილად უხდება მზე. ის სიცოცხლის და ცხოვრების წყაროა. ვან გოგი და მისი მზით დამწვარი სახე მახსენდება. ამ გაგანია ეპიდემიის დროს კი მისი ნახატი მოუპარავთ ამსტერდამში. არ მგონია, მზის სიყვარულით.

ამ დღეს ვერაფრით გავთბი, ხუთი საათი ლექცია და ინტერნეტის ძიება ღია სივრცეში, მზის გარეშე, რთული აღმოჩნდა ცხოვრება, თუმცა სტუდენტებთან ურთიერთობა მზის ანარეკლს ჰგავს. ბელგიის რომელიღაც სოფელში მთელი წლის მანძილზე მზის სხივი საერთოდ არ ხვდება, მხოლოდ ზაფხულობით, დღის რომელიღაც მცირე მონაკვეთში, სოფლის ბავშვები მიდიან შემაღლებულ ადგილას სარკით და იქ ნაპოვნ მზეს სოფელს უზიარებენ.

ამ სარკის როლს ხშირად ადამიანები ასრულებენ და თავის წილ მზეს გვიზიარებენ, სხვანაირად, აბა, როგორ ეყოფა ეს პატარა მზე ამხელა დედამიწას?!

4 აპრილი

სიცივე, ტალახი და ლოგინის სითბო, რომელთან განშორებაც უფრო უსიამოვნოა, ვიდრე მასთან ყოფნით მიღებული სიამოვნება. ღელვა ლექციის ჩატარების წინ, რა და როგორ წარიმართება, მით უფრო დისტანციურად. რელიგიებზე უნდა ვისაუბროთ, ჩემთვის ლექციის ჩატარების წინა პერიოდი მსახიობის განცდებს მაგონებს, სცენაზე გასვლამდე რომ არ ასვენებს. შემდგომ კი სხვა ჯადოსნურ სამყაროში ხვდება და ივიწყებს არ-

სებულს. ლექცია ნამდვილი ტრანსია სივრცეებს შორის, სადაც სამყაროს შემოქმედი ხარ, ხატავ, ალაგებს, ქმნი და გარდაქმნი არსებული ამბებისგან, ეს საოცარი პროცესია, რომელსაც კარგი მომზადების პირობებში აღმაფრენამდე მიჰყავხარ. ყველაზე ცოცხალი პროცესი, სადაც იბადება ტექსტი, რომლის მონაწილეც, ავტორიც და დამკვირვებელიც ხარ. დღე ბერგმანის ფილმზე ფიქრით დავიწყე, მეორედ ვუყურე. ლექციაზე „მეშვიდე ბეჭედზე“ უნდა ვისაუბროთ. ბერგმანის გამორჩეული ფილმი, რომელიც აქტუალობას არ კარგავს, მით უფრო ახლა, როცა ადამიანებს მორიგჯერ გამოეცალათ სადენები. მანამდე არსებული ცხოვრების გამოცდილება ნაკლებად ან საერთოდ არაა რელევანტური არსებულ ვითარებაში. ესაა ფილმი, სადაც ყველა თავის სათქმელს იპოვის და გაუხარდება, რომ მარტო არაა, და ის, რაც მას არ ასვენებს, ყოველთვის აწუხებდა მოკვდავთ. არა თუ აწუხებდა, ეძიებდა, ეძიებდა, ეძიებდა და ვერ პოულობდა, მაგრამ შენ ამ ვერპოვნაში იმდენი რამის დანახვა და პოვნა შეგიძლია, შენს ფიქრს სრულად გაჟღინთავს და ძიების სურვილს გაგიძლიერებს. ღმერთის ძიება და მისი გაგება ხომ ჩვენი ცნობიერების ყველაზე დიდი გამოწვევა და გამოცდაა. ღმერთის სამყოფელი, სიკვდილის მოლოდინი და განსაცდელი – აი როგორ შეიძლება დავახასიათოთ ჩვენი თანამედროვე ეგზისტენციალური რყევები. ამ ტექსტის წერაც ამას ემსახურება სავარაუდო პასუხების ძიება ყველაზე ვრცელ და ზოგად კითხვებზე. ამ კითხვების საფუძველი მაინც, მგონია, რომ სიკვდილის გაგებაა. დღეს საქართველოში პირველი დაინფიცირებული გარდაიცვალა, 79 წლის ქალბატონი მარნეულიდან. დღეში რამდენი ადამიანი ტოვებს ამ სამყაროს უფრო ტრაგიკული სიკვდილითაც, მაგრამ ზოგის სიკვდილი უფრო ფართო და ვრცელია. ზოგის სიკვდილი სამყაროს ცვლის, ზოგის ვითომც არ ყოფილა. ყველაზე რთული სიკვდილთან გაშინაურებაა, მასთან მორიგება, მისი შიშის დაძლევა, მხოლოდ რამდენჯერმე მქონდა განცდა, რომ მზად ვიყავი მასთან შესახვედრად და როცა მისი არ მეშინოდა.

სამწუხაროდ, მხოლოდ ახლობელი ადამიანების მხრიდან განცდილ დიდ იმედგაცრუებას შეუძლია დაგაძლევინოს სიკვდილის შიში.

5 აპრილი

სასიამოვნო ამინდია, რომელიც ვგრძნობ, რომ ჩემი ხასიათის მაფორმირებელი გახდა, ასე არასდროს ვყოფილვარ ამინდზე დამოკიდებული, სრულად განსაზღვრავს განწყობას და ენერგეტიკას. კვირა დღეა, ლექციებისგან თავისუფალი და იდეაში დისტანციურად შესასრულებელი სამუშაოსგანაც, მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელთან გვაქვს ქოლი, რომელიც ახალ დავალებებს მოგვცემს, შეუსრულებელი მისიების მსგავსს.

6 აპრილი

მოჟამული ამინდია, შესაბამისია განწყობაც, ამას დამატებული ორშაბათის სიმძიმე და ცხოველების მიმართ გამოხატული გაღიზიანება. აბა, რაღა დარჩა ჩემგან? ადამიანების მხრიდან ცხოველების მიმართ გამოხატული სიძულვილი და გულგრილობა მანადგურებს, მათსავით დაუცველად ვგრძნობ თავს. ეს არსებები ერთი ლუკმისათვის მზად არიან პატრონად გაღიარონ, დაგემორჩილონ და გიერთგულონ. რამხელა სევდა და სითბო იმალება ძაღლის დაჟინებულ მზერაში, სიყვარული და მზაობა მარადიული ერთგულებისათვის. მეტი რა ქნას? რით მოგაწონოთ თავი? დღეს, რამდენიმე პოსტს წავაწყდი, როგორ გახშირდა ძაღლების მიტოვება ვირუსის გავრცელების პერიოდში. რა მძიმე საკითხავია, ადამიანი ერთგულ მეგობარზე ამბობს უარს, ბედის ანაბარა ტოვეს მას...

ბედის ძიებისა თუ უბედობის გამო ერთმა შავმა ძაღლმა ჩვენს დაცარიელებულ სოფლის ეზოს შეაფარა თავი და 8 ლეკვი დაყარა, უმრავლესობა კუპრივით შავია. ძაღლი ისეა გამხდარი, ნეკნებს დაუთვლი, დარჩენილი ხუთი ლეკვი როგორც კი დაინახავენ მას, ძუძუებზე ეკიდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ლეკვები საყვარლები არიან და ძაღლი კი უწყინარი, მაინც დგას საკითხი მათი თავიდან მოშორებისა. არგუმენტები მოიძებნება...

ამაზე ფიქრი და დარდიღა მაკლდა, ეს დღეც რაღაცნაირია, მეც, თითქოს ძაღლის ბედის თანაზიარად ვგრძნობ თავს ახლა, ჩემი ორი ლეკვით, თუმცა არ მეშინია. ძაღლებსაც არ ეშინიათ, მათ შორის არც სიკვდილის. ისე, უნდა გვშურდეს ძაღლების, – მათ ხომ არ იციან, რა არის სიკვდილი, ისინი, ხომ არ ცხოვრობენ იმ განცდით, რომ შეიძლება მოკვდნენ და რომ სიკვდილი

გარდაუვალი ბოლოა. მათგან განსხვავებით, ჩვენ ჯერ სხვები განგვაცდევინებენ ამ ტკივილს. დღეს კიდევ ორი გადაიცვალა ამ ვირუსით. არც კორონას შესახებ იციან მათ რამე, არც მისი დარდი და შიში აქვთ. მათი საზრუნავი მხოლოდ ლუკმა პური და სიყვარულის დამსახურებაა. თუ ამას ვერ აღწევენ, იმიტომ არა, რომ პური არ გვაქვს საკმარისი, ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, სიყვარული გვაკლია, ერთმანეთის და ბუნების.

არადა, ხანდახან რა სხვანაირად ჩანს ყველაფერი!

9 აპრილი

9 აპრილი. თითქოს უკვე ნათქვამია ყველაფერი. საოცარი ენერგეტიკა და ძალა აქვს ამ სიტყვათშეთანხმებას, ყველაზე მეტად არის დასურათხატებული ეს დღე ჩემს ცნობიერებაში, ხარბად არის წარმოდგენილი ემოციებითა და ხატებით. ამის მიუხედავად, არ მგონია, ამ დღის და მასთან ასოცირებული მოვლენის გააზრება და სათანადო გადააზრება მოვახერხეთ ჩვენ, საზოგადოებამ, გარდა იმისა, რომ უქმე დღე გამოცხადდა. ამ ვირუსთან დაკავშირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც ისედაც სახლში ჯდომას გულისხმობს, სრულიად გაურკვეველი გახდა, როგორ უნდა გამოვყოთ ეს დღე სხვა დღეებისგან? რუსთაველზე გახვალ თუ... ? სოფელში დღეების ფორმასა და შინაარსს, ძირითადად, ამინდი განსაზღვრავს, რომლის ტოტალურობას, როგორც არასდროს, ისე ვგრძნობ საკუთარ კანზე. დღეს, ერთადერთი რამ, რაც 31 წლის წინ მომხდარ ამბავს შეგვახსენებდა, ტელევიზორი თუ იქნებოდა, ყველაზე არამეგობრული ნივთი სახლში. ბევრი ოჯახისა და ადამიანის მეგობარია ტელევიზორი დღეს. ჩემი – არა. დიდი ხანია გავწყვიტე მასთან მეგობრობა, თუმცა ჩემი თვალსაწიერიდან ამ ნივთის გაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა, ძველი სიყვარულივით ურცხვი და თავდაჯერებული, საიდანღაც მაინც გაწვდენს ხმას.

9 აპრილის დილა მზის სხივებით შემოდის და წინააღმდეგობის გრძნობებს აღვივებს შენში. რამდენი სათქმელი და უთქმელი ემოცია მოჰყვება ამ დღის გახსენებას, რამდენი დაუძლეველი შიში და განსაკუთრებულის მოლოდინი. ბავშვური განცდები და აღტყინება, რომელსაც იმედგაცრუებები და ნიჰილიზმამდე მიყვანილი სიცარიელე მოჰყვა. აქამდე არასდროს მიცდია დამე-

წერა ან მეთქვა რამე 9 აპრილზე, თითქოს ყველაფერი ისედაც ზედაპირზე და ნათელი იყო – ტიტები, პარლამენტის წინ ქვა, განწირული ქალების, ბავშვების და სოლიდარობის უკიდურესი განცდა, რომელიც ყველა ემოციას აღემატებოდა და დუმილში იკარგებოდა. დუმილით ნათქვამი ხომ ღმერთსაც ესმის! როცა 9 აპრილზე ვფიქრობ, მიჭირს იმის გარჩევა, სადაა ჩემი, უშუალო მეხსიერება და სად – წარმოდგენები, რომელიც საზოგადოებამ შემიქმნა და მიქმნის მძლავრი მანქანებით, ფოტოებით, რომელიც უნდა ჩაბეჭდილიყო თავში. ორი სახის წიგნი მახსენდება: ერთი თეთრი და მეორე – შავი, იდენტური შინაარსისა და ფორმის, ყდაზე ციფრი 9 და გარდაცვლილთა ფოტოები, ის თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვება. მახსოვს, ამ წიგნს საპატიო ადგილი მივუჩინეთ საოჯახო ბიბლიოთეკაში. მხოლოდ ახლა მახსენდება, რამდენჯერ გადმომიღია ეს წიგნი და ხარბად მითვალიერებია ფოტოები, მეტის თუ უკეთ გაგების მიზნით. ეს იყო სკოლის პერიოდი, მერე ვაკუუმი, თითქოს წიგნიც მიიკარგა სადღაც რემონტებისა თუ სახლში გადალაგებებისას.

9 აპრილის მნიშვნელობის აღქმა ჩემთვის ჩემს სასკოლო გამოცდილებას უკავშირდება. ჩემი დაწყებითების მასწავლებელი საშინლად მკაცრი ქალი იყო, შესაბამისად, სკოლის უმიზეზოდ გაცდენა წარმოუდგენელი გახლდათ ჩემთვის. მეორე კლასში ვიყავი მაშინ, შაბათობით ვსწავლობდით. 9 აპრილის ღამის შემდგომ შაბათს, ვთქვი, რომ სკოლაში აუცილებლად უნდა წავსულიყავი, დავიწყე ტირილი, მასწავლებელი გამიბრაზდება-მეთქი და არ გავჩერდი. მამამ მომკიდა ხელი და წამიყვანა. მანამდე, სულ მარტო დავდიოდი სკოლაში. სკოლის დაკეტილი ჭიშკარი მესიამოვნა, თუმცა ზუსტად მივხვდი, რომ მართლა რაღაც მნიშვნელოვანი მომხდარა.

დღეს დანამდვილებით აღარ ვიცი, რას ვგრძნობ და ვფიქრობ ამ დღის შესახებ, იმდენი და ისე საუბრობს მის მნიშვნელობაზე, სრულიად გაურკვეველი ხდება კოორდინატთა სისტემაზე ვინ რა ადგილს იკავებს, ვის რა ეთქმის და ვინაა აუდიტორია. მეტიც, კორონა ვირუსით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მომდინარე ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გადაფარა ხატად და კერპად ქცეული დღე და სახლში დარჩენილებს

კიდევ უფრო აგვიბნია თავგზა. ჰოდა, ამ აბნეულობაში ლექციები მაინც ჩავატარე და დავარღვიე უქმე დღის არსი. მერე დიდხანს და ხარბად ვუმზირე ჩამავალ მზეს თვალდახუჭულმა. 9 აპრილს თავისი სუსხი აქვს, მაშინაც კი, თუ არ უქმობ და მზეც ერთადერთი მადლია ამ დროს!

10 აპრილი

დაძაბულობისა და მოდუნების საოცარი ნაზავი, ამინდის მსგავსად, ხან მზე, ხან წვიმა და უკვე კარგა ხნის დამდგარი ახალი რეალობა, რომელიც ისევ ახალია, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის წესები გაცხადებული და გარკვეულია. ვირუსმა თავის დღის წესრიგი შექმნა, ყველა ამბავი თუ მოვლენა მისი მოცემულობით განისაზღვრება აქსიოლოგიურ სკალაზე. არაფერი დარჩა ჩემს გარშემო, რაც მის არსებობას არ აფიქსირებს და გარდაუვალობის გარდაუვალობაში არ მარწმუნებდეს. ამ სპონტანურობის ზღვაში მხოლოდ რამდენიმე ფიქსირებული კუნძულია ჩემთვის: ბავშვები, ლექციები და ფიზიკური წონასწორობის შენარჩუნება. ყველაზე დიდი სტიმული და დაძაბულობის მიზეზიც ბავშვებია. ეს ჯილდოცაა და სასჯელიც ამ განსაცდელის ჟამს. ვფიქრობ, ამ პროცესის ასეთი გამძაფრებული აღქმა სწორედ მათ უკავშირდებათ. ისინი საოცარ ასაკში არიან ახლა, მათგან იმდენი რამის სწავლა შეიძლება, მხოლოდ მოიცალე, უსმინე და ელაპარაკე. რა წარმოუდგენელი შესაძლებლობაა, მაგრამ ეს უძლურებისა და გაურკვევლობის შეგრძნება არ გაძლევს გასაქანს, რომელსაც ზედ ბანალური რუტინა ემატება. დილას, უკვე ტრადიციულად, ოთახის დალაგებით ვიწყებ, ამას, ალბათ, ისედაც გავაკეთებდი, მაგრამ როცა მოცემულ მომენტში ჩემი პერსონა, ძირითადად, დიასახლისის რანგში განიხილება ახლობლების მიერ, ამას გამართლება სჭირდება. უნდა გამოვტყდე და სულ არ მიჭირს, პირიქით, მეტად მეადვილება. რა არის ერთი ოთახის გულიანად დალაგება? ამასობაში ამბიციებიც კი მიჩნდება, რამე უფრო დიდი ხომ არ დავალაგო ან გავხეხო. ეს უკვე აღარ ვიცი, ჩემი შინაგანი მოტოა თუ რაღაცებს ვუმტკიცებ ნამდვილ დიასახლისებს. მოკლედ, ამ შედარებით მარტივი დალაგების შემდგომ იწყება უფრო რთული საქმე, ბავშვებისთვის საუზმის მომზადება, რომელიც ლამაზ რიტუალს

ნამდვილად არ ჰგავს, როგორც კინოებშია. ვიმუშავებ სხვადასხვა სტრატეგიებს, როგორ მივაწოდო ბავშვებს ძალადობის გარეშე მეტ-ნაკლებად შესაფერისი და სასარგებლო საკვები. ადვილი არაა, ხან გამომდის, ხან – არა. აი, როცა დავაპირებ ამოვისუნთქო-ამოვიქაქანო, ლექციების დროც მოდის. დღეს გადავწყვიტე ცოტა გავრიდებოდი ეზოს ხმაურს. ტელეფონი, ლეპტოპი და სკამი ზევით, ყანაში წავიღე, მზის გულზე დავჯექი და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, განვეწყვე ლექციისათვის. ვფიქრობ ლექციის თემაზე, ვირტუალურ აუდიტორიაზე, ახლად მოხნულ მიწაზე. საითაც არ უნდა გავიხედო, ნაცნობი, მაგრამ საოცრად უჩვეულო გარემოა. ამას დაემატა მზეს დახარბებულ მეზობელთა მიმოსვლა და ფუსფუსი თავიანთ ნაკვეთებში. თავისებური კინოა... მე კიდევ, მრავალფეროვნების არსის გაგების კონტექსტში ვაგულიანებ აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ენის სრულფასოვანი ცოდნა, საკუთარ თავზე მუშაობა. განსხვავებულს რომ გაუგო, ჯერ საკუთარი თავი უნდა იპოვო, იკვლიო საკუთარი მე და შემდგომ სხვებზეც იზრუნო. ვუზიარებ საკუთარ გამოცდილებას იმედგაცრუებებსა და წარმატებებზე. ლექციის ბოლოს სიამოვნებით ვხუჭავ თვალებს და რამდენიმე წამს ვპარავ სამყაროს. ამ რიტუალის დასრულების შემდგომ კი მეზობელ ყანაში გამოვიარე, გულმა არ გამიძლო. მშრომელებს წასახემსებლად ხაჭაპური, ღვინო და კომპოტი მოემარაგებინათ. როგორი სასიამოვნოა ღია ცის ქვეშ, მიწაზე ჯდომა და ხელით მოტეხილი ლუკმა. ამბის მოკითხვა და სავარაუდო პასუხების იდენტიფიცირება. მიწის სუნი და ინფანტილური კითხვები, ლაპარაკის გახანგრძლივების მიზნით. თითქოს არაფერი – გაზაფხულია, სოფელში მიწას ხნავენ, უფრო ყოჩაღები თესავენ და, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ალო არ უნდა დაიკარგოსო, მე კიდევ მაინც არ მტოვებს იმის განცდა, რომ რაღაც ისე არაა!

როგორ არ მინდა ამ წინადადებით წერის დასრულება, მე ხომ ძალიან მიყვარს აქ ყოფნა, მე ხომ ნამდვილად მჯერა, რომ ყოველ წელს სასწაული ხდება და ბუნება ხელახლა იბადება! ეს სასწაული კი სამყაროს გასაღებია!

14 აპრილი

მზიანი დილა და უკეთესი დროების მოლოდინი. თითქოს დალაგდა ახალი წესრიგი, ქცევის წესები ნაცნობია, მარტივი და გასაგები. ძირითადად ხელების დაბანას გვთხოვენ ხშირად და საგულდაგულოდ. ახალი რუტინა უკვე ნაცნობია, მაგრამ მაინც უცნაური. არ მტოვებს განცდა, რომ რაღაც ისე არაა, რომ ახალი და განსხვავებული წესრიგი თამაშდება სამყაროში. მსოფლიოს ახალი რეჟისორი დიდ სცენაზე განსხვავებულ სცენარს დგამს, ახალი გმირებითა და მიზანსცენებით. ამ სპექტაკლში სახელდებული როლი გვაქვს თუ, უბრალოდ, დეკორაციის ან რეკვიზიტის ფუნქცია გვაკისრია, ეგ კიდევ გამოჩნდება... დიდ სცენაზე, მთავარი, გენერალური ხაზის გარდა, სხვა პატარ-პატარა სცენებიც თამაშდება, რომელთა მიმართების დადგენას მაყურებელი მოგვიანებით, ალბათ, პრემიერაზე შეძლებს (თარიღი ჯერ არ ვიცით). ახლა მხოლოდ ინსტრუქციების შესრულება და ტექსტის ზეპირად სწავლაა საჭირო. კორონა ვირუსის გავრცელების პერიოდიდან ჩვენი სამეტყველო ლექსიკა რამდენადმე გაფართოვდა ახალი ტერმინებით. განსაკუთრებული პოპულარობით ტერმინი „კლასტერი“ სარგებლობს, რომელიც პაციენტის დაავადების წყაროს მიემართება. ანუ ჯგუფი, რომელსაც დაინფიცირებული ქმნის გადაადგილების ტრაექტორიის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს კლასტერი. „ეს რომელი კლასტერიდანაა?“ „ეს იგივე კლასტერია!“, „მარნეულის კლასტერი“. ექიმი, ეპიდემიოლოგები იკვლევენ დაინფიცირებული პაციენტი ვისთან ურთიერთობდა დაავადების გამოვლენამდე და შემდგომ. ამის მიხედვით ჩნდება ეჭვმიტანილთა სია კლასტერის სახით, რომლებიც საფრთხეს ქმნის საზოგადოებისათვის და, შესაბამისად, გადაადგილება ეზღუდებათ. საზრდოსავით ველით ამ თუ იმ კლასტერის დაინფიცირებულთა და გამოჯანმრთელებულთა შესახებ ახალ ამბებს. ჩართვები კარანტინის ზონებიდან და ბრიფინგები საავადმყოფოების ეზოებიდან, ესაა ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი, ლოკალური სცენები კასკადიორი ჟურნალისტებით. კალენდარზე კი ჩნდება ახალი თარიღი, რომელსაც თავისი ემოცია, იდეა და განწყობა უნდა მოეტანა. დღეს ქართული ენის დღეა! ამ დღეს ქართულ ენაზე საუბარი უხდება, ქართულად აზრის გა-

მოხატვა, სამყაროს უკიდეგანო ძიებათა ქართულად გადმოცემა. რამდენმა ადამიანმა სცადა ამ ენაზე გამოეთქვა კაცთა მოდგმის საფიქრალი, ადამიანად ყოფნის სევდა და უმისობით გამოწვეული სინანული. ენა ამ სამყაროში ადამიანად ყოფნის ყველაზე დიდი ხიბლია. მის განსაკუთრებულ მასშტაბებს მაშინ გრძნობ, როცა ჩუმად ხარ. სიტყვებად ქცეული ბგერები, აზრებად დაბრუნებული ფრაზები და ტექსტებად დაბადებული ემოციები ენის წარმოუდგენელ შესაძლებლობებში გვარწმუნებს. ენა არსებობის ფორმაა, რომელიც შენში ჩნდება, ვითარდება შენით, თუმცა შენთან ერთად არ კვდება. სიტყვა თესლია, რომელსაც საკუთარ სხეულში აღვივებ, ანოყიერებ, უფრთხილდები და მხოლოდ შემოდგომის ფურცლებს ანდობ. მას მზე და წვიმა, კითხვა და წერა სჭირდება. ასე ვიბადებით ენაში და ენა იბადება ჩვენში. ენაზე ზრუნვა და მისი მოფრთხილება მხოლოდ ფილოლოგების საქმე არაა, არც მათი უპირატესობა. ჩვენ ყველანი ამ ენის შვილები ვართ და ქართული ენა ჩვენი სახლია. დღეს ეს სახლი, ჯალაბი ფართოვდება. ამ ენაზე ჩვენი არაქართველი მოქალაქეებიც იწყებენ ფიქრს, ლაპარაკსა და წერას, ეს ჩვენი საერთო ენის შესაძლებლობად უნდა იქცეს. ამით კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება ჩვენი საერთო ფიქრთა წყარო. გაიზრდება პასუხისმგებლობაც, რას და როგორც ვეტყვით ერთმანეთს საზიარო ენაზე. ენამ კიდევ უფრო უნდა დაგვაახლოოს, თუმცა გაუცხოების რისკებიც მოჰყვება ამ შესაძლებლობას. ეს კარგად უნდა გვესმოდეს.

ენის დღეს საქართველოში ძირითადად პათეტიკურად აღნიშნავენ ხოლმე ენის დაცვის მიზნით, ეწყობა საჩვენებელი ღონისძიებები, ვკითხულობთ ლექსებს, ვმღერით კიდეც. ეს ცუდი არ უნდა იყოს, რომ არა საბჭოთა ინერციის მძლავრი ნაკადი, ვერაფრით განვთავისუფლდით კომუნისტური გამოცდილებისაგან. ამ დღის ისტორიაც ხომ კომუნისტებსა და მათთან წინააღმდეგობას უკავშირდება. ისევ კომუნისტებმა გადაწყვიტეს ქართული ენისა და ამ დღის ბედი. ქართველმა კომუნისტებმა გვაჩუქეს 14 აპრილი. სამწუხაროდ, ქართული, კომუნისტური ნაციონალიზმის ერთ-ერთი გამოვლინება, ხელახალ გადააზრებას არ დაექვემდებარა. საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ამ დღის

აღნიშვნის ტრადიციასაც. ფორმათა აღრევა და ქართული ენის ინსტრუმენტალიზაცია ისევ აქტუალურია. წრეზე ვტრიალებთ...

ამ წელს, ქართული ენის დღეს, კორონა ვირუსმა მხოლოდ ფიქრის საშუალება მოგვცა. მოდით, ვიფიქროთ ქართულად, რომელიც უფრო წრფელი იქნება, ვიდრე გასიტყვებული ლოცვა, უფრო ხმამაღალი, ვიდრე გამოსაშვებ ზეიმზე ნათქვამი სტროფები და უფრო ღრმა, ვიდრე ანეულისას გაყვანილი გუთნის კვალი.

ამ დღეს, იქნებ, ქართულად ფიქრის ტრადიციაც ჩამოყალიბდეს, ვიფიქროთ ცალ-ცალკე, ყოველგვარი კლასტერის გარეშე!

16 აპრილი

დილა სახურავზე წვიმის წვეთების წკარაწკურით იწყება. ეს ხმა არ მამშვიდებს, არ მაგულიანებს და მით უფრო არ მათბობს. არა და, რა კარგია წვიმა, ისეთი სასურველი და საამო, როგორც მზე. წვიმა ხომ ბუნების მაცოცხლებელი და თანაშემოქმედია, მზე თუ დედაა, წვიმა მამა მგონია, ხილული მამა, მამაბუნება. ასეთი სიტყვათშეთანხმება არ გამიგია, მაგრამ იყოს, მამის როლი ხომ იცვლება სამყაროში, რადგან სამყაროც იცვლება. წვიმა მიყვარს, მაგრამ ზაფხულის, მზისგან დახუთულს რომ გაგაგრილებს, სასიცოცხლო ძალებს დაგიბრუნებს. მერე და როგორი სასურველია ზაფხულში წვიმა, როგორ ელიან მას. ახლაც კარგია, თუმცა ჩემს ლექციებს სულ არ უხდება. დღის მანძილზე ინტერნეტი არ იჭერს სახლში და ონლაინ ლექციისათვის აივანზე ან ეზოში ვარ გამწესებული. ასე ვითოშები, დაძაბული ინტერნეტკავშირის გაწყვეტის მოლოდინში. აღარ ვიცი, იმაზე უფრო მეტს ვფიქრობ, რა ვუთხრა სტუდენტებს, თუ ინტერნეტი რამდენად მოისხამს მადლს და მოგვცემს დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობას, რომელიც ძნელი შესადარებელია აუდიტორიაში სტუდენტებთან ურთიერთობის ფორმასთან. იმაზე სასიამოვნო არაფერია, როცა იწყებ საუბარს და აუდიტორია სუნთქვაშეკრული გისმენს, გეგონება სამყაროს უზენაეს საიდუმლოებას უმხელ და ხარბად ეწაფებიან შენგან წამოსულ დაუგეგმავ ამბავთა ნაკადს. რამდენჯერ მომიყოლია სტუდენტებისათვის ბებიაჩემების ამბები, რომელიც აზრთა დინებაში შემოჭრილა და ზებუნებრივის გაგების შესაძლებლობადაც ქცეულა. რა თქმა უნდა, ამას ვერ

დაგეგმავ, ეს წვიმასავით იჭრება სალექციო თემის ნარატივთა წყობაში და აგრილებს ჩვენს აკადემიურ აზრთა მდინარებას. რა ვქნა, სოფელი და ბებია/ბებიები განუყოფელია. ბებია ბავშვობის გასაღებია, რომელიც არასდროს გეთმობა. როცა ცოტა წამოვიზარდე, სტუდენტიც რომ გავხდი, სულ მეშინოდა იმ დღის, როცა ბებია აღარ იქნებოდა. ამაზე ფიქრი უსიამოვნო ჟრუანტელივით მივლიდა და მოსვენებას მიკარგავდა. მახსოვს, როგორ დამირეკეს, ცუდად არის და არ ვიცით, თუ ჩავუსწრებთო. ჩამოვუსწარით, ვნახე, დავმშვიდდი, მოვლის საშუალებაც მომეცა, მაგრამ სუნთქვა ჰქონდა გართულებული. ვუნიავებდი და საოცარ სიამოვნებას მანიჭებდა მასზე ზრუნვა. მთელი ცხოვრება ის ზრუნავდა და ფიქრობდა ჩემზე, ახლა მე ვზრუნავ. ცოტა წუხს, არ სიამოვნებს საავადმყოფო, მაგრამ სიკვდილზე არ ფიქრობს, არც სერიოზულ დაავადებაზე. იმედი მომეცა, მაგრამ მალევე ირკვევა, რომ უფრო რთულადაა საქმე. სახლში გამოვიყვანეთ, მე თბილისში წამოვედი. მასზე ფიქრი არ მტოვებს, ვიცი, უჩემოდ, ჩემს გარეშე არ დატოვებს ამ სამყაროს, ეს ზუსტად ვიცი. დედაჩემისგან ვიგებ მის ამბებს. ვხვდები, რომ წვალობს, მთელი ცხოვრებაც ხომ წვალება იყო მისი, მაგრამ სიცოცხლის წყურვილიც ამავე დროს. ამ დროს მახსოვს, როგორ გადავალაგე ჩემი ფიქრები, როგორ დავუშვი შეუძლებელი შესაძლებლად და როგორ მივეცი უფლება ბებიას დაეტოვებინა ეს ქვეყანა და წასულიყო. „კარგი!“– ვიფიქრე – „წავიდეს!“, წვალობს და ალბათ უკვე დროა-მეთქი... ამ ფიქრებიდან ერთ დღეში ასეც მოხდა, მომზადებული ვიყავი ამ დღისთვის, დედამ მისთვის საყურეების ყიდვა მთხოვა, ორმოცდაათ წელზე მეტი საყურე არ ეკეთა, ქვრივი იყო და ვერ წარმოედგინა. საიქიოსთვის კი დაიბარა, საყურეები გამიკეთეთო, მხოლოდ იმისთვის არა, რომ იქ საყვარელი, ამდენივე წლის უნახავი ქმარი დახვდებოდა. არა, გველის კუდების ეშინოდა, თურმე საიქიოში საყურის გარეშე წასულს გახვრეტილ ყურებში გველის კუდებს უკეთებენ. გველის ხსენებაც ზარავდა ბებიას, უხსენებელს ეძახდა და არანორმალურად ეშინოდა. ეშინოდა სიკვდილისაც, მაგრამ ემზადებოდა, წლების მანძილზე გვარიგებდა, მისი სიკვდილის შემდგომ რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა, რამდენ დღეში დაგვეკრძალა, რა გაგვეტანებინა

და რა დაგვეტოვებინა, ვისი მოპატიჟება არ უნდა დაგვიწყებოდა და როგორ უნდა გვეტირა. მის გასვენებაზე მუსიკოსები უნდა მოგვეწვია, რადგან, მისი აზრით, დედაჩემს ტირილი არ ეხერხებოდა და შევრცხვებოდით. ასევე გასვენებამდე მთელი პერიოდი გლოვასთან ერთად ფაციფუცში გავატარეთ. გასვენების დროს წვიმა წამოვიდა. ღია და აშკარა ნიშანი იყო ჩემთვის ბუნების სოლიდარობის – ბებია ზაფხულში გარდაიცვალა.

„ბებია, ამოდი ხოლმე, წყალი დამასხი გულზეო“– მეუბნებოდა, თუმცა სასაფლაოზე და სიკვდილზე ბევრს არ საუბრობდა. არ სიამოვნებდა მაინც.

კორონული აღდგომა თავდაყირა აყენებს ყველა ჩვენს წარმოდგენას, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, ვინ და როდის უნდა გადააგოროს სასაფლაოზე წითელი კვერცხი, რით ვანუგეშოთ მომლოდინე მიცვალებულები, მთელი წელი რომ ამ დღეს ელიან. შექმნილი ვითარება მოსვენებას გვიკარგავს, როგორ შევცვალოთ ჩვევა, რომელიც რჯულზე უმტკიცესია?

ამას ემატება ეკლესიის მტკიცე პოზიცია, რომელიც ძალაუფლების დაკარგვის შიშით მრევლს კვლავ თავისთან, ეკლესიაში იხმობს, თავის კალთას სთავაზობს დაბნეულ მრევლს და ფართოდ უღებს კარს. დაძაბულობა პიკს აღწევს სახელმწიფო სტრუქტურებისა და საეკლესიო იერარქების ურთიერთობაში, ვერ იყოფენ ძალაუფლებას. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ნამდვილი გამოწვევაა ეს ვირუსი, გაცილებით დიდი, ვიდრე ნებისმიერი ინსტიტუციისათვის. ეკლესია ამტკიცებს, რომ სიკვდილის არ ეშინია, სწორედ აღდგომით, ქრისტეს სიკვდილით იწყება ახალი, მარადიული სიცოცხლე. მისთვის სიკვდილი შესაძლებლობაა, თუმცა მაინც არ მგონია, მათი ეს პოზიცია საიქიო, მარადიული სასუფევლის ძიების სურვილით იყოს ნაკარნახევი. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ მათი ეს გადაწყვეტილებები სააქაოში საკუთარი პოზიციების დაკარგვის შიშს უფრო უკავშირდება, ვიდრე სიკვდილთან შეხვედრის უდრტვინველ მოლოდინს!

ბებიასთან ურთიერთობისათვის სასაფლაოებზე ასვლა აუცილებელია არაა, თვალებს დავხუჭავ და მოვუსმენ მის ხმას. თუ კიდევ უფრო გავყუჩდები, შესაძლოა, მისი სითბო და სუნიც კი ვიგრძნო.

18 აპრილი

გაშინაურებული გაზაფხული და სააღდგომო ფაციფუცი. უცნაური იზოლაცია, რომელიც კომუნიკაციის განსხვავებულ შესაძლებლობებს გვთავაზობს და კონტაქტების ახალ განზომილების გარდა ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სამყაროთა შორის და აქტუალურია ვირტუალური სივრცე, რომელსაც კავშირების სხვა მოცულობა და პოტენციალი გააჩნია. ესაა ინტერნეტი, სამყაროს ახალი მბრძანებელი. კორონულ ეპოქაში ინტერნეტის ძალაუფლება განუზომელი გახდა – ინტერენტდამოკიდებულება ტოტალური, ულიმიტო, უკონკურენციო, შესაძლო რეალობებიდან კი – ზერეალური. მისი ძლევამოსილება საიქიომდეც აღწევს. ამ დღეებში, როგორც არასდროს, ვფიქრობ ურთიერთობებზე, კავშირებსა და ინტერნეტზე, რომელმაც ჩვენი წარმოდგენები სიახლოვესა და სიშორეზე თავდაყირა დააყენა. სივრცის დაძლევა და კავშირების შექმნა-შენარჩუნება, ადამიანის ეს ეგზისტენციალური მოთხოვნილება, ახალი როდია, თუმცა ასეთი სიმძაფრით, არ მგონია, როდისმე შეგვეგრძნოს. ასეთ დღეებში, მით უფრო გაკორონებულებს სააღდგომო სამზადისით სიკვდილი გვეპარება. თითქოს უახლოვდები მას, მის მოხელთებას, დამეგობრებასა და გაშინაურებასაც ცდილობ. არ მახსენდება, ერთად ამდენი მეფიქროს სიკვდილსა და სიცოცხლეზე. სიკვდილს, ადამიანი, სიცოცხლესთან ერთად იწყებს, სიცოცხლე ხომ სიკვდილის მოლოდინია, საკუთრის ან სხვისი. მხოლოდ სხვისი სიკვდილი განგვაცდევინებს საკუთარის გარდაუვალობას. როგორც უკვე მოგეხსენებათ, სიკვდილი ისეთი რამ არის, რაც მხოლოდ სხვებს ემართებათო. ეს სულაც არ გვამშვიდებს, პირიქით, გაუნელებელ შფოთვას იწვევს. ჭილაძეს უთქვამს, სიკვდილზე ფიქრია საშინელება და არა სიკვდილიო. ფიქრი, რომელიც გვკლავს. ხომ ვერავინ გაგიგებს, რა მოხდა, როცა „მოვკვდით“. საიქიოში წასულნი ჩვენს ენაზე და ჩვენი ენით გვესაუბრებიან მხოლოდ, არაფრით გვიმხელენ იდუმალ, სიკვდილის ენას, ვერასდროს გავიგებთ, რეალურად რა გრძნობაა სიცოცხლესთან განშორების წამი, როგორ დგება დრო არყოფნის/სხვად გახდომის, სად და როგორ მივდივართ, თუ მოვდივართ იმ მომენტიდან. როგორ არ მშურდეს ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანი ადამიანის, რო-

მელმაც ამ საიდუმლოს სახელი დაარქვა. ჩემი ფიქრები საიქიოს შესახებ საფლავის ქვებს ვერ შორდება, ქვასავით მძიმე, მოუხეშავია, მაგრამ ესთეტიკური. მხოლოდ ძილი, სიკვდილის პაროდია ამსუბუქებს ჩემს განცდებს ახლობელი ადამიანების გარდაცვალებასა და განშორებაზე.

დღეს რეზო ესაძე 86 წლის ასაკში გარდაცვლილა, კიდევ ჩემი სტუდენტის ბებია, ასევე 86 წლის. 86 წელი თითქოს საკმარისია ამქვეყნად ყოფნისათვის, მაგრამ ვინ იცის? კორონას სამიზნეც ეს ჯგუფია (ის წყვეტს, ვისთვის რამდენია საკმარისი), ვინ იცის იქნებ კორონას შიშმა და მისმა მოლოდინმა იმსხვერპლა ეს ადამიანებიც. შექმნილი ვითარება მხოლოდ სპეკულაციების შესაძლებლობას იძლევა. ამ დროს პირველი, რაც გამახსენდა, ის იყო, თუ როგორ ჭირგაუზიარებლად, უჩუმრად და ურთიერთობის გარეშე უნდა დაკრძალონ ადამიანი. არადა, ჩვენ ხომ ადამიანების აღმოჩენასა და დაფასებას მისი სიკვდილის დადგომის დღიდან ვიწყებთ. ვტირით, როგორი კარგები, გამორჩეულები და განსაკუთრებულები იყვნენ ისინი, ხშირად უთქმელად გამოვხატავთ სიმძიმილს მისი გარდაცვალების გამო, თუმცა დემონსტრაციულად და ერთმანეთის დასანახად. ამ ნიჭიერ და თავისებურ შემოქმედს უჩუმრად, ვიწრო და შინაურ წრეში დაიტირებენ და მერე დაკრძალავენ ხოლმე პუბლიკის გარეშე. სევდიანია კორონული სამყარო. აქვე მახსენდება კადრები ნიუ-იორკის საერთო სასაფლაოზე როგორ დამარხეს უცერემონიოდ ვირუსით გარდაცვლილები, ალბათ, მეტი წილი 86 წელს იყო გადაცილებული. აღდგომა თენდება და სამყარო მხსნელის აღდგომას ელის, სიკვდილის შემდგომ, ახალ სიცოცხლეს რომ დაჰპირდა ადამიანებს. ვერ ველევი ამ იდეას, ისეთი ლამაზი და ამაღლებულია. ასევე ვერ ველევი აღდგომის ზეიმს მიცვალებულთა სასაფლაოებზე წითელი კვერცხის გადაგორების შესაძლებლობით. ამ აღდგომას სოფელში ვხვდები, სასაფლაოზე ასვლის გარეშე, თუმცა არა უქეიფოდ. კვირას, აღდგომას, ხუთ საათზე ინტერნეტში ვიკრიბებით ვირტუალური სუფრით, უხვი პურმარილითა და სასმელით. წასულებს (წარსულებს), ბავშვობას და ერთმანეთს გავიხსენებთ, იქნება სადღეგრძელოები, ხუმრობა და სინანულიც განცდილი თუ განუცდელი გრძნობების გამო. დისტანციურად

ერთად ყოფნის შესაძლებლობა კორონული ეპოქის შესაძლებლობაა, თუ მხოლოდ ილუზია, ამას დრო გვიჩვენებს.

19 აპრილი

აღდგომის დღესასწაული, თავისი სასწაულებითა და დღეობა/ღრეობით. საინტერესო დღე გამოვიდა, ყველამ სათავისო იპოვა, ბავშვებმა – უკონტროლო ტკბილეული, უფროსებმა კი – უხვი ალკოჰოლი. ამინდიც შერეული იყო, მზე და ღრუბელი ერთიმეორეს ცვლიდა. ემოციებიც ასე, მზე სიხარულისა და ნაღველი ღრუბლისა ერთად დღის მთლიანობას ქმნიდა. მზე – სიცოცხლის ზეიმი და ღრუბელი, როგორც სიკვდილის აჩრდილი, ჩემს ემოციებს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ბევრს ვფიქრობ ამ ბოლო დროს, სიკვდილზე, მისი შიშის დაძლევასა და მომაბეზრებელ სიცოცხლეზე, რომელიც მურაბის წვენივით ტკბილია და ბლანტი. ჩემი ცხოვრებაც მურაბის წვენს ჰგავს, ზედმეტად დაშაქრულს, რომელსაც გაზავება სჭირდება, ყელი რომ არ დაგიწვას. რაზე უნდა იწუწუნო? პრაქტიკულად ყველაფერი გაქვს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ნატრულობენ, სავსე და ტკბილია შენი ცხოვრება, ცოტა მეტადაც. ვიცი და მადლიერი ვარ, მაგრამ ... ვინ იპოვა, ვინ მიაღწია და ვინ ნეტარებს ბუდას გარდა მოძიებულით. იმასაც კარგად ვაცნობიერებ, რომ ბედნიერების განცდა ყელსაბამი არაა, კისერზე რომ დაიკიდო და სულ თან ატარო, ის მხოლოდ წამებსა და წუთებში განიცდება. მაინც მგონია, რომ ბედნიერებაზე ძვირფასი რაღაცებიც არსებობს. სიმშვიდე, რომელიც კორონას გამოჩენამ დამირღვია და ასე უსირცხვილოდ აფრიალებს ჩემს გამძაფრებულ ემოციებს. ამ უცნაურმა მდგომარეობამ ჩემი სიმშვიდე შეიწირა და ყოველდღიური საკითხების მოგვარების რუტინაში გადამრთო და წინ ვერ ვიხედები. თუმცა სიტყვა რუტინა არ უხდება აღდგომის დღესასწაულს.

ამ დღეს ნიკო მარტო აღნიშნავს, თბილისში, ჩვენგან შორს, კომპიუტერთან და წიგნებთან ერთად. კმაყოფილებას მიიღებს გადახაზული საქმეების ჩამონათვალში შემცირებული პუნქტებით. ალბათ, არანორმალურად ენატრება ბავშვები და მეც, მაგრამ საქმეების ერთგულება მისთვის იდენტობის მთავარი მარკერია, რომელიც ქვეყნის სიყვარულსა და მის სამსახურს დაუკავშირა. ასე, ნიკო დღესასწაულს თავისებურად აღნიშნავს,

არადა როგორ არანორმალურად უყვარდა საზოგადოება და პურის ჭამა. ბევრი რამ აირია ცხოვრებისეულ კოორდინატთა სისტემაზე. ნეტავ თუ დალაგდება, ალბათ, ისე აღარასდროს, როგორც იყო. ახალი წესრიგი კი როდის და როგორ მოვა, მე ჯერ არ ვიცი.

დღესასწაულების აღნიშვნა ჩემთვის მაინც ყოველთვის ამბივალენტურია – სიხარული და სევდა, ზეიმი, რომელიც რაღაცას მალავს, უფრო თვალსაჩინოს ხდის დაფარულს. ალკოჰოლის მიღებაც მაგიტომ არ მიყვარს. დალხენის მიღმა კიდევ უფრო ნათლად ვხედავ პრობლემებსა და სირთულეებს, უფრო მძაფრად განვიცდი მას, თუმცა კარნავალის ნიღაბი ადვილი მოსარგებია, უსაზღვრო სიხარულის წუთები შენია, გაზიარებული არსებობის ბედნიერება ასევე წამებია გულწრფელობისათვის, რომელიც ნეტარებას ჰგავს – არ გეშინია იყო ის, ვინც ხარ, ან ვინც გგონია თავი. გულწრფელი სითამამეც წამებით განიცდება, მხოლოდ რამდენიმე წუთით აღწევ ნეტარებას, იყოს ნება შენი, სიტყვებად და ემოციებად დაღვენთილი მოლოდინები. და მაინც როგორი წინააღმდეგობრივია ყოველი დღეობა, სინამდვილესა და წარმოსახვას შორის, შენ გააკეთე არჩევანი! წავალ, რამე კარგ ფილმს ვუყურებ...

22 აპრილი

ლურჯი პლანეტის დღე, ლენინის და ჯეკ ნიკოლსონის დაბადების დღე, კიდევ ერთი სოფლის დღე, სიცივე, შიში და მოლოდინი, როგორ გადაგორდება მორიგი კორონული ეპოქის დღე. რაც ამ ქრონიკების წერა დავიწყე, იქიდან მოყოლებული ვცდილობ გავერკვე, რატომ მაწუხებს მე ეს ყველაფერი განსაკუთრებულად და რატომ განვიცდი სხვაზე მეტად. მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში. ვებრძვი დაუმორჩილებელ, უწესრიგოდ, სამოსივით დაყრილ განცდებს და ყოველდღიურად ვუჩენ მათ ადგილს, მაგრამ არაფერი ლაგდება. ემოციური განწყობა, მოცემული რეალობა და გონისმიერი მოლოდინი აცდენილია ერთმანეთს. ისევე როგორც ამ დღის კონტაქტები. დედამიწაზე ზრუნვის მოტივები და პოლიეთილენის, პლასტმასის უკონტროლო მოხმარება. თანასწორობაზე საუბარი და ლენინის მავზოლეუმი, სოციალური სიგიჟე და ჯეკ ნიკლოსონი. სოფელში

ყოფნა და დარდი. გახანგრძლივებული შეზღუდვები და გულის გამაწვრილებელი წუწუნი ყოველი მხრიდან. არ მჯერა, რომ სამსახური, თბილისი, საქმიანი რუტინა ასე მომენატრა, ჩემი აივნის ყვავილების მორწყვა, კმაყოფილების განცდა, რომ არავის შია სახლში. ჩემი მყუდრო სახლი, მომაბეზრებელი ტელევიზორითა და კეთილგანწყობილი წიგნებით, რომელიც გულს უფრო ახარებს, ვიდრე თვალს. სახლის, რომლის შესაძლო გადაკეთებაზე ჩემი ტვინის საკმარისზე მეტი ენერგია იხარჯება, როგორ გავხადო უფრო ფართო და გაშლილი თინათინის დარბაზივითა. ფანჯრები, რომელიც მეტ სივრცესა და სიმწვანეს ითხოვს, ჩემი თვალებია, ვიწრო და შეზღუდულ სამყაროში. მინდა ჩემს სახლს ბევრი ფანჯარა ჰქონდეს, ფართო და ვრცელი, მინდა სარკმლებიდან გაშლილი სივრცე მოჩანდეს და ლურჯ-მწვანე ფერებით სავსე. სიზმრებში სულ ახალ-ახალ სახლს ვეძებ იდეალურ-სასურველსა და განსხვავებულ ადგილას. ყოველი სახლი ისტორია და ამბავია, გემო და სუნი, გამოცდილება და მოგონება. ისე ჩვენი სამყაროს შემოქმედებითობის წარმოსახვაა. ყოველთვის მეგონა, რომ „სხვა“ სახლში ვერ ვიცხოვრებდი, თუმცა ყოველმა ახალმა სახლმა დამარწმუნა, რომ ყველა სახლში შემიძლია ცხოვრება, ისეთივე განცდით, თითქოს იმავე სახლში დავიბადე. სახლი სიმშვიდე და მონატრებაა. ამ ვირუსების გადამკიდე სახლის მონატრება წარმოუდგენელი გახდა, თითქოს გაგვჭედეს სახლებში ვეხეთქებით კედლებს. ხსნა კარებსა და ფანჯრებშია. ინტერნეტი ასეთი გზებით აღწევს ჩემს ტელეფონში და მაკავშირებს დარჩენილ დედამიწას. ამბობენ, რომ დედამიწამ ამოისუნთქა ამ ვირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად, რომ ჰაერი გაიწმინდა და ა.შ. 22 აპრილი კორონა ვირუსის დადებითი შედეგების მოტანის აღნიშვნის დღეც ყოფილა. გილოცავთ, ჩემო წარმოსახვითო მეგობრებო!

26 აპრილი

კორონული ეპოქის ზენიტი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თვეებია, რაც გამოჩნდა, საკუთარ ერას ქმნის, უხილავი მმართველი ბატონებს, მოსვენებას გვიკარგავს. სხვების არ ვიცი და ჩემთვის მისი არსებობა ტოტალურია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე თითქოს აღარც ვფიქრობ, თითქოს ღრუბელივით გა-

იფანტა, ის მაინც გამჭოლი არსებობით ყველა მიჩვევის გარსს არღვევს. უამრავი „მეგონა“, უამრავი „წარმომედგინა“ საკუთარ თავსა და სხვებზე იცრიცება, იფანტება და ჰაერს ერწყმის. ნუთუ ერთი ვირუსი, ბაცილა, ასეთი ძლევამოსილია, თუ ასეთი მყიფეა ჩვენი წარმოდგენები სამყაროსა და საკუთარ თავზე. არაფერი ახალი, ყველა და ყველაფერი ასე ნაცნობია, მაგრამ საოცრად უცხო. ხმები, სუნები, შეხებაც როგორი რეალურია, მაგრამ სხვა. თავიც მეუცხოება, მიკვირს და მიჭირს ამის ახსნა და გაგება. როცა თითქოს და შედარებით მეტი დრო გაქვს თვითჩაღრმავებისათვის, საკუთარ ემოციებსა და გრძნობებში გარკვევისათვის, რატომ უნდა იყოს ასე უცნაური. განა პირიქით, უფრო ახლო და გასაგები არ უნდა იყოს ეს ყველაფერი და შენ ამ ყველაფერში. შენი ნაგროვები განცდათა ფერი, ნარჩევ ემოციათა პალიტრა, სიმშვიდისა და დამაჯერებლობის ტილოთა ფარდაგი და გონებისმიერი ფუნჯები. ხატე, ხატე ავტოპორტრეტი, პეიზაჟი თუ ნატურმორტი, როგორც გინდა და გაგიხარდება. ამის სანაცვლოდ მხოლოდ რუტინაზე ორიენტირება, რომ ის სახეც არ დაკარგო, რომელიც კორონამდელ ეპოქას უბოძებია. გაურკვევლობის შიში და აპათია. არაპროგნოზირებადი მომავალი, დაპაუზებული აწმყო და მეხსიერებაში გადაზელილი წარსული, აი რა არის ყველაზე უსიამოვნო. ყველაფერი ძალიან ჰგავს სიზმარს, ზმანებას, რომელიც რეალობის ანარეკლი და მისი ერთგვარი პაროდიაა, გაცნობიერებული მე და უკონტროლო ქვეცნობიერი. ფერთა, ხატებათა და ემოციათა აღლუმის დაუცხრომელი ნაკადი, მორევი. მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებ თავს, რომ გაგეღვიძება. სიზმარს წყალს მოუყვები და ისევ დიდ მორევში რომ ჩააბრუნოს შიშთა ნიღბები. სიზმარი გათავისუფლებს და გატყვევებს. სიზმარი შენია მხოლოდ, მაგრამ მისი წყარო სხვებია. მას ვერავის გაუყოფ, არ ზიარდება, მისით თავს ვერ მოიწონებ, ვერც ვინმეს შეახარებებ. სიზმარი მრუდე სარკეა ჩვენს წარმოდგენებსა და რეალობას შორის. მხოლოდ ის გვახსენებს დასავიწყებლად განწირულ თავგადასავლებსა და ახალ სიცოცხლეს სძენს მათ. სიზმარი მომავალიცაა და წარსულიც. მხოლოდ აწმყო არ აქვს სიზმრებს, მასში მხოლოდ წარსულში განცდილს ან მომავალში განსაცდელს თუ დავინახავთ.

კორონული აწმყო კოლექტიურ სიზმრად იქცა, ნეტა როდის გამეღვიძება ან ვის მოვუყვები ამ სიზმრებს?!

1 მაისი

მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე. ეს დღე ჩემთვის პირდაპირ საბჭოთა კავშირთან და მის ტოტალიტარულ „პარადებთან“ ასოცირდება. პირველ მაისს როგორ იმართებოდა მასობრივი მსვლელობები, ტანკებით დაწყებული და ბაფთიანი სკოლის მოსწავლეებით დამთავრებული. შთამბეჭდავი სანახაობა, სიცოცხლისა და ენერგიულობის დემონსტრირება. მახსოვს, ამ სანახაობით გამოწვეული ეიფორია შიშსა და სიხარულს შორის. დღემდე ბევრი ხალხის ერთად დანახვა ისევ მსგავს წინააღმდეგობრივ გრძნობებს იწვევს ჩემში. შრომის, როგორც ღირებულების პროპაგანდა საბჭოთა რეჟიმს რელიგიის რანგში ჰქონდა აყვანილი. შრომის ღმერთად ილიჩი იყო დასახელებული – მით უფრო, რომ მკვდარი იყო. სწორედ სიკვდილი უწყობდა მის ღმერთად გამოცხადებას ხელს. მისი მავზოლეუმში დაბრძანება და გულსაბნევებზე ნაირნაირი პორტრეტებით გამოსახვა მას სრულიად უკონკურენტოს ხდიდა. მკვდარი ღმერთი ხომ შეურყეველი ავტორიტეტია. ლენინის გამოსახულება საბავშვო ბაღიდან პატარა, წითელი ფერის დროშებზე ნათლად მახსოვს, რომელიც თინიკომ „შეგვიკერა“ და გივიმ „გაგვიფერადა“. დიდი არგუმენტი და ძალა იყო საპირველმაისო გამოსვლები რესპუბლიკის მოედანზე. საბჭოთა კავშირი, სადაც ყველაზე მეტი ფილმი, ლექსი, მოთხრობა თუ სქელტანიანი რომანი შრომის დიდებას მიეძღვნა, უსაქმურობამ, ვითომ შესრულებულმა და გადაჭარბებულმა ზეგეგმებმა წალეკა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ სწორედ დასაქმება, შრომითი ჩვევები და შრომისადმი დამოკიდებულება იქცა ყველაზე რთულ და დაუძლეველ პრობლემად. ყველა სამსახურის უქონლობას ან შეუფერებელ სამუშაო პირობებზე წუწუნებს, ყველას სამსახური უნდა, თუმცა უფრო დიდი ენთუზიაზმით მიიღებს ნებისმიერ დახმარებას სახელმწიფოსგან და დიდი სიამოვნებით იტყვის უარს სამუშაოზე. ყველაზე მეტი აღრევა და გაუგებრობა სწორედ აქ ხდება – დასაქმების ბაზარს, მისთვის მომზადებულ კადრებისა და სათანადო კვალიფიკაციას შორის. ცალკე პრობლემაა სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონ-

ლობა. როგორც წესი, დაუსაქმებლობის ძირითად მიზეზად არა კვალიფიკაციის უქონლობა ან ნაკლები მოტივაცია, არამედ საჭირო ახლობლის არ ყოლა სახელდება ხოლმე, რომელმაც ვერ მოაწყო, ვერ უშოვა შესაფერი ადგილი. სამსახურისა და შრომის შესახებ წარმოდგენები სწორედ საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობაა. კორონულმა ეპოქამაც თავისი წესი და რიგი მოიტანა მუშაობასა და საქმიანობის გაგებაშიც. მნიშვნელოვნად გააქტიურდა დახმარებებისა და შემწეობების მიღების ახალი შესაძლებლობები. შრომისა და საქმიანობის გადააზრების ხელახალი ეტაპი დგება. დისტანციური მუშაობაც ამისი მნიშვნელოვანი ნაწილია. საშინლად მეუცნაურება საოფისე მუშაობა სოფლად, სადაც ძირითადად არდადეგები გამიტარებია. რას ვიზამ, დღეს ლექცია მულტილინგვური განათლების ჯგუფთან ასაკის, თაობებისა და ეიჯიზმის თემას ეხება. ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციაც ძირითადად დამსაქმებლების მხრიდან გამოიხატება, როდესაც დასაქმების პირობებში, თითქმის ყველა პოზიციაზე, დაბალ ასაკს უთითებენ. დასაქმების შესაძლებლობის ასაკობრივი შეზღუდვები თანამედროვე ბაზრის სერიოზული გამოწვევაა, რომელზედაც ხმამაღლა ნაკლებად საუბრობენ. კიდევ უამრავი პრობლემა უკავშირდება ასაკთან დაკავშირებულ საკითხებს, მხოლოდ ტრადიციის იმედზე თუ ვიქნებით, რომელიც მნიშვნელოვნად უსწრებს წინ საბჭოთა ეპოქასა და მის გამოცდილებას, სადაც ასაკოვანი ადამიანის მიმართ უპირობო პატივისცემასა და დაფასებას ვხვდებოდით.

ტრადიციული, შრომითი მიშველების მაგალითი ვნახეთ დღეს, რომელიც კორონა ვირუსს უკავშირდება. დღეს მარნეულში ქალებმა იმ მეზობლების კარტოფილის ყანები გათოხნეს, რომლებსაც ვირუსი აღმოაჩნდათ – ტრადიციული, კოლექტიური შრომისა და სოლიდარობის საუკეთესო მაგალითი, რომელიც კორონა ვირუსსა და კარანტინს დაუკავშირდა, პირველი მაისის საუკეთესო გამართლებად იქცა.

4 მაისი

ჰაერში სულ სხვა სურნელი იფრქვევა, ტყუილად არ უწოდეს მაისს ვარდობისთვე... ჰაერში თაფლის სუნი ტრიალებს, ალერგიის მიუხედავად წარმოუდგენელია ბალახებში სიარულსა და

ამ სურნელით ტკბობაზე უარის თქმა. გარემო იმოსება, სიმწვანე კიდევ უფრო საგრძნობი და მოცულობითი გახდა. თვალისა და გონებისათვის საოცარი თერაპიაა, თუმცა უმეტესი დრო მაინც ეკრანზეა კონცენტრირებული. ორივე პარადოქსია, მაგრამ ასეა, ყველა ეკრანდამოკიდებული გავხდით და ეს აღემატება ყველა სხვა მიმართებას. ერთადერთი, ვინც ეკრანს გავლენით არ ჩამოუვარდება, ეს ამინდია.

კორონულ დღის წესრიგს მნიშვნელოვნად ქმნის და ცვლის ამინდი. ამინდზე დამოკიდებულიც ასე არასდროს ვყოფილვარ. შემთხვევითი არაა, რომ ამინდთან დაკავშირებული უამრავი ლექსიკური ერთეული გვხვდება ქართულში, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროზე შეიძლება გავრცელდეს და, ამავდროულად, ამინდი გაასულიეროს. ამინდი იმდენნაირია, რამდენი ხასიათის აღქმა და წარმოდგენაც შეუძლია ადამიანს. ამინდს უფრო მეტი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვა შესწევს, ვიდრე ადამიანს; ამიტომაა, ალბათ, სასიყვარულო ლექსებისა და სიმღერების უმრავლესობა ამინდზე. ამინდი განსაზღვრავს ატმოსფერულ ტემპერატურასა და სინათლის ინტენსივობას, რაც, თავის მხრივ, ჩვენს ემოციურ მდგრადობასა და ზოგად მდგომარეობაზე აისახება. მიუხედავად სასიამოვნო ბუნებრივი გარემოსი, ეს გაურკვევლობა, რომელიც ვირუსის გავრცელების საფრთხემ შექმნა, ამ ჯადოსნური სამყაროს აღქმის შესაძლებლობებს საგრძნობლად ამცირებს. დისტანციური ლექციებისა და დიასახლისის მოსაწყენი საქმეების მიღმა, ერთადერთი, რაც მსიამოვნებს, ტელეფონით ფოტოების გადაღებაა. სიმწვანე, სივრცე, შუქ-ჩრდილი და დეტალები. ამ ბოლო დროს ყველაზე ესთეტიკურად ბაბუაწვერა მეჩვენება, რომლის სახელი, ფორმა და შინაარსი, განზოგადების განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა. ბაბუაწვერა ყვავილობის, სიმწიფის ეტაპია, როცა დაყვავილებული თესლის სახით უნდა გაიფანტოს და მოედოს გარემოს. გავრცელებასა და მოდებაზე ისევ ვირუსი მახსენდება, როგორი ფენომენია ის. ყველაფერთან შეიძლება მისთვის ანალოგიის მოძიება. ბაბუაწვერა, ეს უწყინარი ყვავილი, რომელიც სურვილების მესაიდუმლე და შემსმენელია, სამყაროს უზიარებს იმედსა და რწმენას, რომ, რასაც ჩაიფიქრებ, შესაძლებელია ახდეს. ეს სევდის მომგვრელი-

ცაა – სულ შეუბერავ და ეგაა. ფუმფულა, ნაზი, მგრძნობიარე და ხელში შერჩენილი ღერო. ასეთია ჩვენი რეალობაც, ერთი შებერვა და ჩვენი ემოციები, ფიქრები და გეგმები უგზო-უკვლოდ მიფრინავენ, ჩვენთან კი მხოლოდ მოლოდინი რჩება.

მოლოდინი იმისა, თუ როდის დამთავრდება კორონული ეპოქა და უფრო მთავარი – რა იქნება მერე?!

5 მაისი

თითქოს არაფრით გამორჩეული დღე და მაინც უამრავი დეტალი, რომელსაც ემოციები მოაქვს და მიაქვს. ცვალებადი ამინდი, მზე-წვიმა და ღრუბელი. ზეცა არ იშურებს წვიმის მადლს და უხვად ანოყიერებს მიწას, რომელშიც უკვე თესლია მოხვედრილი. წელს, როგორც ამბობენ. გაცილებით მეტი მიწა დაიხნა და დაითესა, ვიდრე ამ ბოლო წლებში. მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა აღარ არის სარგებლიანი სოფლად, აქ დარჩენილები ზოგი ტრადიციის ძალით, ზოგიც მეზობლის ხათრით ჯერ კიდევ ამუშავებს ნაკვეთების ნაწილს. ზემო იმერეთი, განსაკუთრებით მცირემიწიანია და მხოლოდ მის იმედზე თუ იქნება კაცი, თორემ შემოდგომის აზნაურივით შეიძლება დაუქორწინებელი დარჩე. სოფელი ბოლო წლებში ძალიან დაიცალა. ყველამ იპოვა გასაქცევი გზა, სააგარაკე მამულებად იქცა. ერთ დროს მკვიდრი ჯალაბობა. ამ სოფელში ორი ბებია მყავდა და კერა სულ თბილი იყო. ახლა ბევრი არაფერი დარჩა მათგან, შეიძლება შედარებით მეტი კომფორტი, მაგრამ ნაკლები ცეცხლი და სურნელება. წელს ლობიო და სიმინდი დაგვათესინა მამამ, ბოსტანიც ასე თუ ისე მოვთოხნეთ. შემოდგომის აზნაურების კვალობაზე თითქოს ალღოს ვუღებთ აქაურობას, მაგრამ ის ვერ იქნება, რასაც ბებიაჩემი ალოს ეძახდა. რა ალო, რა თესვა? რა ვირუსი? რა ლექციები? რა ინტერნეტი? და რა ტყემალი? როგორ სჭირდება ამ დროს ერთი-ორი დავით კლდიაშვილი... როგორი უნიკალური რეალობაა, ლიტერატურული და ზერეალური, რა პერსონაჟებს გამოძერწავდა კაცი, რომელიც ამ დრომ, ამ სამყარომ გვიბოძა. ჩვენი დროის გმირებსა და ანტიგმირებს დღეს ფეისბუქი ქმნის. კომენტარები, „ლაიქები“ და გაზიარება, აი, რა აყალიბებს დღევანდელობის მნიშვნელობებსა და შინაარსებს.

დღეს ასეთ რამეს გადავეყარე ფეისბუქში: ზაზა აბაშიძის გადადგომას ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დასახელებაში ვხვდებით სიტყვა „ფობიას“. საქმის ვითარება ასეთია: ვინც ამ ინფორმაციას აზიარებს, ამბობს, რომ სრულიად სოლიდარულია ზაზა აბაშიძისადმი. პუბლიკაციაში კი მოთხრობილია ამბავი, ყოვლად უსიამოვნო და გაუგონარი. კარანტინის პირობებში მარნეულის ერთ-ერთ სოფელში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პირებმა სასწრაფოს არ მისცეს საშუალება ავადმყოფი სტაციონარში გადაეყვანა. დავას არ იწვევს ფაქტის უსიამოვნება. სწორედ ფაქტის განხილვასა და ანალიზს მოჰყვა ზაზა აბაშიძის კომენტარიც, რომ უნდა ჩაკეტო სულ ეგ სოფელი და ამოიხოცონ, თუ უნდათ. არც ესაა სასიამოვნო და მისასალმებელი კომენტარი, დამეთანხმებით, მით უფრო, რომ უცენზურო სიტყვებიც ერია ამ კომენტარში. მაგრამ აქ სიტუაციას ართულებს ის გარემოება, რომ ეს სოფელი არაქართულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული და მის დისკომუნიკაციაზე ისედაც მიუთითებდა სასწრაფოს ინციდენტი. შესაბამისად, რამდენად დაეხმარება ამ სოფელს არასამთავრობოების მოთხოვნა – ზაზა აბაშიძემ დატოვოს ეროვნული ხელნაწერების ცენტრის დირექტორის მოვალეობა, ძნელი სათქმელია. ჩემი პირადი პოზიცია ასეთია, არ ვფიქრობ, რომ ზაზას კომენტარი ეთნიკური უმცირესობისათვის შეურაცხყოფის მიყენების მოტივით ყოფილიყოს ნაკარნახევი. არც ერთ შემთხვევაში არ მოეძებნება სრული გამართლება ამ კომენტარს, თუმცა მთელი გულწრფელობით მჯერა, რომ მისი მიზანი არ ყოფილა ეთნიკური ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენება. ზაზა აბაშიძე ჩემი ლექტორი იყო, სრულიად გამორჩეული და დასამახსოვრებელი ლექციებით. მისი თხრობა ყოველთვის გაჯერებული იყო იუმორით და მრავალფეროვნებისადმი ყურადღების გამახვილებით. მისი რეფლექსია მრავალფეროვნებზე ყოველთვის პოზიტიური კუთხით იყო წარმოდგენილი. საოცრად გახსნილი და კეთილშობილი ადამიანი მახსოვს მე ლექციებიდან. მისი ემოციური კომენტარი ამ უსიამოვნო მომენტის შესახებ დამატებითი გარჩევებისა და გაუგებრობების მიზეზი გახდა. ვინც მას სოლიდარობას უცხადებდა, მათი ინტერპრეტაცია კიდევ უფრო რთულ მდგომარეო-

ბაში აყენებდა კომენტარის ავტორს, თითქოს და შესაძლებელი გამართლება ჰქონდეს ამ ნიშნით ადამიანების მიმართ მსგავსი დამოკიდებულების გამოხატვას, ხოლო მათ, ვინც ამ კომენტარის საფუძველზე მის გადადგომას ითხოვენ, დიდად არ აინტერესებთ, ვინ არის ზაზა აბაშიძე და სინამდვილეში რას ფიქრობს. მათი მოტივი, სავარაუდოდ, ასევე ხმაურის გახანგრძლივება და თვითფიქსაცია უნდა იყოს სამართლიანობის ნიშნით. ამ ფაქტის ტრაგიკულობას რომ ჩასწვდე და მისგან ჭკუისსასწავლებელი ამბავი შექმნა, ალბათ, მეტად უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, გესმოდეს მისი და გრძნობდე საზოგადოების საჭიროებებს.

მართალია, კლდიაშვილის გამო მთელი ბავშვობა გამიმწარდა გაჭირვებაზე ფიქრით, მაგრამ დღეს ზუსტად ვიცი, რომ ასეთი ადამიანები, როგორც წყალი, ისე სჭირდება ჩვენს საზოგადოებასა და დღევანდელობას!

9 მაისი

ერთი მორიგი, წვიმიანი საკარანტინო დღე, თუმცა თუ მეორე მსოფლიოს ომსა და ფაშიზმზე გამარჯვების ეიფორიას გავიხსენებთ, ხელში წინააღმდეგობრიობებით აღსავსე დღე შეგვრჩება – დღესასწაული თუ გლოვა, გამარჯვების სიხარული თუ სხვისი ომის განცდა, იმაზე ფიქრი, თუ ვინაა მტერი და ვინ – მოკეთე, ვეტერანების დაფასება თუ დაკიდება... ბევრი ემოცია და პოზიცია მოაქვს ამ დღეს წინა პლანზე. რომ არა კორონა, აუცილებლად მომინდებოდა ამ დღის ვაკის პარკში გატარება, ამჯერად არამხოლოდ ასაკოვანი, ომის ვეტერანების მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნით, არამედ, როგორც ანთროპოლოგს, რომელსაც სივრცის და ადგილის შექმნისა და მისი გარდაქმნის თავისებურებები აინტერესებს. სულ მინდოდა დამეწერა ამ ადგილის შესახებ, სადაც ისტორია, მეხსიერება და მისი ინტერპრეტაციები ერთმანეთს ხვდება და ირევა. დღეს სოფელში, 9 მაისს, გამარჯვების პარკსა და მის ისტორიას ვიხსენებ, ვიხსენებ გოგი ოჩიაურს, რომელსაც ძალიან უნდოდა მისი ერთი ძეგლის ისტორია, რომელსაც ლამის ცხოვრების ნახევარი შეალია, გაეგო ხალხს.

ვაკის პარკს დღეს ჯერ კიდევ შეუძლია მოგვითხროს ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი პერიოდის ყველაზე საინტერესო ფაქტები.

აქ ჯერ კიდევ ვხვდებით მეხსიერების ნამსხვრევებს. ვაკის ფერდობის რეკრეაციულ ზონად გამოცხადება 50-იან წლებში კანდიდ ჩარკვიანს უკავშირდება. კაცი, ვისი სახელიც სტალინის ჩრდილად იქცა და საბჭოთა დიდებას თან გაჰყვა. კაცი, რომლის ოჯახმაც ქვეყანას ორი გამორჩეული ადამიანი დაუტოვა მემკვიდრეობად. მისი ოჯახი ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ტრანზიტიულობისა და ტრანსფორმაციის, რომელიც პოსტსაბჭოთა ეპოქამ მოიტანა.

ვაკის პარკი დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილად მიიჩნევა თბილისში, პრესტიჟულ საცხოვრებელ უბანში. გასული საუკუნის 60-იან წლების ბოლოს, როცა პოლიტიკურ სცენაზე საინტერესო ბევრი არაფერი ხდებოდა, პოლიტიკური ელიტა ძირითადად მონუმენტური ძეგლების შეკვეთითა და მათი საჯარო სივრცეებში განთავსებით დაკავდა. ვაკის პარკის ვრცელი ტერიტორია კარგი შესაძლებლობა იყო იდეოლოგიური კლიშეების რეალიზებისათვის. მას ჯერ გამარჯვების პარკი ეწოდა, რამაც დღის წესრიგში მისი მოწყობის და რეპრეზენტატულობის საკითხი დააყენა. ყოველი 9 მაისი ახალ დღის წესრიგს ქმნიდა, გადაწყდა უცნობი ჯარისკაცის საფლავის მოწყობა ქერჩიდან ჩამოსვენებული ქართველი მებრძოლისათვის. ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როგორ მოხვდა გამარჯვების პარკში გოგი ოჩიაურის რეკვიემის მემორიალი.

საბჭოთა ეპოქაში ყველაფერი თუ არა, უამრავი რამ ფასადურ ხასიათს ატარებდა, ბევრი ფორმალობა და ტოტალური კონტროლი ხელოვან ადამიანებს ახალი გზების ძიებას აიძულებდა. ვაკის პარკში მონუმენტურ მემორიალზე მუშაობა გოგი ოჩიაურმა შემთხვევით, მისი მეგობრის ქმრის, ლადო ალექსი-მესხიშვილის თხოვნით დაიწყო. გადაწყდა გაეკეთებინა უბრალო საფლავი, სამამულო ომში, ქერჩში დაღუპული 17 წლის ჭაბუკის ნეშტისათვის. აღნიშნული ფაქტი ავტორში გამარჯვებაზე მეტად, გლოვის განცდას იწვევდა, მისთვის ეს ამბავი ვაჟკაცის ხევსურულ დატირებას დაუკავშირდა – იმ ხევსურეთიდან, რომელიც კომუნისტებმა 50-იან წლებში დაცალეს და გაანადგურეს მათივე დახმარებისა და მხარდაჭერის საბაბით. მისი თქმით, ხევსურ მამაკაცს მისი მოძმეები სიკვდილის წინ ამხნევებენ და

უკანასკნელ გზაზე ემოციურად, მისი ღირსებების გახსენებით აცილებენ. მან უცნობი ჯარისკაცის საფლავი ხევსურული დატირების სახით გაიაზრა, მომაკვდავი ვაჟკაცი და მისი დაჭრილ-დასახიჩრებული რვა თანამებრძოლის აჩრდილი. მისი გამოცდილება ლატენტურად 1924 წლის აჯანყებასაც დაუკავშირდა, რომელიც კომუნისტებმა ჩაახშეს. ამ წინააღმდეგობას მისი ხევსური ბიძებიც შეეწირნენ. მისთვის „სამამულო“ ბრძოლის ნაწილი იყო ქაქუცას წინააღმდეგობა და ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრეტილი აჯანყებულები. დაცლილ ხევსურეთს, ქაქუცას თანამებრძოლებსა და ქერჩში უმოწყალოდ ჩახოცილ ახალწვეულებს დაუკავშირა ავტორმა უცნობი ჯარისკაცის საფლავი და სამამულო ომის განსხვავებული განცდა შემოგვთავაზა. მის მიერ შექმნილი მაკეტი მჟავანაძისათვის (ომში ნამყოფი კაცი იყო – გ. ო.) რამდენადმე მისაღები აღმოჩნდა, თუმცა ცვალებადი პოლიტიკური ელიტა და საბჭოთა ბიუროკრატიის ვერტიკალი მარტივად გადასალახი ბარიერი ვერ აღმოჩნდა რეკვიემის პროექტისა და ავტორისთვის. გლოვისა და ნაციონალური თემების გააქტიურება რუსი ბიუროკრატებისათვის ნაკლებად ასატანი და მისაღები იყო დათბობის მიუხედავად. ამას ემატებოდა კულუარული ბრძოლები და მემორიალის დამზადებისა და დადგმის შესაძლებლობა რამდენჯერმე ჩაიშალა. იმისათვის, რომ პროექტს დღის შუქი ენახა, რა ხრიკს აღარ მიმართეს, მათ შორის იყო ჟურნალ „დროშაში“ დაბეჭდილი თვალის ასახვევად გაყალბებული პანოები საბჭოთა პარტიზანებითა და წითელარმიელებით. და მაინც, შევარდნაძის ყოყმანი და მიუღებლობა გლოვისა, რომელიც გამარჯვების დღეს სხვა თვალით დაანახებდა საზოგადოებას, ბრძოლა მემორიალისათვის წლები გაგრძელდა, უამრავი ფარული თუ ღია წინააღმდეგობის ფონზე. და ბოლოს გადაწყვეტილება რეკვიემის ვაკის პარკში განთავსების თაობაზე და გახსნის წინა დღე, რომელიც ასევე დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა, შევარდნაძის მორიგი რისხვა და სპონტანურად დამატებული შტრიხები მემორიალის ფიგურებზე, მაგალითად, ხუთქიმიანი ვარსკვლავების დამაგრება აჩრდილთა სამოსზე და ქუდების ცვლილება. ამგვარად 1985 წლისათვის ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მომაკვდავი ვაჟკაცი და მისი

რვა დასახიჩრებული თანამებრძოლი გამოჩნდა. გამარჯვების პარკის მემორიალს პოლიტიკური ელიტის გარდა არც ფართო საზოგადოება სწყალობდა. მძიმე და უსიამოვნო სანახავი აღმოჩნდა რეკვიემის ხილვა ბედნიერ და კმაყოფილ საბჭოთა კავშირში. ძალიან ცოტას თუ ახსოვს პარკში ეს მემორიალი, მათგან მსმენია, რომ ეს ყველაფერი „ჟუტკი“ სანახავი იყო. რეკვიემის ისტორია მისი საჯარო სივრცეში განთავსებით არ დამთავრებულა – საბჭოთა კავშირის დანგრევისა და გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, ძალიან ცოტა ხანში, ვაკის პარკიდან დასახიჩრებულ მეომართა აჩრდილები გაუჩინარდა. დარჩა მხოლოდ „მომაკვდავი“ ჯარისკაცი. ავტორი საკითხში გასარკვევად ქვეყნის პირველ პირს მიმართავს. აღმოჩნდება, რომ ისიც არ ყოფილა საქმის კურსში. გაირკვა, რომ მავანმა ამ ძეგლის თავიდან მოშორება გადაწყვიტა იმ მოტივით, რომ მემორიალი გეორგიევსკის ტრაქტატის ორას წლისთავს ეძღვნებოდა. ავტორმა საპირისპიროში დაარწმუნა მაშინდელი ქვეყნის პირველი პირი, რომელიც მემორიალის აღდგენას და სკულპტურების უკან დაბრუნებას დაჰპირდა. დაპირება მან ვერ შეასრულა, რადგან თავად მოუწია ქვეყნის დატოვება, შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლით კი ძეგლმა გამთლიანების შანსი საბოლოოდ დაკარგა. მას ხომ სრული მიუღებლობა ჰქონდა ამ მონუმენტის მიმართ და მის აღდგენაზე საუბარს ვინ გაუბედავდა.

შევარდნაძის „სახლში წასვლის“ შემდგომ კიდევ გაჩნდა შესაძლებლობა, მონუმენტის ავტორს მემორიალის აღდგენის საკითხი დაესვა, მით უფრო, რომ მისი ოჯახი, მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებული იყო. დაპირების მიუხედავად, მონუმენტს გამთლიანება არ ეწერა. ამის მიზეზი დაზიანებული ფიგურები და რეკვიემის იდეა იყო. არც ერთ ხელისუფალს არ სურს მარცხის, მონანიების თუ გლოვის რეპრეზენტაციას დაუჭიროს მხარი საჯარო სივრცეში. ბევრად უფრო სასურველია ტრიუმფის, გამარჯვებისა და გაიდეალებული წარსულის წარმოჩენა, რომელიც არსებულ ხელისუფალს ლეგიტიმურობას შემატებს. მოკლედ, ძეგლის ისტორია ასე დასრულდა, მომაკვდავი მებრძოლი ვაკის პარკში დარჩა, ხოლო მისმა თანამებრძოლმა აჩრდილებმა გორის ციხესთან გადაინაცვლეს და ახალი ჰეტეროტოპია შექმნეს. ამ

ამბის მორალი უფრო ფართოა და უამრავ საკითხთან არის გადაჯაჭვული, მათ შორის საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებასთან, რომელზე ფიქრის დროსა და შესაძლებლობას კორონული ეპოქის შეზღუდვები ნამდვილად იძლევა.

დღის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა თემა, თუ ვინ და როგორ აღნიშნავს რუსეთში 9 მაისს. რუსეთისათვის 9 მაისი საბჭოთა იმპერიის დიდების მწვერვალია. აი, ჩვენთვის რა არის ეს დღე, ამაზე გოგი ოჩიაურის რეკვიემის თავგადასავალი უკეთ მოგვითხროს, რომლის ისტორიაც ჯერ არ დასრულებულა!

26 მაისი

დღე ყველა თავისი დიდებულებით, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე. ამ დღეს ყველაზე განსაკუთრებული განცდები უკავშირდება, სანუკვარი მონაპოვარი, ქვეყნის თავისუფლება, რომლისთვის ბრძოლა დღემდე გრძელდება. დიახ, დღესაც ვიბრძვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თუმცა ყველას განსხვავებულად გვესმის ბრძოლის მიზანი და ის, თუ სად გადის ფრონტის ხაზი, ვინ ვის და რას უკავშირებს ქვეყნის მომავალსა და მის თავისუფალ განვითარებას. ძალიან გართულდა ქვეყანაზე ლაპარაკი, შეუძლებელიც კი გახდა საკუთარი ემოციის გამოხატვა, მაშინ როცა რიტორიკის ბერკეტები ძირითადად ურაპატრიოტებმა და ულტრანაციონალისტებმა ჩაიგდეს ხელთ, რელიგიური ჯგუფებისათვის ქვეყანაზე საუბარი მრწამსის ლექსიკას დაუკავშირდა და შეურყვნელ ჭეშმარიტებად იქცა, პოლიტიკურმა ჯგუფებმა სულ დაუკარგეს ქვეყანაზე ზრუნვასა და მისი გამოხატვის საშუალებებს ფასი. ნიჰილისტებსა და ფსევდოპატრიოტებს შორის რთულია საკუთარი სათქმელისათვის შესაფერისი ფორმები გამონახო. ამავე დროს ყველას, სკეპტიკოსს, მორალისტს, კონსერვატორსა თუ ლიბერალს მაინც ეს დღე და ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულობის განცდა გვაერთიანებს. ძალიან სიმბოლურად მეჩვენება, რომ 26 მაისი კორონული ეპოქის დასასრულის ერთგვარ, სიმბოლურ შეჯამებად იქცა. დღეს პირველად ვიფიქრე, რომ უკვე სრულდება იგი, თავისებურად, მაგრამ მთავრდება, უკან დაბრუნების შიშითა და გაურკვევლობის გაცდით, რომ ზუსტად ვერ გავიგეთ, რა იყო და არა. აი ისე, როგორც ზღაპრებშია, იყო და არა იყო რა... კორონაც ჰგავს

ზღაპარს, გამოგონილ ამბავს, ვისთვის როგორი დასასრულით. ჩემთვის, ეს ამბავი მაინც დაუსრულებელი დასასრულია...

კორონული ეპოქა დასრულდა!!! უცნაურად და ამბიციურად ჟღერს. კორონული „პერესტროიკის“ თანმდევი სიტყვა „უცნაურობა“ იყო, დასასრულიც შესაფერი გამოვიდა. მხოლოდ იმედს ვიტოვებ, რომ მართლა დასრულდა, თავისი ირაციონალური შიშებითა და განსახიერებული ფობიებით. რადგან მგონია, რომ 2020 წლის 26 მაისი კორონობის საზეიმო დახურვას ჰგავს, ალბათ, ლოგიკურიც იქნება შევაჯამო ჩემი კორონული ეპოქა, ეპოპეა თუ თავგადასავალი. რა აღარ მომდის თავში ამ ვირუსის გაგებასთან დაკავშირებით, იგი თითქოს დედინაცვალს ჰგავს, რომელიც როდის გამოაჩენს კლანჭებს, ზუსტად არავინ იცის; დაუპატიჟებელ სტუმარს, გეგმებს რომ აგირევს და სახლში გაყურყუტებს; ჭირვეულ ბავშვს, რომლის ასაკობრივი ქცევის ახსნას დროის გასვლა გირჩევნია, იმედით, რომ მალე გაუვლის; მოკლედ კორონა ოჯახებში შემოგვეკედლა და სად რა როლი მოირგო, ვინ გაიგებს?

რამდენიმე თვე ეპოქად იქცა, რომელიც ჩვენს ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში რა ადგილს დაიკავებს, ჯერ კიდევ არავინ ვიცით. ამ ვირუსმა ბევრი რამ გვაჩვენა, ბევრი გაგვახსენა, ბევრი გვაფიქრა და ზოგიც დაგვავიწყა. სიტყვა „ახალი“ ყველაზე ხშირად მადგებოდა ენაზე, მაგრძნობინებდა, რომ რაღაც განსხვავებული ხდებოდა, რაც მანამდე არ გამიგია და მიგრძვნია. თან თითქოს არაფერი, მაგრამ მაინც ახალი. ბეჯითად მჯერა, რომ კორონამ სამყარო უფრო გლობალური, დედამიწის სიმრგვალე კი უფრო ხელშესახები და საგრძნობი გახადა. იმაშიც დაგვარწმუნა, რომ წრეზე ვმოძრაობთ. რამდენიმე დეტალი, რომელიც კორონული ეპოქის დამთავრების მიუხედავად ფუნქციურად უნდა გაგრძელდეს, მათი მნიშვნელობის გააზრების აუცილებლობაზე დაგვაფიქრებს. ესაა ფიზიკური დისტანციის შენარჩუნება და ნიღბების ტარება. ეს ორი არსობრივად კულტურის მახასიათებელი, ძალიან საგულისხმოა და პრინციპულად ცვლის ჩვენს სივრცით აღქმასა და ინდივიდუალობის ხედვას. ფიზიკური შეხება და მისი დეფიციტი სერიოზული დისფუნქციური განცდაა. ეს მომენტი აუცილებლად ჰპოვებს თავისებურ ასახვას ჩვენს ქცევით პატერ-

ნებსა და მთლიანობაში სოციალურ კულტურაზე. სენსორული შიმშილი კი უფრო საგრძნობი გახდება, რომელიც სხვა შიმშილს არაფრით ჩამოუვარდება.

რაც შეეხება პირბადის ტარებას, რომელიც ანონიმურობისა და გაუცხოების განცდას ქმნის, ასევე დაგვაფიქრებს ჩადრიან ადამიანებზე, რომელთა ნიღაბი ირაციონალურ შიშებს გვიღვიძებდა, მათი ინდივიდუალობის დანახვაში ხელს გვიშლიდა და მათ „სხვა“ ჯგუფად გვისახავდა. პირბადე, რომელიც ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ ერთიან, ერთგვაროვან მასად წარმოგვადგენს, კორონული ეპოქის მთავარ აქსესუარად იქცა. ამდენად ჩნდება კითხვა, უსაფრთხოების საკითხი, რომლის გააქტიურებაც კონკრეტულმა ვირუსმა გამოიწვია, და ვინ გამორიცხავს მსგავსი ტიპის ვირუსების კვლავ გამოჩენას, რამდენად მოგვცემს ინდივიდუალიზმის წარმოჩენის შესაძლებლობას საჯარო სივრცეში? მისი მასიური მოხმარება რამდენად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ჩადრიან მანდილოსნებზე, რომლებსაც მორალური უსაფრთხოება უწესებდა მსგავსი ტიპის შეზღუდვებს?

ყველაზე საინტერესო, საგულისხმო და დასაფიქრებელი მაინც დისტანციური კომუნიკაციის ფორმაა, რომელმაც ყველა რეალური ურთიერთობა ჩაანაცვლა. ტექნიკა და ინტერნეტი მთავარ მედიატორებად იქცნენ ყველა სახის ურთიერთობაში. რამდენად შეძლებს ეკრანი ჩაანაცვლოს თვალის უშუალო კონტაქტი, რა დროს გამოგვითავისუფლებს ონლაინ კომუნიკაცია და რაში გამოვიყენებთ ამ რესურსს? ამ და კიდევ სხვა კითხვებს დატოვებს კორონა. სანამ ის დაგვტოვებს თავად, მანამდე ტელევიზორის ხმა გააფორმებს ამ დღეს, დიქტორის მონოტონური ხმის ტემბრი და შეიარაღებული ძალების ძლევამოსილების დემონსტრირება, მათი მზაობის წარმოჩენა ქვეყნის დასაცავად და უსაფრთხოებისათვის პრევენციული ზომების საჭიროებები.

დღის სატელევიზიო ხმაურიდან ყველაზე საინტერესო ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ჯარისკაცებისადმი სიტყვით მიმართვა იყო. საუბარში ძირითადად ნაწილი კორონასთან წარმატებული ბრძოლის შეფასებას დაუთმო. ჯარისკაცები ამ დღეს, არაერთგზის შეაქეს სწორედ კორონა ვირუსთან ბრძოლაში გაწეული სამსახურისათვის. ესაა ჩვენი რეალობა დღეს და მისი ამსა-

ხველი 26 მაისიც. ესეც ფრონტის ხაზია, რომელიც ვირუსებთან ბრძოლაზე გადის. ამერიკული, ფანტასტიკური ჟანრის ფილმის სიუჟეტს მაგონებს ეს ეპოპეა და რა ვქნა?! სადაც მებრძოლებს პირბადეები უკეთიათ და სადეზინფექციო ხსნარით არიან შეიარაღებულნი, საპონი და ცხელი წყალი ტყვია-წამალია, რომელიც მოსახლეობასაც ურიგდება, თავდასაცავად. საგანგებო მდგომარეობა და სანგრების სადეზინფექციო სამსახურების მიერ გამაგრება, შესაბამისი ხსნარებით, უმაღლესი ხელისუფალნი კი სერიოზული სახეებით სივრცეების გახსნა-დაკეტვის (ცეცხლის გახსნა-შეწყვეტის) გადაწყვეტილებებს გვაუწყებენ. ეს ყველაფერი პაროდიაა თუ რეალობის სხვა განზომილება, იქნებ შემდეგ 26 მაისს მაინც გავიგოთ. ახლა კი კორონობის დასასრულის იმედით ვწყვეტ დღიურების წერას. ასე...

თუმცა დიდი უსამართლობა იქნება, ამ ვირუსთან და მისთან ასოცირებულ ფობიებთან ერთად, მისი დადებით მხარეები რომ არ ვახსენოთ, ასეთი ბევრი იყო, მაგრამ ეს უკვე სხვა ჟანრია და წერის სტილი, მხოლოდ ის დაგვჩენია, რომ დავემშვიდობოთ და საგზლად კეთილი სურვილები და ჩვენი უარყოფითი ემოციები გავატანოთ! გემშვიდობებით არასდროს შეხვედრამდე!

პანდემიის მეორე ტალღა

2020, 23 ოქტომბერი

დიდი ხანი ვფიქრობდი, გამეგრძელებინა თუ არა წერა. წერის ვნება ძლიერია და სურვილთან ერთად შიშის მომგვრელიც, სად და რა სიღრმეში წაგიყვანს მისი ღელვა, ვინ იცი, დაგაახლოებს თუ დაგაშორებს რეალობას, რომელიც დიდი ხანია აღარ ჰგავს ნამდვილს. მოკლედ ახალი ტალღა და შემდეგი ეტაპი კორონა ეპოქის მდინარებისა, რომელიც სადამდე უნდა იყოს ახალი, არავინ იცის, მაიძულებს ჩემს განცდებსა და ფიქრებს ისევ კალაპოტი მოვუძებნო და სიტყვებად გადმოვღვარო. სახელი და სათქმელი სჭირდება ამ მოცემულობას, რომელიც რეალობად შემოგვასაღეს. 2020-ის შემოდგომა. არ მეგონა 23 ოქტომბერს ისევ კორონაზე თუ ვიწუწუნებდი. დილას სახლიდან გავდივარ, სახეზე სათვალე მოვისინჯე, ჩანთაში მობილური და საფულე ხელით მოვიძიე, ადგილზეა, მაგრამ რატომ მაქვს განცდა, რომ რაღაც მავიწყდება, ვაგრძელებ გზას და ფიქრს, ნეტა რა დამავიწყდა? და მაინც რა მავიწყდება ამჯერად, პირბადეეე, ოოო, მერამდენედ უნდა დამრჩეს, ახლა, ჯიბეები მოვჩხრიკე, ჩანთის ყველა კუნჭული ხელით ისევ მოვზომე და აჰა, ესეც, ხელთ მაქვს, ჩაკუჭული, გასაწყლებული, უღიმღამო პირბადე, მაგრამ საშვი, მოწმობა თუ დასტური მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა, ზრუნვისა და მაღალი კულტურულობისა. ყოველთვის მომწონდა და კმაყოფილებას მგვრიდა კანონმორჩილების დემონსტრირება იმ საზოგადოებაში, სადაც წესებს მისი დარღვევის მუღამით იგონებენ. მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა ყოველთვის ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, მაგრამ ეს ის არაა, ვერაფრით დავაკავშირე სამოქალაქო შეგნება აკრულ ცხვირ-პირსა და დაორთქლილ სათვალესთან. პირიქით, საშინელ პროტესტს იწვევს ჩემში ეს „მოდა“, ნიღბების ტარების სოციალური ვირუსი, შინ და გარეთ. ნიღაბზე მეტად ამ რაღაცას პირბადე შეეფერება. სწორედ თევზივით ბადეში ვართ და უჰაეროდ ვფართხალებთ, ერთმანეთის გულდაჯერებისათვის. ტრანსპორტში ასვლისას ბილეთი ვის აინტერესებს, მთავარი ისაა პირბადე როგორ გიკეთია. თან, აქ ერთი კი არა, ყველა კონტროლიორია.

მე კი უნდა გამოვტყდე, რომ სულ მინდა დავარღვიო ეს წესი, თავი ავარიდო, არ დავემორჩილო და სადაც კი ამის საშუალება მეძლევა, სინდისის ქენჯნის გარეშე ჩავიკუჭო ჯიბეში ან ყურზე ჩამოვიკონწიალო ეს რაღაც და ხარბად ვისუნთქო თბილისის დაბინძურებული, მაგრამ ჰაერი. ამას ემატება ფეისბუქსტატუსები, პირბადის სწორად გაკეთების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ხან სერიოზული ტონით, ხან სარკაზმითა და ხანაც მუქარის ფორმებით. მოკლედ, მაინც ვერ ვმეგობრობთ მე და პირბადე, საშინლად უდიერად ვექცევი, ცხვირი არ ემორჩილება, არც ის მადარდებს, მოქალაქენი ტანჯული თვალებით მზერას რომ მომაპყრობენ და დამნაშავის ამოცნობას ცდილობენ ჩემში.

თუმცა ასეთი თავდაჯერებულიც არ ვარ, ნიღბიანი გარემო მაშინებს და მაუძლურებს, ასევე ვირუსის მოლოდინს ამძაფრებს, მერამდენე ვიქნები? დაინფიცირებულთა აღრიცხვა ხომ სახელმწიფოს მთავარ და უპირველეს მოვალეობად იქნება, შემდეგ სტატისტიკის გაჟღერება და მოლოდინი. დღე რამდენი? სულ რამდენი? ამ მოლოდინის და შიშისგან ასე ადვილად ვერ განთავისუფლდები. მაინც მადარდებს, ვინმეს მე არ მივაყენო ზიანი. ხომ არ დავისჯები ამ ამპარტავნებისთვის? მე ხომ მგონია, სხვებზე უკეთ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მესმის ამ ჟანრის ლოგიკის. ჰო, კორონა ჟანრია, ჩემი წერის პროფილიც უპირობოდ კორონაა, ჩემი კალმის „წვერი“ მისი მელნითაა გაჟღენთილი, ვატრიალებ ასე ყველა ბრუნვაში. უსაფრთხო, უსაფრთხომ, უსაფრთხოს, უსაფრთხოდ და საფრთხის მოლოდინი და მასთან გაიგივებული პირბადე, რომელიც უპირობოდ უკონკურენტოდ მიიჩნევა უსაფრთხოების უზრუნველობაში. ყველაზე საუკეთესოდ ჩემს ზოგად ასოციაციას დღევანდელობასთან, მანქანის სარკეზე ჩამოკონწიალებული პირბადე ასახავს, რომელიც ამულეტად იქცა უკვე და მისგან კიდევ უფრო მეტს ითხოვენ. ჯარიმებიც არ დაგვავიწყდეს, სხვა თუ არაფერი, ბიუჯეტი ივსება, რომლითაც ისევ პირბადეებსა და სწრაფ ტესტებს შეიძენენ.

თუ მაინცადამაინც, ფერადი პირბადეები მაინც გავიკეთოთ, იქნებ უფრო მიეჩვიოს გულიცა და თვალიც.

25 ოქტომბერი

კვირა, მეშვიდე დღე, როცა უნდა დაასრულო სამუშაო კვირეული და მოემზადო ახლისათვის, ამისათვის კი აუცილებლად უნდა დაისვენო. დიდი ხანია დამავიწყდა, რა ნიშნავს დაისვენო, როგორ და რატომ? აი, ეს უკანასკნელი ბევრად უკეთ მესმის, მაგრამ როგორ უნდა, აღარ მახსოვს. დასვენება, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გასაგებია და მასთან კონკრეტული წარმოდგენები ასოცირდება, ვფიქრობ, დიდი კულტურაა და მასაც შესაბამისი ძალისხმევის დახარჯვა სჭირდება, აზრი და ფუნქცია რომ არ დაეკარგოს. ბოლო დროს არ მინახავს ადამიანი, რომელიც დასვენებისა და მოსვენების უქონლობაზე არ წუწუნებდეს, მით უფრო სამსახურში. შეწუხებული და უკმაყოფილო სახეები, ზაფხული აგერ დასრულდა და უკვე ყველა დაღლილი თუ გადაღლილია. მეც ასევე ვგრძნობ თავს, რაღა დავმალო. ჰოდა, საკითხი ასე დგას, თუ ყველა ამდენს ვშრომობთ და ვიღლებით, რატომ არ ეტყობა ამ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ეს ჩვენი შეუსვენებელი ღვაწლი. საქმეც ესაა, საერთოდ არ ეტყობა, პირიქით. ჩვენ კი ველოდებით ჩვენს კუთვნილ დასვენებას, სანამ სადმე გრილსა და ცივ ადგილზე არ დაგვასვენებენ. უი, არ მომწონს ასეთი საუბარი, მაგრამ დასვენებამ გასვენება გამახსენდა, ბებიაჩემი როგორც იტყოდა, მოცლილი და დასვენებულები ეგერ არიან სასაფლაოზეო. ზუსტად ვიცი, რომ თუ დასვენებას ვერ ვახერხებთ, ეს მხოლოდ იმის ბრალი როდია, რომ ბევრი საქმე და გადაუდებელი პასუხისმგებლობებით ვართ დატვირთული, არა, დასვენების კულტურა არ გვაქვს, რომელსაც ისევე სჭირდება სწავლა, როგორც შრომას, მის განაწილებას. ჰო, კიდევ მგონია, რომ დასვენებასაც ნიჭი უნდა, ნიჭიერად დასვენება და მოსვენება ნახევარი საქმეა. ჩვენი საქმიანობის წარმატებულობა სწორად დასვენების ცოდნის პროპორციულია. ჩვენს კულტურაში სათანადოდ არც შრომას და არც დასვენებას სცემდნენ პატივს და ამიტომ სულ შრომისა და გადაღლილობის როლში ვართ. არიქა და ვინმეს უსაქმური არ ვეგონოო. კომუნისტების მიერ შრომის, როგორ ღირებულებათა იერარქიის სათავეში მოქცევამ გაუფასურება და ფასადურობა გამოიწვია. მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე და ბავშვად აღარ ვითვლებოდი, „ტყუილად“ არ

უნდა ვყოფილიყავი, დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რას აკეთებ, მთავარია, არ ისვენებდე. მოკლედ, დასვენება ცოდნის ტოლფასად მიაჩნდათ და ინერციით ასე მოვდივართ, შაბათი-კვირას, კონსტიტუციის მიერ აღიარებულ უქმეებს „სხვა“ საქმეებს ვუთმობთ. შაბათი დილა ლექციები, მერე, კვირის საკვები პროდუქტების მოტანა და ესეც უკვე შაბათის საღამო. ამ რუტინას პოპკორნი და ანიმაციური ფილმები ცოტა ახალისებს, თორემ კვირის სხვა დღეებზე ნაკლებად დამღლელი არაა. დგება კვირა დღეც, როცა იმას ფიქრობ, აბა,დღეს რა მოვასწრო – კვლევა, სტატია, სალექციო მასალა თუ ინტერვიუ. ამდენი კურდღლის მადევარი სამზარეულოში ცომით ხელში აღმოჩნდებაო. თუმცა დღეს ცოტა სხვა სცენარით განვითარდა კვირა დღის ამბავი, ეს იყო საღამოს გასეირნება რიყეზე, ეს კვირა დღე კორონას ეპოქის რუტინიდანაც სრულიად ამოვარდა. საინფორმაციოსთვის არ მომისმენია, ფეისბუქის აპლიკაცია ტელეფონიდან წავშალე, ფეხით სეირნობისათვის პირბადეების მინიმალური მოხმარება და საღამოს, ფერადად აბდღვრიალებული თბილისი, შემოდგომის სასიამოვნო სიგრილე და მისივე ფერები. ამ ბოლო დროს ისე მინდა სიფერადე, რომლითაც ამ კორონულ წესრიგს დავუპირისპირდები და ვაჯობებ. ასე მგონია. აი ეს გასეირნებაც ამ ფერების ლოგიკაში ჩაჯდა. ჯერ დიდი გაბერილი ბურთიდან ქალაქს გადმოვხედეთ და კიდევ უფრო ჩახჩახა გამოჩნდა ჩვენი თბილისი, თბილი ყვითელი ფერებით და ციმციმით. მოკლედ სასიამოვნო და რაღაცნაირია თბილისი ზემოდან. მერე მტკვარზე სეირნობა ასევე ფერადი შუქებით, ნამდვილი შემოდგომაა, ტყის ფერებით, მაგრამ ღამის განათებით. წყალს სხვანაირი წყალობა და მოწყალება მოაქვს, ჰაერიც სხვანაირია წყალზე და ფიქრებიც. მოკლედ ყველაფერი ზედმეტად პოზიტიურია იმისთვის, რომ კორონაზე იფიქრო, მიწისქვეშა გადასასვლელი, შეკვეთილი სტრიტ-არტით, მაინც სასიამოვნოდ მოგდის თვალში, რადგან მუსიკა მოჰყვება. მოკლედ, შემოდგომის ფერები, გრილი ჰაერი, ფეხით სიარული, ცოცხალი მუსიკა, საყვარელი ადამიანები, გლინტვაინის სუნი და აი, დასვენების სურნელიც, ალბათ ეს უნდა იყოს კვირის რეცეპტი. სწორედ რუტინიდან ამოვარდნა უნდა იყოს დასვენება, კორონას შესახებ ხვალაც

გავიგებ ახლა ამბებს და ეგეც შენი „ორშაბათი მძიმე დღეა“. ჰოდა, კვირა მაინც იყოს კვირა დასვენების გაკვეთილებად!

27 ოქტომბერი

სამშაბათი, ლამის შუა კვირა და სამსახურში წასვლის ვალდებულების გარეშე. დილიდან გათბობის ქვაბის ყიდვა გადავწყვიტე. შემოდგომაა უკვე, სასიამოვნოდ გრილა, დღე ცხელა კიდეც, მაგრამ საღამო ისეთია, მე რომ მიყვარს, შემოიცმევ ჯემპრს ან პლედს და ჩაიც ერთი ორად ძვირფასდება. დღის მანძილზე ბევრი ვიმოძრავე და სულ თან მდევდა ამბები, ბანკის დამყაჩაღებელი, ინფიცირებულთა მატება, გაურკვეველი პროგნოზი ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, ყარაბაღის ომი და არჩევნები დიდი არჩევანითა და მის გარეშე. კვირის ბოლოს არჩევნებია. პირველად მაქვს განცდა, რომ არ მაქვს არჩევანი. ვინ ავირჩიო, თითქოს დამაბნეველიც არაფერია, ყველაფერი მარტივად, ზედაპირზეა და რეკლამები, ისეთი უღიმღამო და გახუნებულია, როგორც წინა არჩევნებიდან დარჩენილი, ჩამორეცხილი პლაკატი. რეკლამებს რომ ვუყურებ, მგონია 90-იან წლებში დაამზადეს ეს სარეკლამო რგოლები და ბეჯითად გვამახსოვრებინებ მხოლოდ ციფრებს, რომელი უნდა შემოვხაზოთ. ზარმაც და ჩამორჩენილ მოსწავლეს რომ ეუბნები, ეს შემოხაზე და საკმარისიაო. შემოდგომის ფერებივით ბევრი და ფერადია რგოლები, მაგრამ ახალი არაფერია, უგემოვნო, სრულიად არადამაჯერებელი, მოკლედ უცნაური წინასაარჩევნო კამპანიაა ციფრების კორიანტელი მხოლოდ. ციფრები ასოციაციებისა და სიმბოლოების გარეშე. ისეთი შეგრძნებაა, რომ ეს უკვე მოხდა, რაც არ მომხდარა აქამდე, დღეში ვირუსით გარდაცვლილთა რიცხვია ქვეყნის მასშტაბით. დღეს 23 ადამიანი გარდაცვლილა. პირველ ტალღაზე ერთი ადამიანის გარდაცვალება ნამდვილი თემა იყო, ახალი ამბების მთავარი „ნიუსი“, ახლა კი... როგორც კი ვცდილობ ამ ვირუსის თემის აგდებას და თავიდან მოშორებას, ბუმერანგივით მიბრუნდება. ყველაზე გაუგებარი და უცნაური ჩემთვის 21 წლის ბიჭის გარდაცვალებაა რუსთავიდან, რომელმაც თითქოს დაამარცხა ვირუსი და სახლში გამოწერილს გული გაუჩერდა. მართლა გული გაგიჩე-

რდება ამ ამბავზე, როცა ამ ბიჭის ოჯახს გაიხსენებ. ასეთ მომენტებში ყველაფერი უმნიშვნელო ხდება და აზრს კარგავს, მით უფრო არჩევნები.

დღის ბოლოს მაინც სასიამოვნოა ახალი ქვაბით გამთბარი სახლი, მწვანე აივანი და გვირილის ჩაი, რომელიც გახსენებს, რომ აქ ხარ და დედლაინების მიუხედავად ცხოვრება გრძელდება. პირველადაა, რომ არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, ისე ძალიან აღარ მაღელვებს, საკუთარი ხმის მნიშვნელობაც გადაჭარბებულად აღარ მაწუხებს, მოკლედ, ესეც თავისებური პოზიტივი კორონას ტოტალიტარული რეჟიმიდან. ხვალ დილით კი ინდოეთსა და ინდოელებზე ვილაპარაკებ, ხალხზე, რომელთათვის სამყარო ჰარმონიული და ციკლურია, არაფერით იწყებდა და მთავრდება სამყარო, იქ ყველაფერი მარადიული და შესაბამისად უკვდავია, რაც მთავარია, ფერადი.

31 ოქტომბერი

თვის ბოლო, შაბათი დღე და რაც მთავარია საპარლამენტო არჩევნები, ისეთივე უცნაური განწყობა მეუფლება, როგორც ვირუსულ ეპოქაში ჯერ არაინფიცირებულს შეეფერება. შიშები, მოლოდინი და გაკვირვება. აშკარად დღეს პოლიტიკური ქვაბი, მე კი ვუყურებ ვორდის თეთრ ფურცელს და მეღიმება, ეს არც კმაყოფილების, არც დაჯერებულების და არც ირონიის გამომხატველი ღიმილი არაა. ეს დისტანციის ღიმილია, ახლა ხომ დისტანცია ყველაზე აქტუალური სიტყვა და მოცემულობაა. ამ ვირუსმა ბურთივით გამისროლა სტადიონს მიღმა და აუტია. აუთ ვარ, არც საყვირი და არც შეძახილი უკან არ მაბრუნებს. თუმცა ეს იმას სულ არ ნიშნავს, რომ არ მესმის და ვერ ვიგებ, რა ხდება, პირიქით, კიდევ უფრო ადვილია საერთო სურათის დანახვა და აი, ღიმილს მგონი ხალხის ფორიაქი უფრო მგვრის, რომელიც ყოველ არჩევნებზე ხან კეთილდღეობას, აღმშენებლობას ან გარდაქმნებსა თუ ცვლილებებს რომ აძლევს ხმას.

ყველაფერთან ერთად არჩევნების დღეს რაღაცის დემონსტრირებასაც ვცდილობთ, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და მოვალეობის განცდა. რაღაცაში ხომ მაინც უნდა გამოვხატოთ მონდომება, სამოქალაქო ცნობიერება. მოკლედ, ამ დღეს ეს სი-

ტყვები უხდება, სარეკლამო რგოლები, მოდი არჩევნებზე, ყველა სოციალური ფენისათვის გააქტიურდა, ცოტაც და დავიჯერებთ დემოკრატიის მადლს.

დილის ლექციები არჩევნების გამო გადამედო, ჰოდა, თითქოს მეტი დრო გამომითავისუფლდა სახლისა და ოჯახისათვის, მაგრამ ეგ ლოგიკა არ მუშაობს, დრო მაინც არაა და გასაკეთებელ საქმეებს არ მიემართება. მიიხედავ-მოიხედავ და აი, უკვე არჩევნებში წინასწარი შედეგების გამოცხადების დროა, რამდენიმე არხი და განსხვავებული რეალობა, ჯერ ზეიმი და მერე ჩხუბი, ჰოდა, აღარ მინდა, ეს ყველაფერი ძალიან ნაცნობი და მობეზრებული მოცემულობაა. ერთი პოზიტივი, რაც შეიძლება იყოს ამ ყველაფერში, ისაა, რომ წესით უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს პოლიტიკური პალიტრა. მეტის არაფრის ფიქრი და არც დაწერა არ მინდა, უმზეო დღე იყო და პოლიტიკაც ასეთივეა ჩვენს ქვეყანაში, მზისა და წვიმის გარეშე ცისარტყელა ვის გაუგია.

2 ნოემბერი

დიდი მოლოდინი, გავექცე ამ არეულ-დარეულ პოლიტიკურ გაუგებრობას, სადაც ყველას საკუთარი წარმოსახვებისა თუ გაყალბების სჯერა. ამ გაყალბებას ისე აპროტესტებენ, თითქოს სიყალბე ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილი არ იყოს. იმდენი სიყალბეა ჩვენს გარშემო, რომ სერიოზული ეჭვი მაქვს, აღნიშნული სიტყვა რეალობას ვეღარ გადმოსცემს. აღარც ვიცი რომელი სიყალბეა მეტი პრობლემა, რომელიც ცხოვრების წესად გვექცა თუ მასთან ბრძოლის ყალბი პათოსი.

მოკლედ, ესაა პოსტსაპარლამენტო არჩევნების რეალია, რომელიც სრულიად მიკარგავს ხალისს და ქალაქგარეთ გასვლის შესაძლებლობა სრულად მიბინდავს გონებას. გზა, ჰაერი და ფიქრებისა და აზრების განიავების საშუალება, მოკლედ, ყაზბეგისაკენ. დილის ადგომის ხიბლი მაინც სხვაა, ხალვათი ქუჩები, რატომღაც უფრო სუფთა და ლამაზი გეჩვენება გარემო. აი, მოლოდინს კიდევ უფრო ახელებს ფაქტი, რომ რამდენიმე საათში მოსწყდები ამ თბილისს და მთები გიმასპინძლებენ, გზები მოგიყვებიან და შენ ჩუმად ყოფნა მოგინდება.

მოკლედ, პირბადეები მოვირგეთ და დასავლეთისკენ... ულამაზესი, ფერადი გზა, გზა ფრთებს გასხამს, რომლითაც თავი-

სუფლების სუნსა და გემოს აღიქვამ, შენი მოძრაობა გაშორებს მძიმე და უსიამოვნო ფიქრებს, რომელიც გამიწებს. ერთი სული მაქვს, პირბადეს როდის მოვიხსნი და ხარბად ჩავისუნთქავ მთის ჰაერს. გაშიშვლებული დაჟანგული მთები ეიფორიაში გაგდებს. ელისოს გეგმარებას მივყვებით. ჯერ ბ-ნ მიშას ვნახავთ, უნდა ჰკითხოს, თუ ნებას დართავს სოფელი, აკლდამაში დარჩენილი ძვლები გამოკვლევაზე ლაბორატორიაში წავიღოთ. ბ-ნი მიშა სასიამოვნო, მხნე მოხუცია თეთრი წვერით, უკვე წამოვიდა მოხევური სახეები წარმომიდგა ყაზბეგის სამშობლოში. ბ-ნი მიშა დაჰპირდა, სოფელს დაეკითხება და ეტყვის პასუხს. საუბარია იმაზე, გაარკვიონ რა დაავადებით გარდაიცვალნენ ადამიანები, რომელთა ძვლები სოფლის აკლდამებში გვხვდება. ამ ამბებიდან მხოლოდ გადმოცემები ვიცით ჟამიანობის შესახებ, რომ ცოცხალი ადამიანები მიდიოდნენ გარდაცვლილთათვის განკუთვნილ ადგილას და საკუთარ სიკვდილს თმენით ელოდნენ. ნეტა ეს რა არის? დაჯდე და სიკვდილს დაელოდო, ჩუმად და უმოქმედოდ, ადამიანის ერთადერთი ნუგეში ხომ ისაა, რომ არ იცი, როდის მოკვდები, როდის გეწევა ბედისწერა, როდის აღსრულდება დაუწერელი კანონი. აქ კი ყველა სოფელში მსგავსი გადმოცემა და მისი დამადასტურებელი საძვალეები...

ეს პანდემია ამ საკითხს კიდევ უფრო მგრძნობიარეს ხდის, მთაში აღწევს კორონას საცეცები, პირბადე და შემცირებული, თითქმის გამქრალი სტუმარი და ისტორიები, ვის როგორ და რა ფორმით ეწია ვირუსი.

გერგეტის სამებამდე გზის ნაწილი ჩაკეტილია, არემონტებენ, ამიტომ შემოვლითი, მიწის გზით წავედით ყაზბეგის დედოფლამდე. როგორი ამაყი და თავდაჯერებულია. ქარი, ღრუბელი, წვიმა ყველა ამინდი უხდება და ალამაზებს. ჟანგისფერი მთები კიდევ უფრო თავდაჯერებულს ხდის. არა, ეს სულ სხვა რამეა, სხვა ემოციას იწვევს, მხოლოდ ლამაზი არაა, ზებუნებრივია, ორ სამყაროს აკავშირებს და ყველასთვის გასაგებია. ზუსტად ვიცი, რომ ნებისმიერ ადამიანს აზიარებს მიღმიერს, უშურველად და დაუნანებლად. კატაც კი სხვანაირია აქ. კატა მთისათვის ცოტა უცნაურია, მაგრამ გვიდასტურებს, რომ აქ ყველას მიესვლება, ყველასთვის ღიაა.

გადახსნილი მთები გულს გიხსნის და საოცარ უწონადობას განიცდი, ესაა ჩემი წარმოდგენით მასთან ზიარება, დაკავშირება და თავის პოვნაც. მოკლედ ისე მახსენდება, ბავშვობაში რა ემოციასაც იწვევდა ტაძარში შესვლა და მესიამოვნა, ნაცრისფერი კედლები გულამდე რომ აღწევს და გათბობს.

გერგეტის სამების მონახულების ნაწილი იყო მოხევე მძღოლი და მისი მონაყოლი ამბები. მებრძოლი ყოფილა, აფხაზეთში ბრძოლის ამბები მოყვა, სიმძიმე ვიგრძენი, მაგრამ მისი გულწრფელი საუბარი მაინც სასიამოვნო იყო. თქვა, რომ ომს თავისი აზარტი აქვს, ჰყვებოდა, როგორ ხოცავდნენ მოწინააღმდეგეებს, ჩეჩნებს, სომხებს, აფხაზებს, როგორ ამოწმებდნენ მათ საბუთებს და რომ ერთხელ მისმა მეგობარმა გარდაცვლილი ჩეჩენის ფეხსაცმელები ჩაიცვა, რადგან თავისი დახეული იყო, ის, რომ ჩეჩნებს საბუთებთან ერთად დოლარებიც ჰქონდათ. იმასაც ჰყვებოდა, რომ წინ წასულებს სულ უკან აბრუნებდნენ, თითქოს უსაფრთხოების მიზნით, რაც საბოლოოდ ომის წაგებად გაფორმდა. თქვა, რომ იმ შემართებით, რომელიც მათ ჰქონდათ, ომს დღესაც მოიგებდნენ, მაგრამ ეს შემართება აღარაა. ტრავმულ ადამიანს არ ჰგავდა ჩვენი მეგზური, პირიქით, ლაღი მეჩვენა, ბესლანი და ზუგდიდის ბანკის დაყაჩაღება გაიხსენა. თქვა, რომ რუსეთში ბანკზე თავდამსხმელს ცოცხალს არაფრით გაუშვებდნენ, მით უფრო ფულით. მოკლედ ბადრი გმირია, ეს ფარული თუ აშკარა სიმპათია მის მხარესაა. სითამამე, გამბედაობა აშკარად დაუფასდა.

მძღოლმა გერგეტის შემდეგ თავის სოფელში, სიონში წაგვიყვანა. რა ლამაზი და კოხტაა. აქაც აკლდამა უნდა ამოვიკითხოთ და გადავიღოთ, სიკვდილის ნაკვალევი. რა სილამაზეა და სიკვდილი, ესაა სამყაროს კვინტესენცია. დაბადება, სიკვდილი, დაბადება და დედაბუნება. ბორცვიდან მომზირალი ტაძარი, წინ კოშკი და შუაში ბერის სახლი, ქვეშ კი აკლდამა, სასაფლაოები, ძროხები და გზა, მთებს შორის მოქცეული გზა. საითაც გაიხედავ, რაღაც გეფიქრება, მაგრამ დაუსრულებელი აზრთა დინება, მხოლოდ ემოციის აღმძვრელი... მაგრამ ხმის ამოღებაც არ გინდა, ჩუმად უკეთესია...

მერე ჩუმად ვიარეთ სოფელში, ხეტიალი რომ ჰქვია და ზედმეტ ძალისხმევას არ ითხოვს შენგან, თითქმის ყველა ეზოში ძა-

ღლია, როგორ უხდება სოფელს ძაღლი. ძაღლიც არის და... ეს რამხელა ძაღლებია და არ ყეფენ. თავდაჯერებული ძაღლი ტყუილად არ ყეფს.

მოკლედ ამ სიარულისა და ხეტიალის შემდეგ შინ მოუსვლელის მემორიალთან უნდა დაველოდოთ ვაჟას, სამარშრუტოს მძღოლს, რომელიც ქალაქში დაგვაბრუნებს. უნდა გამოვტყდე, თავის ხიბლი აქვს შინ დაბრუნებას, სადაც არ უნდა იყოს ის შინ!.

4 ნოემბერი

დილით ადრე ავდექი, მინდა რაღაცებს გადავხედო ლექციისათვის. ძველი საბერძნეთი და რომი ყოველთვის მაშინებს თავის ტოტალურობით და კიდევ ერთხელ მინდა რაღაცები გავიხსენო და დავალაგო, რომ ჩვენი ცივილიზაციის ამ ორ არსებით შემოქმედზე ველაპარაკო სტუდენტებს, მითებში გაფანტული საუბარი გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს მათთვის. მოკლედ ადრე გავიღვიძე, ხან რა მოვქექე, ხან რა და ვფიქრობ, რა ბევრი და რა ცოტა ვიცით ამ სამყაროზე, ჩვენ შევქმენით ის თუ მან შეგვქმნა?! ლექცია სამზარეულოდან ჩავატარე და ვფიქრობდი დროსა და გარემოებებზე, ესაა ლექცია? ისევ საბერძნეთი მახსენდება და ღია ცის ქვეშ ლექციები... სახლიდან დაცარიელებულ უნივერსიტეტში გავიქეცი და ასე ვმუშაობ. დღეს ალექსანდრე სკოლაში უნდა წამეყვანა, მაგრამ სკოლებში ერთიანად შეწყდა სწავლება და ონლაინ რეჟიმზე გადავედით. ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში, ინტერნეტში, ერთი თემა, დაინფიცირებულთა რაოდენობა და პირბადეები. ახალი წესის მიხედვით პირბადეების ტარება არამხოლოდ დახურულ შენობებში, არამედ ღია ცის ქვეშაც აუცილებელია. რაღად გვინდა ნიღაბი, ისედაც ვერ ვცნობთ უკვე ერთმანეთს.

6 ნოემბერია

უკვე იგრძნობა შემოდგომა, ფერები და სასიამოვნო სუსხი, მშვიდი და თანამიმდევრული წვიმა, მუსიკასავით ჰარმონიული. ბუნებისგან განსხვავებით პოლიტიკური პროცესის ლოგიკაში გარკვევა შეუძლებელი მგონია. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ ვუყურებ საინფორმაციო გამოშვებებს, პოლიტიკური დაჭიმულობა ჰაერშიც იგრძნობა. ვერც წვიმა აგრილებს და ვერც შემოდგომის ფერები ახალისებს. ზამბარა დაჭიმულია და

ვინ გაუშვებს ხელს, ჯერ კიდევ გაურკვეველია. მე არ მაინტერესებს. დიდი ხანია გადავწყვიტე, ჩემს ემოციებს მიღმა გავატარო პოლიტიკური დაძაბულობები. მივხვდი, რომ ჩემი გულწრფელი პოლიტიკური აღტყინება, რომელიც, მეგონა, ქვეყნის ხსნასა თუ მის ყოფნა-არყოფნაზე გადიოდა, ბლეფი ყოფილა, ჩემი მხარდაჭერა და მოთმინება კი – გაუმართლებელი მიამიტობა. ჰოდა, როგორმე უჩემოდ მოგვარდით. მით უფრო, რომ ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ არეულია კოორდინატთა სისტემა, ვინ ვისთან, ვისი ვისში. ისე, იმათთვის უფრო მეტი მაქვს სათქმელი, ვისაც თავი ჭკუასაკითხავი ჰგონია და რომელიმე მხარის გასამართლებლად თავს იდებს, თითქოსდა ბევრზე უკეთ ესმოდეთ რამე, ვითომდა სიკეთესა და ბოროტებას შორის ცალსახა არჩევანს აკეთებდნენ და თან დამარცვლით, რომ გვიხსნის, ვინ იმსახურებს ხალხის აღიარებასა თუ ნდობას. ამ დაჭიმულობას ვირუსის შემთხვევების რეკორდული მაჩვენებლები ემატება და გამკაცრებული წესები. თურმე ქუჩაშიც პირბადეებით უნდა ვიაროთ, მალე ალბათ სახლებშიც პირბადეების ტარებას მოგვთხოვენ და შემმოწმებელსაც მოგვიჩენენ. ყველა ამაზე საუბრობს, ბევრს არ ეზარება შეგვახსენოს, უკეთ როგორ ვატაროთ პირბადე, ცხვირის ამოყოფა რომ მიუტევებელი ცოდვა და დანაშაულია. ღმერთმა არ ქნას და დაინფიცირდი, წამალზე კი არა, კონტაქტებზე იფიქრე და თავის მართლებაზე. დაინფიცირებული ხომ პირველი დამნაშავეა, ეტყობა საკმარისად კარგად არ ამოიხუთა ცხვირ=პირი, აბა, რა ეგონა. ჰოდა, ველოდები განკითხვის დღეს, როცა გამოგკითხავენ, აბა, ვის ჩავეხუტეთ, ვის ვემეგობრეთ და ვინ დავღუპეთ? რა სიგიჟეა, კი, სიგიჟე, რომელიც ნორმად და ნორმალურობად იქცა. ამასობაში ვაცეცებ თვალებს, ხელებს და ძნელია, სიმყარე იპოვო, როცა ირგვლივ ყველაფერი ასე მყიფეა. არ მომწონს საკუთარი თავი გაღიზიანებული, გაბრაზებული, დაბნეული და გაურკვეველი. საქმეებს ავტომატურად ვაკეთებ, მე ხომ სხვაგვარად მიყვარს, როცა იქ ვარ, იქ უნდა ვიყო, ფიქრითა და გულით. ახლა კი საქმეების გადაგორებაზე ვარ. დავგორავთ ასე პოლიტიკურ ბაცილებსა და ვირუსებს შორის, ადამიანების შიშით, რამე არ გადაგვდონ, მაშინ როცა ეს ისტერიკა გვერევა და ვირუსზე გაცილებით მეტ ზიანს გვაყენებს. აშკარაა, ძალაუფლებისაკენ ლტოლვა, ვირუსის შიშს აღემატება.

პამდემიის მესამე ტალღა

2021, 1 მარტი

ჰაერში დატრიალებული გაზაფხულის სუნი და კორონას გახსენების ერთი მთლიანი წელი. დაახლოებით ამდენი ხანია ვირუსი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა – არ გასულა დღე, საათი და შეიძლება წუთიც, რომელსაც რაღაც ფორმით არ შეეხსენებინა, რომ რაღაც სხვა, სხვაგვარად და, შესაძლოა, სხვა რამისთვისაც ხდება?!. ამას დრო გვაჩვენებს…

დღეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი განახლდა, რა თქმა უნდა, ონლაინ. უკვე მესამე სემესტრია სწავლა აუდიტორიების მიღმა, ლექტორებისა და სტუდენტების უშუალო კონტაქტის გარეშე იწყება. შეხვედრის ადგილი ისევ ვირტუალური სივრცეა. ერთი წლის წინ ეს სრულიად წარმოუდგენელი და შეუძლებელი მეგონა, ახლა კი უკვე დღის რეჟიმია. სასწავლო პროცესის დაწყებას საოცარი განცდა, ეიფორია და თავისებური ღელვა ახლავს ხოლმე შიშსა და მოლოდინს შორის. დღეს კი ამ თვალსაზრისით ემოციები დახშულია, მონოტონურად ვპასუხობ სტუდენტებს გადასახადის, დარჩენილი საგნებისა თუ დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით. სწავლა კი ვირტუალურ სივრცეში იგეგმება და დიდი ალბათობით იქვე დასრულდება. მერე შეხვდებით სტუდენტს, რომელმაც შენი საგანი ჩააბარა და ვერც იცნობ.

ამ სემესტრში შევეცადე ნაკლები სალექციო საათი ამეღო. არ მომწონს სწავლების ეს ფორმა, მფიტავს და სასიცოცხლო ძალებს მაცლის. თუმცა არ მგონია, ეს წელს ისეთი რთული იყოს, როგორც შარშან, როცა სოფელში გავიხიზნეთ და იქიდან მიწევდა ჩართვა, დაბნეულ სტუდენტებთან დაკავშირება, მათი ვირტუალურ აუდიტორიაში მოგროვება და ბოლოს – ინტერნეტის გაწყვეტის შიში. მაშინ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამემხნევებინა საკუთარი თავი და სტუდენტები, არ ჩამომეყარა ყურები და სტუდენტებისთვის მეთქვა, რომ სირთულე გამოწვევა და შესაძლებლობაცაა. ვურჩევდი მათ, დაჰკვირვებოდნენ, რა საინტერესო პროცესები მიმდინარეობს სამყაროში, როგორი განსხვავებული ფორმებით, რომელმაც სრულიად ახლებურად შეიძლება დაგვანახოს ურთიერთობები ადამიანებს შორის, მე-

ტად გვაგრძნობინოს ბუნების ძალმოსილება და წარმოდგენები შეგვაცვლევინოს საკუთარ თავზე, დაგვანახოს, სად გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი. შევეცადოთ გავერკვეთ ამ უზომოდ საინტერესო რეალობაში, რომელიც შიშმა და გაურკვევლობის განცდამ დაბადა ჩვენში.

ერთი წლის წინ, როცა საინფორმაციო გამოშვებებში თანდათან გახშირდა საუბრები ვირუსის გავრცელების რისკებსა და საფრთხეებზე და ამ თემებმა ტელევიზორის ყუთებიდან ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში გადმოინაცვლა, მაინც ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ასეთი ტოტალური და გლობალური მოვლენა შეიძლებოდა ყოფილიყო. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ის სასწავლო პროცესის დაწყებასა და მის ორგანიზებას ასე ძირფესვიანად შეეხებოდა. შარშან ამ დროს უკვე გამზადებული გვქონდა სასწავლო ცხრილები აუდიტორიებითა და შესაბამისი დატვირთვებით. ვირუსის გავრცელების საშიშროება კი თოვლის გუნდასავით იზრდებოდა და ჩვენკენ მოემართებოდა... პირველი, რაც მოხდა, ის იყო, რომ სწავლის დაწყების თარიღმა გადაიწია, ცოტათი გავმანძილდით ამ ზვავთან მიმართებით, მაგრამ თურმე სად წაუხვალ?! გააქტიურდა საუბრები დისტანციურ სწავლებაზე. ონლაინლექციები ისე მაფრთხობდა, როგორც გადაუღებელ წვიმაში მეწყერი. „წინ წყალი, უკან მეწყერი!“ აბა, როგორ, რანაირად, ვინ და კიდევ როგორ?? არანაირი გამოცდილება! არანაირი მომზადება! მაშინ პირველად ამოვიკითხე სოციალ ქსელებში ზუმის პროგრამის შესახებ. მგონი, გიგი თევზაძე წერდა, რომ უნივერსიტეტებს შეეძლოთ მისი აქტიურად გამოყენება, რომ არსებობს ფასიანი და უფასო ვერსიები. ვაა, ზუმი,,,! ნეტა როგორია?!! კარგი. მე როგორმე ვისწავლი და გავერკვევი, დავძლევ ჩემს შიშებს, მაგრამ მე ხომ უნივერსიტეტში სხვა ლექტორებსა და სასწავლო პროცესის მართვაზეც მაქვს პასუხისმგებლობა. ქართული ენის მომზადების პროგრამაში 70-ზე მეტი პედაგოგია ჩართული, უმრავლესობა ასაკოვანია, მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ სარგებლობს კომპიუტერით. არა, რა წყალში ჩავვარდე? მოკლედ, საგონებელში ვართ ჩავარდნილები, თუმცა ვითარების სიღრმესა და მასშტაბებს ბოლომდე ვერ მაინც აღვიქვამთ. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ჩემს შვილს საგონებელში ჩავარდნა, დაახლოებით

ორმოში ჩავარდნა ეგონა და ახლა ასეთ ორმოში აღმოვჩნდით, საიდანაც ჰორიზონტის ხაზები არსაით ჩანდა.

ახლა, პოსტკოვიდურ პერიოდში, ასე ვიხსენებ ამ ამბებს: მოკლედ, მე და ანა თსუ-ს პირველ კორპუსში მივდივართ დაუგეგმავად და კითხვებზე – რა და როგორ ვქნათ, გაკვირვებულები ერთმანეთს მივჩერებივართ. საუბარია იმაზე, თუ როგორ მივაწოდოთ ლექტორებსა და სტუდენტებს საჭირო ინფორმაცია და სასწავლო რესურსი. რაღაცებზე ვიმსჯელეთ, ვიდავეთ, მაგრამ ვერაფერზე შევთანხმდით. ყველაზე ნათელი ის იყო, რომ ენის სწავლება ლექტორებისათვის დისტანციურად თითქმის შეუძლებლად გვეჩვენებოდა. ყველაზე რთული კი, ჩემი წარმოდგენით, ის იყო, თუ როგორ დაგვეკავშირებინა ვირტუალურ სივრცეში ლექტორი და სტუდენტი. მით უფრო მაშინ, როცა მათი ნაწილი ნაკლებად ან თითქმის არ იყენებდა ტექნიკურ საშუალებებსა და ინტერნეტს, ზუმის გამოყენებაზე საუბარი ჯერ არც იყო. ერთი, რასაც მივხვდი, ის იყო, რომ ფეიბუქი უნდა გამომეყენებინა აქტიურად ამ პროცესის ორგანიზებისათვის. ერთი დიდი, დახურული ჯგუფი შევქმენი, სადაც ყველა პედაგოგი და სტუდენტი მოხვდებოდა და ინფორმაციის გაცვლისათვის მას გამოვიყენებდით. ყველა სტუდენტსა და ლექტორს, ვინც მიკავშირდებოდა, ვთხოვდი იმ ჯგუფში დამატებულიყვნენ და ნაცნობებიც გაეწევრიანებინათ. ასევე, რამდენი ჯგუფიც იყო ცხრილის მიხედვით, შესაბამისი რაოდენობის ჯგუფები გავაკეთე, სადაც ცალკეული ლექტორი დავამატე, იქვე სია და ცხრილი განვათავსე. ლექტორებს ვეუბნებოდით, რომ დაჰკავშირებოდნენ სტუდენტებს, ვაძლევდით ტელეფონის ნომრებს. მინიმალური მოთხოვნა იყო ფეისბუქის ქონა, რომ მესინჯერით მაინც ყოფილიყო კონტაქტის შესაძლებლობა. საოცარი განცდაა, როცა რაღაცას აკეთებ ვარაუდით, ხელისცეცებით და მთელ სურათს ვერ აღიქვამ. მოქმედებ ინტუიციით და არსებული რესურსის გათვალისწინებით, აღელვებულ ლექტორებს ამშვიდებ და ეუბნები, რომ მთავარია მხარდაჭერა და სოლიდარობა, სთხოვ, რომ სტუდენტებს აგრძნობინონ თანადგომა, მით უფრო, რომ ცოტა ხანში ქვემო ქართლის რეგიონები ჩაიკეტებოდა და ეს კიდევ უფრო დაამძიმებდა ჩვენი აზერბაიჯანელი სტუდენტების მდგომარეობას.

ამასობაში თსუ-ს „ელემესის“ ბაზის გამოყენების საშუალებებიც გაირკვა და ძნელად, მაგრამ ონლაინ სწავლების გარკვეული კონტურები უკვე იკვეთებოდა. ამას ჩემთვის სახლიდან მუშაობის სიმძიმეც ემატებოდა. როგორია, როცა კომპიუტერთან მუშაობ და ბავშვები თავზე გასხედან!

მესამე სასწავლო სემესტრი დაიწყო ონლაინ. ლექტორებმა უკვე იციან ზუმის მოხმარება, მასალის ატვირთვა და მაილითაც უფრო ხშირად სარგებლობენ და თუ ამას თვითონ ვერ ახერხებენ, ოჯახის რომელი წევრი მაინც დაეხმარებათ. ეს კი უკვე ისტორიის, კოვიდის ისტორიის ნაწილია, რომელიც ჯერ ისევ აქაა და პერიოდულად თავს გვახსენებს როგორც ონლაინ სწავლებისას, ისე ქუჩაში მოძრაობისას, როცა ადამიანებს აღარც ვუყურებთ, რადგან მაინც ვერ ვცნობთ.

მიუხედავად ამისა, ფეხით სიარული და ქუჩა მაინც მალამოა პოსტკოვიდურ იარებზე!

3 მარტი

დედის დღე, ოფიციალურად უქმეა და შუა კვირაში ამოღებული კბილივით უფრო ჩნდება, ვიდრე შესაძლებლობად, უკვე ორგზის დედამ თავს უფლება მისცე დაისვენო და განიტვირთო ამ სასწავლო სემესტრის პირველივე კვირაში. დღეს ლექციები გამიცდა და ამის გამო უფრო შევწუხდი, ვიდრე სული მოვითქვი.

დედის დღე! როგორ დამაბნევლად ჟღერს ეს ორი სიტყვა ჩემთვის. დღემდე ვერ ჩამოვყალიბდი, ამ დღეს რა უნდა გავაკეთო, როგორ აღვნიშნო, ვის მივულოცო და ვის – არა, ან თავად როგორ შევიფერო დედობა და შესაბამისი მოლოდინებით მივიღო მოლოცვები თუ სიმბოლური საჩუქრები. ვინ უნდა მომილოცოს და რა? რას ნიშნავს მოლოცვა?! – დაფასებას? აღიარებას? თუ წახალისებას? დედობა რომ ხშირად გმირობას მოითხოვს ჩვენგან, ეს უკვე არავის უკვირს, მაგრამ მაინც არ მესმის დედობის მოლოცვა. მოლოცვებს მადლიერებით ვიღებ და მოზომილად ვუპასუხებ, რადგან ამ მომენტში აღარ ვიცი, საპასუხოდ დედა რომ ჰყავდა, ის უნდა მივულოცო ადამიანს თუ ის, რომ დედა შეიძლება გახდეს ან შეეძლო გამხდარიყო?! მაბნევს ისიც, რომ ზოგი ვერ ან არ იქნება დედა და მაგ შემთხვევაში რა ვთქვათ, რა ვუსურვოთ? მივულოცოთ თუ ვანუგეშოთ? მგონია, რომ ეს

დღე უფრო აძლიერებს სტიგმას, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში შვილის გაჩენის სურვილსა თუ ამის შესაძლებლობას უკავშირდება. დედობა ხომ ქალის უმთავრეს მისიად და სამყაროს მთავარ კანონზომიერებად მიიჩნეოდა და დღემდე ასე რჩება. დედობა ღმერთთან წილნაყარობასაც ნიშნავს. ძე ღვთისა ხომ მოკვდავმა ქალმა გააჩინა!

ტრადიციულად, როდესაც გათხოვილ ქალს შვილი არ უჩნდებოდა, ეს უბედობად, დიდ უბედურებად მიიჩნეოდა, მსგავსი რამ ხდებოდა მაშინაც, როდესაც ქალს ვაჟი არ უჩნდებოდა, ასეთ დროს თავად ქალი ზრუნავდა თავისი შემცვლელისა თუ ჩამნაცვლებლის მოძიებაზე. ამრიგად ის ეგუებოდა ბედს, რომელიც მის სტატუსსა და მდგომარეობას მნიშვნელოვნად ცვლიდა ოჯახში.

ხშირად მომისმენია ისტორიები, როდესაც უშვილო წყვილს ახლობელმა, მრავალშვილიანმა ოჯახმა ერთი ბავშვი მიაშვილა. სამართლიანობისა და წონასწორობის ჩვენეული ხედვა საკმაოდ ტრავმულ გამოცდილებად ქცეულა ხოლმე ამ ბავშვებისათვის. ახლა მახსენდება: წინა წელს, გაგანია კოვიდისა და ჩაკეტვის პირობებში, ერთ-ერთ ყვითელ გადაცემაში, ცნობილ ოჯახში ბიჭის დაბადება როგორი ზარ-ზეიმით ამცნეს სრულიად ქართულ საზოგადოებას. მსოფლიო ჩემპიონის, მოჭიდავის მრავალშვილიან ოჯახში ბიჭის დაბადებას განსაკუთრებულად შეხვდნენ. დედა, მამა და მთელი ოჯახი ვალმოხდილად და ამაყად გრძნობდა თავს. სატელევიზიო სიუჟეტში დავინახეთ კადრები დისნეის ანიმაციიდან „მეფე ლომი“, რომელიც საკუთარ მემკვიდრეს მთელი სამეფოს ბინადრებს აცნობს. მოკლედ, პატრიარქალური ღირებულებების საზოგადოებაში დედის დაფასება და აღიარება კაცების ინიციატივად, მათთვის თავის გამოჩენის შესაძლებლობად იქცევა ხოლმე. მამებს განსაკუთრებით ეამაყებათ ვაჟი. წელიწადში ერთხელ კი გვეტყვიან მადლობას, რომ ბიჭები გავუჩინეთ, თუმცა არის უთქმელი სევდა და საყვედურებიც იმის გამო, რომ ქართველი დედები ბიჭებს ანიჭებენ უპირატესობას, განსაკუთრებულად უფრთხილდებიან მათ და კალთიდან არ იშორებენ. ხანდახან მათზე ისე ზრუნავენ, თითქოს მემკვიდრეობად მიღებული ფაიფურის ჭურჭელი იყოს, გამოსაჩენ ადგილას დალაგებული. ბიჭიანობა ოჯახის სტატუსზე მიუთითებს.

დედის დღეს უამრავი თემა უკავშირდება – უზოგადესი პრობლემური საკითხებით დაწყებული, ყველაზე პირადული და ინტიმურ განცდებით დამთავრებული, რომელიც შეიძლება დანაშაულის გრძნობასაც შეიცავდეს. ამიტომ გარკვეულ უხერხულობასაც ქმნის პირადი ცხოვრების საზოგადოდ გამოტანა – იმის თქმა, თუ როგორ გიყვარს და რამდენად მადლიერები ვართ საკუთარი დედის, რომ მან ამ ქვეყნად მოგვავლინა.

დედის დღის შემოღებას საქართველოში ნაციონალური ელფერი უნდა შემოეტანა და 8 მარტის ალტერნატივად ქცეულიყო, რომელმაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობა პროპაგანდის საგნად აქცია, ქალი ტრაქტორისტები კი მათი შესაძლებლობების საზომად გამოიყენა. 8 მარტი საბჭოთა კავშირის, კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის უკვდავყოფის სიმბოლოდ იქცა. ყვავილები, შოკოლადები, ღია ბარათები და სკოლის მასწავლებლებისათვის ნაყიდი საჩუქრები – ეს იყო ჩემი ბავშვობის 8 მარტი. ეროვნულმა მთავრობამ 1991 წელს, ერთ-ერთი პირველი ის გააკეთა, რომ 8 მარტი გააუქმა და სანაცვლოდ დედის დღე დააწესა. ქალთა საერთაშორისო დღე დედის დღით ჩანაცვლდა. ქალის განსაკუთრებული კატეგორია, დედა გამოყო და ქალობის ეს შესაძლებლობა მეტად წაახალისა, აღიარა თუ დააფასა. შესაძლოა, აღნიშნული გადაწყვეტილება, დემოგრაფიული ვითარებითაც იყო ნაკარნახევი. ჩვენ ხომ ძალიან ცოტანი ვართ და გამრავლება ასე ძალიან გვჭირდება.

ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ და როგორ ტოვებდა დედა საკუთარ შვილს. ასეთი ისტორიები ყველას გვსმენია, რასაც ვერაფრით ვიგებდი. ამის გაგება მხოლოდ მაშინ შევძელი, როცა თავად მეყოლა პირველი შვილი, რომელსაც ველოდი და ამ ნატვრაში ვეფერებოდი. შვილი თავიდან დაბადების შესაძლებლობას გაძლევს, სხვა სიმაღლეზე აჰყავხარ, მაგრამ ის გართმევს ყველაზე მთავარსა და ძვირფასს – თავისუფლებას. მხოლოდ მას შეუძლია შენი ნებით დაგათმობინოს ყველაზე სანუკვარი და სასურველი ადამიანური ღირებულებებიდან, იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. გიჭირს ამის დათმობა, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს ადამიანია, მომხდარი სასწაული. როცა ეს უსუსური

არსება სრულიად შენზეა მონდობილი და დამოკიდებული, აბა, სხვა რა უნდა ქნა?!

კოვიდამდე ბევრი რთული პერიოდი გამომივლია: ომი, დაძაბულობა, შიმშილობამდე მისული ყოველდღიურობა, მატარებელში გატარებული დღენახევარი, მოყინული ფეხები, შეშის „ფეჩით“ გამთბარი საკლასო ოთახი და მაყალზე ადუღებული ჩაის წყალი. მაგრამ ეს ისტორიები ხალისითაც მახსენდება, მაშინ მე არავისზე ვიყავი პასუხისმგებელი, მხოლოდ საკუთარი თავი მახსოვდა და ცდუნებებით სავსე ფიქრები – „სკოლა გაგვიცდება“. მხოლოდ ახლა შემეშინდა ამ გლობალური გამოწვევის, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა, შვილების ჯანმრთელობაზე, მათი სწავლის შესაძლებლობაზე და განვითარებაზეც მაქვს აღებული პასუხისმგებლობა. ახლა მე მიწევს გადაწყვეტილებების მიღება, ამავე დროს მეც ხომ შვილი ვარ, მყავს მშობლები, რომლებიც რისკჯგუფში არიან და მათზე პასუხისმგებლობაც ახლა ჩემს კისერზეა. ალბათ, ამის გამო გაორმაგებული სიმწვავით განვიცადე კოვიდის გამოჩენა, მისი აღქმაც ამიტომ იყო ასე გამძაფრებული. პირველად დავდექი მთელი სიმწვავით საშიშროების პირისპირ. ჩემი პასუხისმგებლობა იყო არჩევანის გაკეთება, სად, როგორ, რა ფორმით გამოვძვრებოდით ამ ვითარებიდან. ერთი ებრაული ანდაზის მიხედვით, ღმერთი ყველგან ვერ იქნებოდა და ამიტომ დედა შექმნა. კი, ასეა ნამდვილად. დედის პასუხისმგებლობა ღმერთად ყოფნის ვალდებულებასაც გვაკისრებს. უკიდეგანოა განცდა, რომელიც გვავალდებულებს სრულად გვესმოდეს შვილების საჭიროებები და სამართებლის პირზე ვიაროთ ჩვენ წარმოდგენებსა და შვილების რეალურ საჭიროებებს შორის. რამდენჯერ შემშინებია, დავეჭვებულვარ გადაწყვეტილებების სისწორეში და გავრინდებულვარ სწორი არჩევანის ძიებაში. კოვიდის სიმძიმე და მისი კარგად შეცნობის სურვილი სწორედ ჩემს „შუაშისტობას“ უკავშირდებოდა – იმას, რომ დედაც და შვილიც ვარ ერთდროულად. ორივე სტატუსი პატივი და პასუხისმგებლობაა, რომლის კომპენსაცია ვერაფრით იქნება 3 მარტი, რომელიც კოვიდურ ფიქრებს ნარცისის სურნელივით ჰაერში აფრქვევს უკვე ერთი წელია!

5 მარტი

გაზაფხულისა და ვაქცინის მოლოდინი. დიდი ხანია მოგვახარეს, რომ ვაქცინა უკვე არსებობს, რომ ის გამოსცდეს და ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილიც უკვე აცრილია. ისიც გავიგეთ, რომ ჩინეთმა დიდი ხანია დაივიწყა კოვიდი და ჩვეული რეჟიმით ცხოვრობს, მეტიც – ვაქცინა, რომელიც უნდა მივიღოთ, ჩინეთში მზადდება. ამაზეც ატყდა ამბავი, თითქოს ყოველი მეოთხე ნივთი, რომელსაც მოვიხმართ, ჩინეთში არ იყოს წარმოებული. ვაქცინის საკითხი ბუნებრივად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას და ნოყიერ ნიადაგს ქმნის კონსპირაციული თეორიების გასავრცელებლად. კარგად მესმის, რომ ვაქცინაციის დაწყების გარეშე რეალურად ვერ მოხერხდება ძველებური ცხოვრების რიტმში დაბრუნება. ამის კი ბოლომდე არ მჯერა, მაგრამ მაინც უსაზღვროდ გაიწელა შეზღუდვების გაუქმების მოლოდინი. საინფორმაციო გადაცემებში აცხადებენ, რომ მარტის ბოლოს დაიწყება ვაქცინის შემოტანა და პირველად ექიმებს აცრიან. ამ ჟამიანობის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ჩემთვის არ იყო და ის გახლდათ ერთადერთი პროფესია, რომლის დაუფლებაც ბავშვობის არც ერთ ეტაპზე არ მნდომებია – შეიძლება იმიტომაც, რომ ჩემი მშობლების თაობას საკუთარი შვილისათვის ყველაზე სასურველ სპეციალობად ექიმობა მიაჩნდა. ბავშვობიდან მახსოვს, რას ნიშნავდა იმ დროს სამედიცინო ფაკულტეტზე სასწავლებლად მოხვედრა. თეთრი ხალათი საბჭოთა თაობების მშობელთა ოცნებაში გამარჯვების დროშასავით ფრიალებდა. კარგად მახსოვს, სოფელში ერთ-ერთმა ნაცნობმა ოჯახმა სალოცავს როგორ შესწირა ცხვარი და აქეიფა მთელი უბანი იმის აღსანიშნავად, რომ მათმა გოგონამ მეცხრე კლასში სამედიცინო კოლეჯში ჩააბარა, საიდანაც იგი დიდი ალბათობით შედარებით მარტივად სამედიცინო უნივერსიტეტში აღმოჩნდებოდა. ეს მაშინ დიდ გამარჯვებად მიაჩნდათ და პრესტიჟულობით დღემდე ექიმის პროფესიას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ჩემს კიდევ უფრო ადრეულ ბავშვობაში ხალხი წლობით შეუპოვრად ცდილობდა სამედიცინო უნივერსიტეტში მოხვედრას, ისიც მახსოვს, რომ ერთხელაც, 90-იანების დასაწყისში, ჩაბარების მსურველთა მთელი ნაკადი შეფასების გათვალისწინების გარეშე ჩარიცხეს.

კიდევ კარგი, პირდაპირ ექიმის დიპლომები არ დაურიგეს და ჰიპოკრატეს ფიცდადებულები კლინიკებში არ გადაანაწილეს. კიდევ ერთი რამ, რაც სამედიცინო სასწავლებელთან დაკავშირებით მახსენდება, არის შევარდნაძის დროს შექმნილი კორუმპირებული სქემის გამოაშკარავების საქმე და გახმაურებული, სამაგალითოდ საჩვენებელი სასამართლო პროცესი. ეჭვი მაქვს, ამ წელს გაცილებით ნაკლები ჩააბარებს სამედიცინოზე. ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით მოთხოვნა ძირითადად უცხოელი სტუდენტების დაინტერესების ხარჯზე იზრდება. ნეტა წელსაც თუ ჩამოვიდნენ სტუდენტები ინდოეთიდან? პანდემიამ ექიმის პროფესია კიდევ სხვაგვარად წარმოაჩინა და დაგვანახა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რა კარგად მახსოვს მადლიერების გამომხატველი ტაში იტალიელი ექიმების მიმართ და სხვადასხვა პერფორმანსი, რომელთა ვიდეოები სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა. ჩვენც სიამოვნებით ვაზიარებდით მათ და ვიყავით ერთ ამბავში. სოციალური ქსელი გაივსო დაღლილი და გათანგული ექიმების ფოტოებით. ჩვენ მათ გმირებს ვუწოდებდით და ვლოცავდით. ყველა სატელევიზიო ეთერში ექიმებს პატიჟებდნენ, ინტერვიუებს იღებდნენ და ავრცელებდნენ. ისინი ძალიან გადაიღალნენ. ზოგადი მადლობა ვერ იქნება თანაზომადი იმ რეჟიმისა, რომელიც მათთვის, ალბათ, კიდევ უფრო გაიწელა მთელი წლით. ვნახოთ, როგორ და როდის შეიარაღდებიან ისინი ვაქცინით, რამდენად ექნებათ არჩევანი და რა გამოცდილებას შესძენს კოვიდი მათ პროფესიულ კარიერას. ერთი წლის თავზე კი, 9 მარტიდან, პოსტკოვიდური სინდრომების კვლევას დაიწყებენ ექიმები კოვიდგადატანილ პაციენტებში. ეს აუცილებელი, საჭირო და მნიშვნელოვანია, მაგრამ საინტერესოა, რამდენად და როგორ გამოიკვლევენ ფსიქიკურ პრობლემებს, რომელიც ერთი წლის მანძილზე ამ ვითარებაში ცხოვრებას შეიძლებოდა გამოეწვია ან დაემძიმებინა. როდესაც კოვიდი მთელი სიმწვავით გავისიგრძეგანე, ვფიქრობდი, ნეტა როგორ არიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები ან მათი ახლობლები-მეთქი. ყველაზე მეტად ეს მაწუხებდა, ვგრძნობდი რა, როგორი აუტანელი იყო ჩემთვის ამ ახალი რეალობისა და შესაბამისი წესრიგის თუ უწესრიგობის მიღება და მასთან შეგუება.

დღესაც მგონია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად დარჩება ჩვენი ჯანდაცვის სფეროსათვის და, ზოგადად, ჩვენი საზოგადოებისათვის. ამას საკუთარი ემოციური მდგომარეობითა და ხალხთან შეზღუდული კონტაქტით ვზომავ. არ მგონია, ამ საქმეს ვაქცინამ უშველოს, მაგრამ ურთიერთობების მეტმა შესაძლებლობამ, შეიძლება, ეს ზიანი ცოტა მაინც შეამციროს.

„ჯანმრთელობას გისურვებთ“ – ამ სიტყვებით ვასრულებ თითქმის ყველა გაგზავნილ წერილს, აგერ, უკვე ერთი წელია და სავსე ვარ რწმენით, რომ ისტორიას ჩაბარდება კოვიდი და ჩვენი დარდები ექიმობასა თუ ჯანმრთელობაზე!

7 მარტი

კვირა დღე თითქოს განტვირთვის მოცემულობაა, მაგრამ სადაა ის? ნეტავ, როგორია დასვენება? დიდად აღარც მესმის, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სიტყვა! კოვიდამდე თეატრი, კინო ან ზოოპარკი, როგორც წესი, კვირა დღის ძირითადი არჩევანი იყო. ახლა კვირის დამაგვირგვინებელ დღეს, ძირითადად სახლში ვხვდებით და კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ბავშვების სიჯიუტე, ჩვენი არასწორი რეაქციები და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის მოუმზადებლობა. იმის მაგივრად, რომ ამ დღეს მადლიერება გამოვხატოთ შემოქმედის მიმართ და დავტკბეთ ოჯახური გარემოთი, ვისიამოვნოთ ბავშვებთან ურთიერთობით, გავიზიაროთ მათი შეურყვნელი სამყარო, ისევ რაღაცნაირი სიმძიმე. კორონა და ეროზირებული პოლიტიკური გარემო კიდევ უფრო გაუსაძლის ხდის უქმე დღეებს... დღის განწყობა მთლიანად გადაფარა არა კორონამ, არამედ ფარულმა ჩანაწერებმა. დიდხანს ვფიქრობდი, მომესმინა თუ არა ეს ჩანაწერები. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს ძალიან უსიამოვნო იქნებოდა, კერძო საუბრის მოსმენა, თან მამაკაცების. უნდა გამოვტყდე, კიდევ უფრო აუტანელი და დამთრგუნველი აღმოჩნდა, ვიდრე შეიძლებოდა მეფიქრა და სულ დამიკარგა ცხოვრების ხალისი. გასაგებია, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ამ ჩანაწერის გამოქვეყნება, მაგრამ მთლიანობაში, ყველაფრის გათვალისწინებით, მაინც ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს მამაკაცების მოსმენა, სადაც მათი ადამიანური თვისებების ყველაზე უსი-

ამოვნო ნაწილი მჟღავნდება. არ ვიცი, თუ ვინმეს აინტერესებს ან სიამოვნებას ანიჭებს პრივატული საუბრების მოსმენა, რომელიც რაღაცის ან ვიღაცების წინააღმდეგ არის მიმართული! მე ეს ცუდად მხდის. მიჭირს იმის წარმოდგენა, რას გრძნობენ მისი მონაწილეები, როცა მათ ჩანაწერს აქვეყნებენ. უფრო კი იმის ვარაუდი, რას განიცდის დედა, როცა მისი შვილის ბილწსიტყვაობას უსმენს, მით უფრო, თუ ეს ყველაფერი სხვების დამცირების კონტექსტში ხდება.

ამ ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა ჩემი სტუდენტობის ერთი უცნაური მოგონება გამახსენდა: მგონია, რომ გამორჩეულად კარგი სტუდენტობა მქონდა, ყველაზე სასიამოვნო და სახალისო, როგორიც კი შეიძლება წარმოიდგინო. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორია არ მიყვარდა და მაინც ამ ფაკულტეტზე აღმოვჩნდი, ისტორიის კვალის ძიება და მისი ნაშთების მონახულება ყველაზე სასიამოვნო მომენტებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მივდიოდით ექსკურსიაზე რომელიმე ტაძრის, ნაეკლესიარის, ციხე-სიმაგრისა თუ ისტორიული ადგილის მოსანახულებლად. ეს განსაკუთრებულად საინტერესო ნაწილი იყოს სტუდენტობის ხანიდან, მით უფრო ლექტორთან ერთად, რომელიც დროში გვამოგზაურებდა და მასთან არაფორმალურ გარემოში ურთიერთობა ერთი სიამოვნება იყო. ერთხელ ჯავახიშვილის კაბინეტში მრგვალ მაგიდასთან შევიკრიბეთ, ბუბა ლაშქრობაზე უნდა დაგვლაპარაკებოდა. სამდღიანი ლაშქრობის დაგეგმვა საოცარ მოლოდინს ქმნიდა და სულგანაბული ვუსმენდი. ერთი, რაც დამამახსოვრდა საქმიანი დეტალების მიღმა, ის იყო, რომ მან თქვა: თუ ერთხელ წახვალ „პახოდში“, მოიწამლები და მთელი ცხოვრება სულ ამაზე იფიქრებო. კი, ასეა ნამდვილად. ლაშქრობის გაფიქრებაზეც კი, ახლაც ჩემს ორგანიზმში რაღაც ხდება. მაშინ კი მოვამზადეთ საძილე ტომრები, პარალონი, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი და ათასი ნიუანსის გათვალისწინებით თუ გაუთვალისწინებლად საოცარი მოლოდინებითა და განცდებით თბილისიდან ბირთვისში წავედით, შებინდებისას ცეცხლი დაინთო და ჭაჭით უამრავი ისტორიული თუ არაისტორიული სადღეგრძელო დაილია – რამდენიმე ჭიქა სასმელი, ცეცხლი და ერთგვარი ტრანსული მდგომარეობა,

ირევი დროსა და სივრცეში. ეს ყველაფერი ძალიან ახლოსაა ნეტარებასთან. თითქმის მთელი ღამე გავათენეთ, რაზე არ ვისაუბრეთ და რა არ ვიფიქრეთ. მოკლედ შთაბეჭდილებების ზღვაში გადავეშვით. და ასე გადავაგორეთ ლაშქრობის პირველი დღე, მეორე დღეს ბუბას მეგობრები გვესტუმრნენ და ცეცხლთან ადგილი დაიკავეს. ლექტორმა სტუდენტების ჯგუფი გაუტეხელი ციხის სანახავად წაიყვანა, რომლის აღებაც თემურ ლენგსაც გასჭირვებია. ვგრძნობდი, რომ „გაუტეხელზე“ კი არა, სწორ გზაზე ვერ გავივლიდი ნორმალურად. ამიტომ გადავწყვიტე კარავში დავრჩენილიყავი და გამომეძინა. კარავში შევედი და დასაძინებლად მოვემზადე. ბიჭები ცეცხლის გარშემო ისხდნენ. სამწუხაროდ, ძალიან გარკვევით ისმოდა მათი ხმები. რა თქმა უნდა, დეტალურად არ მახსოვს, როგორ ჩამოვარდა საუბარი ქალებთან ურთიერთობაზე და შემდგომ ყველანაირი წვრილმანი წაღმართ თუ უკუღმართ სქესობრივ კავშირებზე. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფანტაზიაში, ვინ უფრო უცნაურს და გაუგებარს იტყოდა ამ თემაზე. თვალებს მთელი ძალით ვხუჭავდი, არ მინდოდა ამის მოსმენა, მინდოდა გავმქრალიყავი. ყველა მცდელობა, ძილისთვის შემეფარებინა თავი, უშედეგოდ დასრულდა, რაც უფრო მაგრად ვხუჭავდი თვალებს, ძილი უფრო ფრთხებოდა და არ მეკარებოდა. ყურებზეც ვიფარებდი ხელს, მაგრამ არაფერი მშველოდა. სიცილს, ხორხოცსა და მათ ბილწსიტყვაობას საზღვარი არ ჰქონდა, მე კი უსუსური თაგვივით ვიყავი გამომწყვდეული კარავში და მარტის კატების ნადიმს ხაფანგში გამომწყვდეული ვუსმენდი. კრინტიც ვერ დავძარი. იმ მომენტში მძულდა კაცი და მთელი საკაცეთი, რომელსაც ქალებზე ასეთი საუბარი შეეძლო. და ეს მაშინ, როცა მათი ნაწილი წინა საღამოს მანდილოსნების სადღეგრძელოებს ამბობდა. ძნელია გადმოვცე, მაშინ რას ვგრძნობდი 19 წლის გოგო რომანტიკული წარმოდგენებით. ეს როგორ ხდება? ახალგაზრდა, ნორმალური მამაკაცები ამ ფორმით როგორ საუბრობენ ქალებზე მაშინ, როცა მარტონი რჩებიან და ერთმანეთს რატომ ეჯიბრებიან სითამამეში? ალბათ, გაინტერესებთ, მერე რა მოხდა?! ჩემი კურსელები თეა, თეას ძახილით მორბოდნენ თავიანთი შთაბეჭდილების გასაზიარებლად. იმათ რა იცოდნენ, მე რანაირი გრძნობები მძაგრავდნენ ამ

დროს. ასე გაირკვა, რომ კარავში გოგოა!. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე თავი მომემძინარებინა და მეთამაშა, თითქოს ვერაფერი გავიგე. დარცხვენილსა და იმედგაცრუებულს მომიწია მეღიარებინა, რომ მათი საუბარი მესმოდა. რა თქმა უნდა, შეწუხდნენ, გაუკვირდათ და საბოლოოდ გადაწყვიტეს იუმორით გასულიყვნენ ფონს – ისეთები ვილაპარაკეთ, მაინც ვერ გაიგებდა, ცოდნა არ ეყოფოდაო. ბოლოს ეს ამბავი ასე გადაწყდა: ბირთვისის აკადემია გაქვს გავლილი, ამიერიდან აღარაფერი გაგიკვირდებაო! – ითქვა. დიახ, დღემდე მახსოვს ამ აკადემიაში მიღებული „ცოდნა“... თუმცა ისევ ისე მიკვირს, მიჭირს და არ მსიამოვნებს კაცების საუბრის მოსმენა, როცა მათ ჰგონიათ, რომ მარტონი არიან და არავინ უსმენთ.

13 მარტი

შაბათი დღე ისევ ლექციებით იწყება. დისტანციური ლექციების ჩასატარებლად სოლოლაკში მივდივარ. სახლში ძნელია ისეთი სივრცის მოძიება, სადაც რამდენიმე საათი შეგიძლია მოსწყდე აურზაურს და რაიმე საქმეზე კონცენტრირდე, მით უფრო ლექცია ჩაატარო მშვიდად. ამიტომ გადავწყვიტე ლექციებისათვის ბავშვობის სახლში წავიდე ხოლმე და ვილაპარაკო სტუდენტებთან ყველაფერზე – მათ შორის ბავშვობის მოგონებებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ლექციაზე რელიგიის ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომებზე უნდა გვესაუბრა, ბევრი რამის გახსენება მომიწია ბავშვობიდან. მაგალითად, როგორ პატივს მიაგებდა ბებიაჩემი გარდაცვლილ მეუღლეს და სიზმრის საშუალებით როგორ ითვლიდა მისთვის შეწირულ ცხვრებს; როგორი რუდუნებით ამზადებდა საკურთხის სუფრებსა და ემზადებოდა მასთან შესახვედრად. ჩვენ რელიგიის წარმოშობისა და მისი ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ასპექტები ყველაზე მეტად გვეხება და პიროვნული რეფლექსიის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ტეილორისეული მცდელობა – აღედგინა მექანიზმი, თუ როგორ იპოვა პირველყოფილმა ჯერ სული და მერე როგორ მივიდა ღმერთამდე, რა როლი ჰქონდა სიზმარსა და გარდაცვალებას ამ აღმოჩენებში, გითრევს და მაგალითების ძიებისათვის განგაწყობს. ახლობლის გარდაცვალება და ამ ფაქტთან შეგუება დღემდე გაუთავისებელ გამოცდილებად რჩება ნებისმიერი ადა-

მიანის ცხოვრებაში. რთული არაა, დაიჯერო, რომ სწორედ ასეთ ამბებს შეუძლია მიგიყვანოს რელიგიურობის ნებისმიერ ფორმამდე. ნებისმიერ რელიგიურ სისტემას ადამიანის დაკარგვასთან შეურიგებლობა და სიკვდილის შიში ასაზრდოებს. ამიტომ სანამ იარსებებს საზოგადოების ნებისმიერი ფორმა და სიკვდილის მოლოდინი, რელიგიაც არ დაკარგავს აქტუალობას. ყოფნა-არყოფნის განცდა კი ყოველთვის მოემსახურება ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს საიქიო სამყაროს შესახებ.

სიკვდილის გარდაუვალობასა და მასთან შეგუების შეუძლებლობაზე როცა ვფიქრობ, ლიფანალის დღესასწაული მახსენდება. ეს გახლავთ სიკვდილთან მორიგების, მასთან გაშინაურების, მისი მოხელთების საოცარი ტრადიცია, რომელიც სვანეთში დღემდეა შემონახული და გვაკვირვებს ორ სამყაროს შორის კომუნიკაციის ამ უნიკალური შესაძლებლობით. პირველად ლიფანალის დღესასწაულის შესახებ მეათე კლასში, ვერა ბარდაველიძის წიგნიდან შევიტყვე. ვნახე რიტუალი ნახატებით, რომელიც სპეციალურად ლიფანალისათვის სრულდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ სწორედ ამან განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევა. მივხვდი, რომ სწორედ ასეთი რაღაცების კვლევა-ძიება მაინტერესებდა და ყველაზე ახლოს ეს იყო ჩემთან.

ლიფანალი ახალი წლის ციკლის დღესასწაულების რიგშია. ამ დროს მიცვალებული სულები სახლებში ბრუნდებიან და მათ პატივსაცემად ოჯახი საგულდაგულოდ ემზადება, აწყობს სუფრას, ნახატებით აფორმებს კედლებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავს და ზღაპრებს უყვება მათ. ასე გრძელდება რამდენიმე დღე, შეიძლება კვირაც და შემდგომ პატივით აცილებენ, კარს უღებენ და მომავალ წლამდე ემშვიდობებიან. მიცვალებულის სულებთან ეს მისტიკური ურთიერთობების შესაძლებლობა სულ სხვანაირად აყალიბებს ჩვენს წარმოდგენებს სამყაროს შესახებ. ის გამოხატავს ადამიანის სურვილს, არ გაწყვიტოს კავშირი გარდაცვლილ ახლობლებთან და მათთან სოციალური კავშირები გარდაცვალების შემდგომაც გაგრძელდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხშირად აკრიტიკებენ ქელეხსა და ზღვარგადასულ გლოვას, ამ ყველაფერში შესაბამისი ადაპტაციის მექანიზმებია ჩადებული. ჩემთვის ყველაზე შემზარავი

კოვიდის პირობებში ადამიანების დასაფლავების ფორმა იყო. ყველაფერი ხდებოდა ჩუმად, უხმაუროდ და ტკივილის გაზიარების გარეშე, ყოველგვარ რიტუალებზე უარის თქმით, რომელიც, ჩვენი წარმოდგენით, გარდაცვლილსა და ჩვენ ერთნაირად გვეხმარება, შევეგუოთ საყვარელ ადამიანთან სამუდამო დაშორებას და რომ ადამიანის სიკვდილი გარდაცვალებად ვაქციოთ. რამდენი ადამიანის გარდაცვალების შესახებ შევიტყვეთ პანდემიის პერიოდში და ჩვენი მწუხარების გამოხატვა ფეისბუქკომენტარებით შემოიფარგლა: ვიზიარებ და ვწუხვარ და ვურთავ შესაბამისად მოწყენილ სმაილიკს. ყველა ტიპის ურთიერთობა შეიძლება ჩანაცვლდეს ვირტუალურით, გარდა გლოვის გაზიარებისა, რადგან სწორედ ასეთ დროს ვადასტურებთ და ვამყარებთ კავშირს ერთმანეთთან, სწორედ ადამიანებთან ფიზიკური სიახლოვე გვაბრუნებს რეალობაში, სადაც ცოცხლებად ვრჩებით და გაზიარება ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობებს გვისახავს.

დღეს ვაქცინის პირველი დოზა შემოიტანეს საქართველოში და ეს მოვლენა ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა ისტორიულ ფაქტად შეაფასეს. სიკვდილის შიშის დაძლევა ამ ვაქცინაზე და ვაქცინაციის პროცესზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუმცა ვნახოთ, როგორ შეძლებს ეს სითხე იმ კულტის დაძლევას, როგორადაც კორონა ჩამოყალიბდა, ვნახოთ, რა მოძღვრებისა და წესრიგის საფუძველი გახდება ვაქცინა სახელით „ასტრა /ზენ/ ე/კა“.

15 მარტი

ორშაბათი დილა. მძიმე კვირის მძიმე დასაწყისი? არა, თუმცა მარტივი არ ყოფილა გადაწყვეტილება, განსხვავებულად დამეწყო მორიგი სასწავლო კვირა. ძველმა, ძალიან ძველმა მეგობარმა შემომთავაზა ამ დღის ახმეტაში, მატანში გატარება. მან შემომთავაზა ერთად გვენახა, თუ როგორ აღნიშნავს სოფელი ყეენობას. ამ შესაძლებლობამ ყველა რაციონალური არგუმენტი არწასასვლელად გადაწონა. სტუდენტობის გახსენება და ამ შეკეტილობის შემდგომ ქალაქგარეთ გასვლის შესაძლებლობა სუფთა ჰაერივით ელამუნებოდა ჩემს წარმოსახვას.

დილიდან ერთი ბავშვი სკოლაში გავისტუმრე, მეორეს ჯერ კიდევ ეძინა, მე კი ჩემი მეგობრისაკენ გავემართე. რამდენი ხანია არ მინახავს, მისი ამბები – ფეისბუქფოტოებს თუ არ ჩავთვლით,

კარგა ხანია არ მსმენია. სოციალურ ქსელში კი ყველაფერს ვალაიქებთ, შინაარსში არსებითად გარკვევის გარეშე. მოკლედ, მოსაყოლი და გასაზიარებელი ბევრი გვექნება. წელს სტუდენტების ძალიან დიდი და ჭრელი კურსი მყავდა, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი განსხვავებული ხასიათებით. მარი გამორჩეულად რბილი, დამყოლი და მიამიტი ხასიათის გოგო იყო, პროტესტს თითქმის არაფერზე გამოხატავდა, სამწუხაროდ, არც ინიციატივას, ამიტომაც განსაკუთრებულად გამიხარდა მისი შემოთავაზება. ძალიან მომეწონა მისი მყუდრო ეზოიანი სახლი და ყვავილები ეზოსა და სახლში. გამიხარდა მისი თავდაჯერებულობა და გულახდილი საუბრის მანერა, კახური პირდაპირობა, ოჯახურ გაუგებრობებსა თუ პრობლემებად მონათლულ საკითხებზე იუმორით საუბარი. ზედმეტი ფაციფუცის გარეშე გავუდექით სამი გოგო კახეთის – ახმეტისაკენ მიმავალ გზას. როგორც ჩემმა მასპინძელმა და ჩვენმა მძღოლმა თქვა, ეს პერიოდი ადრე არ მოსწონდა. ამბობდა, ამ დროს ჯერ ბუნებას არ ღვიძავს და მისი ნაცრისფერი სიშიშვლე ნაკლებ საინტერესოდ მეჩვენებოდაო. ამაზე არ დავფიქრებულვარ, მე ძალიან მელამაზა თოვლშემოლეული ბუნება, გომბორი თეთრ ლაქებად აჭრელებულიყო. ტრიალი სივრცე, ფოთლებისგან გაძარცვული ხეები და ნაცრისფერი პეიზაჟები იმაზე მეტს გვპირდებოდა, ვიდრე ოდესმე. გზაში ბევრი ვისაუბრეთ პანკისზე და ქალებზე. ნინო, მარის ბიძაშვილი, გენდერის სპეციალისტია და პანკისთან შეხება როგორც პირადი, ისე პროფესიული კუთხით არაერთხელ ჰქონია. მამამისი ბავშვთა ექიმია ახმეტაში და მასთან ქისტები და ჩეჩნები ხშირად დადიოდნენ თურმე. ამან ძალიან გაუადვილა პანკისელ ქალებთან ურთიერთობა. ერთი საინტერესო დასკვნა, რაც მან გაგვიზიარა, იყო ის, რომ თემში აქტიური ქალები ძირითადად ქვრივები ყოფილან, რომლებმაც შვილები უკვე დაზარდეს. საინტერესოა, რომ ქმარმკვდარი ქალები უკეთ ახერხებენ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობასა და საერთო საქმეში ენთუზიაზმით ხარჯავენ საკუთარ დროსა და ენერგიას. ნინომ გზაში ერთი ქისტი გოგოს გასაჭირიც გაგვიზიარა, მან ქართული იმდენად კარგად ვერ ისწავლა, რომ უმაღლესში სასწავლებლად ეროვნული გამოცდა ჩაებარებინა, რაც იმას ნიშნა-

ვდა, რომ მალე გაათხოვებდნენ. სანამ ნინო შინაურულ წრეში ამ გოგოსთვის პირობების მოძიებას ცდილობდა, სულ რამდენიმე თვეში გოგონა ჩეჩნეთში გაათხოვეს. მარტის თვეში კიდევ სხვა სიმძაფრით ისმინება ასეთი ამბები, გათხოვილი ქალები კიდევ სხვაგვარად განვიცდით ასეთ ისტორიებს. როცა საკუთარი სურვილით ქმნი ოჯახსა და თავად აკეთებ არჩევანს, მაშინაც არაა ადვილი ამ პასუხისმგებლობების ტარება, მით უფრო, როცა შენი სურვილის წინააღმდეგ ჰყოფ უღელში თავს. ქალების ისტორიები, ღრუბლიანი გომბორი და აი, უკვე მატანში ვართ, შორიდანაც ჩანს ჩოლოყაშვილების ციხე, სადაც შემოსევების დროს მთელი სოფელი აფარებდა თავს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისუფლების სიმბოლოდ დარჩა და მისი ხსენება ყოველთვის იმედით მავსებს, ვრწმუნდები, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაშინაც კი, როცა თითქოს გადაწყვეტილია ბედი თუ უბედობა.

გამჭვირვალე და გაცრეცილ მატანში უკვე დაწყებული იყო ქეიფი, ყეენს უკვე ართობდნენ და ათრობდნენ. უბნის ცენტრში გაშლილ სუფრასთან წაწვეტებულ ქუდიანი ყეენი უკვე როლში იყო შესული და სუფრაც ახმაურებულიყო. როგორც მარიმ მითხრა, დღეს სოფლის ყველა უბანში იმართებოდა ყეენობა. ამისთვის ყველა ოჯახში იხვეოდა ხინკალი. მატანელები ამბობენ, რომ მარხვის გატეხა ამ დღეს ეპატიებოდათ, რადგან ყეენთან ანგარიში უნდა გაესწორებინათ. კარგად რომ დაათრობდნენ ყეენს, სოფლის ბოლოს წყალშიც გადაუძახებდნენ. ასე უსწორდებოდნენ ისტორიულ მტერს. მტრის თავდასხმის შიშით სოფელი მჭიდროდაა დასახლებული და ფერდობზეა ერთიანად შეფენილი ტერასულად. ჰყვებიან ამბებს, თუ როგორ აფარებდნენ მტრის შემოსევისას თავს ჩოლოყაშვილის ციხეს, ცეცხლზე როგორ რჩებოდათ ქოთნით ლობიო. რატომღაც ყეენობის დღესასწაულთან მიმართებაში კიდევ უფრო, მთელი სიმძაფრით გავიაზრე, როგორ უწევდათ ადამიანებს სახლების დატოვება და ციხე-გალავანში შეხიზნა თავისა და ოჯახის გადასარჩენად, მტერთან დაპირისპირება კი დღესასწაულად აქციეს. დაპყრობის საფრთხე სიმბოლური გამარჯვებით მთავრდება, როცა დამთვრალ, გაბითურებულ ყეენს ვირზე უკულმა სვამენ და მერე წყალში აგდებენ. დაპყრობის სიმძიმეს კი გამვლელებს იმით აგრძნობინებენ,

რომ გზით სარგებლობისათვის გადასახადს სთხოვდნენ. ორჯერ მოგვიწია გზად ყეენისათვის „ხარკის“ გადახდა, რამაც დღესასწაულის მონაწილედ გვაქცია და გაგვახალისა. ყეენობისთვის გამართულ ღია ბაზრობაზე კი ფერადი მამალოები ვიყიდე, ჩემი ბავშვობის სიტკბოება. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი კადრი კი გზაზე მომავალი სამი, შავებში გამოწყობილი მოხუცი ქალბატონი იყო თეთრი პირბადეებით. ყეენობას ნიღბები უხდება, მაგრამ არა სამედიცინო. კორონამ თავის ფერი შეიტანა ყველა ქალაქსა თუ სოფელში. ის ჯერ კიდევ ჰაერშია და ელოდება, როდის იქცევა ისტორიად, რომელსაც რიტუალურად გაიცოცხლებენ და დამარცხებულს ისევ მას მიაბარებენ თაობებს, ხალისით რომ მოუთხრონ სხვებს მისი ვერაგობის შესახებ. აუცილებლად მონიშნავს კორონა თავის დღეს ან დღეებს, როდესაც ყველა გავიხსენებთ, როგორ დაგვატყდა თავს და როგორ გადავრჩით გახიზვნისა და ჩაკეტვის ფასად. ვიდრე კორონაზე რაიმე დღესასწაულს მოიგონებენ, მანამდე ყეენზე, პანკისზე და დათოვლილ გომბორზე ვიფიქრებ, კიდევ მეგობრობასა და ქალურ სოლიდარობაზე.

კითხვარის ნიმუში

ჩაწერის დრო და ადგილი

მთხრობელი ვინაობა *(სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა)*

1.თუ გახსოვთ, როდის, როგორ და ვისგან გაიგეთ პირველად ვირუსის გავრცელების შესახებ?

2.გაიხსენეთ, როგორი იყო თქვენი თავდაპირველი რეაქცია? რამდენად სერიოზულად აღიქვით საფრთხე?

3.გაიხსენეთ როგორი იყო თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების მოლოდინები ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით?

4.თუ გახსოვთ საქართველოში პირველი ინფიცირებულის შესახებ ინფორმაცია? ვინ იყო და როგორი იყო თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების რეაქციები?

5.თუ ადევნებდით ვირუსით დაინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს თვალს? როგორ მოქმედებდა თქვენზე?

6.თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებმა თუ გადაიტანეთ ვირუსი? როგორ გახსენდებათ ავადობა?

7.შეგიძლიათ გაიხსენოთ დაწესებული რეგულაციები?

8.რომელი მათგანის დაცვა იყო თქვენი აზრით ყველაზე რთული შესასრულებელი ან პირიქით?

9.თქვენი გადასახედიდან როგორ აღიქვამდა მოსახლეობა თქვენს რაიონში/სოფელში რეგულაციებს? რატომ?

10.თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობისათვის იმის ცოდნა თუ საიდან გავრცელდა ვირუსი?

11.თუ გახსენდებოდათ რაიმე მოვლენა ან ისტორია, რომელსაც უკავშირებდით იმდროინდელ რეალობას?

12.თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი პანდემიის პერიოდიდან?

13.თუ შეგიძლიათ აღწერეთ პანდემიური ცხოვრებიდან თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე, როგორი იყო ის?

14.რა იყო თქვენთვის ინფორმაციის მთავარი და სანდო წყარო პანდემიის პერიოდში?

15. თქვენი აზრით რა შეიცვალა და რამდენად საფუძვლიანად ოჯახურ ურთიერთობებში?

16.თქვენი აზრით რა შეიცვალა სამეზობლოში? როგორ გაუმკლავდა სამეზობლო პანდემიის გამოწვევებს?

17.პანდემიის პერიოდში, თქვენს სამეზობლოში თუ დაქორწინდა ვინმე და რა ხდებოდა როგორ გაიხსენებთ?

18.როგორ აღნიშნავდით დღესასწაულებს?

19.გაიხსენეთ აღდგომის დღესასწაული, რა ხდებოდა?

20.პანდემიის პერიოდში, თქვენს სამეზობლოში თუ გარდაიცვალა ვინმე და როგორ მოხდა მისი გაცილება თუ შეიძლება რომ გაიხსენოთ?

21.ვაქცინაციაზე რას მეტყვით ვინ და როგორ აიცრა თქვენს გარშემო?

22.ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებდით ჩვენი საზოგადოების ქცევებს? რა გავიგეთ ჩვენი საზოგადოების შესახებ პანდემიის პერიოდში?

23.დისტანციური სწავლა და მუშაობა როგორი გამოცდილება იყო თქვენთვის? როგორ გაუმკლავდით ოჯახში და მის გარეთ?

24.თქვენი აზრით როგორ გაუმკლავდა მსოფლიოს ქვეყნები კორონა ვირუსის გავრცელების საფრთხეს და მათ შორის საქართველო?

25.როგორი გამოცდილება იყო პანდემიასთან გამკლავება ? დადებითი და უარყოფითი მხარეები თუ შეგიძლიათ გამოყოთ?

26.რა გვასწავლა პანდემიამ? რა გაკვეთილები მივიღეთ ამ კრიზისიდან?

27.თქვენი აზრით რას შეცვალა პანდემიამ ჩვენს ყოველდღიურობაში?

28.თქვენი აზრით ვინ დაიჩაგრა ყველაზე მეტად პანდემიის პერიოდში?

29.ვისთვის იყო შედარებით სარგებლიანი პანდემიის პერიოდი?

30.თქვენი აზრით რას გაიხსენებენ და რა დარჩება პანდემიის პერიოდიდან?

31.პანდემიის პერიოდში ვის უსმენდით, ვინ იყო თქვენთვის ავტორიტეტი?

32.როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მოქმედებას პანდემიის პერიოდში?

33.რამდენად მომზადებული შეხვდა ჩვენი საზოგადოება პანდემიას?

34.რამდენად და როგორ გაართვა სამედიცინო სექტორმა პანდემიას თავი?

35.როგორ ფიქრობთ ისტორიის ან ტრადიციები ცოდნა თუ დაგვეხმარებოდა პანდემიის დაძლევაში?

36.წარმოიდგინე რომ კოვიდ 19 არის ფიზიკური ადამიანი, რას ეტყოდი?

სიტყვა მკითხველს

თუ ეს კრებული შენს ხელშია, ნიშნავს, რომ უკვე გაიარე უამრავი ადამიანის განცდილი და ნააზრევი, მოუსმინე ხმებს, რომლებიც დროის მძიმე მონაკვეთში ჩაიწერა – უშუალოდ იმ დროს, როცა ცხოვრება შეჩერდა და სამყაროს სუნთქვა თანაბარი აღარ იყო.

მაგრამ ეს წიგნი ჯერ დასრულებული არ არის. ის ელოდება შენს ხმას.

ამ ფურცლებზე, რომლებიც სპეციალურად ცარიელი დავტოვეთ, შეგიძლია ჩაწერო შენი ისტორია – ის, რაც შენ გაიარე, იგრძენი, იფიქრე ან ვერ თქვი. შენი შიშები, სიმამაცე, სიჩუმე, დისტანცია, სიყვარული, ყოველდღიური რუტინა ან მოულოდნელი ძალა. შეგიძლია დაწერო როგორც წერილი, ჩანახატი, ლექსი, სუნთქვის აღწერა – რასაც გრძნობ, როგორც გახსენდება. შენი სიტყვები იმსახურებს დარჩენას. შენი გამოცდილება იმსახურებს გაზიარებას. და შენ – ხარ ამ ამბის, ამ ისტორიის და ამ მეხსიერების თანაავტორი.

გმადლობთ, რომ აქ ხართ. ახლა, სიტყვა თქვენია.

მოკლე ბიოგრაფიები:

1. **ნინო თავართქილაძე**, 31 წლის, ფიზიკური ანთროპოლოგიის სპეციალისტი, დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

2. **ლია მიქაბერიძე**, ფილოლოგი, სამი შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებია. ავტორი პოეტური კრებულისა“ საწყისი ფერი“.

3. **მადონა ჩამგელიანი (ლატალი)**, 42 წლის, სვანეთი, დასაოჯახებელი, ეთნოლოგი, საქმიანობა – ეთნომუსიკა, ტურიზმი; ჩაწერის დრო და ადგილი: – დისტანციურად.

4. **ლომთაძე ნესტან**, 51 წლის, ცხოვრობს. ქუთაისში, გეოგრაფიის მასწავლებელი, დაოჯახებული, წარმოშობით ლეჩხუმიდან, წყალტუბოს რაიონი, სოფ. დღნორისა. ინტერვიუს თარიღი: 19 ნოემბერი, 2023 წ. ქ. თბილისი.

5. **დიანა წიკლაური** (ხევსურეთი), 24 წლის, გოგონა, დასაოჯახებელი, სოციოლოგიის ბაკალავრი, ESC მოხალისე, ზუმი/სახლი, 21:00

6. **ქალბატონი ბორჯომიდან**, 24 წლის, დასაოჯახებელი, ფიზიკური თერაპევტი, საქმიანობა – მუსიკოსი; ინტერვიუს ჩაწერის დრო: 01.12.2023 20:30

7. **თამარი ყალაბეგაშვილი** (გურჯაანი), 21 წლის, გოგონა, დასაოჯახებელი, ეკონომისტი, საქმიანობა – აუდიტორი. ინტერვიუს ჩაწერის დრო: 19:00, ადგილი – ჩაის სახლი.

8. **მედეა ლეკაშვილი** 26 წლის, გოგონა, რელიგიის მკვლევარი, დასაოჯახებელი, გადაცემების პროდიუსერი. ინტერვიუს ჩაწერის დრო და ადგილი: 19:00 22.11.2023 კაფე „პრაქტიკა“

9. **ნათია რობაქიძე** (ხაშური), 23 წლის, ოკუპაციური თერაპიის სტუდენტი, დასაოჯახებელი, გოგონა, საქართველოს პირველი ნაბიჯის ოკუპაციური თერაპევტი, ინტერვიუს ჩაწერის დრო და ადგილი: 22.11.2023 20:00 სახლი

10. **ნათია გოჯორაშვილი**, 25 წლის, სოციოლოგიის ბაკალავრი, კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, წარმოშობით თუშეთიდან, წერს ლექსებს და ჩანახატებს.

11. **ქალბატონი (ოზურგეთი)** (არ სურს საჯაროობა) ინტერვიუს ჩაწერის ადგილი სახლი (23.11.23) 19:30 24 წლის, გოგონა, ფილოსოფიის მაგისტრი, განქორწინებული, რეგიონალური მენეჯერი.

12. **სალომე მელაძე**, 37 წლის, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი, დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მკვლევარი.

13. **ქალბატონი თბილისიდან**, 38 წლის, თსუ დოქტორანტი, ფილოლოგი

14. **ლევან კოჭლამაზაშვილი**, 36 წლის, ენათმეცნიერი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

15. **ნია ლომოური**, 32 წლის, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი. დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი: „ფილიგრანი XIX-XX საუკუნეების ქართულ ლითონმქანდაკებლობაში“, აქვს რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან და სხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება. 2020 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით გამოიცა მისი საავტორო ორენოვანი კატალოგი „ახალციხური ფილიგრანი (XIX-XX საუკუნეები)“. აქვს სამუზეუმო სივრცეში მუშაობის 8 წლიანი სამუშაო გამოცდილება.

16. **ანანო ჩხეტიანი**, 34 წლის, თბილისიდან, ანთროპოლოგი. სამაგისტრო ნაშრომისათვის იმუშავა კაიროში და დაიცვა დიპლომი თემაზე: “ეროვნული იდენტობა და გასტრონომიული კულტურა მულტიეთნიკურ საზოგადოებაში“.

17. **მაია ცერცვაძე**, ლიტერატურისმცოდნე, ისტორიკოსი, ისტორიის დოქტორი, მთარგმნელი, რედაქტორი. ავტორია ორი მონოგრაფიისა: „XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებ-

რივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით“ და „ჯაყოს ხიზნების“ სახე პერსონაჟები – პროტოტიპები და გენეზისი“. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ლექციებს კითხულობდა ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

18. **თეა ქამუშაძე**, 44 წლის, ანთროპოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ჯიპას და საბაუნის ანთროპოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ორი შვილის დედა. მონოგრაფიის ავტორი, “რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა, პატარა ქალაქის დიდი ამბები“ 2022

19. აქ დაწერე შენი ბიოგრაფია .....

ISBN 978-9941-8-8652-2